საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-ი/
1978/2

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

1. 1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

# ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

# СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი

ТБИЛИСИ

1.1978

კ. მარქსის სახ. ს. ქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სარედაქციო კოლეგია:** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Лордкипанидзе

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-50 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. IV. 78; შეკვ. 4351; ანაწყობის ზომა 7×12;
ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 18. 90; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 16. 81 უე 01627 ტირაჟი 1500
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## წერილები

ე. ქვათაძე, ახალი კონსტიტუცია და საბჭოთა საზოგადოების სოციალური განვითარება . 5
ლ. თოიძე, ფ. ე. ძერჟინსკი — სოციალისტური სახალხო მეურნეობის ნიჭიერი ორგანიზატორი . . . . . . . . . 12
ი. ანთელავა, იოანე ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი . 20
ალ. რობაქიძე, ა. ქალდანი, ქართველ მთიელთა კოშკური კულტურის ზოგიერთი საკითხი . . . . . . . . . . . 42
ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ჭილიძე, ძვ. წ. VI—IV ათასწლეულების ადრესამიწათმოქმედო კულტურის ზოგიერთი განმსაზღვრელი ნიშნის საკითხისათვის . . . 55

## ცნობები და შენიშვნები

გ. ბოსტოღანაშვილი, მუშათა საბინაო პირობები საქართველოში (1901—1914 წწ.) 70
ნ. დათეშიძე, სახალხო განათლება საქართველოში დიდი სამამულო ომის პერიოდში 81
მ. სურგულაძე, ბაგრატ VI-ის 1468 წლის სიგელის დიპლომატიკური თავისებურება . 94
ა. აბდალაძე, დავით აღმაშენებლის „ძმის თოტორმე"-ს გამო . . . . . 98
დ. გოჩოლეიშვილი, საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობათა შუქზე XIII—XIV საუკუნეებში . . . . . . . 100
შ. ბაჯიაშვილი, კიდევ ერთი ქართული წყვილჩარჩოიანი დამღის შინაარსი . . 112
ნ. ქილაძე, მუ'თაზილების მრწამსის შესახებ იბნ რუშდის ძირითად ტრაქტატში . 116
მ. აბაშიძე, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა რუსულ ენაზე თარგმნის შესახებ . . . . . . . . . . . . 120

## პუბლიკაცია

დ. ლომიძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XVIII საუკუნის მეორე ნახევარში . . . . . . . . . . 124
რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები . . . . . . . . 143

## დისკუსია და განხილვა

დ. გოგოლაძე, XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის საკითხისათვის . . . . . . . . . . . 163
პ. მოსულიშვილი, კიდევ ერთხელ წრომის არქიტექტურის შესახებ . . . 177

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

გ. ფიფია, ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქება თანამედროვე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში . . . . . . . . 188
ჯ. სტეფნაძე, ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან 195
ნ. აბესაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ხელოსნობა საქართველოში . . . . . 198
ჯ. გიუნაშვილი, „თარიხე სისთანის" რუსული და ინგლისური თარგმანების გამო . 203

## ქრონიკა და ინფორმაცია

ნ. ქილურაძე, შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი . . . . . . . . 208
აკადემიკოსი ილია ნესტორის ძე ვეკუა (ნეკროლოგი) . . . . . . . 213
მ. ჯიჯეიშვილი, ი. ახობაძე (ნეკროლოგი) . . . . . . . . 216

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОДЕРЖАНИЕ

## СТАТЬИ

Э. КВАТАДЗЕ, Новая Конституция и социальное развитие советского общества . . . . . . . . . . . . . 5
Л. ТОИДЗЕ, Ф. Э. Дзержинский — талантливый организатор народного хозяйства . . . . . . . . . . . . . 12
Н. АНТЕЛАВА, Общественно-политические взгляды Иоанна Багратиони . . 20
А. РОБАКИДЗЕ, А. КАЛДАНИ, Некоторые вопросы башенной культуры горной Грузии . . . . . . . . . . . . . 42
Т. ЧУБИНИШВИЛИ, Л. ЧЕЛИДЗЕ, К вопросу о некоторых определяющих признаках раннеземледельческой культуры VI—IV тыс. до н. э. . . 55

## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Г. БОСТОГАНАШВИЛИ, Жилищные условия рабочих в Грузии (1901—1914 гг.) 70
Н. ДАТЕШИДЗЕ, Народное образование в Грузии в период Великой Отечественной войны Советского Союза . . . . . . . . . 81
М. СУРГУЛАДЗЕ, Особенности грамоты 1488 г. Баграта VI . . . . . 94
А. АБДАЛАДЗЕ, По поводу «брата» Давида Строителя — Тоторме . . 96
Д. ГОЧОЛЕЙШВИЛИ, Грузия в свете международных отношений на Ближнем Востоке в XIII — XIV веках . . . . . . . . . . . 100
Ш. БАДЖИАШВИЛИ, Содержание еще одной парнорамочной грузинской наченканки . . . . . . . . . . . . . . 112
Н. КИЛАДЗЕ, Об убеждении Му'тазилитов в основном трактате Ибн Рушда . 116
М. АБАШИДЗЕ, О переводах памятников грузинской исторической литературы на русский язык . . . . . . . . . . . . . 120

## ПУБЛИКАЦИЯ

Д. ЛОМИДЗЕ, Материалы по истории русско-грузинских взаимоотношений во II четверти XVIII века . . . . . . . . . . . 124
Р. РАМИШВИЛИ, Б. ДЖОРБЕНАДЗЕ, Итоги разведочных работ Эрцо-Тианетской археологической экспедиции . . . . . . . . 143

## ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

Д. ГОГОЛАДЗЕ, К вопросу о социально-экономическом положении Грузии в XVIII веке . . . . . . . . . . . . . 163
Г. МОСУЛИШВИЛИ, Еще раз об архитектурном образе Цроми . . . 177

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. ПИПИЯ, К освещению некоторых вопросов истории народов Закавказья в современной буржуазной историографии . . . . . . 188
Дж. СТЕПНАДЗЕ, А. Шавхелишвили, Из истории горной Восточной Грузии . 195
Н. АБЕСАДЗЕ, Ф. Гогичайшвили, Ремесленное производство в Грузии . . 198
Дж. ГИУНАШВИЛИ, О русском и английском переводах Тарихе систан» . 203

## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Н. КИГУРАДЗЕ, Симпозиум, посвященный проблеме греческой колонизации Причерноморья . . . . . . . . . . . . 208
Академик И. Н. Векуа (некролог) . . . . . . . . . . 213
М. ДЖИДЖЕЙШВИЛИ, Э. Ахобадзе (некролог) . . . . . . 216

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელგუჯა ქვათაძე

## ახალი კონსტიტუცია და საბჭოთა საზოგადოების სოციალური განვითარება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის პოლიტიკური დოკუმენტია, რომელშიც ერთი მხრივ, ასახულია ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვრულია საბჭოთა სახელმწიფოს სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების, ერთა თანამშრომლობისა და დაახლოების, საბჭოთა საზოგადოების მართვის პრინციპები.

სოციალისტური საზოგადოების მიზანია ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება. ამ მიზნის მიღწევის გზები და საშუალებები, რომლებიც თეორიულად დაასაბუთა ლენინმა, რეალურად გვიჩვენა და დაადასტურა სოციალისტური მშენებლობის 60 წლის პრაქტიკამ, ისტორიაში პირველად ახალ კონსტიტუციაში იქნა აღიარებული საერთო-სახალხო სახელმწიფოს მთავარ კონსტიტუციურ პრინციპად.

ახალმა კონსტიტუციამ ასახა ის დიდი სარბიელი და მტკიცე გარანტია, რომელიც შექმნა და დაამკვიდრა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის განხორციელებისათვის. პიროვნების თავისუფლება, მისი შრომითი ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარების შესაძლებლობა დიდ პერსპექტივებს სახავს ჩვენი ქვეყნის მძლავრი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

ახალ კონსტიტუციაში სათანადოდ აისახა ის შედეგები, რომლებიც დამახასიათებელია საბჭოთა საზოგადოების სოციალური განვითარებისათვის. ახალი კონსტიტუცია, წინა კონსტიტუციებისაგან განსხვავებით, შეიცავს სპეციალურ თავს (თავი 3) სოციალური განვითარებისა და კულტურის შესახებ. ცალკე თავად მისი კონსტიტუციაში შეტანა სავსებით კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს და განპირობებულია იმით, რომ სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შედეგად არსებითი ხასიათის თვისებრივი ცვლილებები მოხდა საბჭოთა ხალხის სოციალურ განვითარებაში.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სწრაფი ტემპით დაიწყო ქალაქისა და სოფლის, მუშათა კლასისა და გლეხობის, ფიზიკური და გონებრივი შრომის დაახლოების პროცესი, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა მიეცა სოციალისტური წყობილების უპირატესობასთან თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შერწყმას, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ პროპორციულ განვითარებას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ადამიანთა კომუნისტური შეგნებულობის ჩამოყალიბებას, სოციალისტური დემოკრატიის სულ უფრო მეტად გაღრმავებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, ასეთ ვითარებაში საბჭოთა საზოგადოების მეცნიერულ საფუძველზე მართვა, სოციალური პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირება ობიექტურ აუცილებლობად იქცა. ამიტომ, ახალ კონსტიტუციაში, ერთი მხრივ, აისახა თანამედროვე საბჭოთა საზოგადოების სოციალური სახე, ხოლო, მეორე მხრივ, შემდგომი სოციალისტური განვითარების ის ტენდენციები, რომლებიც გამოვლინდა განვითარებული სოციალიზმის პირობებში; ეს ტენდენციები იმდენად თვალხილულნი გახდნენ, რომ ჩვენი ცხოვრების ძირითად კანონში მათი ფიქსირება აუცილებელია.

ახალმა კონსტიტუციამ, ეყრდნობა რა მარქსიზმ-ლენინიზმს და სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკულ გამოცდილებას, მის საფუძველზე მკაფიოდ განსაზღვრა საბჭოთა სახელმწიფოს როლი სოციალური ერთგვაროვნების მიღწევისათვის ბრძოლაში.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალიზმის გამარჯვება არ ახდენს საზოგადოების წევრებს შორის ყოველგვარი განსხვავების ლიკვიდაციას. იგი კაპიტალიზმისაგან მემკვიდრეობით იღებს სოციალურ განსხვავებას ქალაქსა და და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის. სოციალისტურ საზოგადოებაში ერთგვაროვანი საზოგადოების შექმნის პროცესი ბუნებრივად დაკავშირებულია მუშათა კლასის ისტორიულ მისიასთან, მის ხელმძღვანელ როლთან. სოციალისტურ საზოგადოებაში თანდათანობით ხორციელდება ქალაქსა და სოფელს შორის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო შრომას შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევა. სოციალიზმი წარმოადგენს სოციალურად ერთგვაროვანი კომუნისტური საზოგადოების აშენების საფუძველს. ვ. ი. ლენინი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ მუშათა და გლეხთა კლასები სოციალიზმის დროს წარმოადგენენ ქრობად კლასებს, მაგრამ მათი ქრობის პროცესი ძალდატანებითი მოსპობის გზით კი არ მიმდინარეობს, არამედ თანდათანობით შერწყმის მეშვეობით. კლასების მოსპობა, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, მარტო მემამულეთა და კაპიტალისტთა განდევნას როდი ნიშნავს — ეს ჩვენ შედარებით ადვილად გავაკეთეთ, ეს ნიშნავს აგრეთვე *საქონლის წვრილმწარმოებელთა მოსპობას*, *განდევნა კი მათი არ შეიძლება*, არ შეიძლება მათი დათრგუნვა, მათ უნდა შევეწყო, მათი გარდაქმნა, ხელახალი აღზრდა შეიძლება (და სავალდებულოცაა) მხოლოდ მეტად ხანგრძლივი, აუჩქარებელი, ფრთხილი ორგანიზატორული მუშაობით[1].

ვ. ი. ლენინს კლასების მოსპობისათვის საჭიროდ მიაჩნდა წარმოების საშუალებათა ყოველგვარი კერძო საკუთრების გაუქმება, ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის განსხვავების მოსპობა. ყოველივე ამას ვ. ი. ლენინი თვლიდა მეტად ხანგრძლივ პროცესად, მისი განხორციელებისათვის საჭიროდ მიიჩნევდა უდიდეს პროგრესულ ცვლილებებს საწარმოო ძალთა განვითარებაში.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელების შედეგად, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების საფუძველზე, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენს ქვეყანაში სოციალური ერთგვაროვნების მიღწევის გზაზე, შეიქმნა საბჭოთა ხალხი, როგორც ახალი ისტორიული ერთობა:

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 31, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმტკიცდა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მაგრამ საბჭოთა ხალხი ჯერ კიდევ არ არის სოციალურად ერთგვაროვანი, ჯერ კიდევ არსებობს არსებითი ხასიათის განსხვავება მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო შრომას შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის.

ამრიგად, ახალ კონსტიტუციაში სათანადო შეფასება მიეცა განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოციალური ერთგვაროვნების მიღწევის გზაზე საზოგადოების განვითარების შედეგებს და მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარების საფუძველზე განისაზღვრა საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი როლი სოციალური ერთგვაროვნების მიღწევისათვის ბრძოლაში, როდესაც მე-19 მუხლში აღინიშნა, „საბჭოთა სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების გაძლიერებას — კლასობრივი განსხვავების, ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობას, სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ განვითარებასა და დაახლოებას".

ერთგვაროვანი საზოგადოების შექმნის ძირითადი ამოცანა მთლიანად შეესაბამება განვითარებული სოციალიზმის პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოციალურ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის დაახლოებას, ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევას.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საბჭოთა სახელმწიფოს გააჩნია დიდი შესაძლებლობანი, სულ უფრო მეტად გამოიყენოს მეცნიერულ ტექნიკური საშუალებანი საბჭოთა საზოგადოების სოციალური განვითარების პროგრამის შესასრულებლად, განახორციელოს ფართო მასშტაბის ღონისძიებანი სოციალურ განსხვავებათა თანდათანობით დაძლევისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფართო მნიშვნელობის ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება ქალაქისა და სოფლის დაახლოებისათვის. განვითარებული სოციალიზმის პირობებში სულ უფრო იზრდება სოფლად სამრეწველო შრომის მასშტაბები. პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელება არსებითი ხასიათის თვისებრივ ცვლილებებს იწვევს სოფლის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკურ სტრუქტურაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაცია, ქიმიზაცია, მელიორაცია და ირიგაცია, სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სულ უფრო მეტად ამზადებს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ქალაქისა და სოფლის დაახლოებისათვის, მათ შორის არსებითი სოციალურ-ეკონომიკური განსხვავების დაძლევისათვის.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საკოლმეურნეო სოფელმა არსებითად იცვალა სახე. ძირფესვიანად შეიცვალა სოფლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება. 1976 წლისათვის სოფლის მოსახლეობის 99 % სარგებლობდა ელექტროენერგიით, გაზიფიცირებული იყო სასოფლო დასახლების უდიდესი ნაწილი. სოფლის ყოველ მეორე დასაქმებულ მცხოვრებს აქვს უმაღლესი ან საშუალო (სრული ან არასრული) განათლება. 1975 წელს მარტო სოფლის მეურნეობაში დაიხარჯა 1,5-ჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში ომის წინ. 1965 წელთან შედარებით 1975 წლისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის შრომის ენერგოაღჭურვა სოფლის მეურნეობაში ერთ მუშაკზე გაანგარიშებით 2,5-ჯერ მეტად გაიზარდა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სწრაფი ტემპით იზრდება სოფლის მშრომელთა შემოსავალი. მათი ყოფა-ცხოვრების პირობები თანდათანობით უახლოვდება ქალაქისას. მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება ქალაქისა და სოფლის დაახლოების ტენდენციები. ამის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს მე-10 ხუთწლედის სოციალური განვითარების გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განსხვავების თანამიმდევრულ დაძლევას. მე-10 ხუთწლედში კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივი მეურნეობისაგან გაიზრდება 24—27 %-ით, ე. ი. უფრო სწრაფად, ვიდრე მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი. გათვალისწინებულია კოლმეურნეობაში ანაზღაურება გაიზარდოს შრომისნაყოფიერების გადიდების საფუძველზე. ხუთწლედის გეგმა ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მაღალეფექტიან და დიდმწარმოებელ დარგად გადაქცევას, რათა მკვეთრად გაიზარდოს სოფლის მეურნეობის პროდუქციით ქვეყნების საიმედო უზრუნველყოფის გარანტია და მნიშვნელოვნად გაძლიერდეს ქალაქისა და სოფლის ცხოვრების პირობების დაახლოების ტენდენცია.

განვითარებული სოციალიზმის პერიოდში კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის საფუძველზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში დასაქმებული მოსახლეობის სოციალურ-პროფესიული დიფერენციაცია, რომელსაც კვალიფიკაციის ამაღლების საფუძველზე მივყავართ სოციალური ერთიანობისაკენ. თანამედროვე პერიოდში სოფლის მეურნეობაში სულ უფრო მეტად იზრდება ხვედრითი წონა იმ სოციალ-პროფესიული ჯგუფებისა, რომლებიც ეწევიან კვალიფიციური სამრეწველო პროფილის შრომას. ასეთი ჯგუფები თავიანთი შრომის ხასიათის მიხედვით არსებითად განსხვავდებიან ხელით მომუშავე ფიზიკური შრომის ადამიანებისაგან. ისინი მუშათა კლასის მსგავსნი არიან, როგორც პროფესიული მომზადებისა და საერთო განათლების დონით, ისე შრომის ხასიათის მიხედვით. მართალია, ამ ჯგუფების ხვედრითი წონა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დასაქმებულ მოსახლეობაში ჯერ კიდევ მცირეა, მაგრამ რაც უფრო დაჩქარდება სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიულ შრომის ნაირსახეობად გარდაქმნის პროცესი, მით უფრო გაიზრდება მათი ხვედრითი წონა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში დასაქმებულ მოსახლეობაში და საბჭოთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე დაიკავებს წამყვან ადგილს. ახალ კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ (მუხლი 22) „სსრ კავშირში თანმიმდევრულად ხორციელდება პროგრამა, რომლის მიზანია, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომა გარდაიქცეს ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად", გაფართოვდეს სოფლად სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურეობისა და კომუნალური მეურნეობის დაწესებულებათა ქსელი, გარდაიქმნას სოფლები კეთილმოწყობილ დაბებად".

ახალმა კონსტიტუციამ ქალაქისა და სოფლის დაახლოების მიმდინარე პროცესი საკანონმდებლო წესით განამტკიცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საზოგადოების სოციალური განვითარების პროცესი, რომელიც საკანონმდებლო წესით განმტკიცდა ახალ კონსტიტუციაში, ხელს შეუწყობს ფიზიკური და გონებრივი შრომის დაახლოების პროცესის სულ უფრო მეტად განვითარებას. როგორც ცნობილია, სოციალიზმის პირობებში მთლიანად არ ისპობა არსებითი ხასიათის განსხვავება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის. სწორედ ეს განსხვავება წარმოადგენს ინტელიგენციასა და მუშათა და გლეხთა კლასებს შორის სოციალური განსხვავების საფუძველს. სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის სოციალურ-ეკონომიკური არაერთგვაროვნება გამოიხატება იმით, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ფიზიკურ შრომას ეწევა, ხოლო მეორე — გონებრივს. შრომის ყველა სახეობას საზოგადოებისათვის თანაბარი მნიშვნელობა არა აქვს. რაც ბუნებრივად არათანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს ქმნის ადამიანებისათვის.

სოციალიზმის დროს ჯერ კიდევ არის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო, კვალიფიციური და არაკვალიფიციური, რთული და მარტივი, შემოქმედებითი და არაშემოქმედებითი შრომა, რომელთაც ცხადია, აქვთ სხვადასხვა საზოგადოებრივი ღირებულება და ამ სახეებში დასაქმებულ ადამიანებს არათანაბარი წვლილი შეაქვთ როგორც საზოგადოების მატერიალური დოვლათის წარმოებაში, ისე კულტურის განვითარებაში. ამიტომ, შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპის შესაბამისად განსხვავებულია სხვადასხვა შრომით სახეებში დასაქმებული ადამიანების შრომის ანაზღაურებაც.

ახალ კონსტიტუციაში საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია საბჭოთა სახელმწიფოს ვალდებულება საბჭოთა საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების გაძლიერების ტენდენციისათვის, ხელის შეწყობის, ფიზიკური და გონებრივი შრომის დასაახლოვებლად ფართო მასშტაბის სოციალ-ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელების შესახებ. კომუნისტურ პარტიას კომუნიზმის მშენებლობის პროცესში შრომის სფეროში სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფის ამოცანებად მიაჩნია შემდეგი: გონებრივი და ფიზიკური შრომის შეერთება საწარმოო საქმიანობაში, მუშათა და გლეხთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება ინტელიგენციის დონემდე, შრომის გადაქცევა სასიცოცხლო მოთხოვნილებად. ამ ამოცანების ერთობლიობაა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებით განსხვავებათა დაძლევის პროცესის შინაარსი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო შრომის სფეროში სოციალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს დიდი მასშტაბის ღონისძიებებს. ეს პროცესი დიდად გაღრმავდა და განვითარდა განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ამ პერიოდში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე ფართო ხასიათი მიიღო წარმოების მართვის ავტომატიზაციის ტენდენციამ, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ფიზიკური და გონებრივი შრომის დაახლოების პროცესი. წარმოების ავტომატიზაცია წარმოადგენს ფიზიკური და გონებრივი შრომის შეერთების მატერიალურ საფუძველს. საბჭოთა საზოგადოების სოციალური განვითარების მაგისტრალური ხაზი მიემართება იქით, რომ სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში დასაქმებულ ადამიანთა შრომით საქმიანობაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებდეს გონებრივი შრომის ელემენტები. ამიტომაც არის ახალ კონსტიტუციაში მითითებული (მუხლი 21), რომ „სახელმწიფო ზრუნავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის პირობების გაუმჯობესებისა და დაცვისათვის, მისი მეცნიერული ორგანიზაციისათვის, მძიმე ფიზიკური შრომის შემცირებისა, მერე კი მისი მთლიანად განდევნისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე“. აქედან გამომდინარე, საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი მიზანია სისტემატურად იზრუნოს იმისათვის, რომ წარმოების ავტომატიზაციამ მოიცვას სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და მის საფუძველზე ფიზიკური შრომა შეერწყას გონებრივ შრომას და წარმოების სფეროში წამყვანი ადგილი დაიკავოს. ახალ კონსტიტუციაში საკმაოდ ფართოდ აისახა და საკანონმდებლო წესით განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი. ახალ კონსტიტუციაში საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქცია, განუხრელად განახორციელოს კურსი, რომელიც შრომისნაყოფიერების ზრდის შესაბამისად აამაღლებს შრომის ანაზღაურების დონეს და მშრომელთა რეალურ შემოსავალს. სულ უფრო მეტად შექმნას მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები და მშრომელთა კოლექტივების ფართო მონაწილეობით უზრუნველყოს ამ ფონდების ზრდა და მისი სამართლიანი განაწილება.

ახალმა კონსტიტუციამ კანონმდებლობითი ხასიათი მისცა სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც საბჭოთა საზოგადოების სოციალური განვითარების პროგრამის განხორციელებას მტკიცე გარანტიას უქმნიან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ახალი კონსტიტუცია საკანონმდებლო წესით ამკვიდრებს საბჭოთა ადამიანების ყოფა-ცხოვრებასა და სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობაში იმ კონსტიტუციურ პრინციპებს, რომლებიც განაპირობებენ საბჭოთა ადამიანების თანასწორუფლებიანობას ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

ახალი საბჭოთა კონსტიტუცია წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიაში პირველ კონსტიტუციას, რომელშიც საზოგადოების წევრთა კონსტიტუციური უფლებები მთლიანად გარანტირებულია სახელმწიფო კანონმდებლობით. სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის 60 წლის პრაქტიკა მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ საბჭოთა საზოგადოებაში შეიქმნა მტკიცე ობიექტური პირობები ადამიანთა საკონსტიტუციო უფლებების განხორციელებისათვის. ეს სავსებით ბუნებრივია. სოციალისტური საზოგადოების განვითარების კანონზომიერება, ცხადია, აპირობებს საზოგადოების წევრთა კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციას. ამიტომ საბჭოთა ადამიანებს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების შესასრულებლად აქვთ ობიექტური პირობები და მისი განხორციელება გარანტირებულია საბჭოთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებით.

ახალ კონსტიტუციაში მკაფიოდ ჩანს საბჭოთა საზოგადოების სოციალური სახე, მისი დემოკრატიული ხასიათი, რომელიც მკაფიოდ ვლინდება იმ დიდ სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებში, რომელსაც იგი უმკვიდრებს საბჭოთა საზოგადოების წევრებს. ამ უფლებებიდან აღსანიშნავია შრომის უფლება, ანუ უფლება იმის შესახებ, რომ თითოეული ადამიანი მუშაობდეს მისი განათლების და პროფესიის შესაბამის სამუშაოზე; დასვენების უფლება, რაც უზრუნველყოფილია თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენებისათვის ზრუნვით, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლება, განათლების უფლება, კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მონაწილეობის უფლება და სხვ. ყოველივე ეს საბჭოთა ადამიანს ფართო სარბიელს აძლევს სოციალური განვითარებისათვის, ნაყოფიერ გავლენას ახდენს იმაზე, რომ საბჭოთა საზოგადოების თითოეული წევრი სულ უფრო მეტად დაეუფლოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს და აქტიურად დანერგოს იგი პრაქტიკულ ცხოვრებაში.

ახალ კონსტიტუციაში სათანადოდ აისახა ის დიდი როლი, რომელიც აქვს მუშათა კლასს საბჭოთა საზოგადოებაში. საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის წამყვან ძალას, როგორც ეს აღნიშნულია კონსტიტუციაში, წარმოადგენს მუშათა კლასი. ისტორიამ მუშათა კლასს დააკისრა უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენების მსოფლიო ისტორიული ამოცანა. საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკა მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე იმყოფებოდა საბჭოთა ხალხის ავანგარდში და უაღრესად დიდი წვლილი შეჰქონდა სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგის მძლავრ აღმავლობაში.

მართალია, პროლეტარიატის დიქტატურამ შეასრულა თავისი მისია, სოციალიზმის გამარჯვების შედეგად შეიქმნა საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომლის ფუნქციები მკაფიოდ განისაზღვრა ახალ კონსტიტუციაში, მაგრამ მუშათა კლასი კვლავ ასრულებს საბჭოთა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ხელმძღვანელი, ავანგარდი კლასის როლს.

ახალ კოსტიტუციაში საკანონმდებლო წესით განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების სოციალური განვითარებისა და ერთგვაროვანი უკლასო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პრინციპები, რომელთა განხორციელება მთელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის მთავარი მიზანია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან თოიძე

# ფ. ე. ძერჟინსკი — სოციალისტური სახალხო მეურნეობის ნიჭიერი ორგანიზატორი

**(დაბადების 100 წლისთავის გამო)**

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავზე, ჩვენი ხალხი კვლავ დაუცხრომელი ინტერესით ეცნობა და უდიდესი მადლიერების გრძნობით იგონებს იმ მოღვაწეთა სასახელო საქმეებს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ოქტომბრის რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის განმტკიცებაში.

ამ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის ფელიქს ძერჟინსკის, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა კომუნიზმის საქმისათვის უანგარო ბრძოლის ბრწყინვალე ნიმუშია.

ძერჟინსკი ოქტომბრის შტურმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ოქტომბრის დღეებში სტალინთან, სვერდლოვთან, ბუბნოვთან და ურიცკისთან ერთად იგი იყო წევრი სამხედრო-რევოლუციური ცენტრისა, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აჯანყების სახელმძღვანელოდ შექმნა.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პარტია ძერჟინსკის მეტად საპასუხისმგებლო პოსტებზე გზავნის. მის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული კონტრრევოლუციური შეთქმულებებისა და აჯანყებების განადგურება, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცება. ლენინის საქმისათვის თავგანწირულმა ბრძოლამ ძერჟინსკის ლეგენდარული სახელი უჭკნობი შარავანდედით შემოსა. „რევოლუციის უშიშარი რაინდი", „პარტიისა და მუშათა კლასის ფხიზელი თვალი", „რკინის ფელიქსი" — ასე უწოდებდნენ მას სიყვარულით.

პარტიულ და საბრძოლო-სამხედრო მოღვაწეობასთან ერთად ძერჟინსკის უდიდესი დამსახურება მიუძღვის სამეურნეო მშენებლობაში. იგი იყო ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი პირველი გამოჩენილი ორგანიზატორი და ნიჭიერი ხელმძღვანელი. განუსაზღვრელია მისი წვლილი სახალხო მეურნეობის აღდგენასა და მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური თეორიის განვითარებაში. როგორც ძერჟინსკის ერთ-ერთი თანამებრძოლი ვ. ი. მეჟლაუკი ამბობდა, აღწერო ძერჟინსკის სამეურნეო მოღვაწეობა, ეს ნიშნავს შექმნა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის ისტორია.

მართლაც, 1921 წლის გაზაფხულიდან, როცა საბჭოთა სახელმწიფოს საშუალება მიეცა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე შესდგომოდა მშვიდობიან მშენებლობას, ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილა არც ერთი სახალხო-სამეურნეო პრობლემა, რომლის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს ძერჟინსკის (იგი ამ დროიდან ძირითადად სამეურნეო ფრონტზე მოღვაწეობდა).

ძერჟინსკიმ ბევრი საყურადღებო ინიციატივა გამოიჩინა პარტიისა და მთავრობის დადგენილებების შემუშავებასა და განხორციელებაში ისეთ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხებზე, როგორიცაა ფასების პოლიტიკა, შრომის სოციალისტური ორგანიზაცია, მძიმე მრეწველობის განვითარება და მრავალი სხვა.

1921 წლის აპრილში ვ. ი. ლენინის წინადადებით ფ. ძერჟინსკი გზათა სახალხო კომისრად დაინიშნა. ამავე დროს იგი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობასაც ასრულებდა. ძერჟინსკის ენერგიაზე, მისდამი პარტიისა და მთავრობის უდიდეს ნდობაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი ერთსა და იმავე დროს სამ ასეთ უმნიშვნელოვანეს დარგს უძღვებოდა.

პერიოდი კი მეტად რთული იყო. იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შედეგად რუსეთის სახალხო მეურნეობა მთლიანად მოიშალა. 1920 წელს 1913 წელთან შედარებით მძიმე მრეწველობა 7-ჯერ ნაკლებ პროდუქციას უშვებდა. ნედლეულის ნაკლებობის გამო ქვეყანაში დაიხურა 48 000 საწარმო. მთელს ქვეყანაში შიმშილი მძვინვარებდა. მოიშალა ფულადი სისტემა. შეიქმნა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ჩაშლის საშიშროება.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ 1921 წელს რუსეთი ჰგავდა ცემისაგან სიკვდილის პირას მიყვანილ ადამიანს, რომელსაც მხოლოდ ყავარჯნებით სიარული შეეძლო[1].

აუცილებელი გახდა გადამჭრელი ზომების მიღება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღსადგენად, მათ შორის კავშირის განსამტკიცებლად. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ტრანსპორტს, მაგრამ ის თითქმის მწყობრიდან იყო გამოსული.

ტრანსპორტზე არსებულ მდგომარეობას ვ. ი. ლენინი თითქმის კატასტროფულს უწოდებდა. კრიზისი იქამდე მივიდა, რომ ორთქლმავალთა და ვაგონთა რაოდენობის ნახევარზე მეტი გამოუსადეგარი გახდა. საბჭოთა რუსეთში იმ დროს არსებული 63 000 ვერსი რკინიგზიდან 40 000 დანგრეული იყო. სამოქალაქო ომის დროს დაწვეს, ააფეთქეს და ძლიერ დააზიანეს 4 000 ხიდი და მრავალი სადგური. საქმეს ართულებდა ისიც, რომ მაღალ ტექნიკურ პერსონალს შორის ბევრი იყო ანტისაბჭოურად განწყობილი სპეციალისტი.

მეტად მწვავედ იდგა საწვავის საკითხი. ხშირად ასეც ხდებოდა: მატარებელი საწვავის ნაკლებობის გამო საჭირო სადგურამდე ვერ აღწევდა, გზაში ჩერდებოდა და იდგა, ვიდრე რკინიგზელები მგზავრებთან ერთად ორთქლმავლისათვის ტყეში შეშას არ დაამზადებდნენ.

ანალოგიური მდგომარეობა იყო წყლის ტრანსპორტზეც.

აი, ასეთ ვითარებაში წამოაყენა პარტიამ ფელიქს ძერჟინსკი გზათა სახალხო კომისრად.

მართალია, ძერჟინსკი ადრეც მონაწილეობდა ამა თუ იმ სამეურნეო პრობლემის გადაჭრაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ახალ სამუშაოზე იგი აბსოლუტურად გამოუცდელი იყო.

ძერჟინსკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სამეურნეო ასპარეზზე ახალი ძალით გაიფურჩქნა მისი შეუდარებელი და მრავალმხრივი ნიჭი. მართალია, ძერჟინსკის არ გააჩნდა არც უმაღლესი და არც სპეციალური ტექნიკური განათლება, მაგრამ ყოველივე ეს ადვილად დაძლია მისმა ენერგიამ, დიდმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, სოციალიზმის საქმისათვის თავდადებამ და უნარმა — ისწავლო მასებისაგან და ასწავლო მათ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 272.

ერთ-ერთ ანკეტაში კითხვაზე „რა სპეციალობებს ფლობთ?“ ძერჟინსკიმ უპასუხა: „ვარ მხოლოდ რევოლუციონერი“. აი, ამ პასუხში უნდა ვეძიოთ გასაღები ძერჟინსკის ყველა წარმატებისა, პარტიულ, სამხედრო საბჭოთა თუ სამეურნეო მნიშვნელობის ფრონტებზე მისი გამარჯვებებისა. იგი იყო რევოლუციონერი მოწოდებით, რევოლუციონერი საქმით, გულითა და სულით.

ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც ძერჟინსკიმ ტრანსპორტზე გაატარა, იყო აპარატის გაწმენდა კონტრრევოლუციური ელემენტებისაგან. ამასთან მან დაიახლოვა ერთგული და გამოცდილი სპეციალისტები, რომლებმაც მასში უმალ შეიცნეს ტრანსპორტის აღდგენისათვის მტკიცე მებრძოლი და მხურვალედ შეიყვარეს კიდეც იგი.

ძერჟინსკის ხშირად ნახავდით რკინიგზის სადგურებში, დეპოსა და სახელოსნოებში. იგი ესაუბრებოდა მემანქანეებს, მუშებს, მეისრეებს, სადგურთა უფროსებს, სწავლობდა არსებულ ნაკლოვანებებს, მათი გამოსწორების გზებს. არაერთხელ მდგარა რიგში რკინიგზის სალაროსთან, პირადად ამოწმებდა თუ რა პირობებში იყიდებოდა ბილეთები, ავლენდა ბოროტმოქმედებებს და ადგილზევე იღებდა გადამჭრელ ზომებს.

ტრანსპორტზე მუშაობის პირველსავე თვეებში ძერჟინსკი უშუალოდ გაეცნო მდგომარეობას ადგილებზე. ეწვია უკრაინას, სადაც დიდი როლი შეასრულა სურსათისა და სათბობის გადაზიდვისათვის ტრანსპორტის მომზადებაში. ტრანსპორტის მუშაკთა წინაშე იგი ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სხვა საკითხებზე.

1921 წლის არნახულმა მოუსავლიანობამ საბჭოთა რუსეთს თავს დაატეხა შიმშილი. ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყნის ბევრი რაიონი, განსაკუთრებით ვოლგისპირეთი. მთელი ქვეყანა აღდგა შიმშილთან საბრძოლველად. თითქმის ყველა ქალაქში შეიქმნა დამშეულთა დამხმარე კომიტეტები.

ფართო მოძრაობა გაჩაღდა ჩვენს რესპუბლიკაშიც. საქართველოს მშრომელებმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს ე. წ. დამშეული რაიონების მუშამოსამსახურეებს — შეაგროვეს მათთვის სურსათი, ძვირფასი ნივთები და თანხა. გარდა ამისა, მათ შეიხიზნეს და სიკვდილს გადაარჩინეს ასობით ბავშვი, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა რაიონებიდან, განსაკუთრებით ვოლგისპირეთიდან ჩამოჰყავდათ. ამაზე ნათლად მეტყველებს გადარჩენილი ბავშვების მშობელთა მადლიერების გრძნობით აღსავსე წერილები, რომლებიც უხვად იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში.

შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტრანსპორტმა, რომელმაც უზრუნველყო პროლეტარულ ცენტრებსა და შიმშილით დაზარალებულ რაიონებში სურსათის დროულად მიზიდვა. აქ კი მთელი ძალით გამოვლინდა ძერჟინსკის ორგანიზატორული შესაძლებლობანი მისი მტკიცე ნებისყოფა და მტკიცე ხელი. ძერჟინსკის უშუალო ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილ იქნა სურსათის ტრანსპორტირება ციმბირიდან, უკრაინიდან და საზღვარგარეთიდან. ამ მხრივ ყველაზე რთული, მაგრამ შედეგიანი აღმოჩნდა მისი მოღვაწეობა ციმბირში, სადაც მან, მისივე სიტყვებით, მეტად დიდი გამოცდილება შეიძინა.

დიდია ძერჟინსკის დამსახურება ტრანსპორტზე მექრთამეობისა და სახელმწიფო ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მოვლენების წინააღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ ბრძოლის ძერჟინსკისეული ფორმები და მეთოდები დღესაც კეთილ სამსახურს უწევს ჩვენს საზოგადოებას.

1923 წელს რკინიგზამ თავი დააღწია დეფიციტიანობას და მას შემდეგ იგი სახელმწიფოს შემოსავალს აძლევს.

XIII პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც 1924 წლის იანვარში გაიმართა, შეაფასა გზათა სახალხო კომისარიატის მუშაობა და აღნიშნა, რომ მდგომარეობა გამოსწორებულია, რომ ტრანსპორტმა უკვე შეიძლება დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობის ყველა მოთხოვნილება. კონფერენციის ეს მაღალი შეფასება გზათა სახალხო კომისრად ძერჟინსკის თითქმის სამწლიანი მუშაობის შესანიშნავ ატესტაციას წარმოადგენდა.

1924 წლის თებერვალში ფ. ძერჟინსკი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს. ეს იყო ორგანო, რომელიც მთელი ჩვენი სოციალისტური მრეწველობის განვითარებას ხელმძღვანელობდა. ამავე დროს ძერჟინსკი კვლავ რჩებოდა გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის ხელმძღვანელად.

მრეწველობისადმი ხელმძღვანელობა ძერჟინსკიმ მძიმე პირობებში ჩაიბარა. კიდევ არ იყო დაძლეული 1921 წლის შიმშილის შედეგები. მკვეთრი სხვაობა იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საქონლის ფასებს შორის. მაშინ, როცა სამრეწველო საქონელი მეტად ძვირად ფასობდა, სოფლის მეურნეობის პროდუქტები ჩალის ფასად იყიდებოდა. 1923 წელს ქვეყანაში მილიონამდე უმუშევარს ითვლიდნენ. საბჭოთა ფულის ღირებულება თანდათან ეცემოდა. ბევრი ფაბრიკა და ქარხანა გაჩერებული იყო, გაცვეთილი ტექნიკური მოწყობილობა კაპიტალურ რემონტს საჭიროებდა. მუშათა საუკეთესო კადრი სამოქალაქო ომში დაიღუპა. მათ ნაცვლად ფაბრიკა-ქარხნებში ახალი, გამოუცდელი კადრი მოდიოდა. ნედლეულისა და სათბობის ნაკლებობის გამო ფაბრიკა-ქარხნებში მუშები 8 საათის ნაცვლად 4—5 საათს მუშაობდნენ. ყოველივე ამის შედეგად სამრეწველო პროდუქცია ომამდელი დონის ნახევარსაც ვერ აღწევდა.

ასე რომ მრეწველობის აღდგენა-განვითარებისათვის კოლოსალური მუშაობა იყო ჩატარებული. ამ მუშაობას სათავეში ჭკვიანი და ენერგიული ხელმძღვანელი უნდა ჩასდგომოდა. ასეთად პარტიამ ცნო ძერჟინსკი, რომელიც მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით და რევოლუციური ენთუზიაზმით შეუდგა ახალი დავალების შესრულებას. იგი ადვილად გაერკვა სამრეწველო მშენებლობის დეტალებში, გამოავლინა ხარვეზები და მთელი ძალები დარაზმა მათ გამოსასწორებლად.

ფ. ძერჟინსკიმ პრინციპულ სიმაღლეზე დააყენა სამრეწველო საკითხებისადმი ვიწრო უწყებრივი მიდგომის წინააღმდეგ ბრძოლა და ხელშესახებ შედეგებსაც მიაღწია.

ამ პერიოდში მწვავედ იდგა სამრეწველო პროდუქციის ფასების დაკლების პრობლემა, მრეწველობის პროდუქციის მაღალი ფასები ხელს უშლიდა სახალხო მეურნეობის განვითარებას.

1923 წლის შემოდგომაზე მწვავედ იგრძნობოდა გასაღების კრიზისი, რაც აფერხებდა ქალაქისა და სოფლის თანამშრომლობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის მრეწველობამ ომამდელი დონის მხოლოდ 35 %-ს მიაღწია, სამრეწველო საქონელი მაინც არ საღდებოდა.

საქმეს ართულებდა ისიც, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელობაში მოკალათებული ტროცკისტები სამრეწველო საქონელზე ფასებს კიდევ უფრო ადიდებდნენ.

ამ ანტილენინურ პოლიტიკას დაღუპვის კარამდე მიჰყავდა სახალხო მეურნეობა. ჯერ ერთი, იგი მძიმე ტვირთად აწვებოდა სოფლის მეურნეობას და გლეხობას, რომელსაც ფაქტიურად აღარ შეეძლო შეეძინა სამრეწველო საქონელი. მეორე, ეს პოლიტიკა ხელს არ აძლევდა არც მრეწველობას, რადგან საქონელი დიდი ფასის გამო თითქმის აღარ იყიდებოდა.

პარტიამ დროულად გამოააშკარავა ამ ტროცკისტული პოლიტიკის დამღუპველობა. ძერჟინსკიც ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც გაილაშქრა მის წინააღმდეგ და მოითხოვა სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლება.

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ და მისმა ხელმძღვანელმა ფ. ძერჟინსკიმ უდიდესი როლი შეასრულეს ე. წ. „მაკრატლის“ პრობლემის გადაწყვეტაში, ე. ი. ფაქტიურად მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებაში. დაწყებული ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ მალე ცაკ-მა მიიღო დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე ფასების დაკლების შესახებ, რამაც განვითარების ფართო გზა გაუხსნა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალებს.

ძერჟინსკიმ დიდი როლი შეასრულა საქონელბრუნვის დაგეგმვის, პურის დამზადების, პურზე მტკიცე ფასის დაწესების, ექსპორტის გადიდებისა და საერთოდ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1927 წლის თებერვლის პლენუმმა აღნიშნა, რომ 1926 წელს თვალნათლივ დადასტურდა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის სისწორე და რომ ამ წელს მტკიცე გამარჯვება იქნა მოპოვებული უმძიმეს უბნებზე. სწორედ ამ უბნებზე მოღვაწეობდა ფ. ძერჟინსკი.

დიდია ფ. ძერჟინსკის, როგორც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, დამსახურება შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის ბრძოლაში. იგი განუხრელად ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მითითებით იმის თაობაზე, რომ შრომის ნაყოფიერება საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის.

სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის რომ იბრძოდა, ძერჟინსკი მთავარ ყურადღებას აქცევდა ტექნიკისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, შრომის კვალიფიკაციის ამაღლებას, მეცნიერების მიღწევათა დანერგვას. ძერჟინსკიმ დააყენა გამომუშავების ნორმების გადასინჯვის საკითხიც. ამასთან ნორმების გადიდებას ძერჟინსკი მოითხოვდა არა მუშის ზედმეტი შრომისა და ენერგიის ხარჯზე, არამედ ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საფუძველზე.

შრომის ნაყოფიერების გაზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ძერჟინსკის მეცნიერებისა და მრეწველობის განუყრელი კავშირი მიაჩნდა; ამ საქმეში იგი ასევე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სოციალისტური წარმოებისათვის კვალიფიციური მუშაკების მომზადებას და ბევრსაც აკეთებდა ამ მხრივ.

ძერჟინსკიმ წამოიწყო ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შემცირებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფართო კამპანია. მან შეიმუშავა ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომლის განხორციელება მის სიცოცხლეშივე დაიწყო და გარდაცვალების შემდეგაც გრძელდებოდა.

ძერჟინსკი ლენინის ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი თანამებრძოლი და ერთგული მოწაფე იყო. იგი შედიოდა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ბირთვის შემადგენლობაში, რომელიც ბელადის გარდაცვალების შემდეგ ლენინური

სახელმწიფო ბიბლიოთეკა

კურსის ერთგული დარჩა. მან უაქტიურესი მონაწილეობა მიიღო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსის შემუშავებაში.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საფუძვლად ძერჟინსკის მეტალურგიული მრეწველობის განვითარება მიაჩნდა. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის საწინდრად იგი მძიმე მრეწველობის განვითარებას თვლიდა. ძერჟინსკი ყოველ ღონეს ხმარობდა სამამულო მანქანათმშენებლობის განსავითარებლად. XVI პარტიულ კონფერენციაზე მან დააყენა საკითხი ლითონის მრეწველობის გაფართოების შესახებ. მხოლოდ ლითონი მოგვცემს საშუალებას მტკიცედ დავიცვათ ოქტომბრის მონაპოვარი, — ამბობდა იგი.

ფ. ძერჟინსკიმ ერთ-ერთმა პირველმა დააყენა საკითხი სოციალისტური დაგროვების ბუნების შესახებ. იგი ხელმძღვანელობდა ლენინური დებულებებით და სოციალისტურ დაგროვებას განიხილავდა, როგორც ექსპლუატაციისაგან თავისუფალი მუშებისა და გლეხების შრომის შედეგს. ძერჟინსკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე მოსახლეობის დანაზოგებს, რომლის გამოყენება შეიძლებოდა შინაგანი სესხების გამოშვებისა და შემნახველ სალაროთა საქმიანობის გაფართოების საფუძველზე.

სოციალისტური დაგროვების პრობლემას ძერჟინსკი წარმოების რაციონალიზაციის, მეურნეობის ტექნიკური გაუმჯობესებისა და უყაირათობის ლიკვიდაციის პრობლემას უკავშირებდა. იგი მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

სოციალისტური დაგროვების ბუნების სწორად განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსის განხორციელება გაათრებული კლასობრივი და შინაპარტიული ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა. ტროცკისტ-ზინოვიეველები ამ კურსის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ოპოზიცია მოითხოვდა სამრეწველო საქონელზე ფასების მომატებას, გლეხთა გადასახადების გადიდებას და ა. შ. პარტია, ცხადია, ვერ დაადგებოდა ამ გზას, რომელიც საბოლოო ანგარიშით ინდუსტრიალიზაციის ჩაშლას გამოიწვევდა. საჭირო იყო ოპოზიციის შეხედულებათა ანტილენინური არსის სააშკარაოზე გამოტანა, მათი დაგმობა. ეს ამოცანა წარმატებით შეასრულა პარტიის ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინის მეთაურობით. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო ფ. ძერჟინსკიმ.

სამეურნეო მშენებლობის ამოცანებსა და ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის განადგურების აუცილებლობაზე ლაპარაკობდა ძერჟინსკი თავის უკანასკნელ გამოსვლაშიც 1926 წლის 20 ივლისს; ამ გამოსვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ სამუდამოდ შეწყდა რევოლუციის უშიშარი რაინდის მაჯისცემა.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მუშაობისას, ისევე როგორც ადრე, ძერჟინსკი განუხრელად ატარებდა პარტიის ლენინურ ეკონომიკურ პოლიტიკას. ამიტომ მან წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში. საკმარისია ითქვას, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მისი ორწელიწადნახევრის მუშაობის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 2—3-ჯერ, ლითონის მრეწველობის პროდუქცია — 350—400 %-ით, შრომის ნაყოფიერება — 50 %-ით, ხელფასი — დაახლოებით 50—60 %-ით და ა. შ.

ამრიგად, ძერჟინსკიმ, სოციალისტური სახალხო მეურნეობის გამოჩენილმა ხელმძღვანელმა და ნიჭიერმა ორგანიზატორმა, დიდი წვლილი შეიტანა პარტიის სამეურნეო პოლიტიკის განხორციელებაში, საბჭოთა მრეწველობის აღდ-

2. „მაცნე", ისტორიის სერია, 1978, № 1

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენა-განვითარებაში. ჩვენი ვალია, ღრმად შევისწავლოთ და ფართოდ გამოვიყენოთ მისი მემკვიდრეობა.

* * *

1922 წელს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საქართველოს დაუბრუნა დიდძალი საარქივო საქმეები და სამუზეუმო განძეულობანი, რომლებიც აქედან გატანილ იქნა 1915 წელს თურქეთის შემოტევის საშიშროებასთან დაკავშირებით.

ამ ქონების საქართველოში ჩამოსატანად საჭირო იყო რამდენიმე ვაგონი, რომელთა შოვნა მაშინ თითქმის შეუძლებლად ითვლებოდა, რადგან რკინიგზის ტრანსპორტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შიმშილით დაზარალებული რაიონების სამსახურსაც ვერ აუდიოდა.

საქართველოდან ჩასულმა სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც ამ საქმის მესვეურობა ეკისრებოდა, აბელ ენუქიძის მეშვეობით დახმარება სთხოვა მაშინდელ გზათა სახალხო კომისარს ფ. ძერჟინსკის.

ძერჟინსკიმ, ლენინური ტიპის ამ უდიდესმა სახელმწიფო მოღვაწემ, გულთან მიიტანა ეს თხოვნა და მიუხედავად ტრანსპორტზე არსებული უმძიმესი მდგომარეობისა, გასცა განკარგულება სასწრაფოდ გამოეყოთ ვაგონები და უზრუნველეყოთ ქართველი ერის კულტურული საგანძურისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ნივთების უმტკივნეულოდ ტრანსპორტირება თბილისამდე, რაც ოპერატიულად შესრულდა კიდეც. ფ. ძერჟინსკის სამეურნეო მოღვაწეობა აღსავსეა მსგავსი ფაქტებით.

მადლიერი ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს ჩვენი ერისათვის გაწეულ ამ დიდ სამსახურს.

ფ. ძერჟინსკის ახლო მეგობრობა აკავშირებდა ბევრ ქართველ კომუნისტთან, პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეებთან: იოსებ სტალინთან, სერგო ორჯონიკიძესთან, აბელ ენუქიძესთან და სხვებთან. 1917 წლის დეკემბერში, როცა ვ. ი. ლენინმა ფ. ძერჟინსკის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ჩამოყალიბება დაავალა, მის პირველ შემადგენლობაში ძერჟინსკის წინადადებით შეყვანილ იქნა ს. ორჯონიკიძე.

ძერჟინსკი საქართველოშიც იყო და მის მრავალ რაიონს გაეცნო. მან დაწვრილებით შეისწავლა ამიერკავკასიის რკინიგზაზე არსებული მდგომარეობა და მაღალი შეფასება მისცა რკინიგზელთა მუშაობას, აღნიშნა მუშა-მოსამსახურეთა შეთანხმებული საქმიანობა. ქვეყანაში არსებულ მაგისტრალებს შორის ამიერკავკასიის რკინიგზა ძერჟინსკიმ სანიმუშოდ მიიჩნია. „როგორც გზათა სახალხო კომისარი, გიცხადებთ გულწრფელ მადლობას იმ მუშაობისათვის, რომელიც აქ მუშებსა და მოსამსახურეებს გაუწევიათ“, — სწერდა ფ. ძერჟინსკი ამიერკავკასიის რკინიგზელებს.

მაღალი მომთხოვნელობა, პრინციპულობა, გულისხმიერება და დიდი ადამიანურობა — ამ თვისებებს არასოდეს არ ღალატობდა ფ. ძერჟინსკი. როცა დადგა იმ ვაგონების განთავისუფლების საკითხი, რომლებიც ამიერკავკასიის რკინიგზელებს საცხოვრებლად ჰქონდათ გამოყენებული, ფ. ძერჟინსკიმ განკარგულება გასცა უწინარეს ყოვლისა ამ ხალხებისათვის გამოენახათ საცხოვრებელი ბინა და მხოლოდ ამის შემდეგ ეფიქრათ ვაგონების პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსფსრ შრომისა და თავდაცვის საბჭოს სახელზე 1922 წლის ივნისში გაგზავნილ წერილში ფ. ძერჟინსკი ასაბუთებს საქართველოს სამხედრო გზისა და შავიზღვისპირეთის გზატკეცილის საჭიროებისათვის გეგმის ზევით 220 000 მანეთის სასწრაფოდ გამოყოფის აუცილებლობას.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პოსტზე მუშაობისას ძერჟინსკი გულისხმიერად ეკიდებოდა საქართველოს ეკონომიკის განვითარების საკითხებს. ცნობილია, მაგალითად, მისი დახმარება ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან აფხაზეთში კვების მრეწველობის საწარმოთა მოწყობილობების გამოგზავნის დაჩქარების საქმეში.

1922 წლის ნოემბერში ფ. ძერჟინსკი ქ. სოხუმს ეწვია. აქ იგი დასასვენებლად ჩამოვიდა, მაგრამ მაინც განაგრძობდა დაძაბულ საქმიანობას. დეტალურად სწავლობდა სარკინიგზო თუ საზღვაო ტრანსპორტის მუშაობას. იძლეოდა რჩევა-დარიგებას, დირექტივებს. ამავე მიზნით იყო ბათუმშიც.

ქ. სოხუმში ფ. ძერჟინსკის ხშირად აკითხავდა ს. ორჯონიკიძე, ძვირფასი სტუმარი და მეგობარი სერგოს თავის მშობლიურ სოფელ ღორეშაშიც ჰყავდა. სერგოსა და ფელიქსს მთელი სოფელი შეეგება. დიდმა და პატარამ სერგოს ეზოში მოიყარა თავი. გახარებული და გამხიარულებული ფ. ძერჟინსკი გლეხებს მიუჯდა, ქართველი მიწის მუშის ჭირ-ვარამით დაინტერესდა. გლეხებმა ბევრი შეკითხვა მისცეს, თვითონაც ბევრს ეკითხებოდა.

1922 წლის ნოემბრის ბოლოს ვ. ი. ლენინის წინადადებით ფ. ძერჟინსკი დაინიშნა იმ კომისიის ხელმძღვანელად, რომელსაც პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობა და საქართველოში შექმნილი მდგომარეობა უნდა შეესწავლა. საქმე ეხებოდა სამხარეო კომიტეტსა და ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს შორის იმ დროს არსებულ გახმაურებულ კონფლიქტს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი ამ საქმის ობიექტურ გამოძიებას, რახან მან საქართველოში ძერჟინსკი გამოგზავნა.

ფ. ძერჟინსკი სოხუმიდან პირდაპირ თბილისს გამოემგზავრა (აქ მან დაჰყო 1922 წლის 27 ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე). გზა თბილისამდე ფ. ძერჟინსკისათვის მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა...

ფ. ძერჟინსკი უყვარდა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს, ლენინის პარტიის ყველა ერთგულ წევრს. უყვარდათ იმიტომ, რომ იგი იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სოციალისტური სახალხო მეურნეობის ნიჭიერი ორგანიზატორი, ჭეშმარიტი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავდადებული მებრძოლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი ანთელავა

# იოანე ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი*

## 2. „კალმასობის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები

იოანე ბაგრატიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებზე მსჯელობა, ცხადია, არ იქნება სრული, თუ არ გავითვალისწინეთ მისი მეორე შესანიშნავი ქმნილების — „კალმასობის“ მონაცემები. ჩვენ ამჯერად სწორედ ამ უკანასკნელზე შევჩერდებით და შევეცდებით მისი მიხედვით გავარკვიოთ ავტორის დამოკიდებულების ხასიათი ეპოქის საჭირბოროტო საკითხებისადმი, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უმთავრესი პრობლემებისადმი. სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა დავადგინოთ, თუ როგორი იყო მისი დამოკიდებულება ბატონყმობისადმი, იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობილებისადმი, განათლებისადმი, კულტურისადმი.

„კალმასობა“ იწერებოდა 15 წლის განმავლობაში, მოყოლებული 1813 წლიდან. ძეგლის ბოლოს მოთავსებული მინაწერის თანახმად ის ავტორს დაუმთავრებია 1830 წლის 30 ივნისს ქალაქ პეტერბურგში[1]. ნაწარმოების ქრონოლოგიური ჩარჩოები 1798—1828 წლებითაა შემოფარგლული. მისი ერთი ნაწილი გიორგი XII-ის ხანას (1798—1800 წწ.) მოიცავს, ხოლო მეორე — უკანასკნელის სიკვდილიდან (1800 წ.) 1828 წლამდე. მაგრამ მასში თავმოყრილი მასალა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კონკრეტულ ისტორიულ ეპიზოდებსა და ფაქტებს, წინა პერიოდსაც წვდება. ბატონიშვილის მსჯელობა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯი მხარეების შესახებ ეხება, რა თქმა უნდა, არა მარტო XVIII ს-ის ბოლო წლებს, არამედ მეტ-ნაკლებად მთელ წინარე ხანასაც.

„კალმასობაში“ დაწვრილებითაა ლაპარაკი ბატონყმურ ურთიერთობასა და ხალხის მდგომარეობაზე ამ ურთიერთობის დროს. თანაც მთელი მსჯელობა ამ პრობლემაზე გაშლილია არა ზოგადად და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინერტულად, არამედ კონკრეტული მაგალითების დასახელებითა და მათდამი ავტორის დამოკიდებულების მკაფიო გამოხატვით.

იოანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი), როგორც ქვემოთ ვნახავთ, ძირითადად ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების მომხრეა, იგი მისი არსებობის ბოლომდე შენარჩუნებას უჭერს მხარს. მაგრამ, ამასთანავე, ის ხედავს, ყოველ შემთხვევაში საქართველოს კონკრეტულ მაგალითზე, ამ ურთიერთობის მახინჯ მხარეებს და დაუნდობლად აკრიტიკებს მათ. კრიტიკის მიზანი კი ის იყო, რომ ამ

---

* დასასრული. დასაწყისი იხილეთ „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 4.

[1] Царевич Иоанн, Калмасоба, или хождение по сбору, перевод с грузинского, введение и комментарии Варлама Дондуа, Тб., 1945, გვ. 195.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახინჯ მხარეებზე ყურადღების გამახვილებითა და მომავალში მათი თავიდან აცილებით გახანგრძლივებულიყო ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის არსებობა, რომელსაც ასე რეალურად ემუქრებოდნენ მაშინ აქტიური კლასობრივი ბრძოლის გზაზე დამდგარი საზოგადოების დაბალი ფენები[2].

„სამართლიანი" ბატონყმობის მომხრე იოანე ბატონიშვილი იმაღლებს ხმას საქართველოს სინამდვილეში, განსაკუთრებით კი XVII ს-ის მეორე ნახევარში, დამკვიდრებული ისეთი მოვლენის წინააღმდეგ, როგორიცაა „ბატონყმობის რიგის" დარღვევა, მწარმოებელი კლასის ზომაზე მეტად დაბეგვრა, გადასახადების „დებულებით" გაუთვალისწინებელი ნორმით აღება, თვითნებურად ახალის დაწესება, „უდების დადება" და სხვ.[3] აზრი იმის შესახებ, რომ ბატონმა გლეხს უნდა მოსთხოვოს მხოლოდ ის, რაც მას „კანონით" ეკუთვნის და არ უნდა გადატვირთოს ზედმეტით, გატარებულია ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ძეგლის მრავალ ადგილას. მაგალითად, სოღოლაშენელ (ქართლი) მებატონე მინბაშ ამირეჯიბთან საუბრისას იოანე ხელაშვილმა, რომელიც იოანე ბატონიშვილის თვალსაზრისის გამომხატველია[4], მკვეთრად გახაზა აზრი ხელქვეითების შრომისა და მატერიალური დოვლათის ზომიერად გამოყენების შესახებ. „ყმათა შენთა უდიერსა ნურარას დასდებ ხარკსა"[5], „ყმანნი შენნი შეძლებისამებრ იმსახურე და უსამართლოდ ნურას წაართმევ"[6], — უთხრა მან მინბაშს. იგივე ურჩია მან ეპისკოპოზ მროველის მოურავს მამაციშვილს. „რაც ახვნევინო, ათესინო, ბაღი, ვენახი აკეთებინო მროველისათვის, რაც შემოსავალი მოვიდეს, ან ღალა ან კულუხი... აქედამ *გერგებათ* ათისთავი, აგრეთვე მუშა ეკლესიის ყმისა, რადგან მოურავი ხარ, ერთ დღეს გიხნან, ერთ დღეს გიმკონ და ერთ დღეს ვენახი გიმუშაონ... *სხვებრ ნუ შეაწუხებ*. თავის ნებით ვინც ძღვენს მოგიტანს, ამას არც ყოვლად სამღვდელო (ე. ი. მროველი. — ი. ა.) დაუშლის"[7] (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც, თუ საგანგებოდ არაა აღნიშნული, ჩვენია. — ი. ა.).

---

[2] И. Г. Антелава, Из истории классовой борьбы в грузинской деревне в XVIII веке, сб. «Из истории экономической и общественной жизни России, М., 1976, გვ. 183—194.

[3] იმდროინდელ საქართველოში ამ მოვლენის გავრცელების შესახებ იხ. სსცია, ფონდი 1448, საბ. 826, 5050, 1828; ნ. ბერძენიშვილი, „დოკუმენტები", ტ. II, საბ. 447, 3003, 3404, 3027, 3029; ო. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 141—142; ი. ანთელავა, ცვლილებები ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის, სოციალურ საფუძვლებში XVIII ს-ის საქართველოში, „მაცნე", ისტორიის სერია, 1974, № 2, გვ. 47—49.

[4] „...კვლევამ უნდა გაარკვიოს — ხომ არ იყო იონა ხელაშვილი დაინტერესებული ეთქვა, რომ რაც ჩვენს ძეგლში მის სახელთანაა დაკავშირებული, ეს მისი, იონას აზრები კი არაა, არამედ ყოველივე ამას მას ალაპარაკებს იოანე ბატონიშვილი... იონას... სურს ვიღაცას გააგებინოს, რომ მას „ალაპარაკებს" იოანე ბატონიშვილი, რომ ავტორი „კალმასობისა" არის სწორედ იოანე ბატონიშვილი... ეს ხაზგასმა იმისა, რომ იოანე ხელაშვილი არაფერ შუაშია ჩვენი ძეგლის შედგენაში, რომ მას მხოლოდ „ალაპარაკებენ", სხვა აზრის შემცველი არაა, თუ არა იმისა, რომ იონას განმეორებითი განმარტებით... უნდა თავიდან აიცდინოს პასუხისმგებლობა იმისათვის, რაც მისი, იონას, სახელითაა ნათქვამი ჩვენს ძეგლში" (შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 389); თ. კუკავა, ნარკვევები XII ს-ის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 30.

[5] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1936, გვ. 34.

[6] იქვე.

[7] იქვე, გვ. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსახილველი ძეგლის იმ ნაწილში, სადაც მუხლებრივ ჩამოყალიბებულია ბატონის მოვალეობა ყმათა მიმართ, ნათქვამია: „გარდა დებულებისა ნუ წაართმევ მსახურს“[8], „დებულებისა კიდე, სხვასა ნურას წაართმევ მეტსა და უკეთუ დაგჭირდეს რამე, სიტკოებით სთხოვე იგი, რომელიცა შეძლებისამებრ სისრულით მოგართმევს“[9].

დასასრულ, კიდევ ერთი ამის მაგალითი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „კალმასობის“ ის ადგილი, სადაც გადმოცემულია იოანე ხელაშვილის მიერ სამეგრელოში ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილება. ის მეტად მძიმე იყო. ბერმა ხელაშვილმა, დაბინავებულმა გლეხის ოჯახში, თვალი მოჰკრა რამდენიმე თხას და ძროხას, რომლებსაც ბოქაულები მიერეკებოდნენ. უკან დამწუხრებული მოხუცები მისდევდნენ. მათ სასწრაფო ბრძანება მიეცათ —„ცქვიტად დაკალით და მოხარშეთ, სადილს ადრე მიირთმევს ბატონიო“ (ლაპარაკია დადიანზე. — ი. ა.). ბრძანება დაუყოვნებლივ შეასრულეს. ამ სურათის დანახვით შეშფოთებულ იოანესა და ერთ ადგილობრივ ხუცესს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

„იოანე: ეს კაცნი რათ სწუხანო?
ხუცესი: ეგ ძროხები მაგათი იყოო, და მისთვის, რომ დაუკლეს.
იოანე: ფასს ხომ მისცემენო?
ხუცესი: კი, ბატონო!
იოანე (ნახა, რომ საქონლის პატრონებს მისცეს ტყავები): მამაო პეტრე, ეს იყო ფასი მათი?
ხუცესი: დია ბატონო, მეტი რა უნდათ?
იოანე: უი ჩემს თავს, ტყავიც და ხორციც იმ კაცთა იყო, ეს რა სამართალია?... ღმერთო, მშვიდობით განმარინე (გამიყვანე.—ი. ა.) ამ ქვეყნიდამ“[10].

ხელაშვილი იმ სოფელში რამდენიმე დღე დარჩა, ის ყოველდღე მსგავსი სურათის მოწმე იყო. იგი ხედავდა, თუ როგორ ართმევდნენ მეგრელ გლეხებს თხებს, ძროხებს, ხარებს, ღორებს, ქათმებს, ღვინოს, სიმინდს, ღომსა და სხვას დადიანისა და მისი ამალის დასაპურებლად. თვითნებობა-გაუკითხაობა ამით არ შემოფარგლულა. „სტუმრები“, ძეგლის სიტყვით, „ცხენთა თვისცა აუხდიდნენ ღომის ჩალით დაფარულს სახლებს და აჭმევდნენ, სწვავდნენ ჭიგოთა სართა და აქცევდენ ვენახთა და ბაღებთა ღობეებს. ბევრჯელ სახლებსაც გვერდებს გამოუქცევდენ დასაწვავად“[11].

ამით მოთმინებადაკარგულმა იოანე ხელაშვილმა განაგრძო თავისი დიალოგი ხუცესთან და ჰკითხა, თუ რა შესცოდა სოფელმა ისეთი, რომ „ამ ყოფაში გყავთო“. შემდეგი საუბარი მათ შორის ასეთნაირად წარიმართა:

„ხუცესი: არაფერი, სტუმრებს უნდა დახვდენო.
იოანე: ახლა კი ვაქებ ქსნის-ერისთვიანთ, იმათ უკეთ სცოდნიათ, რაიცა ღონე არს თვისის ყმის პატივიო.
ხუცესი: რად გიკვირს, შვილებსაც გაუყიდიან აქ თავისი მებატონენი თათრებზედ, რომ სკალატი იყიდონ ტანისამოსად და სხვა ფარჩები.
იოანე: ხუცესო, ალსარებაში არ უშლი, ვინც ამას შვრება?

---

[8] კალმასობა, ტ. I, გვ. 51.
[9] იქვე.
[10] იქვე, ტ. II, ქ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1948, გვ. 49.
[11] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუცესი: ბერო, რა დაუშალო, მშიერი მოვკვდები და ტიტველი, რა ჰკვა არის?
იოანე: ღმერთო, რა მესმის..., ღმერთო, აკურთხე ჩვენი მეფენი და ბატონები, რომ ამისთანა ყოფაში არა ჰყავთ თავიანთი ყმანი, ვითა ესე საბრალო ხალხი"[12].

საფიქრებელი იყო, რომ აქ მოტანილი სიტყვების ავტორი შორს მიმავალ დასკვნებს გააკეთებდა, რადიკალურ ღონისძიებათა გატარებას დაუჭერდა მხარს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. და არ მოხდა სრულიად კანონზომიერად, იმიტომ, რომ „კალმასობის" ავტორი ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგი კი არ იყო, არამედ მისი თვალშისაცემი მახინჯი მხარეებისა. იგი „სამართლიან", „კანონიერ" საფუძველზე დამყარებულ, „მოგვარებულ-მოწესრიგებულ" ბატონყმობას იცავდა[13]. იოანე ბატონიშვილი იმით კი არ იყო აღშფოთებული, რომ ბატონი ყმის შრომასა და მის შედეგებს ითვისებდა, არამედ ამ მითვისების მასშტაბით, უსაზღვრობით, „ბატონყმობის რიგის" დარღვევით, „უდების დადებით". იგი მოითხოვს ასეთი რამეებისაგან თავის შეკავებას. „არა შესაბამ არს, — ამბობს ის ხელაშვილის პირით, — რათა უფალი ფიცხლად ექცეოდეს ქვეშევრდომთა თვისთა, არცა უჯეროდ ართმევდეს და სტაცებდეს, ანუ ამუშავებდეს შეწუხებისაცა"[14].

ასეთი აზრების პროპაგანდა ორი უმთავრესი გარემოებით იყო გამოწვეული. პირველი იმის რწმენით და შეგნებით, რომ სოფლის მშრომელი მოსახლეობის უზომო ექსპლუატაციას შეეძლო მისი ეკონომიური განადგურება, სახელმწიფოსა და მთელი ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის საფუძვლების მოშლა. მან ხომ ძალიან კარგად იცოდა მეფე-პოეტის არჩილის ნათქვამი: „თუ ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდა"[15]. იგი ხომ შესანიშნავად ერკვეოდა ერეკლე II-ის სოციალურ პოლიტიკაში, რომლის მთავარ მოთხოვნილებას „ბატონყმობის რიგის" დაცვა და უდები გადასახადების დადების პრაქტიკის ამოძირკვა წარმოადგენდა[16]. ასე, რომ, იოანე ბაგრატიონს ამ მხრივ არაერთი წინამორბედი ჰყავდა და ეს გარემოება საგრძნობლად უადვილებდა მას მსგავსი შეხედულების ჩამოყალიბებას.

მეორე არანაკლები მნიშვნელობის მქონე მიზეზი, რომელიც „კალმასობის" ავტორს გლეხების დამცველთა ბანაკში აქცევდა, ეს იყო კლასობრივი ბრძოლის გამწვავების არასასიამოვნო პერსპექტივა. მწარმოებელი კლასის შევიწროებას, მისი ექსპლუატაციის ნორმის გაძლიერებას შეეძლო მდგომარეობის გართულება, სოციალური კონფლიქტების გახშირება-გაღრმავება და მთელი არსებული წყობილების ძლიერი დარტყმის ქვეშ დაყენება. იგი ურჩევდა თავადაზნაურობას, საერთოდ ფეოდალური წრის წარმომადგენლებს, რომ არ დაეშვათ გლეხის გადასახადებითა და სამსახურით გადატვირთვა, რათა ამის შედეგად „არ შთაიგდოს გულსა თვისსა შიში და სიძულვილი, რომლის გამო არღა ექმნების შთანერგულ... (გრძნობა) ჭეშმარიტისა სიყვარულისა და ერთ-

---

[12] კალმასობა, ტ. II, გვ. 49—50.

[13] ს. ბ ე რ ა ძ ე, ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები მე-19 საუკუნის დამდეგს, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VI, თბ., 1952, გვ. 392; თ. კ უ კ ა ვ ა, ნარკვევები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 26, 28, 29, 37; ალ. ტ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი, იოანე ბაგრატიონის განმანათლებლური იდეები, „მნათობი", 1973, № 8, გვ. 189.

[14] კალმასობა, ტ. I, გვ. 51.

[15] ქართული პოეზია, თეიმურაზ პირველი, არჩილი, თბ., 1975.

[16] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 522.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულებისა“[17]. „ნუ გული გითქვამს ცოლისი ანუ ქალსა ყმისა შენისასა ზედა, რომლისა ძლით (ძალით. — ი. ა.) უმეტეს გაიმუხანათებ“[18] მას, ნათქვამია განსახილველი ძეგლის მეორე ადგილას.

იოანე ბატონიშვილი კიცხავს აგრეთვე ბატონყმური სისტემის ისეთ ბარბაროსულ მხარესაც, როგორიც იყო ადამიანებით, ტყვეებით ვაჭრობა. იგი, ისე როგორც მისი პაპა ერეკლე II, შესანიშნავად ხედავდა ამ ანტიხალხური მოვლენის დამღუპველ შედეგებს და მის მოსპობა-ამოძირკვას მოითხოვდა. ამ საკითხზე მსჯელობისას მას მოაგონდა „კაცისა და ტყვის მყიდავი“ ვინმე გოდა, რომელმაც, მისი სიტყვით, ვითარცა „ავაზაკმა“, მხოლოდ ზიზღი და უკიდურესი სიძულვილი დაიმსახურა[19]. ძეგლის ავტორი მთლიანად იწონებს ერეკლე II-ის საქციელს, რაც ამ ავაზაკის საზოგადოებიდან გაძევებაში გამოიხატა[20].

აღნიშნული სოციალური სენის საწინააღმდეგო მსჯელობა უფრო ვრცლად და დამაჯერებლად გამართულია „კალმასობის“ იმ ადგილას, სადაც აღწერილია სოფელ ჭალაში (ქართლი) იოანე ხელაშვილის ყოფნის დეტალები. აქ მან ნახა გასასყიდად გამზადებული ტყვეები, რამაც მასზე უაღრესად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ბერი მოურავ აბაშიძის ქალიშვილს ანას ეახლა და ნანახთან დაკავშირებით უთხრა: „დღეს ვრაცხ თავსა ჩემსა ბედნიერად, რომ ბრწყინვალებასა თქვენსა ვიახელ, გარნა რომელიმე მწუხარებაჲ მიიღო გულმან ჩემმან“[21]. ასეთი განცხადებით გაკვირვებულმა აბაშიძის ქალმა გადაწყვიტა, რომ ხელაშვილს ვიღაცამ პირადი შეურაცხყოფა მიაყენა და ჰკითხა: — ვინ რა შეგცოდაო. „საბრალო ტყვეებმან“, — უპასუხა მან. ამასობაში სტუმარს ვახშამი მოართვეს და გაიმართა ლხინი, რომელმაც კიდევ უფრო გაალიზიანა იგი. გაიშალა ცხარე კამათი მასა და ვახშმის დანარჩენ მონაწილეებს შორის. აი, როგორ წარიმართა ის:

„იოანე: უი ჩვენს. თავს! ჩვენ ამ განცხრომაში ვართ და ის ტყვეები მწუხარებაშია...
ორჯონიკიძე (იქ მყოფი ერთი აზნაური. — ი. ა.): იმათ მწუხარებას ბოლოს მხიარულება შეუდგება.
იოანე: ვითარ?
ორჯონიკიძე: მისირში (ეგვიპტეს) მთლად ბეგებად ქართველნი არიან.
იოანე: იგინი ლეკთაგან მოტაცებულია და გაყიდული და არა ქართველთაგან.
ორჯონიკიძე: სულ ერთია კაცი ვისგანაც ბედნიერებას მოიპოვებს.
იოანე: მაგაზე მეტი უბედურება რა იქნება, რომ სულით უნდა წარწყმდეს და ხორცით თავის მშობლის მამულისაგან დაიკარგნენ.
ორჯონიკიძე: რომ არ გათათრდენ, ხომ ცხონდებიან, ხოლო თავის მამულის მოშორება ერთი არა არის რა, ყველგან ადგილია კაცისათვის.
იოანე: მაგ საბრალოებს სათუოში რათ აძლევთ? ეგება ვერ მოითმინონ სატანჯველი?“[22]

კამათი დამთავრდა ხელაშვილის სიტყვებით, რომელშიც ტყვეებით ვაჭრობა კვალიფიცირებულია, როგორც ბუნებითი სჯულის, საღმთო სჯულისა და

---

[17] კალმასობა, ტ. I, გვ. 51.
[18] იქვე.
[19] იქვე, გვ. 48; შდრ. ტ. II, გვ. 38.
[20] იქვე.
[21] იქვე, ტ. I, გვ. 11.
[22] იქვე, გვ. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სახელმწიფო და სამოქალაქო“ კანონების საწინააღმდეგო მოვლენა. იგი გამოცხადებულია „უწესო საქმედ“, რომლით გატაცება „არა ჰშვენის კაცსა“[23].

როგორც ყველაფრიდან ჩანს, „კალმასობის“ ავტორი საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნევდა ამ ბარბაროსული წესის მთლიანად მოსპობას. ამ მხრივ მან გაუსწრო ცნობილ რუს განმანათლებელს ალექსი პოლენოვს (1738—1816 წწ.), რომელმაც ტყვეებით ვაჭრობის მხოლოდ ნაწილობრივ შეზღუდვა მოითხოვა და არა საერთოდ მოსპობა[24].

იოანე ბატონიშვილი, როგორც გაკვრით ზევითაც აღვნიშნეთ, აკრიტიკებს არა მარტო საერთო, არამედ სასულიერო ფეოდალებსაც. იგი ამხელს მათ ანტიხალხურ საქმიანობას, მათ თვითნებობას-გაუკითხაობას ხელქვეითი გლეხების მიმართ. ეკლესია-მონასტრები და მათი მსახურები არ კმაყოფილდებიან დაკანონებული ნორმით და ყოველნაირი გზითა და საშუალებით ცდილობენ გაძარცვონ ყმები. კახეთში მოგზაურობის დროს იოანე ხელაშვილი რამდენიმე დღით ესტუმრა მღვდელ ანჯიქოს. ოჯახში ყოველ-დღე რამდენიმე ცხვარი იკვლებოდა, რამაც სტუმარი ერთობ გააოცა, მით უმეტეს, რომ მასპინძელს არც ერთი სული საკუთარი ცხვარი არ ჰყოლია. ეს გაოცება ბერმა არ დამალა და ყოველგვარი მორიდების გარეშე ჰკითხა „გულუხვ“ მასპინძელს: „უფალო ანჯიქო, ასე მსმენია, თქვენ არც ერთი ცხვარი გყავანდეთ და ეს მიკვირს, დღეში სამსა და ოთხს არ სჯერდებით... ეს ვითარ არის?“[25] პასუხიც საკმაოდ პირდაპირი და მოულოდნელი იყო: — „ბერო, გიჟი ყოფილხარ, როგორ არ იცი, ვისაც ცხვრები ჰყავს, ჩვენია; დღეში ათიც რომ დავკლათ, მაშინაც არ გამოგველევა“[26]. როდესაც კითხვა-პასუხით საბოლოოდ გაირკვა, რომ ცხვრები ქურდობითა და ძალადობა-ტაციობითაა მოპოვებული, ხელაშვილმა გაჰკიცხა მღვდელი ანჯიქო და სინანული გამოთქვა ასეთი გზით მომზადებული პურის ჭამაში მონაწილეობის გამო[27].

იოანე მკაცრად აკრიტიკებს სასულიერო წოდების მომხვეჭელობით საქმიანობას. იგი „კალმასობის“ ერთ-ერთ მოქმედ პირს, ხელაშვილის თანამგზავრს ზურაბს ათქმევინებს ხსენებული წოდების მანკიერების მაჩვენებელ და დამადასტურებელ სიტყვებს:

მე, — ამბობს ზურაბი, — ძნელად სადმე ვიპოვნი სამღვდელოს, რომ თეთრი არ უყვარდეს... რომ მონათლავენ ვისმე, იმ ყმაწვილის ნათლიას ან დედ-მამას გამოართმევენ მოსანათლავსა; დააქორწინებენ ვისმეს, საყდრის კარსაც დაუკეტენ... (თუ) არას მისცემენ... ჯვარის საწერსაც გადაახდევინებენ: იმასაც არ დასჯერდებიან, ხალიჩა და ფარჩა უნდა ქვეშ გაუშალონ მექორწინეთ, რათა ისიც იმათ წაიღონ; მოკვდება ვინმე სასაფლაოს ფასს, საიმტვერიოს, საწირავს, კიდევ წლის შაბათს საწირავს და პანაშვიდისას გამოარ-

---

[23] „კალმასობა“, ტ. I, გვ. 13.

[24] „მე — წერდა ა. პოლენოვი, — ვგულისხმობ ამ ვაჭრობის არა ბოლომდე მოსპობას; თუ ვინმე გადასწყვეტს ყმების გაყიდვას, გაყიდოს, მაგრამ არა ცალ-ცალკე, არამედ მიწით და ოჯახის წევრებთან ერთად — მშობლები არ უნდა დააშორონ ბავშვებს, ძმები — დებს, მოყვრები — მოყვრებს. მათ ცალ-ცალკე გაყიდვას, სხვას რომ თავი დავანებოთ, შედეგად მოსდევს ხალხის გადაგვარება და მიწათმოქმედების მკვეთრი დაცემა“ («Избранные произведения русских мыслителей второй половины XVIII века», т. II, 1952, გვ. 15. ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, რუსული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორია, თბ., 1971, გვ. 6—7).

[25] კალმასობა, ტ. I, გვ. 150.

[26] იქვე.

[27] „ვაი! აკი ნაკერპავითა და ნაქურდალით მეც შემსვარეს ამათ“ (კალმასობა, ტ. I, გვ. 151).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმევენ... აგრეთვე ნიშანს ეძახიან, კარგი ცხენი ჰყავს ან კარგი თოფ-იარაღი აქვთ, მასაც წაიღებენ და ტაბლას (სუფრას. — ი. ა.) ხომ (გააშლევინებენ), ასიც მოვიდეს სასაფლაოზე, ერთს ლუკმას გლეხკაცსაც არ დაუდებენ წილად[28].

XVIII ს-ის მეორე ნახევრის სოციალ-პოლიტიკური წყობილების სხვა ნაკლიცაა ნაჩვენები „კალმასობაში". იქ ლაპარაკია, კერძოდ, უკანონობა-უსამართლობის მასიურად გავრცელებაზე, მართალი კაცის გამტყუნებისა და მტყუანის გამართლების არაიშვიათობაზე. „ქართლში სად არის სწორე სამართალი"[29]; „ასე თქმულა: ქართლში სამართალი არც ქნილა და არც იქნებაო"[30], — აი ამ სიტყვებს ათქმევინებს ძეგლის ავტორი კახეთისა და ქართლის მდივანბეგებს. მოხელეთა უღირსი საქციელის წყალობით კაცს სიმართლის მიღწევა უჭირდა; მატერიალური ამბებით დაინტერესებული მოსამართლე ჭეშმარიტების გზიდან უხვევდა. იოანე ხელაშვილი თვითონ დარწმუნდა ზემოთქმულის სისწორეში. მას არსად და არავინ არ მოუწონა სიმართლის თქმა. უფრო მეტიც, საზოგადოების მაღალმა ფენებმა, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ მისი აზრებით, არაერთხელ გააგდეს იგი „კისრის-კვრით და განდევნეს სოფლიდამ"[31]. მსგავსი შემთხვევების მრავალგზის მოწმე ზურაბ ღამბარაშვილმა ურჩია თავის თანამგზავრს ხელი აეღო უპერსპექტივო, მხოლოდ ზიანის მომტან საქმეზე.

ბერო, — უთხრა მან ხელაშვილს, — რომ არავინ ერჩის შენს სწავლასა და ყოველგან შეურაცხგყვეს, რატომ არ დასდგები შენს ქერქშია? აბა რა შეიმატე შენის მოძღვრებითა? ვახშამი დაჰკარგე[32], ძილი და საჩუქარი და ახლა არც კი ვიცით, საით მივალთ, ვაი თუ მგლებმა შეგვჭამონ[33].

ისეთი ვითარება, რომლის დროსაც „შემძლებელი ყოველთვის" აშკარად ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაშიც მართალი გამოდიოდა[34], იოანე ბატონიშვილის შეხედულებით, მხარდაჭერას არ იმსახურებდა და მის გამოსწორებას მოითხოვდა. იგი, ხელაშვილის პირით, წინადადებას იძლეოდა გამართულიყო ეს დარგი კეთილსინდისიერი მოსამართლე-მსაჯულების შერჩევით. მოსამართლე, ნათქვამია განსახილველ ძეგლში:

უნდა იყოს სარწმუნო კაცი და მამულის ერთგული. მეორე — დიდი კაცის შვილი, რომ არავისი ეშინოდეს, მესამე — სწავლული, რომ უმეცრობით არა ქნას რა. მეოთხე — მდიდარი, რომ ქრთამმა არ მოატყუოს, მეხუთე — პირუთვნელი, მეექვსე — ჭკვიანი. მეშვიდე — არა ქრთამის მოყვარე, მერვე — საზოგადო გულისა, რომ მის მონათესავეს, მეგობარს არ მიუდგეს და იმის მხარეს არ დაიჭიროს სამართალი, მეცხრე — ღვთის მოყვარე[35].

ხელაშვილის ამ სიტყვების გამგონე მდივანბეგმა ზაალ საამისშვილმა შენიშნა: „ბერო, სულ სანთლით რომ იარო, მაგისთანა კაცს ვერ იშოვნი ჩვენში"[36]. მართლაც, ასეთი მოსამართლის შერჩევა თითქმის შეუძლებელი იყო

---

[28] კალმასობა, ტ. I, გვ. 164.
[29] იქვე, ტ. I, გვ. 98.
[30] იქვე, გვ. 204.
[31] იქვე, გვ. 232.
[32] სწორედ ვახშმობის დროს გამოაგდო იგი სახლიდან მასპინძელმა.
[33] იქვე, ტ. I, გვ. 232.
[34] იქვე, გვ. 94.
[35] იქვე, გვ. 203.
[36] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII ს-ის ფეოდალურ-ბატონყმურ საქართველოში. და თუმცა სასამართლო საქმის სწორ საფუძველზე დაყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ რადიკალური გარდატეხის შედეგად, მაინც წინადადება მართლმსაჯულების თუნდაც მცირე მასშტაბით გაუმჯობესების შესახებ, დადებით შეფასებას იმსახურებს.

XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს სოციალური წყობილების მახინჯ მხარეებს მიაკუთვნებს „კალმასობის“ ავტორი ოქროსადმი იმ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, რომელსაც იჩენდა მისდამი საზოგადოების შეძლებელი ნაწილი. სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო ურთიერთობის განვითარებამ აღნიშნული ხანის საქართველოს სინამდვილეში განაპირობა ოქროს როლის ზრდა ქვეყნის ცხოვრებაში. მისი როლი უმნიშვნელო არც ადრე ყოფილა, მაგრამ იმ დროს, რომელსაც „კალმასობა“ ეხება, ოქრო გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი გახდა. იგი იყო განმსაზღვრელი ამა თუ იმ ღონისძიების წარმატება-წარუმატებლობისა, ადამიანის ადგილისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ოი ოქროო, — ამბობს იოანე ხელაშვილი, — რაოდენ შემძლებელი ხარ შენ! ჩვენგან აღიღებიან უძლეველნი ციხენი, შენგან იძლევიან მხედრობანი, შენ გყვარობენ ხელმწიფენი, შენი ძალით დაეცემიან მეფენი, შენ მიიზიდავ გულსა მდიდართა და ღარიბთა, შენ ხარ მხიარულება ყოველთა კაცთა; მხიარულებით შეგიტკბობენ მღვდელმთავარნი და სხვანი სამღვდელონი, მრავალგზის გაადვილებ კანონთა, მრავალგზის გაამტყუნებ მართალთა. შენ მიიზიდავ გულთა მსაჯულთა და კარის კაცთასა; შენ ასწავებ ცოდვასა ანგარებისასა; შენ ხარ კეთილი და აგრეთვე ბოროტი, ვინაიდან ორივე ძალგიძს[37].

ძეგლის ავტორი, როგორც ჩანს, წინააღმდეგი იყო არა ოქროს, არა სიმდიდრის, არამედ მათი უკუღმართად, არაკეთილსინდისერად გამოყენების. მისი აზრით, მატერიალური შესაძლებლობის ბოროტად გამოყენება მხოლოდ უარყოფით შედეგებს იძლევა საბოლოო ჯამში.

ხოლო სიმდიდრეთა შინა, — ათქმევინებს იოანე ბატონიშვილი ხელაშვილს, — ესთა არს ქცევად, ვინაიდგან ღმერთმან ნიჭებულ გყო (დაგაჯილდოვა. — ი. ა.) გონიერებითა და უხვითა თვისისა მოწყალებისათვის გიბოძა სიმდიდრე, იგი სჭვრენტს, თუ ვითარითა სახითა იხმევ მას, ესე იგი, უჭეშმარიტესითა კმაყოფილებითა და საშვალობითა მისითა შეუძლებ ქმნად კეთილისა მოყვასთა თვისთა და შემწევი გლახთა და მყოფთა განსაცდელსა შინა და არა დაითმენ ძლიერისაგან შეწუხებასა უსამართლოდ უღონოთასა. და მეძიებელ იქმნები გულმოდგინედ, ღირსთა შეწყალებისათა სცნობ და ნაკლულევანებასა მათსა შეეწევი; და ამას მხოლოდ იქმ მოწყალებითა და არა ხალხთაგან ქებისათვის. მისცემ გულსმოდგინებასა ქვეყნის მოქმედთა და შემოიყვან სრულებასა შინა მეცნიერებითა, ხედვითა და საქმითა, მაშინ იწოდები ნამდვილ მდიდარიცა და სარწმუნო მოხელე და მეურნე ქვეყნისა[38].

ამრიგად, თავისთავად სიმდიდრე, ოქროს მფლობელობა, გასაკიცხი არაა და არც შეიძლება იყოს, ვითარცა ღვთისგან ბოძებული, მისი შემწეობა-წყალობით მოპოვებული. მაგრამ ღმერთმა გაამდიდრა ესა თუ ის ადამიანი არა იმიტომ, რომ ბოროტი, უსამართლო საქმეები აკეთოს, არამედ იმიტომ, რომ იყოს „შემწევი გლახაკთა და მყოფთა განსაცდელთა შინა“, არ დაუშვას ძლიერისაგან უღონოთა შეწუხება და ა. შ. ოქროსა და საერთოდ სიმდიდრის საწინააღმდეგო მიმართულებით გამოყენება, იოანე ბატონიშვილის აზრით, დანაშაულია,

---

[37] კალმასობა, ტ. I, გვ. 17.

[38] იქვე, გვ. 229.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზენაესი არსების საწინააღმდეგო საქმეა და, ამდენად, ის გაკიცხვის ღირსია[39]. უფრო მეტიც, იოანე დარწმუნებულია, რომ ადამიანი, რომელიც თავის შეძლებულ ეკონომიურ მდგომარეობას არ გამოიყენებს ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებაში ჩავარდნილთა დასახმარებლად, ე. ი. კეთილი მიზნისათვის, ვერ იქნება ბედნიერი. იგი „ნიადაგ იქმნების შიშსა შინა, ხოლო ცხოვრება ექმნების ღელვაგვემულ სულითა“[40].

ქონების, ოქროს ბოროტად გამომყენებელი, ავტორის აზრით, მომხვეჭელია, მომხვეჭელობა კი მანკიერებაა, საშიში სენია, რომლისაგანაც განკურნება ძნელია, თითქმის შეუძლებელია. მას სავალალო, მეტად მძიმე შედეგები ახლავს თან.

ღვინით დამთვრალი, — ვკითხულობთ განსახილველ ძეგლში, — მალე გამოიფხიზლებს... გარნა ვერცხლითა და ოქროითა გამდიდრებისა გულის-თქმითა დამთვრალი ვერა ოდეს და გამოიფხიზლებს, და მაშინ დაივიწყებს ყოველივე და დაჰკარგავსცა განსჯასა, მოიძულებს თვისსა უფროსსა და კეთილმყოფელსაცა, ესთავე თვისსა მშობელსაცა, ქვეყანასა და მოყვასთა თვისთა... არღა იზრუნებს, თუ რაი შემთხვევად არს მისა, ანუ მეზობელთა თვისთა... ვერცხლისმოყვარება არს ძირი ყოვლისა ბოროტებისა და მანქანება ყოვლისა ღონიერებისა, თუ რომლისა ძალით მოიხვეჭოს იგი. ხოლო ამას შეუდგება ანგარება, შური, ამპარტავნება, დიდებობა, პატივისმოყვარეობა და ოდესმე მკვლელობაცა... ოდესაცა იგი განვალს საზღვრისაგან, მაშინ დაშრეტს კაცმოყვარეობას და მოყვანებულ ჰყოფს ერთა მოტყუებისა და ბოროტმოქმედებისადმი.

არაწესიერი გზით მოპოვებულ და უსამართლოდ გამოყენებულ სიმდიდრეს, იოანე ბატონიშვილის შეხედულებით, ადამიანისათვის სიმშვიდე არასოდეს არ მიუცია. ოქროსა და ვერცხლში შეყვარებული, მომხვეჭელობით გატაცებული და აღზევებული კაცის ცხოვრებას ღარიბი, მშრომელი კაცის ცხოვრება ჯობია, „რამეთუ გლახაკნი იხარებენ მით, რაიცაღა აქვნ“ და „დასტკბებიან“ მოსვენებითა სულისა თვისისათა“[42]. ავტორი ირწმუნება, რომ „პური და სხვანი საგლეხო ჭამადნი უმეტეს საამოდ განაძღობს მათ (ღარიბებს. — ი. ა.) და წყალი და ღვინო უფროს შეერგების მათ, ვიდრეღა მდიდართა სხვადასხვა სასმელები და შარბათები“[43]. იგი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ღატაკნი „მინდორთა, ტყეთა და მთათა შინა და ხმელთა ადგილთა ანუ თვისთა ღარიბთა სახლთ შინა“ წოლითა და ძილით „უმეტეს გემრიელად განატარებენ ღამესა..., ვიდრეღა მდიდარნი დოშაქებთა და ლეიბებთა ზედა წოლითა“[44]. ამას მოსდევს

[39] „ხოლო პირისპირ ამისა უბედურ არს იგი, ვინმცა განმამრავლებელი საუნჯისა თვისისა, არა იქმნების სვინდისიან და უგულვებელს-ჰყოფს ყოველთა გამორჩებისათვის თვისისა, არცა შეიწყალებს საწყალთა და არ მიხედავს ოფლთა პირთა ზედა მუშაკთასა მომდინარესა, არცა განიკითხავს შეწუხებულთა და საწყალთა და არცა გრძნობს დაგლახაკებათა მათთა, არც მიზეზს სცემს მცირესა შეწუხებასა და ურვასა მათთვის; და დასტკბების ცრემლითა ობოლთათა, ვითარცა რძითა და ტირილთა ზედა ქვრივთასა, ვითარცა სმენითა საამოსა საკრავისათა... ვინმცა შეაკრავს გულსა სიმდიდრისადმი და განფიცხებულ იქმნების სიყვარულითა მისითა, ესევითარი უკვე კაცი არაოდეს იქმნების სხვისა მწუხარებისა და განსაცდელისა მგრძნობელ და გამაუბედურებელ მრავალთა“ (კალმასობა, I, გვ. 229—230).

[40] კალმასობა, ტ. I, გვ. 230.

[41] იქვე, ტ. II, გვ. 68.

[42] იქვე, ტ. I, გვ. 230.

[43] იქვე.

[44] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონიშვილის მოწოდება: ნუ მიენდობა „მდიდარი სიმდიდრესა თვისსა და ნურცა გლახაკი დასუსტდების უპოვარებითა თვისითა"[45].

მთელი ეს მსჯელობა სიმდიდრის სამართლიანად გამოყენების შესახებ საკმაოდ გულუბრყვილოა. გულუბრყვილოა და უტოპიური მოწოდება იმის შესახებ, რომ გაბატონებულმა კლასმა, თავადაზნაურობამ, სიმდიდრით გამორჩეულებმა გამოიყენონ ქონება, თავიანთი მატერიალური შესაძლებლობა არა საზოგადოების დაბალი ფენების შესავიწროებლად, მათი კიდევ მეტად დასათრგუნავად, არამედ მათ დასახმარებლად, მათი შრომისა და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. და მაინც მსგავსი აზრების პროპაგანდა დადებითი მოვლენა იყო და „კალმასობის" ავტორის შეხედულებათა განმანათლებლურ ხასიათზე მეტყველებს.

როგორც ვნახეთ, იოანე ბატონიშვილი საკმაოდ მკაცრად, მოურიდებლად აკრიტიკებს იმდროინდელ საქართველოში გაბატონებული სოციალური ურთიერთობის მახინჯ მხარეებს, მხარს უჭერს ამ უარყოფითი მხარეების მოსპობა-ამოძირკვას, მაგრამ ამაზე შორს ის არ მიდის. „კალმასობიდან" არ ჩანს, რომ მისი ავტორი უარყოფითად უყურებდა ბატონყმურ ურთიერთობას, როგორც სისტემას; არ ჩანს, რომ იგი მას უვარგის და დრომოჭმულ წყობილებად თვლიდა. საქმეს ართულებდნენ და არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას სახელს „უტეხდნენ" საზღვარს გადასული პრივილეგიური წრის წარმომადგენლები, „ბატონყმური რიგის" დამრღვევი ფეოდალები, უდების დამდებნი, სიმდიდრის ბოროტად გამომყენებლები, მომხვეჭელები. მათი სათანადო ჩარჩოებში ჩაყენებით, კანონის მოთხოვნილებათა მკაცრი დაცვით თავისუფლად შეიძლებოდა, ბატონიშვილის აზრით, ნორმალური ვითარების აღდგენა, პრინციპში მოსაწონი ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საფუძვლების განმტკიცება.

რომ განსახილველი ძეგლის ავტორი თავისი კრიტიკული შენიშვნებიდან არ აკეთებდა შორს მიმავალ დასკვნებს და რომ იგი ძირითადად არსებული საზოგადოებრივი წყობილების შენარჩუნების მომხრე იყო, ეს ბევრი რამიდან ჩანს. „კალმასობას" წითელ ზოლად გასდევს აზრი ბატონყმობის ხელუხლებლობისა და მისი ფხიზლად დაცვის შესახებ. მაგრამ, გვაფრთხილებს თითქოს იოანე ბატონიშვილი, დაცვას იმსახურებს არა ყველა, არამედ მხოლოდ „კარგი" ბატონყმობა. ასეთად მას ხსენებული ურთიერთობის ის სახეობა მიაჩნია, რომლის დროსაც ყმა და ბატონი თანაბარი მონდომებით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, როდესაც პირველი ერთგულად ემსახურება მეორეს, ხოლო მეორე საიმედოდ იცავს და მფარველობს პირველს. თუ ყველა პირნათლად შეასრულებს „კანონით" დაკისრებულს, მაშინ საზოგადოება იქნება ნორმალურ მდგომარეობაში და წოდებებიც მშვიდად და უშფოთველად იცხოვრებენ, — ასეთია მისი მსჯელობის არსი.

ყმობა ღვთის მიერ გაჩენილი მდგომარეობაა. ამიტომ ამ მდგომარეობასთან დაკავშირებული ტვირთის ზიდვა არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც, რადგანაც ის განგების ნება-სურვილის შესრულებას ნიშნავს. რა ევალება კონკრეტულად ყმას?

---

[45] კალმასობა, ტ. I, გვ. 230.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. რადგან ნებითა ღვთისათა მიეცა კაცთა მონება უფლისა თვისისა, მართებს მას მონასა., რათა არღა ოხვრიდეს მისთვის და არცა განწესებულისა მისისა უღლისათვის და გულსმოდგინებით აღასრულებდეს განწესებულსა თვისსა. 2. პატიოსანთა მსახურთა თანა — აძსთ ერთგულება ცხადი. სიმდაბლე, მორჩილება და მოთმინება, ოდესაცა ამხილებდეს უფალი, მათ სიტყვით; და რისხვასა შინა არა ნაცვალი სიტყვისგებით, არამედ მდუმარებით ყოფა... ეგრეთვე ჭირთა შინა და დევნულებათა და ნაკლოვანებათა შინა თვისთა მებატონეთა თანა ტვირთვა და დათმენა და გულსმოდგინეთ სამსახური. 3. ესეცა თანაამს მსახურსა და მონასა, რათა ფრთხილ იყოს და მოცალე სარგებლობისათვის უფლისა თვისისა, იყოს ერთგულ და გულსმოდგინე მისგან რწმუნებულსა საქმესა შინა, და აგრეთვე დაცემულებასა შინა შეწევნა ყმათაგან უფლისა თვისისა, რაოდენ ძალედვას. 4. დროსა მუშაკობისასა თვისისა უფლისა სამუშაოსა უნდა გულსმოდგინედ უმუშავებდეს და არცა ცრუობდეს საქმესა შინა. და ამის ძლით მიიღებს უფლისა თვისისაგან მადლობასა და წყალობასა კეთილად მსახურებისათვის[46].

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოვალეობა ორმხრივი იყო. იოანე ბაგრატიონის მოძღვრებით, გარკვეული მოვალეობა ბატონსაც ეკისრა და მათი პირწმინდად შესრულება სრულიად აუცილებელი იყო. აი ეს ვალდებულებებიც.

1. უფალთა თანაამთ, თვისთა ყმათა ზედა, რათა იყვნენ მყვარებელ, და ბრძანება მათი იყოს მრთელითა განმსჯელობითა და სამართლიანის საქმითა, რომლისა ძლით უფრო ადვილად მოიყვანს მორჩილებასა შინა. 2. არა შესაბამ არს, რათა ფიცხლად ექცეოდეს უფალი ქვეშევრდომთა თვისთა, ვინაიდგან იგიცა კაცი არს გულისხმიერი და აქვს გრძნობა შეწუხებისაცა, რათა არა ამის ძლით შთაიგდოს გულსა შიში და სიძულვილი, რომლისა გამო აღარ ექმნების შთანერგულ (გრძნობა) თვის შორის ჭეშმარიტის სიყვარულსა და ერთგულებისა... 3. ოდეს ნაკლულევან იქმნენ მოსავლითა ანუ ჰაერისა გამო, ანუ სხვებ, შეეწიე ნაკლულევანებასა მათსა. და მის ძლით გაიერთგულებ გულსა ამათსა 4. აგრეთვე, თუ ნაკლულებასა ზედა საქონელთა ანუ ხართა ანუ ძროხათა ზედა იხილო ვინმე მონათა შენგანი და ძალგედვას, შეეწიე მათ მიცემითა მათთა, რათა მის ძლით შეიძლონ მუშაკობა, გამოზრდა თავთა თვისთა და მსახურებაცა შენი: ერთგულად მსახურებისათვის მათსა გაქვნდეს ნაცვლად წყალობა, რომლისა ძლით უმეტეს მასცა და სხვათაცა განაღვიძებ ერთგულობისათვის შენისა, მორჩილებისა და მსახურებისათვის... 5. მუშაკთა ნუ დაუტევებ მშიერთ. 6. გარდა დებულებისა ნუ წაართმევ. მსახურს. 7. ნუ გული გითქვამს ცოლსა ანუ ქალსა ყმისა შენისასა ზედა, რომლისა ძალით უმეტეს გაიმუხანათებ. 8. დებულებასა კიდე, სხვასა ნურას წაართმევ მეტსა და უკეთუ დაგჭირდეს რამე, სიტკბოებით სთხოვე იგი, რომელიცა შეძლებისამებრ სისრულით მოგართმევს[47].

ამრიგად, ბატონი უნდა იყოს კეთილი და სამართლიანი ხელქვეითების მიმართ, მათი „მყვარებელი", დამხმარე და მწყალობელი, გადასახადების ნორმალურად ამღები, უდების არ დამდები და ა. შ. ყმებისადმი ასეთი მიდგომა და დამოკიდებულება, ავტორის აზრით, აუცილებელი იყო იმიტომ, რომ მათ ამის შედეგად უკეთ მოეწყოთ მეურნეობა, უფრო ხალისიანად მოკიდებოდნენ საქმეს, უკეთ მომსახურებოდნენ ბატონსა და საკუთარ თავს. ხელქვეითებისადმი ნორმალური დამოკიდებულება იმიტომაც მიაჩნდა მას საჭიროდ და სასარგებლოდ, რომ ამ გზით უფრო გაეერთგულებინა და საიმედო მორჩილებაში ჰყო-

---

[46] კალმასობა, ტ. I, გვ. 50.

[47] იქვე, გვ. 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდა იგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდა ყველაფრისა, ბატონი „[illegible] იქმნების შიშსა შინა“[48].

„კალმასობის“ ავტორი, როგორც ვხედავთ, მხარს უჭერს და იცავს „სამართლიან“ ბატონყმობას და მას ასეთი წყობილების შექმნა-არსებობა შეუძლებლად არ მიაჩნია. ასეთი მსჯელობა, ცხადია, მეტად სუსტია და უსუსური, ის ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას.

რომ ძ ი რ ი თ ა დ ა დ იოანე ბაგრატიონი იმდროინდელ საქართველოში არსებული სოციალური ურთიერთობის მომხრე იყო, ეს სხვა მაგალითებითაც დასტურდება. ამას ადასტურებს, კერძოდ, მისი თვალსაზრისი და მიდგომა ქორწინების ინსტიტუტისადმი. იგი ამ საქმეში მტკიცედ იცავს სოციალურ პრინციპს და კატეგორიული წინააღმდეგია მისი დარღვევის. იგი მხოლოდ წოდებრივად თანაბარ პირთა შეუღლებას თვლიდა დასაშვებად. როდესაც იოანე ბაგრატიონის აზრების მატარებელმა ხელაშვილმა გაიგო, რომ რცხინვალელი თავადის მაჩაბლის უფროსი ვაჟი გლეხის ქალს ირთავს, ის გაკვირვებული დარჩა: — რატომ მაღალი წრის ქალი არ შეურჩიეთო. ბერმა მშობლების თხოვნით წერილი გაამზადა შეყვარებული თავადიშვილის სახელზე და მასში თავისი თვალსაზრისი ჩააქსოვა. აი ამ წერილის ტექსტი:

საყვარელო ძეო, გარნა ურჩო მამადედისაო! ძრწოდე განუსჯელობისათვის შენისა, ძრწოდე წყევისაგან მშობელთა შენთა, გეშინოდეს ღვთისა, და უკანასკნელ გეჰიისა, რომელსაცა სირცხვილეულნი საქმენნი შენნი გიმზადებენ შენ. შენ მიგიღებიეს გონება, ოდესაცა უგუნურებითსა სურვილსა აღუტყინებიეს შენ შორის ქორწინებისა ყოფად, და გწადნოის მდაბიოსა და არც რაისამე ქალისა თანა შეუღლება, რომელიცა, თვინიერ გმობისა და კიცხვისა კიდე, არა რაისამე შემძლებელ არს მორთმევად შენდა გვარისადმი ჩვენისა. გწერ მამაშვილურად, უკეთუ სრულჰყოფ საძაგელსა განზრახვასა შენსა, მაშინ აღარა იწოდები ძედ ჩემდა; წყევა ჩემი ყოველგან შეგიდგების შენ, და იწოდები ვითარცა ურჩი და განრყვნილი ძე, ვითარცა უძღები შვილი, მორონინე უდაბურთა ადგილთა შინა მშიერი და შიშველი. ვიდრე უკანასკნელ აღმოფშვინვამდე შენდა არა გექნების შენ შესაყრდნობელად არცა სახლი მამისა შენისა, არცა გვარეულთა შენთა და არცა სახლი ყმათა შენთა, არამედ ციხე საპყრობილოდ და კოშკი ბნელი საუკუნოდ სამყოფად, თხოვნითა მისისა სიმაღლისადმი. და ესრედ შევედ თავსა შორის თვისსა, მოიგე გონება, განსაჯე და ნუ იყოფი ულირს მამისა შენისა, რომელიც მოგელის შენ დამორჩილებულად[49].

ასე მონდომებით დაწერილმა წერილმა თავისი გაიტანა — „ყმაწვილი (მყის) მოეგო გონებასა და მოვიდა მამისა თვისისა თანა“[50], ე. ი. საქმე ჩაიშალა.

ამავე დროს ხელაშვილი (მაშასადამე, იოანე ბაგრატიონი) საინტერესო, არსებითად სწორ აზრებს ავითარებს ოჯახის შექმნისა და ცოლისა და ქმრის ურთიერთდამოკიდებულების, მათი უფლება-მოვალეობის შესახებ. „კალმასობის“ ავტორი, როგორც ჩანს, წინააღმდეგია საცოლის აკვნის ასაკიდან დანიშვნის ან ისეთი დაწყვილება-შეუღლებისა, რომელსაც წინ მომავალი ნეფე-პატარძლის შეხვედრები, პირადი კონტაქტები არ უსწრებს. კაცმა, რომელმაც ოჯახის შექმნა გადაწყვიტა, ყველაფერი დაწვრილებით უნდა გაიგოს საცოლის შესახებ. მან უნდა „გამოიკითხოს პატიოსნებაი და აღზრდილობაი, სიმშვიდე და გულმართლობაი“[51] მისი და მხოლოდ მერე „მოიყვანოს იგი შემწედ თვისად[52]“.

[48] კალმასობა, ტ. I, გვ. 230.

[49] იქვე, გვ. 45.

[50] იქვე.

[51] იქვე, გვ. 240.

[52] **იქვე.**

ადამიანი არ უნდა გაიტაცოს მარტო ქალის გარეგნობამ, მისმა მშვენიერებამ, რადგანაც ეს უკანასკნელი, სხვა დადებითი თვისებების გარეშე, მხოლოდ უსიამოვნების მომტანი იქნება ოჯახში. დედაკაცი, გატაცებული თავისი სილამაზის წარმოჩენით, „კარგავს დროსა მრავალსა მორთვასა შინა თვისსა..., ჰყვარობს ქებასა თავისა თვისისასა სხვათაგან... განვალს სახლით თვისით და არა ნიადაგ მყოფობს მას შინა, არცა იღწვის სახლის მეურნეობისათვის“[53]. ერთი სიტყვით, ცოლი უნდა იყოს მშვიდი ქცევისა, პატიოსანი, კეთილი, გონიერი, ქმრის ნათესავების მოყვარული, ოჯახისათვის მზრუნველი, მისი შემკვრელ-გამაერთიანებელი და, ამასთან, „სახითაც არა დუხჭირი“[54].

ამ თვისებებით შემკული ქალის მეუღლე, ძეგლის ავტორის აზრით, უნდა იყოს მისდამი ყურადღებით, პატივისცემით, სიყვარულით, ვითარცა მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებლისადმი[55]. მან კარგი დამოკიდებულებით, ალერსით მორალურად უნდა გაამხნევოს ჭირში ჩავარდნილი ერთგული ცოლი და სცადოს ამ გზით გამოიყვანოს იგი მძიმე მდგომარეობიდან[56].

მოკლედ, იოანე ბაგრატიონი, რომელიც მტკიცედ იცავდა სოციალურად თანაბარი მხარეების შეუღლების რეაქციულ პრინციპს, ამავე დროს ავითარებდა მოწინავე აზრს საცოლისა და საქმროს მხოლოდ მშობლების ნება-სურვილითა და მონაწილეობით შერჩევის სრული უვარგისობისა და კეთილსინდისიერი ცოლისადმი ქმრის დესპოტურ-ტირანული დამოკიდებულების დამღუპველი შედეგების შესახებ[57].

იოანე ბაგრატიონი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მსჯელობს პოლიტიკური მმართველობის ფორმებზე საერთოდ და კერძოდ საქართველოში. ამაზე, როგორც ვნახეთ, უფრო დაწვრილებით ლაპარაკობს იგი „სჯულდებაში“, მაგრამ არც „კალმასობაშია“ ეს საკითხები უყურადღებოდ დატოვებული. ავტორი აქაც მკაფიოდ ავლენს თავის დადებით დამოკიდებულებას მონარქიისადმი და ყველას მისდამი ერთგულება-მორჩილებისაკენ მოუწოდებს. „იყავ ერთგულ მეფისა შენისა, მამულისა და სჯულისა“[58], „ოდეს გიბრძანებენ მთავარნი, შენნი მორჩილ ექმენ“[59], „იყავ უმაღლესთა შენთა მორჩილ, თანასწორთა კეთილად მქცევ და უმდაბლესისადმი თავაზიანი“[60], „მორჩილ და ერთგულ ვექმნეთ მეფეთა ჩვენთა“[61], — აი, რა სიტყვებს ათქმევინებს იოანე ბატონიშვილი ხელაშვილს. „კალმასობაში“ კიდევ არაერთი ადგილია, რომლებ-

---

[53] კალმასობა, ტ. I, გვ. 241.

[54] იქვე.

[55] იქვე.

[56] „ოდეს იყოს იგი უძლურ, ანუ ვნებელ სნეულებითა, მაშინ მხურვალებითა შენითა დაატკბე ჭირი მისი, და უმეტეს მწუხარიანითა სახითა შენითა და სიყვარულიანითა შეუმსუბუქე ტკივილი მისი და გამოიმეტე ათიცა გამოცდილი მკურნალი, გაშინჯე უსუსურებაცა ბუნებისა მისისა და ნუ იქნები მისდამი უზომოდ ფიცხელი... და სხვებრ ყოვლისა სიყვარულისა გვარითა იქცეოდი მისდამი“ (იქვე, გვ. 241).

[57] ცოლისადმი ჰუმანური დამოკიდებულების მქადაგებელი იოანე ბაგრატიონი, ამავე დროს, ურჩევს ქმრებს: „ნუ უტევებ ცოლს ქვეყნისა მართებლობისა და სასამართლოისა საქმეებთა შინა შესვლად, არამედ იზრუნოს მან მხოლოდ საკუთარისა სახლისათვის თვისისა, ქვრივთა და ობლებისათვის“ (იქვე, გვ. 241—242).

[58] კალმასობა, ტ. I, გვ. 32.

[59] იქვე, გვ. 33.

[60] იქვე, გვ. 35.

[61] იქვე, გვ. 162.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიც გატარებულია უფროსისადმი, პირველ რიგში, ცხადია, მეფისადმი უსიტყვო მორჩილების აზრი. „არა, შვილო, — უთხრა ხელაშვილმა მასთან მოსაუბრე მამაცაშვილს, — უნდა მოუთმინოთ თქვენს მწყემსმთავარს და არა სთქვათ ძვირი, ვითარცა წერილ არს: „არა სთქვა მთავართა შენისათვის ძვირი“[62]. და კიდევ: „პატიოსანთა მსახურთა თანაამთ ერთგულება ცხადი, სიმდაბლე, მორჩილება მოთმინება“[63].

ამრიგად, მეფის ერთგული და მორჩილი უნდა იყოს ყველა, დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, თავადი და გლეხი. არავინ, არც ერთი მდგომარეობის კაცმა, მეფის საწინააღმდეგოდ არაფერი არ უნდა დაიგულოს, მისი საქციელით უკმაყოფილების შემთხვევაშიც კი.

მაგრამ „კალმასობის“ ავტორი ამით არ ამთავრებს მეფეზე საუბარს. იგი ლაპარაკობს არა მარტო ხელქვეითის მოვალეობაზე უზენაესი ხელისუფლების წინაშე, არამედ ამ უკანასკნელის მოვალეობაზედაც ქვეშევრდომის წინაშე და საერთოდ იმაზე, თუ როგორი და რა თვისებებისა უნდა იყოს ის.

მეფე უნდა იყოს, — ამბობს იოანე ბაგრატიონი, — თვისისა სარწმუნოებასა ზედა მტკიცე, მღვიძარე სულითა, მცნობი თავისა თვისისა, მომგონი ხშირად, რომელ მოკვდავ არს, მოსურნე კეთილისა, მმადლობელ ღვთისა და ყოვლის გულით მყვარებელ, სამღვდელოთა პატივისმცემელ და ეკლესიათა შემწე და განმანათლებელ, სიმდიდრისადმი და ვერცხლის მოყვარეობისადმი არა შემსჭვალულ, არამედ კეთილის მოქმედებისადმი, მდაბალი, უბიწო სულით, ფრთხილ სიტყვათა და საქმეთა შინა, მოწყალე, არა მოშურნე, არა ძვირის მომხსენე, მტკიცე კეთილმსახურებისა დამცველ, მოძულე მლიქვნელთა კაცთა, განმრჩე კეთილთა და ბოროტთა კაცთა; დამჯილდოვებელ ღირსთა და უღირსთა დამსჯელ; არა ამპარტავან, არც ზვავ, არცა მცონარე, გვირგვინი კეთილმსახურებისა, მზრუნველ ქვეშევრდომთა თვისთა მდიდართა და დავრდომილთათვის თანასწორ, მეცნიერ და ფილოსოფოს, განმართველ ვნებათა; მოწყალება უფრორე აქვნდეს, ვიდრე შიშვნეულობა..., თანასწორ მეურნე ყოველთა ზედა თვისთა ქვეშევრდომთა..., მოჩივართა დროზედ და ადრიან პასუხის მიმცემ..., საქმის დროზედ აღმასრულებელ, რომელ დღევანდელი საქმე არა უტეოს ხვალისათვის. მოწყალე თვისთა სახლისა მსახურისადმი, მსაჯულ მსგავსად ღვთისა და პირუთნებელ... გაერთგულება, რაოდენ ძალედვას, ყმათა თვისთა... მართლმსაჯულებასა შინა თანასწორ, ვითარცა მეგობართათვის, ეგრეთვე მწირთათვის... სამხედრო და სამოქალაქო საქმეთა შინა გამოცდილ და მცოდნე, სღვთო და სამოქალაქოთა სჯულთა მეცნავ... მიმღებ უფრორე მთხოვნელთა, ვიდრე ძღვნის მიმრთმევთა. ძლიერ კეთილ-მოქმედებითა, დიდებულ საქმითა, გონიერებით ქმნა ბრძანებისა, მახვილგონიერ მსჯავრთა შინა... ღვთის მვედრებელ, ლოცვის მოყვარე..., მიმტევებელი შემცოდეთა და შემწყნარებელ, ცხადთა და დაფარულთა ცოდვათა განკრძალულ, კრძალებულ ბრალთაგან და მქნელ კეთილისა, სიმდიდრის მეძიებელ ცათაშინა.., მხნე, მამაც და პურად, უხვ ყოველთა ზედა, თავდადებით მოსურნე მსახურებისათვის მამულისა, შემწყალებელ ქვრივთა და ობოლთა გამომზრდელ, სნეულთა მომვლელ, გლახაკთა ხელისმპყრობელ და მხედრობისა მოწყალე და გამამხნობელ... შემცოდეთა ვისთამე მხოლოდ მის გვამისა განკითხველ და არა შემაწუხებელ სახლეულებათა მისთა... სიმდიდრესა ანუ, ქონებათა სხვათასა არა მეშურნე... თვისთა ერთგულთა ყმათა ჟამსა ქორწინებისასა შეეწეოდეს და მკვდარსაც იგლოვდეს და წასახურავს უბოძებდეს. მხიარულებასა შინა მათთანა იხარებდეს და ჭირთა შინა მათთანა მჭმუნვარებდეს... უსამართლოდ ნურვის — ნურც თვისთა საკუთართა ყმათა და ნურცა თავად-აზნაურთა ყმათა — ნუ შეაწუხებს და ნურც მათ მებატონეთა უდიერად შეაწუხებინებს თვისთა ყმათა... ესრეთ ვინმცა იქმნების, ესრეთ იგი არს ჭეშმარიტი მეფე[64].

---

[62] კალმასობა, ტ. ,I, გვ. 38.

[63] იქვე, გვ. 50.

[64] იქვე, გვ. 210—212.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აქ მოტანილი გრძელი ამონაწერიდან ჩანს, განსახილველი ძეგლის ავტორის აზრით, მეფე არა მარტო უნდა ითხოვდეს მორჩილებასა და ერთგულებას ქვეშევრდომებისაგან, განურჩევლად მათი სოციალური მდგომარეობისა, არამედ თვითონაც უნდა იყოს მზრუნველი, მწყალობელი, შემბრალებელი ხელქვეითების, მათი ჭირისა და ლხინის გამნაწილებელი, მათი საფრთხისაგან დამცველი, მათი მფარველი. იგი უნდა იყოს კეთილი, გონიერი, განათლებული, სამართლიანი, კანონების ზედმიწევნით მცოდნე და ამ კანონების საფუძველზე ქვეყნის მმართველი, არა ვერცხლმოყვარე და სიმდიდრის მაძიებელი, არა მეშურნე, უნდა გამოირჩეოდეს მხნეობით, ვაჟკაცობა-მამაცობით, პურადობით, ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით. ნამდვილ მეფედ მხოლოდ ამ თვისებებით დაჯილდოვებული მმართველი იწოდება. იოანე ბაგრატიონის აზრით, მხოლოდ ისინი არიან მხარდაჭერისა და ხელქვეითების ერთგულება-მორჩილების ღირსი. ამ თვისებების არმქონე მმართველი ბოროტია და ტირანი და ამდენად იგი უარყოფით დამოკიდებულებასა და საზოგადოებრივ გაკიცხვას იმსახურებს[65].

ყველა მეფე, ცხადია, ერთნაირი არ არის. ერთი უფრო გონიერი, ჭკვიანი და რბილი მმართველია, ვიდრე მეორე, მაგრამ მსოფლიოში არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი იდეალური, ყველა კლასისა და წოდების ინტერესების თანაბრად დამცველი მეფე, როგორიც დახატულია „კალმასობა-ში“. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ბატონიშვილის მთელი ეს მსჯელობა ძალზე სუსტია.

* * *

„კალმასობა“ საინტერესოა როგორც იმდროინდელი ქართული ეკონომიკური აზრის ამსახველი ძეგლი. მისი ავტორი მკვეთრად ემიჯნება იმათ, ვისაც

[65] რომ იოანე ბაგრატიონი მომხრე იყო იდეალურად მოწყობილი მონარქიული წყობილებისა და წინააღმდეგი რესპუბლიკისა, დასტურდება მისი საუბრით კახელ სოლომონ არღუთაშვილთან. ამ უკანასკნელმა მის სახლში გამართულ ვახშამზე წინადადება შეიტანა შეესვათ „ღვინო საზოგადოების სადღეგრძელოდ“. ხელაშვილი წინაღუდგა ამას და შენიშნა: ჯერ მეპატრონეთა სადღეგრძელო უნდა მივიღოთ და მერე საზოგადოებისაო. შემდეგი დიალოგი მათ შორის ასე წარიმართა:

„სოლომონი: ახლა ჩვენა ვართ მეპატრონენი ჩვენის თავისა.

იოანე: ყოველი ვპატრონობთ თავთა თვისთა, ეს ბუნებითია.

სოლომონ: არა, საზოგადოებასაც ჩვენ უნდა უპატრონოთ.

იოანე: ვინა გყავთ ამხანაგნი და თანაშემწენი?

სოლომონი: სარდალი, მელიქი, ამილახვარი, ერისთავი, თარხანი, ეშიკაღაში და სახლთუხუცესი და მე მხარგრძელი, ხოლო სამღვდელოთში — ვართაპეტი..., თბილელი და არქიმანდრიტი.

იოანე: ზურნა-ნაღარას მეტი არღარა გკლებიათ რა.

სოლომონ: გვკიცხავ მაგ სიტყვით?

იოანე: დიალ!

სოლომონ: ვითარ ჰსჯი შენ?

იოანე: ოდესაც მეპატრონე აღარ იქნება, არცარა თქვენ იქნებით.

სოლომონ: (ხომ) მრავალგან არის რესპუბლიკა?

იოანე: არა თქვენი ჭკუისანი“ (კალმასობა, ტ. I, გვ. 221—222).

რესპუბლიკისადმი იოანე ბაგრატიონის დამოკიდებულების შესახებ ვ. დონდუა წერს: «Наш автор понимал, что торжество во Франции **республики**, как формы государственного управления, было обусловлено укреплением буржуазии и что, стало быть, в Грузии за отсутствием этого условия, республика не имела бы под собой почвы. Во всяком случае, он высмеивал некоторых политических деятелей Грузии за их республиканские увлечения» (Царевич Иоанн, Калмасоба, или хождение по сбору, შესავალი წერილი, გვ. XXII).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების იდეალურ მდგომარეობად ნატურალური მეურნეობა მიაჩნდა. იოანე ბატონიშვილს, პაპამისის მსგავსად, შესანიშნავად ესმოდა ვაჭრობა-მრეწველობის დიდი მნიშვნელობა და მათ განვითარებას მიესალმებოდა. ვაჭრობა მას ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების მიზეზად და გამომხატველად მიაჩნდა. გურიელთან საუბრისას ხელაშვილმა პირდაპირ მოუწოდა მას ყოველნაირად ხელი შეეწყო სახალხო მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის, რათა „მით განამდიდროთ ერნი თქვენნი“[66]. იგი ჰკიცხავს ვაჭრობისადმი უარყოფით, ქედმაღლურ დამოკიდებულებას, ჰკიცხავს ქართველი პრივილეგიური წოდების შეხედულებას ამ საკითხზე.

აზიურით თუ მივხედავთ, — უთხრა ხელაშვილმა გურიელს, — დასამდაბლებელ და შეურაცხსაყოფელია კეთილშობილთათვის ვაჭრობა, ხოლო ევროპელთაებრ უკეთუ მივხედავთ, მუნცა მცირედ სირცხვილად უჩნთ განრთვა ვაჭრობასა შინა. განა ანგლიასა შინა არა არს სირცხვილი და არცა დასამდაბლებელი განრთვა ვაჭრობასა შინა და აქვთ ესე ჩვეულებადაცა, რომელ კეთილშობილნი უფროსნი ძმები შევლენ ქვეყნისა სამსახურსა შინა..., ხოლო უმცროსნი ძმანი იწყებენ ვაჭრობასა. და აწ თითქმის ეს სახედ არს საფრანგეთსა შინაცა, რომელ არცაღათუ შეურაცხჰყოფენ თვით ჩინებულთა კაცთა განრთავად ვრშცელ კომერციასა შინა, რომელნიც არიან სხვადასხვა ხატითა ვაჭრობისათა[67].

გურიელი არ დაეთანხმა ბერის ამ მსჯელობას და განაცხადა, რომ მისთვის ვაჭრობა და სიკვდილი ტოლფასოვანია. ხელაშვილმა კიდევ უფრო შეუტია მოსაუბრეს და თვალნათლივ დაუმტკიცა მისი აზრების ჩამორჩენილობა.

კიდეც ამისთვის არიან ჩვენი ხალხნი მდიდარნი, რომ ამ გვარებს თაკილობენ. აჰა, მიხედეთ, ათასი ცხენი რომ გყვანდესა ჯოგისა, ერთს კვიცს ვერ გაყიდით და არც იცით, ვინ წაიყვანს. ესრეთვე ცხვრისა არვე რომ გყვანდეთ, ვერ გაჰყიდით და ვერცა ძროხათა და არცა პურსა და ღვინოსა და ესე ვითართა. და არცა უწყით, თუ ვითარ შეიჭმებიან და დაილევიან ღვინოები, ვის როგორ უხმსთ, ისე მოაქვთ. ესრეთვე თქვენნიცა დიდნი კაცნი შვრებიან. და ოდეს საჭიროება ითხოვს თეთრსა..., მაშინ ვერც ცხენს გაჰყიდით, ვერც ძროხასა და სხვათა ნივთთა, არამედ თქვენის ყმის შვილებს კი გაჰყიდით და ბევრნიც გათათრდებიან თქვენის მიზეზით. იფიქრეთ აწ, რომლითა უმჯობეს იქმნება ვაჭრობა?[68]

ვაჭრობა ხელს უწყობს არა მარტო ქვეყნის ეკონომიურ დაწინაურებას, არამედ ხალხის განათლებას. ვაჭარს, ბატონიშვილის აზრით, უნდა სცოდნოდა არითმეტიკა, გეოგრაფია, თამასუქების წერა, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, იტალიური, ესპანური და სხვა ენები, მათ შორის აზიის ხალხთა ენებიც[69]. სხვადასხვა ქვეყანაში ნამყოფი კაცი ბევრ რამეს ითვისებს, ეცნობა მრავალი ხალხის სჯულსა და ჩვეულებას[70], რითაც იმდიდრებს არა მარტო საკუთარი ცოდნის მარაგს, არამედ ხელს უწყობს თავისი ხალხის განათლების საქმეს. ამიტომ ნატრობდა იოანე ბაგრატიონი ვაჭრობის განვითარებას საქართველოში. „ნეტამც, — ამბობს მისი აზრების გამომხატველი ხელაშვილი, — ამ რიგს ჩვენს ქვეყანასაც მისცემდეს ვინმე“[71].

იოანე ბაგრატიონს, ისე როგორც დავით და ბაგრატ ბატონიშვილებს, კარგად ესმოდა მრეწველობის როლი ქვეყნის ეკონომიური განვითარება-და-

[66] კალმასობა, ტ. II, გვ. 55.
[67] იქვე, გვ. 57.
[68] იქვე, გვ. 58.
[69] იქვე.
[70] იქვე, გვ. 59.
[71] კალმასობა, ტ. I, გვ. 196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაურების საქმეში. ისინი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ს. ბერაძე, სახალხო მეურნეობის განვითარებას მჭიდროდ უკავშირებდნენ მრეწველობის სხვადასხვა დარგის წარმატებას[72]. „კალმასობის“ ავტორი საკმაოდ დაწვრილებით ლაპარაკობს იმდროინდელი მრეწველობის წამყვან და საყოველთაოდ გავრცელებულ ფორმაზე — ხელოსნობაზე. ამ უკანასკნელში იგი გამოყოფს ბეჭდებისა და ღერბების დამზადებას, ოქრომჭედლობას, ქვისა და ხის დამუშავებას. ოქრომჭედელნი, მისი სიტყვით, „გამოიყვანენ მეტალთა ზედა სახეთა სხვადასხვა გვართა და შთაასხამენ ვითა თოქმაჩნი სხვათა და სხვათა გამოქანდაკებულთა სახეებთა“[73]. ქვის მჭრელნი და ხის მთლელნი კი აკეთებენ ნაირნაირ „სახეთა ნაკვეთისა და დასწერენცა მას ზედა წერილთა“[74].

„კალმასობის“ იმ ადგილას, სადაც თბილისის ბაზარია აღწერილი, დასახელებულია XVIII ს-ის მიწურულის საქართველოში გავრცელებული ხელოსნობის სამოცამდე სახეობა[75], მაგრამ ყველა ამ სახეობაზე იქ დაწვრილებით არაა ლაპარაკი; არაა ლაპარაკი არც მანუფაქტურულ წარმოებაზე და არა იმიტომ, რომ ასეთი რამ მაშინ არ არსებობდა ჩვენს ქვეყანაში, არამედ, ვფიქრობთ, მისი შედარებით სუსტად განვითარების გამო.

საერთოდ, ყველაფერი ის, რაც ნათქვამია განსახილველ ძეგლში მრეწველობის შესახებ, გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ მის ავტორს შესანიშნავად ესმოდა მეურნეობის ამ დარგის განვითარების მნიშვნელობა საქართველოსათვის და მხურვალედ მოუწოდებდა ქვეყნის მესვეურთ მაქსიმალური ყურადღება მიექციათ მისთვის.

მსგავსი აზრების პროპაგანდა (ისე როგორც მოთხოვნა ვაჭრობის განვითარების შესახებ) ობიექტურად ხელს უწყობდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევას და ამდენად ის დადებით შეფასებას იმსახურებს[76].

*
* *

პროგრესული იყო იოანე ბაგრატიონის შეხედულებები კულტურისა და სწავლა-განათლების საკითხებზეც. ამ რიგის საკითხებს იგი, როგორც ვნახეთ, ადრე „სჯულდებაში“ შეეხო და არაერთი მეტად საინტერესო კონკრეტული წინადადება წამოაყენა თეატრის, სკოლების, ბიბლიოთეკებისა და პრესის საქმის განვითარებასთან დაკავშირებით. „კალმასობაში“ კი ავტორი უფრო ზოგადი მსჯელობით ისაზღვრება განათლების როლისა და მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწავლა-განათლება, მისი აზრით, დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტორი იყო. ის ზნეობრივად ხვეწდა ადამიანს, აფაქიზებდა და აკეთილშობილებდა მას. განათლებული უფრო სამართლიანია და კაცთმოყვარე, ვიდრე გაუნათლებელი. იგია ყოველი კეთილი საქმის წამომწყები და გამტარებელი. სწავლა გზაა ჭეშმარიტებისაკენ, „ქება ჭაბუკისა და შესაყრდნობელი მოხუცებულისა“[77], ნუგეშისმცემელი უბედურისა და დამამშვენებელი ბედნიერისა. ამიტომ მოუწოდებდა იგი თავადაზნაურობას (და არა

[72] ს. ბ ე რ ა ძ ე, ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები მე-19 საუკუნის დამდეგს, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1952, გვ. 396.

[73] კალმასობა, ტ. I, გვ. 239.

[74] იქვე.

[75] იქვე, გვ. 193—195; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 540.

[76] ს. ბ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 400.

[77] კალმასობა, ტ. I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო მას) დაწაფებოდა ცოდნას, „გიყვარდეს სწავლა და, უკეთუ არას ისწავლი, დიდი კაცის შვილს უსწავლელს ფილოსოფოსნი ოქროს ვირს უძახიან“[78]. ბერი ხელაშვილის ამ სიტყვებში არსებითად ყველაფერია ნათქვამი სწავლა-განათლების შესახებ. იოანე ბატონიშვილი მკვეთრად უპირისპირდება იმ ფეოდალებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ „ცოდნამ დააქცია ქვეყანა“[79]. თავად ამილახვარს, რომელმაც ეს უგნური სიტყვები წარმოსთქვა, ხელაშვილმა შეშფოთებით უპასუხა: „უი ჩემს თავს! ნუ ბრძანებთ ნარი აღიღევით ცოდნიდამ და ვინი დართევით, მაშინ სცნობთ, თუ რომელს დაუქცევია“[80] ქვეყანაო. განათლება განსაკუთრებით მეფისთვის იყო საჭირო. „კალმასობის“ ავტორის აზრით, ქვეყნის მესვეური უნდა ყოფილიყო „მეცნიერ და ფილოსოფოს“[81], რათა წარმატებით გაძღოლოდა სახელმწიფო საქმეებს. იგი განათლებული მონარქიის მომხრე იყო.

იოანე ბაგრატიონი სინანულით აღნიშნავდა სწავლა-განათლების დაბალ დონეს მის თანამედროვე საქართველოში. ბერი ხელაშვილი მეტად გაკვირვებული დარჩა, როდესაც მან მთელი თავისი მოგზაურობის განმავლობაში როგორც იქნა ნახა ერთი ენების მცოდნე კაცი — ასლან ყაფლანიშვილი (ყულარიდან). „გმადლობ შენ, უფალო, — წამოიძახა მან, — რომ ჩვენს თავადიშვილებში ვნახე სამისა და ოთხის ენის წიგნების მცოდნე და მეცნიერი... მე ჯერ თქვენს მეტი არავინ მინახავს ენების მცოდნე“[82]. ამას მოსდევს საკმაოდ ვრცელი საუბარი ებრაულ, არაბულ, ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, ინგლისურ გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, სპარსულ, თათრულ, ქართულ, სომხურ და სხვა ენათა შესახებ, მათი როლისა და მნიშვნელობის შესახებ[83]. ბერძნულისა და ლათინურის შესახებ, კერძოდ, ნათქვამია, რომ ისინი „უფრორე მიუცილებლად არიან საჭირონი კაცთათვის მოსწავლეთა სწავლისათა, ეგრეთვე მათთვისაც, რომელნიც სამღვდელოდ აღიზრდებიან“[84]. „ფრანციცული და თათრული ენაი, — უთხრა ხელაშვილმა ასლან ყაფლანიშვილს, — ფრიად საჭირო არს მოგზაურთა კაცებთა, ელჩებთა და ვაჭრებისათვის, მით რამეთუ ამა ორისა მცოდნენი შემძლებელ არიან ყოველსა ქვეყანასა ზედა სვლად: ამისათვის რომელ მთლად აზიასა შინა ყოველგან მოიპოვების მცოდნეი თათრულისა ენისა, ხოლო ევროპასა შინა ყოველსა ადგილსა იპოებიან მცოდნენი ფრანციცულისა ენისანი“[85]. დასასრულ, აღნიშნულია ინგლისურისა და გერმანულის საგანგებო მნიშვნელობა იმათთვის, ვინც დაინტერესებულია „ძველთა ქმნილებათა და ხელოვნებათა“

---

[78] იქვე, გვ. 34.

[79] იქვე, გვ. 41.

[80] იქვე.

[81] იქვე, გვ. 210.

[82] იქვე, გვ. 233.

განსახილველი ძეგლის თანახმად, ქართველ პრივილეგირებულ წოდებაში (მით უმეტეს გლეხობაში) თითით საძებნი იყო არა მარტო უცხო ენების, არამედ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის მცოდნეც. „ორმოცამდის თავადიშვილი — აზნაური ახლდენ, — ამბობს ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი გოდერძი, — და მათ შორის ორმან გუამმან იცოდა წიგნი და წერა მხედრულისა — ეგნატი თუმანიშვილმან და ელიზბარ ფალავანდისშვილმან. პირველი თვისგან დაწერილ წიგნს ვერდა წარიკითხებდა, ხოლო მეორემ სულ არ იცოდა შეთხზვა“ (კალმასობა, ტ. II, გვ. 29).

[83] კალმასობა, ტ. I, გვ. 233—237.

[84] იქვე, გვ. 233.

[85] კალმასობა, გვ. 233—234.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწავლით, ფილოსოფიით, ისტორიით, მათემატიკით, ლიტერატურით, მეზღვაურობით და ა. შ.[86]

ამრიგად, სწავლა-განათლების გავრცელება, იოანე ბაგრატიონის აზრით, საჭირო და აუცილებელი იყო არა მარტო ადამიანის კულტურულ-ზნეობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ იმიტომაც, რომ იგი ხელს უწყობდა საერთაშორისო კონტაქტების განვითარებას, ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებას და ა. შ. არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ბატონიშვილი სწავლა-განათლებას ამა თუ იმ სახელმწიფოს შიგნით სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარების საქმეში. ამიტომ მოუწოდებდა იგი ასე ძლიერად თავის თანამემამულეებს ცოდნის შეძენა-გაღრმავებისაკენ.

* * *

როგორც ირკვევა, იოანე ბაგრატიონი ეხება მრავალ მტკივნეულ საკითხს და გამოთქვამს მათზე თავის საკუთარ შეხედულებას. იგი, შთაგონებული იმდროინდელი საქართველოს სინამდვილითა და რუსეთისა და ევროპის მოწინავე აზრებით[87], მკაცრად აკრიტიკებს მაშინდელი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების მახინჯ მხარეებს. მაგრამ ამ კრიტიკიდან ის არ აკეთებს შორს მიმავალ დასკვნებს, არ მოითხოვს არსებულის ძირფესვიან შეცვლას. „კალმასობის“ ავტორი ძირითადად არც ბატონყმობის წინააღმდეგია და არც მონარქიული წყობილების, იგი ორივე მათგანის მომხრეა და დამცველი, მაგრამ დამცველია მათი სრულქმნილ-გაუმჯობესებული სახეობის. ბატონიშვილის იდეალია „სამართლიან“ საფუძველზე დამყარებული ბატონყმობა და მონარქიული წყობილება, რომლის სათავეში იქნება კეთილი, ხელქვეითების დამცველი და მწყალობელი მეფე. ამის მიღწევა, მისი აზრით, შესაძლებელი იყო განათლების გავრცელების გზით· განათლება, ძეგლის ავტორის რწმენით, იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის საქმე, რომელიც განაპირობებდა ადამიანის ზნეობრივ ამაღლებას, სიმშვიდესა და მყუდროებას, ჩაგვრა-უსამართლობის მოსპობას, საზოგადოებრივი ჰარმონიის დამყარებას, ქვეყნის ეკონომიურსა და კულტურულ პროგრესს[88].

მსგავსი იდეების პროპაგანდა, რომელიც თავისი ხასიათით ადრე განმანათლებლური იყო[89], ობიექტურად ქვეყნის წინსვლა-განვითარების საქმეს ემსახურებოდა, მიუხედავად მათი უტოპიურობა-არათანმიმდევრულობისა. „კალმასობაში“ მოცემული წინადადების ცხოვრებაში განხორციელება ხელს შეუწყობდა ძველი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების რღვევასა და ახლის გამარჯვებას. ამიტომ იოანე ბატონიშვილის რეაქციონერთა ბანაკში მოქცევა, თუნდაც ბატონყმობის საკითხში, ვფიქრობთ, არაა გამართლებული[90].

---

86 იქვე, გვ. 234.

87 ვ. დონდუა, დასახ. ნაშრომი, გვ. XII—XIII.

88 ალ. ტალიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

89 თ. კუკავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 28—29, 55; ალ. ტალიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 190—192.

90 ს. ბერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 389, 406. ინტერესს მოკლებული არაა იმის აღნიშვნა, რომ იოანე ბაგრატიონი ქალების სწავლა-განათლების მომხრეც იყო. ომან ხერხეულიძის კითხვაზე „მაშა, დედაკაცთაც უნდა იცოდნენ ცოდნაი?“ — ხელაშვილმა უპასუხა: „ნამდვილად უნდა ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება იოანე ბაგრატიონის მოღვაწეობა-შემოქმედების ორ პერიოდად — საქართველოსა და რუსეთის (პეტერბურგის) პერიოდებად დაყოფის შესახებ. პირველი პერიოდის შეხედულებები, მკვლევართა აზრით, ყველაზე უფრო ნათლად „სჯულდებაში" აისახა, ხოლო მეორის — „კალმასობაში"[91]. თავისთავად ამ დაყოფაში კრიმინალური არაფერია, მაგრამ მთავარია, თუ რა უდევს მას საფუძვლად. ალ. ტალიაშვილის აზრით, ასეთი დაყოფის აუცილებლობას კარნახობს ბატონიშვილის შეხედულებათა სხვადასხვაობა დასახელებულ პერიოდებში. რუსეთის დროინდელი მისი იდეები, არსებითად განსხვავდება საქართველოს დროინდელისაგან. „სჯულდებაში", — წერს ალ. ტალიაშვილი, — ი. ბაგრატიონი ოფიციალურ, მაგრამ პროგრესულ-განმანათლებლურ პოზიციაზე დგას, ხოლო „კალმასობაში" ოპოზიციურ-განმანათლებლურ იდეებს ქადაგებს"[92]. ავითარებს რა ამ დებულებას, ავტორი აღნიშნავს: „ი. ბაგრატიონის განმანათლებლობა (მეორე პერიოდში· — ი. ა.)... არსებითად განსხვავდება მისი მოღვაწეობის პირველი პერიოდის განმანათლებლური იდეებისაგან. ადრე თუ იგი ოფიციალურ, არაოპოზიციურ-განმანათლებლურ პოზიციაზე იდგა, ახლა მამხილებლად გველინება. იგი ამხელს არა მარტო მსხვილ ფეოდალებს, მათ შორის გამართულ ქიშპობას, მეფის საწინააღმდეგო პოლიტიკურ ინტრიგებს, სამეფო კარს, მის საგვარეულოს, არამედ, რაც მთავარია, საზოგადოდ ტირანიას, დესპოტიზმს, მონობას, სოციალურ უსამართლობას და სხვ."[93]

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ დებულებას· „სჯულდებისა" და „კალმასობის" გულდასმით შესწავლა, ვფიქრობ, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იოანე ბაგრატიონის მეორე პერიოდის იდეები პრინციპულად დავუპირისპიროთ პირველი პერიოდის იდეებს. არა მგონია მართალი იყოს დასკვნა აქ დასახელებულ ძეგლებს შორის არსებითი განსხვავების არსებობის შესახებ. პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალური ურთიერთობის ყველა ძირითად საკითხზე „კალმასობაში" იგივე თვალსაზრისია განვითარებული, რაც „სჯულდებაში". მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ მეფისა და სამეფო ხელისუფლებისადმი ბატონიშვილის დამოკიდებულების საკითხი. იგი ტირანი, დესპოტი მეფის წინააღმდეგ გამოდის არა მარტო „კალმასობაში", როგორც ფიქრობს ალ. ტალიაშვილი, არამედ „სჯულდებაშიც". განა ამ უკანასკნელში არაა ლაპარაკი თორმეტი კაცისაგან შემდგარ მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ, იმის შესახებ, რომ ქვეყნის მესვეური უნდა ყოფილიყო გონიერი, განათლებული, ქვეშევრდომთა ჭირ-ვარამის გამზიარებელი, მათი სიდუხჭირიდან გამომყვანი, მათთვის მზრუნველი, მათი აზრების უშუალოდ მომსმენი და სწრაფი პასუხის გამცემი (ხუთ დღეში)[94]· რა სიახლეა ამ საკითხში მოგვიანებით დაწერილ „კალმასობაში? ვფიქრობთ, არავითარი. მართალია, „კალმასობაში" ამაზე უფრო დაწვრი-

---

წავლონ ყოველი სწავლა, მეცნიერება, ისტორია, ღეოღრაფია, ზნეთ-სწავლება, არიხმეტიკა, ხელთსაქმეობა და იკონომია, რომ ვისიც ოჯახში მივიდეს, სრულებაში მოიყვანოს იგი და მეტადრე სამეფოს სახლისათვის გამზადებულნი უფრო უნდა იყვნენ სწავლითა სრულნი" (კალმასობა, ტ. I, გვ· 242).

[91] ალ. ტალიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 185—187.

[92] იქვე, გვ· 187.

[93] იქვე·

[94] იხ. ზემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებითა და მეტი დამაჯერებლობითაა ლაპარაკი, მაგრამ თ ვ ი ს ო ბ რ ი ვ ი აზრთა სრული იდენტურობაა. თანაც, აქაც და სხვა შემთხვევაშიც უნდა გვახსოვდეს და მხედველობაში გვქონდეს განსახილველ ძეგლთა სხვადასხვა დანიშნულება და ხასიათი. „სჯულდება“ კანონპროექტია და ამიტომ, ცხადია, მასში ვრცელი მსჯელობების გაშლა და ამა თუ იმ წინადადების მაგალითებითა და ანალოგიებით დამტკიცება-დასაბუთება გამორიცხული იყო. „კალმასობა“ კი ამის სრულ შესაძლებლობას იძლეოდა.

იოანე ბაგრატიონი, როგორც ვნახეთ, არც ერთ ძეგლში არ გამოდის ბატონყმური ურთიერთობის პრინციპულ მოწინააღმდეგედ, არც ერთ მათგანში არ დგას მისი მოსპობის პოზიციაზე. როგორც „სჯულდებაში“, ისე „კალმასობაში“ ავტორი აკრიტიკებს აღნიშნული სოციალ-ეკონომიკური წყობის მახინჯ, განსაკუთრებით თვალშისაცემ მხარეებს, მოითხოვს მათ ლიკვიდაციას.

თავის ორივე ქმნილებაში ბატონიშვილი ავითარებს აზრს მწარმოებელი კლასისადმი უფრო ადამიანური დამოკიდებულების, მათი მხოლოდ კანონის შესაბამისად დაბეგვრის, დადგენილი საგადასახადო ნორმების დაცვისა და უდების არდადების შესახებ. ორივე ნაწარმოებში გატარებულია თვალსაზრისი ბატონის და ყმის ურთიერთმზრუნველობის საჭიროება-აუცილებლობის შესახებ. მართალია, „კალმასობაში“ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიტიკა გაცილებით უფრო მკაცრად და კოლორიტულადაა მოცემული, მაგრამ ეს კრიტიკა არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის უარყოფამდე არ მისულა და ამდენად გაუმართლებელია ლაპარაკი თ ვ ი ს ო ბ რ ი ვ ა დ ა ხ ა ლ, „სჯულდების“ იდეებიდან ა რ ს ე ბ ი თ ა დ განსხვავებული აზრების შესახებ ამ ძეგლში.

იგივე ითქმის იოანე ბაგრატიონის შეხედულებებზე სწავლა-განათლების შესახებ. როგორც პირველ, ისე მეორე ნაწარმოებში, საგანგებოდაა აღნიშნული სწავლა-განათლების მნიშვნელობა. თანაც, კანონპროექტში დაყენებულია საკითხი საერთო სკოლების შექმნის, მათი სასულიერო უწყებიდან გამოყოფისა და საზოგადოების ყველა ფენისათვის (მათ შორის გლეხებისათვის) სწავლის უფლების მიცემის შესახებ. და მერე ესაა არაპოზიციური დამოკიდებულება იმ წესებისადმი, რომლებიც არსებობდნენ საქართველოში „სჯულდების“ შექმნის დროს? „კალმასობაში“ ბატონიშვილის აზრები უ ფ რ ო გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი დ ა დ ა ხ ვ ე წ ი ლ ი ა, მაგრამ თვისობრივად ახალს არაფერს შეიცავს.

სიახლე არც ეკონომიკურ პრობლემებზე საუბრისას იგრძნობა. აზრს იმის შესახებ, რომ ქვეყნის სამეურნეო და სამხედრო-პოლიტიკური ძლიერებისათვის, მისი კულტურული წინსვლისათვის აუცილებელია ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, ბატონიშვილი მკაფიოდ ატარებს „სჯულდებაშიც“ და „კალმასობაშიც“, თუმცა უკანასკნელში უფრო ვრცლად და დასაბუთებულად, ვიდრე პირველში. მრეწველობისა და ვაჭრობის განსაკუთრებული როლის გახაზვა განა არ იყო კრიტიკულ-ოპოზიციური დამოკიდებულება მოწინააღმდეგე შეხედულების მქონე ფეოდალური კლასის აბსოლუტური უმრავლესობისადმი? აქ მხოლოდ დადებითი პასუხი შეიძლება იყოს.

ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, არ გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ „კალმასობა“ თავისი იდეებით არსებითად განსხვავდება „სჯულდებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან“. პირველი, მართალია, უფრო მაღალი[96], უფრო განვითარებული საფეხურია ბატონიშვილის აზროვნებაში, ვიდრე მეორე, მაგრამ არა სრულიად ახალი და თვისობრივად განსხვავებული.

И. И. АНТЕЛАВА

# ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЕ ВЗГЛЯДЫ ИОАННА БАГРАТИОНИ

Резюме

В статье доказывается, что Иоанн Багратиони (1768—1830 гг.) принадлежал к числу оппозиционно настроенных мыслителей, подвергавших резкой критике уродливые черты феодально-крепостнической системы. Но из этой критики он не делал далеко идущих выводов, не ставил вопроса о замене феодального строя новым, более прогрессивным буржуазным строем. Багратиони призывал господствующий класс к умеренной эксплуатации крестьян, более мягкому отношению к подвластным, соблюдению «крепостнического распорядка». Излишнее отягощение трудового населения рассматривалось им как противозаконное действие, нарушавшее мирное течение жизни. Так писал царевич Иоанн в своем проекте государственных преобразований, известном под названием «Законоположение» (1799 г.), так писал он и в «Калмасоба или хождение по сбору» (1828 г.). С этой точки зрения между этими памятниками нет принципиальной разницы, как предполагают некоторые исследователи. «Калмасоба», по мнению автора статьи, является более обстоятельным развитием и обоснованием взглядов, высказанных в «Законоположении». Иоанн Багратиони высмеивает феодалов, не понимавших огромного значения просвещения, ратует за его развитие, за прогресс сельского хозяйства, промышленности и торговли. Он делает конкретные предложения, осуществление которых могли поставить страну на путь экономического, политического и культурного подъема. Изучение литературного наследия Иоанна Багратиони (Царевича) свидетельствует о раннепросветительском характере его мировоззрения.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. რობაქიძე, ა. ქალდანი

# ქართველ მთიელთა კოშკური კულტურის ზოგიერთი საკითხი

## (საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის)

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის განაკვეთი „საცხოვრებელი ნაგებობანი და დასახლების ფორმები“ მრავალ ელემენტს მოიცავს. მის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს ქართველ მთიელთა კოშკური კულტურა წარმოადგენს, რომელიც დიდი ხანია მოგზაურთა და მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. ხსენებულ თემაზე ლიტერატურა თანდათან იზრდება. სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული, არც თუ იშვიათად ერთმანეთის საწინააღმდეგოც.

კოშკური კულტურა ხალხური სამშენებლო ხელოვნების ნიმუშია და ორმხრივაა საინტერესო, როგორც ხუროთმოძღვრული, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. ამდენად, მისი შესწავლა ორივე მიმართულებითაა აუცილებელი, რადგანაც „ციხის სოციოლოგია განსაზღვრავს უმთავრესად მის არქიტექტურას, ციხის არქიტექტურა დიდად გვშველის მის სოციოლოგიურ შესწავლაში“[1]. ისტორიული მეცნიერების უმთავრეს საზრუნავს შეადგენს ამ ნაგებობათა სოციალური ფუნქციის გამოვლინება, იმ ხალხის შესწავლა, ვისაც ეს ნაგებობანი ეკუთვნის.

დიდი ხნის მანძილზე კოშკური კულტურის შესწავლა მისი შემქმნელი საზოგადოების შესწავლის გარეშე ხდებოდა, მაგრამ კოშკური კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის პირველივე ცდებიდან ნათელი გახდა, რომ მატერიალური კულტურის ძეგლები ერთ-ერთი საიმედო და მნიშვნელოვანი წყაროა სოციალური კულტურის შესწავლისათვის[2].

ხუროთმოძღვრების ფორმები, ისევე როგორც სხვა ინსტიტუტები, იქმნებიან, ყალიბდებიან და ვითარდებიან სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შესაბამისად.

რევოლუციამდელ ლიტერატურაში ქართველ მთიელთა კოშკური კულტურის შესახებ ცნობები აქა-იქაა გაბნეული; მათ ფრაგმენტული ხასიათი აქვთ და მეტწილად უზუსტოცაა. საქართველოსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე კოშკური კულტურა საკმაოდ ადრიდანაა დაფიქსირებული[3]. მოგვიანებით,

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წ. ექსპედიციის დღიურები, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964, გვ. 88.

[2] А. И. Робакидзе, Поселение как источник изучения общественного быта, М., 1964.

[3] Ксенофонт, Анабасис, М.-Л., 1951, გვ. 107, 130; აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1970, გვ. 161, 127; V ს-ის ანონიმი, გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965; სკიმნოს ქიოსელი, ღედამიწის აღწერილობა; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967, გვ. 97; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 204; ნიკოლოზ დამასკელი, ზნეჩვეულებათა კრებული;

ეროვნული

განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან, ქართველ მთიელთა კოშკურ კულტურას მრავალი მოგზაური თუ მკვლევარი ეხება[4] და წარმოგვიდგენს აღწერილობებს ხშირად მასალის განზოგადების გარეშე. ამასთან ბევრ შემთხვევაში მომდევნო მკვლევარი ან საერთოდ არ იყენებს მისი წინამორბედის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ან უკრიტიკოდ იმეორებს მას. ასე მაგალითად: ვახუშტის მთიელთა კოშკური კულტურის შესახებ გამოთქმული აქვს მოსაზრება: „...თუ განდიდნეს ანუ განმდიდრდეს ოვსი ანუ დუალი, ანუ შეირთავს ორ სამს ცოლსა, ანუ აღაგებს კოშკსა, ანუ მოკლავს კაცსა, და უკეთუ მძლეველ ექმნას მესისხლე თჳსი, შევალს კოშკსა შინა და არღარა გამოვალს სიკუდილამდე“[5]. მოსაზრების პირველ ნაწილში მკვლევარი სწორია— კოშკის აგების წინაპირობანი მას ზუსტად უპოვია, მაგრამ ბოლოში რამდენადმე აჭარბებს — ასეთი რამ არც ერთი წყაროთი არ დასტურდება. მოგვიანებით დ. ბაქრაძე ამ აზრს უკომენტაროდ იზიარებს[6].

არასწორად აქვს გაგებული ზოგ მკვლევარს ვახუშტის მეორე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ოსები „გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმელოდ, და მრავალსა ერთმანეთსა ზედა, და კოშკსა ფიქალთა ქვათაგან მიწითა მაღალს კლდე-გორიანსა ზედა, ვინაჲთგან გამოუნახავთ უმჯობელად ზუავისა კუეთებისათჳს, რამეთუ არღარა ეკუეთჳს, გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა, ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დგას მტკიცედ“[7]. მკვლევარს კარგად შეუმჩნევია, რომ „ოვსნი“ დასახლების ადგილს არჩევენ „მაღალს კლდე-გორიანსა ზედა“, რათა მას ზვავის საფრთხე ააცილონ. რაც შეეხება კოშკის „რყევას“, აქ მკვლევარს შეცდომა მოსვლია. როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, ქვა კარგად მუშაობს კუმშვაზე. მისი სხვა მახასიათებლების მაჩვენებელი დაბალია. რკინა კარგად მუშაობს კუმშვაზე, გაჭიმვაზე, ღუნვაზე და ამდენად, რკინისა თუ რკინაბეტონის მაღლივი ნაგებობების ზედა ბოლოები ირყევა ისე, რომ ამით ნაგებობა არ ირღვევა. ქვის ნაგებობის „რყევას“ ცხადია, მისთვის საბედისწერო შედეგი მოჰყვება. მკვლევრის მოსაზრებას კოშკის „რყევის“ თაობაზე უკომენტაროდ იზიარებს პროფ. დ. მშვენიერაძე[8].

ქართველ მთიელთა კოშკური კულტურის მეცნიერული კვლევა საბჭოთა ხელისუფლების წლებში იწყება. ამ მხრივ აღსანიშნავია პირველ ყოვლისა ს. მა-

---

ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებებში, თბ., 1964, გვ. 437; პრისკე პანიონელი, უთანხმოება სვანთა ტომთან, გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 261; თეოდოსი განგრელი, ანასტასი აპოკრისიარის წერილიდან, გეორგიკა, IV, თბ., 1941, გვ. 41—42.

[4] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973; Байерн, О древних сооружениях на Кавказе, ССК, I, Тиф., 1871; И. И. Пантюхов, О пещерных и позднейших жилищах на Кавказе, Тиф., 1896,; ბ. ნიჟარაძე, უშგულის აღწერა, „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“, II, თბ., 1964; Р. Эристов, Заметки о Сванетии, Тиф., 1898; Путешествие Г. И. Радде, ЗКОРГО, кн. VII, вып. I, Тиф., 1866; ემილ ლევიე, მოგზაურობა საქართველოში, „მოამბე“, XII, ტფ., 1894; Л. Б. Панек, Жилище мтиулов, СМАЭ, т. XI, Л., 1930; ალევველი, მგზავრის შენიშვნები, „კრებული“, № 7, 1872 და სხვა.

[5] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 640.

[6] Д. М. Бакрадзе, Главныз сведения о горских племенах... отчет общества восстановления христианства на Кавказе за 1861 г., გვ. 24.

[7] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 640.

[8] Д. М. Мшвениерадзе, Сгроительное искусство в древней Грузии, Тб., 1959, გვ. 34.

კალათიას ნაშრომები[9], რომლებშიც სერიოზული მეცნიერული მოსაზრებებია გამოთქმული, თუმცა მკვლევარი ქართველ მთიელთა კოშკურ კულტურას გვაროვნული წყობის ნაყოფად თვლის, რაც იმ პერიოდის ქართული ეთნოგრაფიული აზროვნებისათვის საერთოდ იყო დამახასიათებელი.

მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვთ შექმნილი ხუროთმოძღვრებს მ. ჯანდიერსა და გ. ლეჟავას[10]. საცხოვრებელი კომპლექსების მათ მიერ მოცემული კარგი ანაზომები პროფესიულ დონეზე დგას, მაგრამ ანალიზის პროცესში მათაც შეცდომები დაუშვიათ. თავის დროზე აღინიშნა, რომ მკვლევრებმა სარდაფების (დილეგების) გეგმები კარგად შეასრულეს, მაგრამ მათ ფუნქციებზე ზოგად და ბუნდოვან ცნობებს იძლევიანო[11]. მართლაცდა, ხუროთმოძღვრებს ყოველმხრივ რომ შეესწავლათ მთური საცხოვრებელი კომპლექსების შემადგენელი ეს ელემენტი, ამ კომპლექსებს „გვაროვნული არქიტექტურის"[12] სახელით არ მონათლავდნენ.

გვაროვნული თეორიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში გამოითქვა მეორე უკიდურესობის ამსახველი დებულება საქართველოს მთიანეთში აღმოსავლური მონათმფლობელური ტიპის ადრეკლასობრივი საზოგადოების შესახებ[13].

კოშკური კულტურის შემდგომი შესწავლის შედეგად კიდევ ერთხელ იქნა უარყოფილი გვაროვნული წყობის არსებობა საქართველოს მთიანეთში. სვანეთის კოშკური კულტურის, დასახლების ფორმებისა და სათანადო წერილობითი წყაროების შესწავლამ საბოლოოდ ცხადყო, რომ დასახლების პროცესში განსახლების გვაროვნული პრინციპი საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან ყოფილა დარღვეული და სვანური დასახლება თავისი საცხოვრებელი კომპლექსებით გვარის ინტერესებს კი არ პასუხობს, არამედ განვითარებული საზოგადოების ინტერესებს. თვალნათლივ წარმოდგა, რომ კოშკური კულტურა ქართული ხალხური სამშენებლო ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს და ის საზოგადოებრივი განვითარების აღმავალი საფეხურების მოწმეა[14]. ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებულმა დებულებამ შემდგომი განვითარება პოვა ა. ჩარკვიანისა და გ. გასვიანის ნაშრომებში[15], ძირითადად წერილობით წყაროებზე დაყრდნობით.

[9] ს. მაკალათია, მთის რაჭა, ტფ., 1930; მისივე, მთიულეთი, ტფ., 1930; მისივე, თუშეთი, ტფ., 1933; მისივე, ხევი, ტფ., 1934; მისივე, ფშავი, ტფ., 1934; მისივე, ხევსურეთი, ტფ., 1935; მისივე, თავდაცვითი და საბრძოლო ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბ., 1945.

[10] М. И. Джандиери и Г. И. Лежава, Архитектура Сванетии, М., 1938; მათივე, Архитектура горных районов Грузии, М., 1940.

[11] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, ტფ., 1939, გვ. 142.

[12] М. И. Джандиери и Г. И. Лежава, დასახ. ნაშრომი, გვ. 4, 6, 20.

[13] В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, გვ. 011; Г. С. Читая, Этнография, в сб. «Грузинская советская историография», Тб., 1964, გვ. 89. (შდრ.: А. И. Робакидзе, Г. Г. Гегечкори, Формы жилища и структура поселения горной Осетии, КЭС, VI, Тб., 1975, გვ. 8, 9).

[14] А. И. Робакидзе, К вопросу о формах поселения в Сванети, КС ИЭАН СССР, XXXIX, М., 1958; მისივე, Жилища и поселения Грузии в прошлом и настоящем, КС АН СССР, XXXVI, М., 1961; მისივე, Поселения как источник изучения общественного быта; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964; მათივე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.

[15] ა. ჩარკვიანი, სვანეთი, თბ., 1967; გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ საქართველოში მძლავრი ფეოდალური მონარქიის დროს მთაში გვაროვნული წყობილების უარყოფა არ ნიშნავს ამ მხრივ მთისა და ბარის სრულ გათანაბრებას, რაც სათანადოდ იყო თავიდანვე შენიშნული ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილისა და სხვათა შრომებში. ბოლო წლების გამოკვლევებში განსაზღვრულია ბარისა და მთის ფეოდალიზმს შორის განსხვავების პირობები და ხასიათი[16].

ქართველ მთიელთა კოშკური კულტურის შესწავლისათვის საინტერესო მონაცემებს შეიცავენ ვ. ითონიშვილისა[17] და მ. ჩართოლანის[18] გამოკვლევები. მათ მიერ მოპოვებული მასალა და დასკვნები მნიშვნელოვანია კოშკური კულტურის სოციალური ბუნების გარკვევისათვის.

კოშკური კულტურის კლასიფიკაციის საფუძვლად სხვადასხვა ნიშანი შეიძლება იყოს აღებული: დაგეგმარება, მასალა, გადახურვის წესი, მდებარეობა, სართულიანობა და ა. შ.

ზოგადკავკასიური მასალის საფუძველზე კლასიფიკაციის შემუშავების ცდა მოცემულია ვ. კობიჩევისა და ალ. რობაქიძის ნაშრომში[19].

ქართველ მთიელთა კოშკური კულტურის კლასიფიკაციის საფუძვლად ის ფაქტორი უნდა იყოს აღებული, რომელიც თვალნათლივ ასახავს მის ბუნებას. ქართველ მთიელთა კოშკურ კულტურაში ძირითად ნიშანთა შორის თავიდანვე დაცვითი ფუნქცია ჩანს დაწინაურებული. მართლაცდა, საქართველოს მთიანეთის იმ ზოლში, რომელიც ჩრდილო კავკასიას ესაზღვრებოდა, დაცვითი ფუნქციის წინა პლანზე წამოწევისათვის ობიექტური წინაპირობანი არსებობდა. ჯერ ერთი საჭირო იყო ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ტომებისაგან უვნებელყოფა, აუცილებლობას წარმოადგენდა ბარის ფეოდალთა შემოტევებისაგან თავდაცვა და ასევე შინაგანი უთანხმოების, შუღლისა და მტრობის პირობებში თავის შენარჩუნება. მსგავსი ვითარება განაპირობებდა მაღალგანვითარებული კოშკური კულტურის შექმნა-ჩამოყალიბებას.

კოშკური კულტურა ზოგადი ცნებაა და მოიცავს მთური საცხოვრებელი კომპლექსების რამდენიმე სახეობას: კოშკურ საცხოვრებელს (ციხე-სახლი), კოშკიან-სახლიან საცხოვრებელს, გალავნიან-კოშკიან საცხოვრებელ კომპლექსს და მათ ნაირსახეობებს.

---

[16] გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973; ზ. ანჩაბაძე, ალ. რობაქიძე, კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVIII, 1973, გვ. 111—126; Г. Меликишвили, К вопросу о характере древних закавказских и средневековых горских северокавказских классовых обществ, История СССР, 6, 1975, გვ. 51—52.

[17] ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967; მისივე, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, კეკ, I, თბ., 1964; მისივე, სახლის მშენებლობის ხალხური წესები ხევში, „მაცნე“, № 6, თბ., 1965, გვ. 166—183.

[18] მ. ჩართოლანი, ძველი საცხოვრებელი კომპლექსი სვანეთში, მუზეუმის „მოამბე“, თბ., XXVI—B, 1970.

[19] В. П. Кобычев, А. И. Робакидзе, Основные типологии и картографирования жилища народов Кавказа, СЭ, 2, М., 1967, გვ. 26—44. შდრ.: А. И. Робакидзе, К вопросу о форме поселения в Сванети; მისივე, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბათუმის ინსტ. „შრომები“, I, ბათუმი, 1967; მისივე, Жилища и поселения горцев Грузии в прошлом и настоящем; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად; მათივე, მთიულეთის სოფელი ძველად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 1. სოფ. ჩაჟაში



სურ. 2. გ. ნიჟარაძის კოშკურა საცხოვრებელი სოფ. ჩაჟაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 1. ს. ღვაჩლიანის კოშკიანი სახლი სოფ. მურყმელში



სურ. 2. ს. ღვაჩლიანის საცხოვრებელი კომპლექსის ფასადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად ყველაზე კარგად სვანეთის კოშკური კულტურაა შესწავლილი და კლასიფიცირებული. მისი კლასიფიკაციის საფუძვლად დაცვითი ფუნქცია იქნა აღებული, რომელმაც გამოავლინა შემდეგი სახეობანი: კოშკური საცხოვრებელი (ციხე-სახლი); კოშკიან-სახლიანი საცხოვრებელი; გალავნიან-კოშკიანი საცხოვრებელი; სვანირიანი სახლი; სანცხვირიანი სახლი[20].

ანალოგიური სურათი წარმოაჩინა მთიულეთის კოშკური კულტურის შესწავლა-კლასიფიკაციამ. დაცვითი ფუნქციის სრულყოფის თვალსაზრისით მკვლევრებმა აქ გამოავლინეს შემდეგი სახეობანი: კოშკური საცხოვრებელი (ციხე-სახლი); ციხიანი სახლი (კოშკიან-სახლიანი საცხოვრებელი); ციხიან-გალავნიანი საცხოვრებელი[21].

ამ ცოტა ხნის წინ პროფ. მ. გეგეშიძემ კოშკური კულტურის ძირითადი ფუნქცია დაუკავშირა ეკოლოგიურ კონცეფციას. მკვლევარს შეუსწავლია სვანური კოშკი და ანალიზმა იმ დასკვნამდე მიიყვანა, თითქოს ის უნდა იყოს ბუნებრივი სტიქიის, უხვთოვლიანობისა და ზვავებისაგან თავდაცვის საჭიროებით შექმნილი ნაგებობა და მის ძირითად ფუნქციად არ შეიძლება მივიჩნიოთ მტრისაგან თავდაცვა[22]. თუ რამდენად შეესაბამება ეს მოსაზრება სინამდვილეს, ამას ქვემოთ დავინახავთ.

ქართველი მთიელები ძველთაგანვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საცხოვრებლისათვის ადგილის შერჩევას. ასეთ ადგილს გარკვეული მოთხოვნილებები უნდა დაეკმაყოფილებინა, კერძოდ, ითვალისწინებდნენ ყამირის წყლების დონეს, მხედველობაში იღებდნენ ქარების მიმართულებას, სასმელი თუ მინერალური წყლების სიახლოვეს, სახნავ-სათესი მიწების მდებარეობას, საგზაო კომუნიკაციების სიახლოვეს, დაცული უნდა ყოფილიყო წყალდიდობისა თუ ზვავებისაგან[23] და, რაც მთავარია, შერჩეულ ადგილს თავდაცვისათვის ხელსაყრელი მდებარეობა უნდა ჰქონოდა.

აღნიშნულის დასადასტურებლად რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. სოფ. შატილი პირიქით ხევსურეთში გაშენებულია ორი მდინარის — არგუნისა და მითხურის შეერთების ადგილას კლდოვან ბორცვზე. სოფელი დაცულია წყალ-

[20] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, გვ. 23—40; ა. ქალდანი, სვანეთის საცხოვრებელი კომპლექსები, სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1974.

[21] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, გვ. 28—31.

[22] ლ. ბერიაშვილი, ე. ორჯონიკიძე, ნ. ბერძენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, თბ., 1975, გვ. 168.

[23] 1976 წ. იანვარი საქართველოს მთიანეთში უხვთოვლიანი გამოდგა. ზემო სვანეთში თოვლის საფარის სისქემ ბევრგან 4 მ გადაამეტა. ფერდობებიდან დაძრულმა ზვავებმა ყველაზე მეტად ჭუბერის ხეობა დააზარალა (გ. ნოდია, ზვავებთან ჭიდილში, გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 26 თებერვალი, № 47, გვ. 4). ჭუბერის ხეობის მეორადი ათვისება-დასახლება XIX ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება (ეგ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925, გვ. 39—40). ახალმოსახლენი აქ არსებულ უღრან ტყეებს წვავდნენ, რათა მათთვის სახნავ-სათესი სავარგულები წაერთმიათ. ხანძრებმა მოაშიშვლეს როგორც ვაკე ადგილები, ისე დაქანებული ფერდობებიც. ამას დაემატა რიგი წლების მანძილზე ხე-ტყის დამზადების არასწორად ორგანიზებული წარმოება. ჩეხავდნენ განურჩევლად დიდსა და პატარა ხეებს, მოშიშვლებული ფერდობების გატყევებაზე კი აღარავინ ფიქრობდა. ყოველივე ამას უსიამოვნო შედეგი მოჰყვა. ზემოაღნიშნული კიდევ ერთი საბუთია იმისა თუ რა ფრთხილად უნდა მოვეპყრათ ბუნებას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზვავებმა ზემო სვანეთში დააზიანა და საფრთხე შეუქმნა ძირითადად შედარებით ამ მცირე ხნის წინ დასახლებულ პუნქტებს ჭუბერსა და ლახამულაში. ძველ სოფლებს ზვავების საფრთხე თითქმის არ განუცდიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდობისაგან (წყლის დონიდან საკმაოდ მაღლა მდებარეობს), ზვავების საფრთხე არსაიდან ემუქრება, ყამირის წყლების საშიშროება გამორიცხულია. სტრატეგიული თვალსაზრისით ადგილი იდეალურადაა შერჩეული. სამი მხრიდან ის მდინარეების წყლითაა დაცული; მოხერხებულადაა გამოყენებული კლდოვანი ბორცვი, რომელიც კოშკურა საცხოვრებლების განაშენიანებით კიდევ უფრო მიუვალი გაუხდიათ.

უშგულის საზოგადოების სოფ. ჩაჟაში ზემო სვანეთში მდინარეების ენგურისა და ქვიშორის შეერთების ადგილასაა შემაღლებულ ბორცვზე აღმართული. წყალდიდობისა და ზვავების საშიშროება გამორიცხულია. ყამირის წყლები არაა. სოფელს გვერდით ჩაუდის ზემო და ქვემო სვანეთის ერთმანეთთან დამაკავშირებელი მთავარი საგზაო კომუნიკაცია. სტრატეგიული თვალსაზრისით ადგილი აქაც ოპტიმალურადაა შერჩეული. ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის მხარეებიდან სოფელი მდინარეების წყლებითაა დაცული. ბუნებრივი ბარიერი ადამიანის ხელს კიდევ უფრო მიუვალი გაუხდია ხელოვნური ჩარევით. სოფელში ამართული კოშკები მას თითქმის მიუვალს ხდიან.

აღწერილის მსგავსი მდებარეობა გააჩნიათ ლენტეხის რაიონის დღევანდელი ცენტრის ადგილას არსებულ ძველ დასახლებას, სოფ. ღებს მთის რაჭაში და სხვ.

თითქმის ყველა ძველი სოფლისა თუ ნასახლარის დაგეგმარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დასახლებული პუნქტისათვის ადგილის შერჩევისას სხვა ფაქტორებთან ერთად ერთ-ერთი წამყვანი მნიშვნელობა სტრატეგიულად მოხერხებული მდებარეობის გათვალისწინებას ენიჭებოდა, ამდენად ჭეშმარიტებას არაა მოკლებული ის ფაქტი, რომ ყველა მოგზაური თუ მკვლევარი ქართველ მთიელთა სოფლებს ციხე-სიმაგრეს ადარებს ან უწოდებს[24].

ახლა გადავავლოთ თვალი კოშკური კულტურის იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც აშკარად მიუთითებენ მათში თავდაცვითი ფუნქციის წამყვან როლზე.

საქართველოს მთიანეთის კოშკურ კულტურაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კოშკურა საცხოვრებელს (ციხე-სახლი). მსგავსი ნაგებობანი ფართოდაა გავრცელებული ცენტრალური კავკასიონის სხვა რეგიონებშიც[25].

---

[24] Путешествие Г. И. Радде, გვ. 29, 30; В Сванетии, из путешествия Иванюкова и М. Ковалевского, ВЕ. 8, 1886, გვ. 566; В. Я. Тепцов, Сванетия СМОМПК, вып. X, отд. I, Тиф. 1890, გვ. 6; ემილ ლევიეს მოგზაურობა საქართველოში, „მოამბე", XII, ტფ., 1894, გვ. 98, 110—111; ა. დიუმა, კავკასია, თბ., 1964, გვ. 44—45; А. Кожевников, Человеческий заповедник, М.-Л., 1930, გვ. 71—72; С. С. Анисимов, Сванетия, М., 1940, გვ. 83; М. Джандиери и Г. Лежава, Архитектура горных районов Грузии, გვ. 54; ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, გვ. 15 და სხვ.

[25] Байерн, О древних сооружениях на Кавказе, ССК, I, Тиф., 1871, გვ. 299; И. И. Пантюхов, О пещерных и позднейших жилищах на Кавказе, Тиф., 1896, გვ. 62; И. П. Щеблыкин, Искусство ингушей в памятниках материальной культуры, ИИНИИК, I, Влад., 1928, გვ. 282; Л. П. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1925—1932 гг., Грозный, 1963, გვ. 30; В. П. Христианович, Горная Ингушетия. Р. на Д. 1928, გვ. 40; А. И. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей, КЭС II, Тб., 1968, გვ. 48—58; Ал. Робакидзе, Г. Гегечкори, დასახ. ნაშრომი; А. Х. Магомедов, Культура и быт осетинского крестьянства, Орджоникидзе, 1963, გვ. 94, 96; Г. Г. Гегечкори, Горные жилые комплексы Чечено-Ингушетии, Автореферат, Тб., 1970.

კოშკური საცხოვრებელი წარმოადგენს ცალკე მდგომ ქვის მრავალსართულიან მონუმენტურ ნაგებობას, რომელშიც გაერთიანებულია თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო ფუნქციები, ამასთან ამ ფუნქციების მატარებელი სათავსები ვერტიკალურ ჭრილშია განლაგებული.

როგორც წესი, კოშკური საცხოვრებლის პირველი სართულის სათავსი, ზოგჯერ მეორეც, საქონლის სადგომად გამოიყენებოდა[26]. კოშკური საცხოვრებლის პირველი სართულის სათავსის ფართი სხვადასხვაა და იცვლება 35—80 $м^2$ ფარგლებში. აღნიშნული ფართი და არც თუ იშვიათად მეორე სართულის სათავსის კიდევ ერთი იმდენი ფართის საქონლის სადგომად გამოყენება მეურნეობის თავისებურებით იყო განპირობებული. საქართველოს მთიანეთის ალპური საძოვრები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მესაქონლეობის განვითარებისათვის და ამდენად აქ მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა[27]. კოშკური საცხოვრებლის პირველი-მეორე სართულის სათავსების დანიშნულება სავსებით ადასტურებს ამ მოსაზრებას.

სამსართულიან კოშკურ საცხოვრებელში მეორე სართულის სათავსი ოჯახის საცხოვრებლად გამოიყენებოდა[28]. თუ ნაგებობა მრავალსართულიანი იყო, მაშინ ოჯახი მესამე, მეოთხე ან მეხუთე სართულზეც კი ცხოვრობდა. კოშკური საცხოვრებლის ზედა ბოლო სართული დაცვის მიზნებს ემსახურებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თავდაცვის მიზნით ქვედა სართულებზეც გვხვდება სათოფური ხვრელები. სვანეთში მსგავსი რამ არ შეგვხვედრია. იქ დაცვის მიზნებს მხოლოდ ზედა ბოლო სართული ემსახურებოდა. ამ სართულზე წინასწარ იმარაგებდნენ საკვებსა და სასმელს, რაც აუცილებელი იყო ხანგრძლივი გარემოცვის პირობებში. თავდაცვითი ოპერაციების საწარმოებლად აქვე წინასწარ იმარაგებდნენ საომარ საჭურველსა (ისრები, ტყვიაწამალი, სასროლი იარაღი) და სხვადასხვა ზომის ქვებს, რომლებსაც კოშკურ საცხოვრებელთან მოსულ მტერს თავზე აყრიდნენ.

ოჯახის საცხოვრებელი სათავსის ზევით ატანით მშენებლები აძნელებდა ოჯახის წევრთა სამყოფზე იერიშის მოტანას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მტერი პირველი სართულის სათავსის დაკავებას მოახერხებდა. გარემოცული ოჯახის წევრები ხის გადასაადგილებელ კიბეს ზევით აიტანდნენ და მცირე ზომის ოთხკუთხა ასასვლელს ფიქალის ქვის სარქველს აფარებდნენ, რომელზეც სიმძიმეებს აწყობდნენ. სართულებზე ადამიანების გადასაადგილებლად გადასატანი ხის კიბის გამოყენება ძირითადად თავდაცვითი ფუნქციის მოთხოვნებიდან გამომდინარეობდა.

---

[26] М. Джандиери и Г. Лежава, Архитектура горных районов Грузии, გვ. 8, 11—12, 55; ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, გვ. 29, 31; მისივე, ფშავი, გვ. 103; მისივე, ხევი, გვ. 125; მისივე, ხევსურეთი, გვ. 123; ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, თბ., 1967, გვ. 21; А. Робакидзе, Поселение как источник изучения общественного быта, გვ. 6—7; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, გვ. 28—29; А. И. Робакидзе, Жилища и поселения горных ингушей, გვ. 48; Г. Гегечкори, Горные жилые комплексы Чечено-Ингушетии, Автореферат, Тб., 1970, გვ. 25.

[27] А. И. Робакидзе, К вопросу о форме поселения в Сванетии, გვ. 58.

[28] ს. მაკალათია, ხევსურეთი, გვ. 123; ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, გვ. 21; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, გვ. 28—29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოშკური საცხოვრებლის ზედა ბოლო სართულის სათავსის თავდაცვითი ოპერაციების საწარმოებლად გამოყენებაც პრაქტიკული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. დიდი სიმაღლიდან ჩამოგდებულ ლოდსა თუ ნასროლ ისარს მეტი მომაკვდინებელი ძალა გააჩნდა.

კოშკური საცხოვრებლის ასაგებად ქვაა გამოყენებული. ზოგჯერ სართულშუა გადახურვებიც ქვის მასალით კეთდებოდა ხის შეფიცვრაზე. სახურავ მასალად სვანეთში ფიქალის ქვის ფილები გამოიყენებოდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში კი სახურავი ბრტყელი იყო, მიწურბანიანი. მშენებელი ერიდებოდა ხის მასალის გამოყენებას როგორც ინტერიერში, ისე ექსტერიერში, რადგანაც იცოდა, რომ ის სწრაფად აალებადი მასალა იყო და მომხვდურს ადვილად შეეძლო გაეჩინა მისთვის ცეცხლი. აშკარად ჩანს, რომ საშენი მასალის გამოყენებისას მშენებელი დაცვითი ფუნქციის ინტერესებიდან გამოდიოდა. ნაგებობების ქვის კედლები დაბლა სქელი, მასიური კეთდებოდა, რათა მომხდურებს გაძნელებოდათ მათი გამოთხრა ან შენგრევა.

კოშკურ საცხოვრებელში შესასვლელი კარის თავისებურება უჩვენებს თუ რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მშენებელი მის კონსტრუქციულ სრულყოფას. ძველ ნაგებობებში კარის ღიობის გვერდებზე ჩვეულებრივ ქვის მასიური ნათხალებია დატოვებული, რომლის სწორად ამოყვანა საკმაო სირთულეს წარმოადგენს. ზღურბლის ქვაზე ნათხალებს შორის ქვის ბლოკი იდებოდა. ასევე ნათხალებზე მათი სიგანის ქვის ბლოკი იყო დადებული ზემოდან. ამრიგად, ხელოვნურად იყო შექმნილი ქვის მასიური ჩარჩო, რომლის შიგნითაც, სათავსის მხარეს, მუხის ხისაგან გამოთლილ კარის სქელ ფრთას სვამდნენ. კარის ღიობის გვერდებზე კედლის სისქეში საურდულე ხვრელები იყო დატოვებული, რომლებშიც მუხის ხისავე მასიური ურდული ჯდებოდა. ამრიგად, კარის მასიური ფრთა მოქცეული იყო, ერთი მხრივ, ქვის მასიურ ჩარჩოსა და მეორე მხრივ არანაკლებ მასიურ ურდულს შორის. მისი ძალით გაღება თითქმის შეუძლებელი იყო, თუ არ გამოიყენებდნენ რაიმე შესანგრევ სპეციალურ იარაღს[29]. კარის ამგვარ რთულ აგებულებას თავდაცვითი ფუნქციის მოთხოვნილებები კარნახობდნენ. მას შემდეგ, რაც დაცვითმა ფუნქციამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ბევრგან კარის ღიობს ნათხალები მოანგრიეს მისი გაგანიერების მიზნით.

ასევე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა კოშკური საცხოვრებლის სარკმლის აგებულებასაც. სარკმელი ვიწრო, მაღალი კეთდებოდა, რაც უზრუნველყოფდა სათავსში სინათლის საჭირო რაოდენობით შეშვებას და ამასთან ოჯახის წევრთა დაცვას გარედან ყოველგვარი ხელყოფისაგან. სარკმლის ღიობს, ისევე როგორც კარისას, ქვის ჩარჩო გააჩნდა, რომელსაც მიხურვის შემდეგ ურდულით კეტავდნენ. სარკმლის აგებულება, ზომები და განლაგება გამორიცხავდა მომხვდურთა მიერ სათავსში მყოფი ადამიანების სასროლი იარაღით დაზიანებას. ზედა სართულებზე, სადაც მომხვდურებს ხელი არ მიუწვდებოდათ, სარკმლის ღიობებს შედარებით დიდი ზომისას აკეთებდნენ. მას შემდეგ რაც დაცვითი ფუნქცია კარგავს თავის ადრინდელ მნიშვნელობას, სა-

---

[29] საქართველოს მთიანეთში კარის შესანგრევად გამოიყენებოდა რამდენიმე ადგილას ხელკეტგაყრილი მორი. მას 4—6 მამაკაცი იღებდა ხელში, რამდენიმეჯერ დააჯახებდნენ კარს და შეანგრევდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსებში სინათლის მეტი რაოდენობის უზრუნველსაყოფად სარკმლებს აგანიერებენ ნათოხალების მონგრევის ხარჯზე, ხოლო ახალ ნაგებობებში მაღალ, განიერ სარკმლის ღიობებს ტოვებენ უნათოხალებოდ. დაცვითი ოპერაციების საწარმოებლად კოშკურ საცხოვრებლებს მაშიკულები, საისრე და სათოფურე ხვრელები გააჩნდა. მაშიკულებიდან უშუალოდ ნაგებობის კართან ან კედლებთან მოსულ მტერს ქვის ლოდებს აყრიდნენ თავზე. საისრე და სათოფური ხვრელებიდან ახლო და შორ მანძილზე ესროდნენ თოფს ან ისარს.

მთური საცხოვრებლის ტიპის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ხდება თავდაცვითი ფუნქციის განცალკევება საცხოვრებელ-სამეურნეო ფუნქციებისაგან და იქმნება ახალი საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ორი ნაგებობისაგან შედგება, რომელთაგანაც ერთი — კოშკი თავდაცვის მიზნებს ემსახურება, ხოლო მეორე — ორ ან სამსართულიანი სახლი კი საცხოვრებელი-სამეურნეო ფუნქციებისას. ასეთი სახის საცხოვრებელი კომპლექსები განსაკუთრებით სვანეთისათვისაა ნიშანდობლივი.

მიუხედავად იმისა, რომ კოშკიან-სახლიან კომპლექსში თავდაცვის ფუნქციას კოშკი ემსახურება, საცხოვრებელ-სამეურნეო ფუნქციების მატარებელი ნაგებობის გეგმარების გადაწყვეტაშიც მაორგანიზებელ როლს ეს ფუნქცია ასრულებს. თითქმის ყველა ძველი სვანური სახლის შესასვლელი კარის წინ ქვის დერეფანი იყო აგებული. საცხოვრებელ სათავსში შემსვლელს ორი კარი უნდა გაევლო (დერეფნისა და სახლის), რითაც მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი საცხოვრებელი სათავსის თავდაცვისუნარიანობა. დამცველები თავს იცავდნენ დერეფნის კედლებში დატოვებული საისრე თუ სათოფური ხვრელებიდან. თუ მომხვდური შეძლებდა დერეფანში შეჭრას, მცველები სახლში გაიხიზნებოდნენ და იქიდან აგრძელებდნენ დაცვით ოპერაციებს. მომხვდურებს კვლავ უხდებოდათ სახლში შესასვლელი კარის აღება.

დაცვითმა ფუნქციამ სახლის საცხოვრებელი სათავსის ცენტრში გამართული კერის ირგვლივ ოჯახის წევრთა განლაგებაზეც მნიშვნელოვნად იმოქმედა. როგორც წესი, მამაკაცები კარის მხარეს სხდებოდნენ და ამავე მხარეს კიდებდნენ საბრძოლო იარაღს მოხერხებულ ადგილას. საფრთხის შემთხვევაში მამაკაცები იარაღით ხელში პირველნი შეეგებებოდნენ მტერს, ქალებსა და ბავშვებს კოშკში გახიზვნის საშუალებას აძლევდნენ და შემდეგ თუ ამას საჭიროება მოითხოვდა, თვითონაც იხიზნებოდნენ.

საცხოვრებელ სახლში შესასვლელი კარის, სარკმლების, სართულების დამაკავშირებელი ღიობების და კიბეების აგებულებანი ზემოაღწერილის მსგავსია და მათი ფორმები დაცვითი ფუნქციის მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობენ.

კოშკიან-სახლიან საცხოვრებელ კომპლექსში უკანასკნელ თავშესაფარს კოშკი წარმოადგენდა. მისი პირველი, ზოგან მეორე სართულის სათავსიც სასმელისა და საკვების მარაგის შესანახად გამოიყენებოდა. მეორე, მესამე, მეოთხე სართულებზე ოჯახის წევრები იყვნენ განლაგებული გარემოცვისას. მეორე ან მესამე სართულის სათავსში ჩვეულებრივ კერა იყო გამართული, რომელზეც გარემოცულნი საჭმელს ამზადებდნენ. კოშკის ზედა ბოლო სართულის სათავსი თავდაცვის მიზნებს ემსახურებოდა. აქ წინასწარ იმარაგებდნენ ქვებსა და საომარ მასალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანური კოშკის დაცვითი ფუნქციის მატარებელი სათავსის გადაწყვეტა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა კოშკების ამავე სათავსის გადაწყვეტისაგან. სვანური კოშკი შდურებიანი თაღოვანი პარაპეტითაა დაგვირგვინებული, რომლის ღიობები ძალზე მოხერხებულია როგორც სათვალთვალოდ, ისე დაცვითი ოპერაციების საწარმოებლად. მაშინ, როდესაც ხევსურული კოშკის მაშიკულთან დაცვითი ოპერაციის წარმოება ერთ ან ორ ადამიანს შეუძლია ერთდროულად, სვანური კოშკის საბრძოლო პარაპეტი საშუალებას იძლევა იმავე ოპერაციის (ქვების ჩამოყრა) შესასრულებლად მონაწილეობა მიიღოს ათმა და მეტმა ადამიანმა, ამასთან სვანური კოშკის თაღოვანი ღიობები დაცვითი ოპერაციების წარმოებისას მშვილდისრისა და თოფის გამოყენების საშუალებასაც იძლევიან.

კოშკებში შესასვლელი კარი მისი შენგრევის გაძნელების მიზნით მიწის დონიდან მაღლაა აწეული.

მთური საცხოვრებელი კომპლექსების განვითარების გარკვეულ ეტაპზე იქმნება ახალი საცხოვრებელი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში კოშკიან-გალავნიანი საცხოვრებელი კომპლექსის სახელითაა ცნობილი[30]. ცალკეული ოჯახების ეკონომიურ-წოდებრივი დაწინაურება იწვევდა იმას, რომ საკარმიდამო ტერიტორიაზე ჩნდებოდა რამდენიმე საცხოვრებელ-სამეურნეო ნაგებობა, რომელთა დაცვასაც ერთი და ზოგჯერ ორი კოშკიც კი ვეღარ სწვდებოდა. მშენებელმა საკარმიდამოს გალავნის მაღალი კედლები შემოავლო და შექმნა ახალი საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც ზემოთ აღწერილებისაგან იმით განსხვავდება, რომ ორმაგი დაცვით იყო უზრუნველყოფილი[31]. თავდაპირველად დაცვა ჯერ გალავნის კედლებიდან წარმოებდა. თუ მომხდური გალავნის შიგნით მოახერხებდა შეჭრას, დამცველები კოშკში იხიზნებოდნენ და იქიდან აწარმოებდნენ თავდაცვას. კომპლექსის შემადგენელ ნაგებობებს შორის ურთიერთკავშირი ისეა გადაწყვეტილი, რომ საჭიროების შემთხვევაში დამცველებმა დროის მინიმალურ მონაკვეთში მოახერხონ გალავნის კედლებთან მიჩნეული ადგილების დაკავება ან კოშკში გახიზვნა. ისევე როგორც კოშკურა საცხოვრებლებსა და კოშკიან-სახლიან კომპლექსებში, აქაც გამოკვეთილად მოჩანს დაცვითი ფუნქციის წამყვანი როლი.

XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისისათვის საქართველოს მთიანეთში თავდაცვით ფუნქციას უკვე დაკარგული აქვს თავისი მნიშვნელობა და საცხოვრებელი კომპლექსი მხოლოდ საცხოვრებელ-სამეურნეო ფუნქციებს ემსახურება. ამ პერიოდიდან მოსახლეობა მასიურად ანგრევს ძველ კოშკურა საცხოვრებლებს, რათა მისი მასალით ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლები ააგონ.

ზემოთ მოყვანილი მასალა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა: ა) ქართველ მთიელთა კოშკური კულტურის ძეგლების ისტორიულ-ეთნოგრაფიული და არქიტექტურული შესწავლით დგინდება, რომ მის ძირითად და განმსაზღვრელ ფუნქციას წარმოადგენდა გარე თუ შინაური მტრისაგან თავდაცვა და მისი კლასიფიკაციის საფუძვლად სწორედ ეს მაჩვენებელი

[30] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, გვ. 24—26.
[31] იქვე, გვ. 24—25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს აღებული; ბ. ქართველ მთიელთა კოშკური კულტურის ძეგლებში თავდაცვითი ფუნქციის წამყვანი როლი და მისი ოპტიმალური შეთავსება საცხოვრებელ-სამეურნეო ფუნქციებთან მიგვანიშნებს, რომ ეს კულტურა გენეტიკურად სამხედრო-დემოკრატიულ წყობასთან იყო დაკავშირებული.

А. И. РОБАКИДЗЕ, А. М. КАЛДАНИ

# НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ БАШЕННОЙ КУЛЬТУРЫ ГОРНОЙ ГРУЗИИ

## (к историко-этнографическому Атласу)

Резюме

Основной задачей историко-этнографического Атласа является разработка типологии картографируемого элемента культуры и быта и определение ареала его бытования по степени распространенности в заданных хронологических рамках.

По общекавказской классификации жилища (А. И. Робакидзе, В. П. Кобычев) жилые комплексы горного типа выделены в самостоятельный класс, внутри которого на последующем уровне классификации выделяются исторически сложившиеся отдельные модификации типа, различаемые по степени обороноспособности жилого комплекса, ибо именно это и является важнейшей функцией подобных монументальных жилых сооружений.

Ведущая роль оборонительной функции в формировании башенной культуры горной Грузии и ее оптимальное совмещение с жилым и хозяйственным назначением указывает на военно-демократические истоки этой культуры, дальнейшее развитие которой привело к складыванию различных вариантов горно-грузинского типа жилого комплекса, отражающих далеко зашедшую социальную дифференциацию.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Т. Н. ЧУБИНИШВИЛИ, Л. М. ЧЕЛИДЗЕ

# К ВОПРОСУ О НЕКОТОРЫХ ОПРЕДЕЛЯЮЩИХ ПРИЗНАКАХ РАННЕЗЕМЛЕДЕЛЬЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ VI—IV ТЫС. ДО Н. Э.

## 1. ЮЖНЫЙ КАВКАЗ (ХОЗЯЙСТВО)

Установление особенностей экономики в эпоху энеолита способствует поэтапному изучению исторического развития общества в завершающий период при переходе от присваивающего хозяйства к производящему, что стало возможным после проведения новых раскопок в различных областях Передней Азии и в сопредельных с ней странах и привлечения обширных археологических материалов.

В. М. Массон земледелие и скотоводство рассматривает как хозяйственные системы, состоящие всегда из объекта эксплуатации (те или иные виды растительного или животного мира), орудий труда, с помощью которых осуществляется получение и обработка соответствующих продуктов питания, природной среды, в которой протекает данный хозяйственный процесс, и, наконец, из самих людей, чей уровень профессионального или интеллектуального развития во многом определяет сам способ хозяйства[1].

В южных пределах Советского Союза, в том числе и в Закавказье, уже представляется возможным подойти к данному вопросу именно с такой точки зрения, но при этом следует оговорить, что даже самое общее определение уровня и особенностей экономики раннеземледельческой культуры пока представляется возможным только по памятникам VI—IV тыс. до н. э., находящимся в низких межгорных долинах, где, по теории Н. И. Вавилова, не возникали самые ранние первичные центры земледелия[2].

И действительно, уровень хозяйственной жизни племен, оставивших после себя множество жилых искусственных холмов на Южном Кавказе (Нахичеванский край[3], Мугань, Мильская степь[4], западный

---

[1] В. М. Массон, Становление древнейшего земледелия и скотоводства на Ближнем Востоке, Конференция «Формы перехода от присваивающего хозяйства к производящему и особенности развития общественного строя», М., 1974, стр. 7. В последнем элементе по данной схеме, нам кажется, следует выделить навыки связанных между собой различными формами земледелия и скотоводства при учете тесного соприкосновения с высокоразвитой культурой Передней Азии.

[2] Н. И. Вавилов, Центры происхождения культурных растений, Труды по прикладной ботанике и селекции, т. 16, № 2, М., 1926.

[3] О. А. Абибулаев, Некоторые итоги изучения холма Кюль-тепе, СА, 1963, №3; А. А. Иессен, Кавказ и Древний Восток, КСИА, вып. 93, 163.

[4] И. Г. Нариманов, Ф. Р. Махмудов, Энеолитические памятники на Мугани, Изв. АН Аз. ССР, Серия ист., философ. и права, 1967, № 2; А. А. Иессен, Из исторического прошлого Мильско-Карабахской степи, МИА, 125, 1965.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Азербайджан[5], Араратская долина[6], южная Грузия[7] и т. д.), представляется столь высоким, что отнесение этой уже давно сложившейся раннеземледельческой культуры к неолиту, по-видимому, исключается[8].

Среди существенных доказательств этого значительное место занимают те разнообразные виды земледельческих продуктов питания, которые совместно обнаружены на различных поселениях (Тойра-тепе, Шому-тепе, Кюль-тепе, Рус-тепеси, Шулаверис-гора и др.)[9]. Самыми большими коллекциями из них являются те, которые получены методом отмывки сырцовых кирпичей различных строительных горизонтов поселений Арухло I—II (южная Грузия)[10].

Необходимо отметить, что совместные неоднократные находки упомянутых злаков[11] указывают на существование давно сложившейся, но, к сожалению, лишь вторичной земледельческой базы, тогда как первичный их очаг следует искать в другой зоне, в предгорьях и горах, где в эпоху мезолита и неолита могли произрастать их дикие сородичи.

---

[5] И. Г. Нариманов, Древнейшая земледельческая культура Закавказья, VII международный конгресс доисториков и происториков, Доклады и сообщения археологов СССР, 1966.

[6] Р. И. Торосян, Раннеземледельческое поселение Тахута (IV тыс. до н. э.), Ереван, 1976 (на арм. языке).

[7] Т. Н. Чубинишвили, Древнейшая культура в Двуречье Куры и Аракса, Тб., 1965 (на груз. языке); Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарева, Новые материалы по энеолиту южного Кавказа, «Мацне», 1967, № 6; Т. Н. Чубинишвили, К древней истории южного Кавказа, Тб., 1971; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры южного Кавказа, Ленинград, 1970; В. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Итоги Квемо-Картлийской археологической экспедиции (1965—1976 гг.), «Мацне», 1967, № 3, (на груз. языке); О. М. Джапаридзе, Культура древнейших земледельцев на территории Грузии, Тб., 1971 (на груз. языке); А. И. Джавахишвили, Раскопки южного холма Имирис-гора, АО, 1967, М., 1968; А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселений южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тб., 1973; А. И. Джавахишвили, Г. В. Кигурадзе, в сборнике «Отчет Квемо-Картлийской археол. экспедиции (1965—76 гг.)», Тб., 1975, стр. 5—128; Г. В. Кигурадзе, Периодизация раннеземледельческой культуры восточного Закавказья, Тб., 1976, (на груз. языке).

[8] Т. Н. Чубинишвили, К. Х. Кушнарева, Новые материалы...; Р. М. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, М., 1975, гл. III.

[9] И. Г. Нариманов, О земледелии эпохи энеолита в Азербайджане, «СА», 1971, № 3, стр. 4—5; О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты Квемо-Картлийской археологической экспедиции (1955—66 гг.), стр. 296.

[10] Т. Чубинишвили, Л. Небиеридзе, Г. Пхакадзе, Г. Григолия, Г. Мирцхулава, А. Орджоникидзе, К. Эсакия, Д. Гогелия, Л. Прищипенко, Итоги полевой работы Квемо-Картлийской археол. экспедиции, Полевые археол. исследования в 1974 году, Тб., 1976, стр. 17.

[11] Однозернянка — Tr. monococcum (Арухло I и II); двузернянка — Tr. dicoccum schrank (Тойра-тепе, Арухло I и II); спельта — Tr. spelta L (Арухло I и II); пшеница тургидум — Tr. turgidum (Тойра-тепе); карликовая — Tr. compactum Host (Арухло I—II); пшеница круглозерная — Tr. sphaeroeoccum (Кюль-тепе I); твердая пшеница — Tr. durum Dest (Тойра-тепе, Рус-тепеси, Иланлы-тепе); мягкая пшеница — Tr. castivuml (Тойра-тепе, Рус-тепеси, Арухло I—II, Иланлы-тепе); культурный ячмень — H. polhidium и разновидности пленчатого, двухзерняного, голозерного, а также многорядного (Шому-тепе, Арухло I, II, Тойра-тепе, Рус-тепеси, Иланлы-тепе); просо— Panicum miliaceum L (Арухло I); чечевица — Lensesculentae L. (Арухло I—II); горох — посевной — Pisumsativum L. (Арухло I—II) и др.

ეროვნული ბიბლიოთეკა

С другой стороны, интересен тот факт, что в долине р. Куры на поселении Тойра-тепе в самых нижних предматериковых горизонтах вместе с культурными растениями обнаружены дикий ячмень (Hord. spontaneum), семена дикой вики (Vica Vilhosa), а в другом случае — сорной травы из семейства бобовых (кавказский копейчник) и полевой сорной травы (Lolium sp.)[12]. Наконец, на поселении Рус-тепеси, по предварительному сообщению И. Д. Мустафаева, в сочетании с культурными видами встречены семена диких злаков, напоминающие эгилопс, который является одним из исходных видов при образовании мягкой пшеницы[13].

По другим имеющимся данным (Арухло I и II)[14], в V тыс. до н. э. большая часть определенных дикорастущих однолетних растений сопутствовала яровым, меньшая часть — озимым посевам, после уборки которых вместе с культурными злаками они попадали как примесь в сырцовые кирпичи.

Для установления местных высокоразвитых навыков труда, при интенсивном ведении земледелия, важным является факт двукратного засева и сбора урожая за год. Не менее значителен факт находки косточек винограда на нескольких поселениях южного Кавказа (Шомутепе[15], Шулаверис-гора[16], Дангреули-гора[17]).

წყვეტილება წყალობის გაცემის შესახებ და თვით წყალობის შინაარსი. სწორედ ეს თემა არის უჩვეულოდ წარმოდგენილი ბაგრატ VI-ის სიგელში. აქ, სახელდობრ, ნათქვამია, რომ „მათივე მკვიდრი მამული მათივე ალალითა საქონლითა მათვე მივჰყიდეთ და დაუმტკიცეთ“[2]. როგორც ვხედავთ, მეფის გადაწყვეტილება გამოხატავს არა მამულის წყალობის, არამედ მისი მიყიდვის აქტს. ციტირებული გამოთქმა შეიცავს შინაგან ლოგიკურ წინააღმდეგობას, რადგან მკვიდრი მამული უკვე აღარ შეიძლება მკვიდრობის მფლობელს მიეყიდოს. იგი წინააღმდეგობაშია აგრეთვე ერთგული სამსახურისა და წინაპართაგან მკვიდრობის სპეციალურ მოტივებთან. მეფის მიერ ადრესატისათვის მამულის მიყიდვის მოტივი სრულიად აუფასურებს მათ მნიშვნელობას მთელი საბუთისათვის, მთლიანად არღვევს წყალობის სიგელის სპეციალურ თემათა კანონზომიერ ურთიერთმიმართებას. ამ აზრით ბაგრატის სიგელი ერთადერთია, მსგავსი საბუთი ჩვენ არ მოგვეპოვება.

წყალობის სიგელი ფეოდალური საზოგადოების სოციალური ცხოვრების ერთ სფეროს, მეფისა და ფეოდალების ურთიერთობას ასახავს. ყოველი საბუთი კონკრეტული მიზეზით იქმნება და ამდენად იგი კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს აცოცხლებს. ამავე დროს ყოველი სახეობის ისტორიული საბუთი ზოგადიცაა, რადგან იგი აერთიანებს საერთო ნიშნებით გამოხატულ ცალკეულ შემთხვევებს და ათავსებს მათ ეპოქის სოციალურ, პოლიტიკურ დაეთიკურ შეხედულებათა შესაფერის ყალიბში. სამეფო ხელისუფლების მიერ გაცემული წყალობის სიგელი სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტია, რომელსაც კერძო (კონკრეტული ადრესატისათვის) და ზოგადი დანიშნულება აქვს. იგი უჩვენებს სამეფო ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის მთავარ მიმართულებას. საუკეთესოდ გამოხატავს მეფისა და ფეოდალების სოციალურ და იურიდიულ აზროვნებას, მათ დამოკიდებულებას ერთმანეთისა და სახელმწიფოსადმი. სამეფო სიგელი ამ შეხედულებათა დადასტურებისა და პროპაგანდის საშუალება იყო. XI—XIII სს ქართულ შეწირულების სამეფო სიგელებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეფის ხელისუფლების სიდიადის, მისი უფლებების უწყვეტობისა და მარადიულობის, მეფის ძლიერი ავტორიტეტის ჩვენებას. ამ დანიშნულებას სამეფო სიგელი მტკიცედ შემუშავებული, ტრადიციით განმტკიცებული დიპლომატიკური ფორმის დაცვით ასრულებს. ამიტომაც ყოველი ცვლილება საბუთის ტრადიციულ გამოხატულებაში მის მიერ ასახულ სინამდვილეში მომხდარი სათანადო ცვლილების ანარეკლია.

ასევე ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს ბაგრატ VI-ის სამეფო სიგელიც, რომელშიც, სრულიად დაუფარავად, წყალობა გაყიდულია. ბაგრატ მეფე საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნებაა. ვახუშტის ისტორია „მას არ იტყვს მეფედ, ვინაჲთგან ერისთავი იყო“[3]. ვახუშტის შეხედულებას იზიარებენ ივ. ჯავახიშვილი და ნ. ბერძენიშვილი. ორივე მეცნიერის აზრით, ბაგრატი ენათესავება ბაგრატიონთა საგვარეულოს, შეიძლება იგი უფლისწულია, მაგრამ არა მეფის შთამომავალი. ბაგრატი გიორგი VIII-ს ეცილება ტახტში და ჩიხორის ომის შემდეგ მეფედ ეკურთხა ქუთაისში. 1465—1466 წლებში

[2] ქართული სამართლის ძეგლები. გვ. 137.

[3] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, IV, თბ., 1973, გვ. 299.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატი ქართლიდანაც აძევებს გიორგი მეფეს და ერთიანი საქართველოს მეფე ხდება. ბაგრატ მეფის თანამედროვენი ერთხმად აღნიშნავენ მის გასაოცარ სიხარბეს. ივ. ჯავახიშვილს მოაქვს ვენეციელი დესპანის, ამბროზიო კონტარინის ცნობები ბაგრატის შესახებ. ბაგრატს მისთვის და მისი მხლებლებისათვის დიდი რაოდენობის ოქროს ფული და ძვირფასი ნივთები წაურთმევია[4]. ბაგრატ მეფის ოქროსმოყვარეობაზე საინტერესო ცნობაა დაცული ზევდგინისძეთა საჩივრის წიგნში: „სადამდისი იმავე ჩემგან ნაშოების მამულიდაღმა—წიწამურიდაღმა — ასი კოკა ღუინო არ მივეცით, მანამდის გორის მოურაობა არ გუიბოძა. ასრე არა გუაქუს რა ბაგრატ მეფისაგან“[5]. ბაგრატ მეფის საფინანსო ღონისძიება, აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, თურმე იმაში გამოიხატებოდა, რომ მეფე სარგებლობდა წყალობის სიგელთა განახლების ფეოდალური უფლებით და სიგელთა განახლებისათვის მომეტებულ „ქრთამს“ იღებდა[6]. იმავე აზრის საილუსტრაციოდ ივ. ჯავახიშვილს მოყავს ბაგრატ მეფის 1468 წ. დასახელებული სიგელი[7]. როგორც ზევდგინისძეთა დავის წიგნი უჩვენებს, 1468 წ. სიგელი ერთადერთი არ ყოფილა, რომელიც ბაგრატის „მექრთამეობას“ ადასტურებდეს.

ორიოდე სიტყვა სიგელის ადრესატ ჯავახიშვილთა შესახებ. 1463 წელს ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილები გიორგი VIII-გან წყალობად იღებენ „მკვიდრ“ სოფლებს: ავკეთსა და იისციხეს[8]. ამ სიგელშიც ჯავახიშვილები მოხსენიებული არიან, როგორც მეფის ერთგულნი და „ძალისაებრ თავდადებით ნამსახურნი“. 1466 წელს კონსტანტინე ბატონიშვილი ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებს და მათ შვილს, ჯავახს, უმტკიცებს სამკვიდრო მამულებს: ცხირეთის გუერდს, ხანდაკს და თხილოვანს[9]. ამ საბუთიდან ვგებულობთ, რომ ჯავახიშვილები გიორგი VIII-სა და კონსტანტინე ბატონიშვილს დიდად ეხმარებოდნენ ყუარყუარე ათაბაგთან და, იგულისხმება, ბაგრატთან ბრძოლის დროს. სწორედ ამ სამსახურის „სანუქფოდ“ იძლევა კონსტანტინე ბატონიშვილი წყალობას. ბაგრატ მეფის 1468 წლის სიგელშიც ჯავახიშვილები ბაგრატის დიდად ერთგულ ქვეშევრდომებად არიან გამოცხადებული. ამრიგად, ჩვენს წინაშეა ორი, ერთმანეთის მოქიშპე ხელმწიფის ერთნაირად „ერთგული“ ფეოდალური საგვარეულო. ცხადია, ნამდვილ ერთგულებაზე, რომელიც დამყარებული იქნებოდა ფეოდალის რომელსამე პოლიტიკურ ან ზნეობრივ იდეალზე, საუბარი გამორიცხულია.

სამკვიდრო მამულზე ფეოდალის უფლებების განხორციელების სანქცია სამეფო ხელისუფლების ხელთაა. იგი ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს ეს უფლება, თუმცა, ყოველთვის ეს შესაძლებელი არაა. „უფლების განხორციელება“, წერს ნ. ბერძენიშვილი, „ფეოდალური ურთიერთობის ხანაში, როგორც პატრონის, ისე ყმის მიერ ყოველ კერძო შემთხვევაში უპირატესად ძა-

---

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 87, 98—99.

[5] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, I, 1937, გვ. 43.

[6] იქვე, გვ. 17.

[7] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

[8] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 133.

[9] იქვე, გვ. 136.

[10] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21—22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზე არის დამოკიდებული“· ისეთ ვითარებაში, როდესაც ყმისათვის მამულისათვის ბრძოლის ერთადერთი იარაღი „ერთგული სამსახურია“, იგი იმ პატრონის მიმართ იყენებს ამ იარაღს, ვის ხელშიც ძალაა თავმოყრილი.

ზევდგინისძეთა დავის საბუთში მომჩივანი ამბობს: „მე ბატონსა დავითს ასრე მოვახსენე: თუ შენ ბაგრატ მეფის ყმა არ შეიქნები, მე ჩემსა მამულსა არავინ მამცემს... თუმცა ყმა არ შექმნილიყო, ჩემსა მამულსა არავინ მოგუცემდა“[11]. ეს სიტყვები ეკუთვნის ფეოდალს, რომელსაც ადრე 24 ჭრილობა მიუღია გიორგი მეფის გადასარჩენად. ფეოდალის „ერთგულება“ მეფის მიმართ აგრერიგად პირობითი იყო აღებულ ხანაში და, ცხადია, მეფესაც აღარ სჯერა ფეოდალის ნამდვილი ერთგულებისა. მეფისა და ფეოდალების ასეთი დამოკიდებულების ფონზეა შექმნილი 1468 წ. დოკუმენტი. ბაგრატის მიერ წყალობის გაყიდვის ფაქტი მარტო ბაგრატ მეფის პიროვნებით არ აიხსნება: ბაგრატი მეფობდა იმ დროს, როცა ყველა დიდი ფეოდალი ხელმწიფობისაკენ მიისწრაფოდა და ქვეშევრდომთა ერთგულება მთლიანად მათი პირადი სამამულო ინტერესებით განისაზღვრებოდა. ეს საბუთი შესანიშნავად უჩვენებს კონტრაგენტთა — მეფისა და „დროებით ერთგული“ ფეოდალის რეალურ მისწრაფებებს.

მეფობა პირადი ძლიერებისა და სიმდიდრის იარაღად არის მიჩნეული. მეფე, როგორც კერძო პირი, ოფიციალურად ვაჭრობს თავისი უფლებებით და ეს მოვლენა სრულიად ბუნებრივად აღიქმება მის ქვეშევრდომთა მიერ· ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ფეოდალისათვის XV საუკუნეში მთელი ქვეყანა საფეოდალოთა კრებულია. ეს დამოკიდებულება მეფისა და ფეოდალებისა ქვეყნისადმი შესანიშნავად ჩანს ბაგრატ IV-ის 1468 წ. სიგელშიც. XV ს-ის II ნახევარი არის ხანა, როდესაც ძლიერადაა შერყეული მთელი ფეოდალური საზოგადოების სახელმწიფოებრივი იდეალი, რაც გარე-პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობის წინაპირობა იყო გაერთიანებული საქართველოს დასაშლელად.

ბაგრატის სიგელი არ არის არც მხოლოდ წყალობის, არც მხოლოდ ნასყიდობის საბუთი. არც ერთი განსაზღვრება მის შინაარსს არ შეესაბამება. მას, როგორც გამონაკლისს, ან როგორც ბაგრატის მეფობის დამახასიათებელ დოკუმენტს, შეიძლება ვუწოდოთ „წყალობა-ნასყიდობის სიგელი“.

М. К. СУРГУЛАДЗЕ

## ОСОБЕННОСТИ ГРАМОТЫ 1468 г. БАГРАТА VI

Резюме

В 1468 г. царем Багратом была выдана грамота своим служилым феодалам Джавахишвили. С точки зрения дипломатического состава грамота имеет одну важную особенность. Она носит характерные черты как жалованной грамоты, так и купчей. Первая ее часть была составлена из специальных дипломатических тем, свойственных жалованной грамоте. Среди них встречается тема морально-юридического обоснования самого акта пожалования (преамбула). Эта часть текста следует формуляру жалованной грамоты и по своему фразеологическому

ეროვნული ბიბლიოთეკა

составу. Совершенно необычный для жалованной грамоты смысловой оборот обнаруживается уже в dispositio. Царь Баграт своим преданным слугам (вышеназванным Джавахишвили) продает «жалованную» землю, на которую они и так имели наследственные права. Таким образом, взаимоотношение специальных дипломатических мотивов и фраз, чем, собственно, и определяется вид конкретного формуляра, в этой грамоте было нарушено, что придало ей вид не только жалованной, но и купчей.

Царь, подобно частному лицу, официальным путем позволял себе торговать государственными правами, и этот факт подданными царя воспринимался как нормальное явление.

Указанное своеобразие грамоты можно объяснить только в связи с той исторической эпохой, в которую она была создана. Эта грамота прекрасно характеризует конкретную историческую ситуацию и настроения правящих кругов общества накануне распада единого царства феодальной Грузии.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბდალაძე

# დავით აღმაშენებლის „ძმის თოტორმე“-ს გამო

XII ს-ის სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის „ქრონოგრაფია“-ში საქართველოს, კერძოდ, დავით აღმაშენებლის ხანის შესახებ საკმაოდ საყურადღებო, შინაარსიანი ცნობები მოიპოვება. მათეოსის მშობლიურ ქალაქ ურჰასთან ანუ ედესასთან და მის ოლქთან, რომელიც XII ს-ის პირველ ნახევარში ჯვაროსანთა ხელისუფლებას ექვემდებარებოდა, საქართველოს ურთიერთობა უნდა ჰქონოდა. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის ამბები მათეოსს საქართველოს სამეფოში და მის მეზობლად მცხოვრები სომხების მეშვეობით ეცოდინებოდა. ცნობილია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულ სომხებს კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან და დედასამშობლოსთან. შესაძლებელია, ასეთი არხებით მიღებული ინფორმაცია ყოველთვის ზუსტი არ იყოს. მართლაც, მათეოს ურჰაეცის ცნობა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებელს ჰყოლია ძმა „თოტორმე“[1], ერთი შეხედვით, უცნაური ჩანს შემდეგ გარემოებათა გამო: ა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით, 16 წლის დავითს, „მარტოდ შობილსა გიორგისაგან თჳთ მამამან დაადგა გჳრგჳნი მეფობისა“[2], ე. ი. დავით აღმაშენებელს ძმა არ ჰყოლია, ბ. სახელი „თოტორმე“ არც საქართველოში და, ალბათ, არც სხვაგან არ გვხვდება.

გასათვალისწინებელია, რომ მათეოს ურჰაეცის „ქრონოგრაფიის“ ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერიდან XVII საუკუნეზე ადრინდელი არც ერთი არაა[3] და ამდენად, ბუნებრივია, დაისვას საკითხი — სახელი „თოტორმე“ ჩვენში გავრცელებული რომელიმე სახელის გადამწერთაგან სახეშეცვლილი ფორმა ხომ არ არის. საყურადღებოა, რომ იმ ექვსი ხელნაწერიდან, რომლებიც გამოყენებულია მათეოს ურჰაეცის „ქრონოგრაფიის“ 1898 წ. გამოცემის მომზადებისას[4], ერთში „თოტორმე“-ს მაგიერ „თოტორე“ იკითხება[5]. მათეოს ურჰაეცის თხზულების ახალ სომხურ ენაზე შესრულებულ თარგმანში დავით აღმაშენებლის

---

[1] **Մատթէոս Ուռհայեցի, Ժամանակագրութիւն, Վաղարշապատ**, 1898, გვ. 357; ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, იხ. კრებული: „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 248. M. Brosset, Additions et èclaircissements à l'histoire de lá Géorgie, St-Pètersbourg, 1851, გვ. 230; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 224; ამ გამოცემისადმი დართულ პირთა სახელების საძიებელში, რომელიც მ. ინასარიძის მიერაა შედგენილი, „თოტორმე“ შეცდომით დავით აღმაშენებლის ძმისშვილადაა მიჩნეული (იხ. იქვე, გვ. 443).

[2] ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 324 (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩვენია).

[3] იხ. **Մատթեոս Ուռհայեցի, Ժամանակագրություն, Թարգմանությունը, Ներածությունը և ծանոթագրությունները Հ. Բարթիկյանի, Եր.**, 1973, გვ. XXIV.

[4] შემდგომში ამ ძეგლის ძველი სომხური ტექსტი აღარ გამოცემულა.

[5] **Ժամանակագրութիւն**, გვ. 357, შენ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძმის“ სახელად გადატანილია სწორედ „თოტორე“ და არა „თოტორმე“[6]. აღსანიშნავია, რომ მთარგმნელი ჰ. ბართიკიანი „ქრონოგრაფიის“ არსებულ გამოცემებს გარდა, მაშტოცის სახ. მატენადარანში დაცულ ხელნაწერებსაც ითვალისწინებდა[7]. „თოტორე“ ანუ „თოდორე“ (դ>տ მონაცვლეობა სომხურ ენაში დადასტურებულია[8]) ჩვენში გავრცელებული სახელის „თედორე“-ს ანუ „თევდორე“-ს სომხური ფორმაა; იგივე მათეოს ურჰაეცი ბიზანტიის იმპერატორ თეოდორას (1055—1056) „თოტორ“-ს ეძახის[9], ხოლო კირაკოს განძაკეცი — „თოდორ“-ს[10]. „ქრონოგრაფიის“ ახალ სომხურ თარგმანში არის არა „თოტორ“, არამედ „თოდორა“[11], მაგრამ არ ჩანს, ეს ფორმა ხელნაწერებისეულია თუ მთარგმნელის კონიექტურის შედეგია. თუ ჰ. ბართიკიანმა „თოტორ“ „თოდორა“-დ შეასწორა, მაშინ მით უმეტეს მოსალოდნელი იყო, რომ „თოტორე“ „თოდორე“-დ გადაეტანა, თუმცა, იქნებ, იგი მოერიდა ისტორიისათვის უცნობი დავით აღმაშენებლის ძმის სახელის ყოველგვარ შესწორებას.

მათეოს ურჰაეცი „თოტორე“-ს ახსენებს 1123 წ. ამბების შესახებ თხრობისას შემდეგ კონტექსტში: „მეფე დავითს ჰყავდა ერთი ღვიძლი ვაჟი სომეხი ცოლისაგან, სახელად დემეტრე, ხოლო მეფის ძმას თოტორეს ეძახდნენ“[12]. შესაძლებელია, არ იყოს შემთხვევითი, რომ მათეოსი აღნიშნავს, დემეტრე დავითის ღ ვ ი ძ ლ ი შვილიაო, ხოლო „თოტორე“-ს შესახებ არ ამბობს, რომ იგი მეფის ღვიძლი ძმა იყო. მოტანილი ცნობიდან ჩანს, რომ „თოტორე“ ცნობილი პიროვნება ყოფილა, რადგან ამ ცნობაში დემეტრეს გარდა დავითის სხვა შვილები, კერძოდ, მისი მეორე ვაჟი ვახტანგი, იგივე ცვატა, მოხსენიებული არ არიან[13]; „თოტორე“ რომ უმნიშვნელო ვინმე ყოფილიყო, მოსალოდნელია, რომ არც მას მოიხსენიებდა მათეოსი.

დავით აღმაშენებლის მეფობის დროს ცნობილია მხოლოდ ერთი თევდორე; ესაა თრიალეთისა და კლდეკარის მფლობელი, გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის დისწული, განდიდებული და საპატიო პიროვნება, „კ ა ც ი გ ო ნ ი ე რ ი  დ ა  დ ი დ ა დ  მ ყ ო ფ ი“[14]. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს მის მონაწილეობას საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრის სამშვილდის აღებაში: „რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად, უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა. ციხოვანთა. მას ჟამსა მეფე გარდავიდა იმერეთს; და შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბუ-

[6] Ժամանակագրություն, გვ. 239.

[7] იქვე, გვ. XXVIII.

[8] იხ. ი. შ ი ლ ა კ ა ძ ე, ძველი სომხური ენის გრამატიკა, თბ., 1975, გვ. 100.

[9] Ժամանակագրութիւն, გვ. 22 – 23.

[10] Կ ի ր ա կ ո ս  Գ ա ն ձ ա կ ե ց ի, Պատմութիւն Հայոց, Թիֆլիս, 1909, გვ. 97.

[11] Ժամանակագրություն, გვ. 8 .

[12] Ժամանակագրութիւն, გვ. 356 –357.

[13] ამისი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ მათეოსი არ მალავს თავის კეთილგანწყობილებას დედით სომეხ დემეტრეს მიმართ; ვახტანგი კი მას ტახტს ეცილებოდა, ალბათ, საქართველოში ჩამოსახლებული ყივჩაყების მხარდაჭერითაც — ვახტანგი ხომ ყივჩაყი მეუღლისაგან შეეძინა დავითს. შესაძლებელია, დემეტრეს მიერ მეამბოხე ძმის დამარცხება და დასჯაც იყო ერთ-ერთი მიზეზი ყივჩაყთა ერთი ნაწილის უკანვე წასვლისა. ყივჩაყებში არც იყო, ალბათ, დაკანონებული ტახტის მამიდან უფროს ვაჟზე გადასვლის წესი და იქნებ ამის შედეგია ვახტანგის პრეტენზია სამეფო ტახტზე. ამ გარემოებამ, შესაძლებელია, გავლენა მოახდინა დემეტრეზეც, რომელმაც ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა არა უფროსი ვაჟი დავითი, არამედ გიორგი.

[14] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთი და ივანე ორბელი, და სიმარჯჳთ მოიპარეს სამშჳლდე... ცნეს რა თურქთა აღება სამშჳლდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს, და ღამით მეოტ იქმნნეს, და ჩუენ თანა მოითუალნეს იგინი"[15].

როგორც ცნობილია, გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნაში. იგი „თავადგა პატრონის მსახურებათა", ე. ი. „მეფის მსახურებას სათავეში უდგა"[16]. გიორგი იყო „თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა"[17]. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „ეხება საქმე საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, საერო თუ საეკლესიო საკითხებს, ომსა თუ მშვიდობიან აღმშენებლობას, გიორგი მწიგნობართუხუცესი ყოველთვის მეფეს უდგას გვერდში, მისი მარჯვენა ხელია; ის ჭეშმარიტი alter ego-ა დიდი მეფისა. დავითის შემდეგ მხოლოდ მას ემორჩილებიან და მისგანვე იღებენ მოქმედების დასტურს სახელმწიფოს პირველი ხელისუფალნი (სპასალარი, ერისთავნი...)"[18]. „პირველი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი იყო მეფის უერთგულესი თანაშემწე, მისი პოლიტიკური აღმზრდელი და უპირველესი მრჩეველი გიორგი მონაზონი, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ყველაზე უფრო აქტიური მონაწილე, იმ კრების „თვალი"[19]. მეფესთან ერთად მყოფი გიორგი მწიგნობართუხუცესი ოსეთში გარდაიცვალა. დავითმა მისი ცხედარი „პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა ახალსა და მუნ დაემარხა. რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან და თჳთ მეფემან, ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსითა შავისათა ორმეოც დღე, ვიდრემდის იშვა ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაიჴსნა გლოვა"[20]. რადგან გიორგი ბერი იყო და შვილები არ ეყოლებოდა, შესაძლებელია, თავისი დისწულები თევდორე და სვიმონი შვილებად აღზარდა. სვიმონიც ცნობილი პიროვნებაა. როდესაც დავით აღმაშენებელმა შირვანი აიღო, „დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. და განმგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თჳსი სჳმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თჳსისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი"[21]. დავით აღმაშენებლის აპოლოგეტ ისტორიკოსს — მეფის ახლობელ ადამიანს, საქართველოს სამეფოს არც ერთი დიდებულის შესახებ არ დასცდენია საქებური სიტყვები, გარდა გიორგისა და მისი დისწულებისა, ე. ი. გიორგისთან ერთად თევდორე და სვიმონიც მეფის უახლოესი თანაშემწეები და ერთგული ადამიანები იყვნენ. სამშვილდისათვის ბრძოლის მონაწილეები ყოფილან აბულეთი და ივანე ორბელიც, რომლებსაც მხოლოდ ერთხელ, სწორედ ამ ადგილას, თევდორეს გვერდით იხსენიებს დავითის ისტორიკოსი და მათთვის საქებარი სიტყვა არ ემეტება. აქედან შეიძლება დავასკვნათ,

15 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331—332.

16 იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, ტფ., 1928, გვ. 127.

17 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

18 ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 38.

19 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 158.

20 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 337.

21 იქვე, გვ. 345.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თევდორეს გაცილებით მეტ პატივს სცემდნენ საქართველოს სამეფო კარზე, ვიდრე აბულეთსა და ივანე ორბელს. ისიც საგულისხმო ჩანს, რომ მეფეს თევდორესათვის უბოძებია საქართველოსათვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მხარე — თრიალეთი და კლდეკარი. როდესაც სამეფო ხელისუფლების ურჩი, ქვეყნის მოღალატე ბაღვაშები გადაშენდნენ, „მამული მათი აღიღო მეფემან"[22]. დავითს იგი თითქოს გელათისათვის უბოძებია[23], მაგრამ, საფიქრებელია, რომ გელათის მონასტრისა და აკადემიისათვის ბაღვაშთა ლიხსიქითური მამული გადაეცათ[24]. ყოველ შემთხვევაში, თრიალეთი და კლდეკარი 1110 წლისათვის თევდორეს „ჰქონდა"[25].

მოსალოდნელია, რომ თევდორე მარტო სამშვილდის განთავისუფლებაში არ მონაწილეობდა· როდესაც დავით აღმაშენებელი „მცირედითა ლაშქრითა და განწირულითა ერითა" „ხმა-გასმენილ" გამარჯვებებს აღწევდა, ამ დროს მისი ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი, ალბათ, თევდორეც იყო. ასევე საფიქრებელია, რომ როგორც სამხრეთ საქართველოს ერთი ნაწილის მფლობელს, მას აქტიური მონაწილეობა მიეღო დავით აღმაშენებლის მიერ სომხეთში მოწყობილ მრავალ ლაშქრობაში, რომლის დროსაც თევდორეს გაიცნობდა ადგილობრივი სომხური მოსახლეობა და ამის შედეგად გაჩნდა, ალბათ, ცნობა მის შესახებ მათეოს ურჰაეცის „ქრონოგრაფია"-ში, თუმცა გამორიცხული არც ის არის, რომ მათეოსს თევდორეს არსებობა საქართველოში მცხოვრები სომხების მეშვეობით გაეგო.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის მიერ მ ა მ ა დ მ ი ჩ ნ ე უ ლ ი გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის დისწული თევდორე, რომელიც მას შვილივით უნდა აღეზარდა, მეფესთან მეტად დაახლოებული პიროვნება ჩანს. ალბათ, ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ თანამედროვეთა ერთი ნაწილი, კერძოდ, მათეოს ურჰაეცი, თუ მისი ინფორმატორები, თევდორეს დავითის ძმად თვლიდნენ.

А. П. АБДАЛАДЗЕ

## ПО ПОВОДУ «БРАТА» ДАВИДА СТРОИТЕЛЯ — ТОТОРМЕ


Резюме

Армянский историк Маттеос Урһаеци упоминает «брата» грузинского царя Давида Строителя — Тоторме, о котором ничего не говорится в грузинских источниках. В статье показано, что имя Тоторме — видоизмененная форма имени Теодоре или Тевдоре. Автор предполагает, что под братом царя подразумевается владетель Триалети Тевдоре — ближайший сподвижник Давида Строителя.


[22] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326.

[23] იქვე, გვ. 330—331.

[24] შდრ. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 81—82.

[25] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიტო გოჩოლეიშვილი

# საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობათა შუქზე XIII—XIV საუკუნეებში

XIII ს-ის შუა წლებისათვის მახლობელ აღმოსავლეთში მონღოლთა გაბატონებამ ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ძირეულად შეცვალა. ამ პერიოდისათვის მონღოლებმა დაიპყრეს შუა აზია, ირანი, ამიერკავკასიის ქვეყნები, მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი, ბოლო მოუღეს ბაღდადის სახალიფოს და ჩრდ. მესოპოტამიისა და სირიის საზღვრებს მიადგნენ. მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა არსებითად შეიცვალა[1].

XIII ს-ის 60-იანი წლებიდან ილხანთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა ბრძოლამ სირიისა და პალესტინის დაპყრობისათვის. ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე გასვლას ილხანთა ეკონომიკური გეგმები განაპირობებდა. სირიის დაპყრობით მონღოლები მიზნად ისახავდნენ ხელთ ეგდოთ სავაჭრო მაგისტრალების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მონაკვეთები, როგორც გზა ჩინეთიდან და შუა აზიიდან, ისე ინდოეთის ოკეანიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ[2].

ილხანთა გეგმებში შედიოდა ეგვიპტის დაპყრობაც: „რათა ის გაეხადათ მათი იმპერიის მარგალიტად"[3]. ეგვიპტეს კი განსაკუთრებული ადგილი ეკავა ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთთან ვაჭრობაში.

თავის მხრივ, ეგვიპტის ბაჰრელი მამლუქი სულტნები, რომლებიც მახლობელი აღმოსავლეთის ეკონომიკურად ყველაზე უფრო დაწინაურებულ და ცენტრალიზებულ სახელმწიფოს განაგებდნენ, ენერგიულად იბრძოდნენ იმისათვის, რათა დაეცვათ ეგვიპტის მოსაზღვრე სირიის ტერიტორია მონღოლთა შემოსევებისაგან. ისინი მიზნად ისახავდნენ აგრეთვე პალესტინის საზღვაო ტერიტორიის ჯვაროსნების ნაშთებისაგან განთავისუფლებასაც, რათა საზღვაო სანაპიროზე გამაგრებულიყვნენ და არ დაეშვათ აზიიდან ევროპაში მიმავალი სავაჭრო გზების საბოლოო პუნქტებში მონღოლთა გაბატონება[4].

ილხანთა ირანის დასუსტების მიზნით მამლუქთა ეგვიპტემ მჭიდრო კავშირი დაამყარა ოქროს ურდოსთან. თავის მხრივ ილხანთა ირანიც ეძებდა მოკავშირეებს ძლიერი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ვინაიდან ეგვიპტის სულტნები ითვლებოდნენ ისლამის საყრდენად და მათთან ბრძოლა ილხანთა მუსლიმ ქვეშევრდომთა შორის არაპოპულარული

[1] ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთი მონღოლთა შემოსევების პერიოდში. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 157.

[2] Г. Микаелян, История Киликийского армянского государства, Ереван, 1952, გვ. 317, 318.

[3] علی ابراهیم حسن، تاریخ المماليك البحرية، القاهرة، ١٩٦٧، ص. ١٤١

[4] Г. Микаелян, დასახ. ნაშრომი, გვ. 325.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, ჰულაგუიანები, თავად კერპთაყვანისმცემელი — შამანისტები, ცდილობდნენ ამ ბრძოლაში დაყრდნობოდნენ ქრისტიან ვასალებსა და მოკავშირეებს[5]. ვასალთა შორის იყვნენ ქართველები და სომხები. მოკავშირეებად მონღოლები იგულვებდნენ ჯვაროსნებს, რომლებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ანტიოქიის სამთავროს, ტრიპოლის საგრაფოსა და იერუსალიმის სამეფოს საზღვაო სანაპიროს, ქ. იერუსალიმის გამოკლებით. ყოველივე ეს განაპირობებდა პირველ ილხანთა ტოლერანტულ პოლიტიკას ქრისტიანებისადმი.

1256 წლამდე, სანამ ჰულაგუ ილხანთა ირანის ყაენი გახდებოდა, საქართველო უმეტესად, პოლიტიკურად ოქროს ურდოსთან იყო დაკავშირებული. შემდეგ კი ილხანთა ირანის სიუზერენიტეტს დაექვემდებარა. მონღოლებს არ გაუუქმებიათ ადგილობრივი მმართველობის სისტემა. საქართველოს ისევ ქართველი მეფეები განაგებდნენ, მაგრამ ისინი ვალდებულნი იყვნენ გამოეყვანათ თავიანთი სამხედრო ძალები მონღოლთა სასარგებლოდ.

მონღოლთა მიერ დაკისრებული სამხედრო ბეგარის საფუძველზე, ქართველთა ლაშქარი იძულებული იყო მიეღო მონაწილეობა საომარ მოქმედებაში სხვადასხვა ქვეყნის წინააღმდეგ. კერძოდ, ქართველები მონაწილეობდნენ ირანის ისმაილიტთა წინააღმდეგ ბრძოლებსა და ბაღდადის აღებაში 1258 წ. XIII ს-ის 60-იანი წლებიდან კი ქართველთა სამხედრო ძალები მონღოლთა ლაშქრის შემადგენლობაში იბრძვიან ეგვიპტის სულტნების წინააღმდეგაც. ცნობები ამის შესახებ შემოგვინახა როგორც ქართულმა, ისე სომხურმა, სპარსულმა და არაბულმა წყაროებმა.

სპარსული და არაბული წყაროებისაგან განსხვავებით, რომლებიც ილხანთა ანდა ეგვიპტის მამლუქთა პოზიციებიდან გამოდიან, XIV ს-ის ანონიმი ქართველი ჟამთააღმწერელი ამ ლაშქრობებში აქცენტს ქართველთა მონაწილეობაზე აკეთებს, ხშირად ასახელებს მათ მონღოლთა ლაშქრის ავანგარდში და ამით ხაზს უსვამს თანამემამულეთა საბრძოლო უნარიანობას.

მსგავსი მითითებები სომხურ და არაბულ წყაროებშიც მოიძიება. გრიგოლ აკანელი აღნიშნავს, რომ სომეხთა და ქართველთა ჯარი ჰულაგუს „ძლიერ უყვარდა მათი დიდი სიმამაცისათვის, რასაც ისინი იჩენდნენ მის წინაშე ყოველ ბრძოლაში“[6]. არაბი ისტორიკოსი ალ-უმარი და მისგან გამომდინარე ალ-კალკაშანდი ხაზს უსვამენ ქართველთა მამაცობას — „ქართველთა ლაშქარი მტკიცედ ადგას ჯვრის სარწმუნოებას. მამაცი და გულადი ხალხია. ისინი ჰულაგუიანების ლაშქრის იარაღს და განძს წარმოადგენენ. ჰულაგუიანები ენდობიან მათ და ეყრდნობიან“[7].

ქართველთა მონაწილეობას მონღოლთა ლაშქრის შემადგენლობაში სირია-ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლებში და ამ ბრძოლების შედეგებს ეხება წინამდებარე წერილი.

---

[5] И. П. Петрушевский, Иран и Азербайджан под властью Хулагуидов (1256—1353 гг.) в сб.: Татаро-монголы в Азии и Европе, М., 1970, გვ. 230.

[6] გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961, გვ. 45.

[7] العمری (ابن فضل الله)، التعریف بالمصطلح الشریف، القاهرة، ۱۳۱۲، ص. ٥٤
القلقشندی (ابو العباس احمد)، صبح الاعشی فی صناعة الانشاء، الجزء الثامن، القاهرة، ص. ۲۷

ილხანთა პირველი ლაშქრობა მესოპოტამიასა და სირია-პალესტინაში 1259 წ. შემოდგომაზე დაიწყო. ჩრდ. მესოპოტამიას და სირიას ამ დროს აიუბიანთა უკანასკნელი ნაშიერები განაგებდნენ, რომელთაც არავითარი რეალური ძალა არ გააჩნდათ მონღოლთა ლაშქრისათვის დასაპირისპირებლად.

12 სექტემბერს, მონღოლთა ლაშქარი, რომლის ცენტრსაც თავად ჰულაგუ ხელმძღვანელობდა, ხოლო ავანგარდს მონღოლი ნესტორიანი ქეთბუღა, თავრიზიდან დაიძრა. ლაშქრობაში მონაწილეობდა საქართველოს მხედრობა დავით ულუს მეთაურობით: „ყაენმა... მოუწოდა მეფესა დავითს ყოვლითა სპითა მისითა და წარვიდა ბრძოლად სულტნისა“[8]. დავით ნარინი ბრძოლაში არ მონაწილეობდა. იგი ყაენს განუდგა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა*.

ლაშქრობის მარშრუტი მისდევდა ალატაღის მთიან საძოვრებს ვანის ტბის აღმოსავლეთისაკენ. შემდეგ ხლათისა და ჰაქქარის მთიანეთიდან მონღოლები შეიჭრნენ ჩრდ. მესოპოტამიაში[9]. ყაენმა „მიაწია შუამდინარედ და იწყო ოჴრებად ყოველსა შუამდინარესა“[10], ჰულაგუს ვაჟი იაშუმუთი შემოეწყო ქ. მაიაფარიკინს, რომელიც ორწლიანი ალყის შემდეგ დაეცა. მაიაფარიკინის ალყაში ქართველებიც მონაწილეობდნენ. რაშიდ ად-დინი იხსენიებს ქართველ აზნაურს (ازناوری گرجی), რომელიც ორთაბრძოლაში მოიკლა[11]. სხვა ქალაქები უფრო ადვილად დანებდნენ, თავად ჰულაგუმ დაიკავა რუჰა (ედესა). დუნაისარაი, ნისიბინი და ჰარრანი[12].

ჟამთააღმწერელი მთლად კარგად არ არის ინფორმირებული შექმნილ ვითარებაში. მისი წარმოდგენით ყაენი ეგვიპტის სულტანს ეომება „და ვითარ ესმა სულტანსა ეგვპტისასა, აღმჴედრება წინაგანწყობად თათართა, და მოიწია მდინარესა ზედა ევფრატსა, ყოვლითა მჴედრებით მისით“[13]. შემდეგ დასძენს:... „იქმნა ომი ძლიერი, სადა იგი დავით მეფე და სპანი მისნი წინამბრძოლობდეს ძლიერად, და მოსწყდეს ორგნითვე, და ივლტოდეს მეგჳპტელნი“[14].

ეს ბრძოლა არ შეიძლება მომხდარიყო ეგვიპტის სულტანთან, რადგან იგი ჯერ კიდევ შორს იყო სირიის საზღვრებიდან და ევფრატის ნაპირებიდან.

ჩრდ. მესოპოტამიაში ჰულაგუს სერიოზული შეტაკება აიუბიანებთან არ მოსვლია, მაგრამ ბრძოლებს ადგილი ჰქონდა ალეპოსთან.

ილხანთა ლაშქარი 1259 წ. დეკემბერში მიუახლოვდა ალეპოს. აქ მათ ადვილად დაამარცხეს ნასირ იუსუფის ვაჟის მუაზზამ თურან შაჰის ლაშქარი, რო-

---

[8] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ., თბ., 1966, გვ. 235. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ჟამთააღმწერლის ცნობა 1258—1259 წწ. ეხება. იხ.: А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, СПб., 1888, გვ. 53; ბ. სილაგაძე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 89 და შემდეგ. მაგრამ 1259 წლამდე მონღოლებს და მათთან ერთად ქართველებს სირიაში საომარი ოპერაციები არ უწარმოებიათ.

* ამ ამბების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1966, გვ. 350—352.

[9] J. A. Boyle, Dynastic and Politikal History of the Il-Khans. The Cambridge History of Iran, vol. V, Cambridge, 1968, გვ. 350.

[10] ჟამთააღმწერელი, გვ. 235.

[11] Фазлуллах Рашид ад-дин, Джами ат-таварих, т. III, Баку, 1957, გვ. 56.

[12] J. A. Boyle, დასახ. ნაშრომი, გვ. 350.

[13] ჟამთააღმწერელი, გვ. 235.

[14] იქვე, გვ. 236.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც ქალაქის მდაბიონი (ხალკ მინ ალ-'ავამ ვა ს-სუკა) შეუერთდნენ და 25 იანვარს, ერთკვირიანი ალყის შემდეგ აიღეს ალეპო. ერთი თვის ალყის შემდეგ დაეცა ალეპოს ციტადელიც[15].

სირიის გამგებელს ნასირ იუსუფს მათთვის დახმარება არ გაუწევია. თუმცა დამასკოსთან დიდძალი არაბი, თურქი მოლაშქრეები და სხვა მოხალისეები (ალ-მუტავვი'ა) შეუგროვდა. იბნ თაღრი ბარდი წერს: „მან იცოდა, რომ მისი ლაშქარი ვერ გაუმკლავდებოდა თათრებს მათი სიმრავლისა და ძალის გამო, იმიტომ რომ ჰულაგუს ჰყავდა აურაცხელი ხალხი მონღოლები, სპარსელები, ქართველები და სხვები"[16].

ქართველებმა მონაწილეობა მიიღეს ალეპოს ალყაში. აქ თავი ისახელა სადუნ მანკაბერდელმა (სადუნ გორჯი — სადუნ ქართველი), რომლის მიმართ ჰულაგუს დიდი წყალობა გამოუჩენია[17]. ალეპოს ალყაში მონაწილეობდნენ აგრეთვე სხვა ქრისტიანული ძალებიც, კილიკიის სომხეთის მეფე ჰეთუმი და მისი სიძე ბოჰემუნდ VI ანტიოქელი. ქალაქი მოოხრებულ იქნა.

ნასირმა, როცა ეს ამბავი გაიგო, დატოვა დამასკო და ეგვიპტის მიმართულებით გაიქცა. დამასკოს მცხოვრებლებს მონღოლებისათვის წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. მათ „თვითონვე ნებით მისცეს ჰულაგუს ხელთ ქალაქი და ქალაქის გასაღები"[18]. თუ გრიგოლ აკანელის ცნობას დავუჯერებთ, მონღოლებს დამასკოსა და ალეპოს გარდა იერუსალიმიც აუღიათ[19].

შევიდა თუ არა დავით ულუ მონღოლებთან ერთად დამასკოში, უცნობია. ჟამთააღმწერელი წერს: „მეფე დავით და ქართველნი იაჯნეს ყაენისაგან წარმოსლვასა, რამეთუ მრავლით ჟამითგან იყვნეს ლაშქრობათა შინა. მაშინ ყაენმან ულო მისცა თავისუფლება და წარმოემართნეს, და ესრეთ სავსენი ურიცხვთა ნიჭითა და ალაფითა გამდიდრებულნი მეფე დავით და ქართველნი მოიწივნეს ადარბადაგანს, და მოვიდეს მუნით ტფილისად, სავსენი სიხარულითა"[20].

ვახუშტი ამ ამბის თარიღად 1249 წ. იძლევა[21]. მაგრამ ეს თარიღი ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ეს ბრძოლა მოხდა მონღოლების მიერ ბაღდადის აღების შემდეგ (1258), ე. ი. 1259 წელს, საფიქრებელია ამ წლის მიწურულს. მაგრამ ქართველების მონაწილეობა ალეპოს აღებაში საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მათი დაბრუნება შეიძლებოდა 1260 წ. იანვრის შემდგომ მომხდარიყო. ამ დროს ჰულაგუ ჯერ კიდევ სირიაში იმყოფებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ დიდი ყაენის გარდაცვალების ცნობამ აი-

---

15 ابن تغرى بردى ، النجوم الزاهرة فى ملوك مصر و القاهرة ، الجزء السابع ، القاهرة ، ص. ٧٥ (ქვემოთ ყველგან: იბნ თაღრი ბარდი)

J. A. Boyle, დასახ. ნაშრომი, გვ. 350.

16 იბნ თაღრი ბარდი, გვ. 74.

17 რაშიდ ად-დინი, გვ. 50. სპარსული ტექსტის ვარიანტებში ზოგან იკითხება სადიკ გორჯი. დადგენილ ტექსტში დატოვებულია სადუნი, მაგრამ თარგმანში ისევ სადიკია. სწორია ტექსტში მითითებული სადუნი. სადუნ მანკაბერდელის მოღვაწეობის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 367—369 და შმდ.

18 გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, გვ. 49.

19 იქვე.

20 ჟამთააღმწერელი, გვ. 236.

21 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 216.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძულა ის ლაშქრის ძირითადი ნაწილით უკან გამობრუნებულიყო იმ იმედით, რომ მის ადგილს დაიკავებდა. სირიაში მან ქეთბუღა დატოვა 10 თუ 20 ათასი მეომრით[22].

6 ივნისს ჰულაგუ უკვე ხლათში იყო[23]. დავით ულუ ეახლა ჰულაგუს. მან კი „წარმოავლინა მეფე ქართლად, რათა მზა იყოს მეფე ლაშქრად ეგჳპტესა“[24]. თავრიზს მოსულმა ჰულაგუმ აქ თავისი ძე აბაღა დატოვა და თავად ურდოში გაემგზავრა, მაგრამ გზაში გაიგო ახალი ყაენის არჩევის ამბავი და უკან დაბრუნდა[25].

1260 წ. ზაფხულის თვის ამბების აღწერის დროს ჟამთააღმწერელი გვამცნობს:„ინება ყაენმან ამჴედრება სულტანსა ზედა მისრეთისასა და შეკრიბნა ყოველნი მთავარნი და სპანი მისნი, და მოუწოდა მეფესა დავითს და სპასა მისსა წარსლვად ეგჳპტედ“[26]. დავითმა უარი განაცხადა. მან სათათრო გამოსაღების სიმძიმე მოიმიზეზა, თუმცა კი თავის ქვეშევრდომებს, ვისაც სალაშქროდ წასვლა სურდა, არ დაუშალა. „შანშეს-ძე ივანე, და გრიგოლ სურამელი, და კახა ერისთავი ახალქალაქისა, თავნი და პირნი ქუეყნისანი წარვიდეს ყაენს წინაშე, და უმრავლესნი ჰერ-კახნი“[27].

აჯანყებული დავით ულუ სამცხეში გადავიდა სარგის ჯაყელთან და იქ გაატარა ზაფხული.

1260 წ. 3 სექტემბერს ეგვიპტის ლაშქარმა, რომელსაც სულტან კუტუზის (1259—1260) მხედართმთავარი ბაიბარსი მეთაურობდა, აინ-ჯალუთთან სასტიკად დაამარცხა მონღოლები. მალე მამლუქებმა გაათავისუფლეს სირია და მონღოლები ევფრატს იქით გადარეკეს. მუსლიმთა რევანშს შედეგად მოჰყვა ქრისტიანთა აწიოკება, რომლებიც მონღოლთა მფარველობის ქვეშ იყვნენ.

კირაკოს განძაკელის ცნობით აინ-ჯალუთთან ბევრი სომეხი და ქართველიც დაიღუპა[28]. იყვნენ თუ არა ისინი აღმ. საქართველოს ის მოლაშქრეები, რომლებიც 1260 წ. შეკრიბა ჰულაგუმ? სპარსულ-არაბულ და სომხურ წყაროებში არ მოიპოვება ცნობა იმის თაობაზე, რომ ჰულაგუს 1260 წ. სექტემბრამდე რაიმე ლაშქარი გაეგზავნა სირიაში. სამაგიეროდ სირიის დაპყრობის ხელახალ ცდას ადგილი ჰქონდა აინ-ჯალუთის მარცხის შემდეგ. ჰულაგუმ ილქენოინის მეთაურობით დიდძალი ჯარი გაგზავნა სირიაში, მაგრამ 10 დეკემბერს ჰიმსთან მამლუქებმა ისინიც სასტიკად დაამარცხეს და უკუაგდეს სირიიდან[29]. შესაძლოა, რომ აღმ. საქართველოს დიდებულები სწორედ ამ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ. საგულისხმოა, რომ განმდგარი დავით ულუს ამბავი სწორედ ამ ლაშქრის დაბრუნების შემდეგ* მოიკითხა ჰულაგუმ თავის საზამთრო

---

[22] J. A. Boyle, დასახ. ნაშრომი, გვ. 351.

[23] რაშიდ ად-დინი, გვ. 50.

[24] ჟამთააღმწერელი, გვ. 237.

[25] J. A. Boyle, დასახ. ნაშრომი, გვ. 351.

[26] ჟამთააღმწერელი, გვ. 238.

[27] იქვე, გვ. 239.

[28] Киракос Гандзакецы, История Армении, перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, М., 1976, გვ. 233—234.

[29] J. A. Boyle, დასახ. ნაშრომი, გვ. 352.

* ჟამთააღმწერელი არც ჰულაგუს სირიის კამპანიის უკანასკნელ ეტაპშია კარგად გაცნობიერებული... „ამას შინა მოვიდა ყაენი ულო გამარჯვებული ბრძოლისაგან სულტანისა მეგჳპტელისა, რამეთუ სძლო მათ და აოტნა. სადა—იგი მუნ დამხუდართა ქართველთა ძლიერი ბრძოლა ყვეს“ — წერს იგი. იხ. ჟამთააღმწერელი, გვ. 239 (ხაზი ჩვენია.—

ეროვნული
ბიბლიოთეკა


რეზიდენციაში და აჯანყებული მეფის წინააღმდეგ არღუნ ნოინი გამოგზავნა 1260 წლის დეკემბრის თვეში[30].

1260 წ. მიწურულში დასრულდა სირიისათვის მონღოლებსა და მამლუქებს შორის ბრძოლის პირველი ფაზა. ილხანებმა პირველად განიცადეს მარცხი გადამწყვეტ ბრძოლაში. აინ-ჯალუთთან გამარჯვებამ საყოველთაო პრესტიჟი მოუპოვა მამლუქებს და ააშორა მონღოლთა მუქარა ეგვიპტეს. სირიაში რამდენიმე ხნით ძველ ადგილებზე აღდგენილ იქნენ აიუბიანი გამგებლები, მაგრამ ბაიბარსის (1260—1277) მმართველობის ხანაში სირია პოლიტიკურად შევიდა ბაჰრელ მამლუქთა სახელმწიფოს შემადგენლობაში. ილხანებმა შეინარჩუნეს მესოპოტამია. ეს კი მათ საშუალებას აძლევდა მუდმივი საფრთხის ქვეშ ჰყოლოდათ სირია.

მომდევნო ყაენი აბაღა (1265—1282) ენერგიულად ცდილობდა ეშოვნა მოკავშირეები ევროპაში მამლუქთა წინააღმდეგ ბრძოლებში. 1267 წლიდან (შეიძლება ადრეც) ის მიმოწერას აწარმოებდა რომის პაპთან. ამავე მიზნით 1273 წ. მან ელჩები გაგზავნა რომის პაპთან და ინგლისის მეფესთან ედუარდ I-თან[31]. 1276—1277 წწ. კი კათოლიკურ ევროპასთან კავშირის დამყარებას ყაენი ქართველი ელჩების (იაკობის და იოანეს) მეშვეობითაც შეეცადა[32]. მაგრამ ევროპიდან მან პოზიტიური პასუხი ვერ მიიღო და ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ ბრძოლებში ისევ თავის ვასალებთან სომხებთან და ქართველებთან კავშირში დარჩა.

აბაღა ყაენის ზეობის წლებში საქართველოს ლაშქარი ორჯერ აღმოჩნდა ჩათრეული ეგვიპტესთან კონფლიქტში. 1277 წ. ამის მიზეზი იყო სულტან ბაიბარსის ექსპანსია რუმის სასულტნოს წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, 1243 წ. ქოს-დაღთან რუმის სელჩუკთა ლაშქრის განადგურების შემდეგ რუმის სასულტნო მონღოლთა ვასალი გახდა. სულტან ღიას ადდინ ქაიხოსროუს (1237—1246) გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის ჩამოვარდნილმა უთანხმოებამ ქვეყნის გაყოფა გამოიწვია. 1265 წ. სულტანი კილიჩ-არსლან IV მისმა ვაზირმა მუინ ად-დინ ფარვანამ მოაკვლევინა და ფაქტიურად ხელთ იგდო ძალაუფლება. მან ცოლად მოიყვანა გურჯი— ხათუნი, ქვრივი ყიას ად-დინისა, ქალიშვილი რუსუდანისა.

ფარვანა ეგვიპტის სულტანს დაუკავშირდა, მას მცირე აზიის დასალაშქრად აქეზებდა და მხარდაჭერას ჰპირდებოდა[33]. რუმის სელჩუკები, როგორც ჩანს, ეგვიპტეზე დამოკიდებულებას ამჯობინებდნენ.

1277 წ. გაზაფხულზე ბაიბარსი შეიჭრა რუმის სასულტნოში აბულუსტანის (თანამედროვე ალბისტანი, ჯეიჰანის ზედა დინებაში, ჟამთააღმწერლის ევხაიტი ანუ ასურასტანი)[34] გზით, აბულუსტანის მთების გავლით. აქ საზღვარს

---

დ. გ.). შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162—163, ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

30 ჟამთააღმწერელი, გვ. 239—240.

31 J. A. Boyle, დასახ. ნაშრომი, გვ. 363.

32 თ. ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1974, გვ. 59 66. A-D. v. den Brincken, Die Nationes Christianorum Orientalum im Verständnis der Lateinischen Historiographie von der Mitte des 12. bis in die zweite Hälfte des 14. Iahrhunderts, Wien, 1973, გვ. 116.

33 რაშიდ ად-დინი, გვ. 90.

34 ჟამთააღმწერელი, გვ. 270.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცავდნენ მონღოლთა, ქართველთა და რუმის სელჩუკთა შეერთებული ძალები თუკუს და თუდანის მეთაურობით[35].

არაბი ავტორები (მუფადდალი, ალ-ჲუნი̄ნი̄, აბულ-ფიდა̄', იბნ ად-დავა̄და̄რი̄, იბნ თაღრი̄ ბარდი̄, ალ-მაკრი̄ზი̄) მოგვითხრობენ ამ ლაშქრობისა და გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ და აღნიშნავენ მასში ქართველთა მონაწილეობას.

15 აპრილს მონღოლებმა განიცადეს სასტიკი მარცხი. მუფადდალის თანახმად ბრძოლაში დაიღუპა 6700 მონღოლი და ამდენივე ან უფრო მეტიც ქართველი და რუმელი[36]. იბნ ალ-'იბრი̄ უფრო აზუსტებს ამ ცნობას. იგი აღნიშნავს, რომ „ბრძოლაში სამი ათასი ქართველიდან ორი ათასი დაეცა"[37].

გამარჯვების მიუხედავად ბაიბარსმა საბოლოო წარმატება მაინც ვერ მოიპოვა. მან რუმის სასულტნოს მხრივ აღთქმული მხარდაჭერა ვერ პოვა და კაისარიის (რუმის უმნიშვნელოვანესი და სავაჭრო ცენტრის) აღების შემდეგ სასწრაფოდ უკუიქცა[38].

მარცხის ამბავი აბაღამ თავრიზში შეიტყო. ის სასწრაფოდ გაემგზავრა რუმში, მოინახულა აბულუსტანი და „ვითარ ცნა... ამოწყუეტა ლაშქართა და უმეტეს ქართველთა, დაუმძიმდა დიდად"[39] — აღნიშნავს ჟამთააღმწერელი. ქართული წყაროს ამ ცნობას არაბული წყარო შემდეგნაირად გადმოგვცემს: „როდესაც აბაღა მივიდა აბულუსთანის ველზე და ნახა დახოცილი მონღოლები, ისე ატირდა, რომ კინაღამ ცხენიდან გადმოვარდა"[40]. მონღოლებმა შური ფარვანაზე იძიეს და სიკვდილით დასაჯეს.

აბულუსტანთან, ვფიქრობთ, სამცხის ლაშქარი იბრძოდა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სწორედ სარგის ჯაყელსა და მის ვაჟს ბექას უბოძეს მონღოლებმა ფარვანას ცოლის მამული — აწყური, სამცხეში[41].

აბაღას სურვილს, დაუყოვნებლივ დაეწყო საპასუხო ლაშქრობა სირიაზე ხელი შეუშალა საშინაო ვითარებამ.

ამ გეგმის განხორციელება XIII ს-ის 80-იანი წლების დაწყებამდე გადაიდო, როცა ბაჰრელ მამლუქთა სახელმწიფოს საიფ კალავუნი (1279—1290) ჩაუდგა სათავეში.

1280 წ. სექტემბერში ილხანთა ლაშქარი სირიაში შეიჭრა, მაგრამ ამ ლაშქრობას მათთვის რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არ მოუტანია. მონღოლებმა შეძლეს ალეპომდე მიეღწიათ, მაგრამ იქიდან განდევნილ იქნენ[42].

[35] Г. Микаелян, დასახ. ნაშრომი, გვ. 409. ჟამთააღმწერელი ასახელებს უკანასკნელს: „თონდა, ნათესავით სალდუხი ბადურთა" (ჟამთააღმწერელი, გვ. 270). ქართული წყაროს ვარიანტებში სალდუხის ნაცვლად სალდუსიც გვაქვს, რაც უფრო სწორია. რაშიდ ად-დინის თანახმად, „თონდა იყო სადუნის ძე სულდუსის გვარიდან" (რაშიდ ად-დინი, გვ. 90).

[36] Moufazzal Ibn Abil-Fazail, Histoire des Sultans Mamlouks, texte Arabe, publiée et traduit en Français par E. Blochet, Patrologia Orientalis, t. XIV, Paris, 1920, გვ. 432 (ქვემოთ: მუფადდალ იბნ აბი ლ-ფადაილი).

[37] ابن العبرى (غريغوريوس الملطى)، تاريخ مختصر الدول، بيروت، ١٩٥٧، ص. ٢٨٨ (ქვემოთ: იბნ ალ-იბრი).
შდრ. J. Hammer-Purgstall, Geschichte der Ilchanen, das ist der Mongolen in Persien, B. I., Darmstadt, 1842, გვ. 295; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 216.

[38] J. A. Boyle, დასახ. ნაშრომი, გვ. 361; Г. Микаелян, დასახ. ნაშრომი, გვ. 409.

[39] ჟამთააღმწერელი, გვ. 271.

[40] მუფადდალ იბნ აბი ლ-ფადაილი, გვ. 434.

[41] ჟამთააღმწერელი, გვ. 271.

[42] جمال الدين الشيال، تاريخ مصر الاسلامية، الجزء الثانى، العصرانى الايوبى و المملوكى، الاسكندرية، ١٩٦٧، ص. ٢٣٢ (ქვემოთ: ჯამალ ად-დინ აš-სიჲალი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველთა მონაწილეობა ამ ლაშქრობაში აღმოსავლურ და ქართულ წყაროებში არ ჩანს, თუმცა ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ფაქტი უეჭველად არის მიჩნეული. ამასთან 1280 წ. კამპანიის ზოგიერთი ეპიზოდი გაიგივებულია იმ ბრძოლებთან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მომდევნო, 1281 წელს[43].

1281 წ. აბაღა ყაენმა თავის ძმას მანგუ დემურს მიანდო სირიაზე გალაშქრება. „ინება ყაენმან აბაღა წარსლვა ეგჳპტედ, ანუ დაიპყრას ანუ მოხარკე ყოს. მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა და მეფესა დიმიტრის და სპათა მისთა, წარსლვად და ბრძოლად ეგჳპტისა სულტნისა. რამეთუ მაშინ ფუნდუყადარ მიცვალებულ იყო, და სხუა დადგინებულ იყო, რომელსა ეწოდა ნასირ მელიქ“[44].

მანგუ დემურის მოწოდების თანახმად ლაშქრობაში დემეტრე II-თან ერთად მონაწილეობდა აგრეთვე სამცხის მთავარი ბექა. სწორედ ბექას და მის ლაშქარს განსაკუთრებით გამოუჩენია თავი ამ ლაშქრობის დროს მომხდარ პირველ ბრძოლაში, რომელსაც ჟამთააღმწერლის მიხედვით ადგილი ჰქონდა ქ. დარბუზაკთან[45] (არაბ. دربساك) — ანტიოქიის ჩრდ. დასავლეთით. მონღოლთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ამ პირველ შეტაკებაში გაიმარჯვა.

ამის შემდეგ ლაშქარმა გზა გააგრძელა და „მივიდეს ქალაქსა, რომელსა ეწოდების ამასია, ამო“[46]. ჟამთააღმწერელს აქ სირიის ორი ქალაქი ჰიმსი (ამასია) და ჰამა (ამო) ერთ ქალაქად აქვს წარმოდგენილი, მონღოლთა ლაშქარმა პირველად მიაღწია ჰამას (حماة), შემდეგ კალავუნის ლაშქარმა დაიხია უკან და შეხვდა ერთმანეთს ორი ლაშქარი ჰიმსთან (حمص).[47]

წყაროებში მონღოლთა ლაშქარი ოთხმოცი[48] ან ასი[49] ათასი მეომრით არის განსაზღვრული. მათგან ქართველ მებრძოლთა რიცხვი ხუთი ათასს აღწევდა[50]. მათ გარდა მონღოლთა ლაშქრის მარჯვენა ფრთაზე იბრძოდნენ რუმელები და სომხები, კილიკიის მეფის ლევონ III-ის (1270—1289) მეთაურობით.

გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1281 წ. 30 ოქტომბერს ჰიმსთან. მეფე დემეტრე II თავისი ლაშქრით პირადი სურვილის თანახმად წინამბრძოლად იყო დანიშნული. „და იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, ოდესვე ყოფილთა და

[43] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 371; ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92; Г. Микаелян, დასახ. ნაშრომი, გვ. 412.

[44] ჟამთააღმწერელი, გვ 279. „ნასირ მელიქის“ ქვეშ ჟამთააღმწერელი გულისხმობს სულტან საიფ კალავუნს, რომელმაც მიიღო ლაკაბად ალ-მანსური (المنصور). იგი იყო ან-ნასირ მუჰამმადის მამა და მას ასეც უწოდებდნენ — აბუ ნასირ მუჰამმად. შესაძლოა, ამ გარემოებების გამო უწოდებს ჟამთააღმწერელი მას „ნასირ მელიქს“.

[45] ჟამთააღმწერელი, გვ. 279.

[46] იქვე, გვ. 280.

[47] ჯამალ ად-დინ ას-სიჲალი, დასახ. ნაშრომი, გვ. 233.

[48] ابو الفداء (اسماعيل بن على)، المختصر فى تاريخ البشر، الطبعة الاولى بالمطبعة الحسينية المصرية، الجزء الرابع، ص. ١٥

[49] მუფადდალ იბ აბი ლ-ფადაილი, გვ. 490.

[50] იბნ ალ-იბრი, გვ. 288. ابن الفرات / ناصر الدين محمد بن عبد الرحيم / تاريخ ابن الفرات، المجلد السابع، بيروت، ١٩٤٢، ص. ٢١٩ — ٢١٨
ათას ქართველს ასახელებს მონღოლთა ლაშქრის შემადგენლობაში ამ ბრძოლის მონაწილედ აკრაში მცხოვრები ჟოზეფ დე კანსი, მის მიერ „იერუსალიმის წმინდა მიწიდან“ ინგლისის მეფის, ედუარდ I (1272—1307) სახელზე გაგზავნილ წერილში (იხ. ი. ტაბაღუა, ქართველთა მონაწილეობა ჰიმსთან ბრძოლაში (1281 წლის ოქტომბერში), ლონდონის არქივში მოპოვებული მასალის მიხედვით, „ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები“, I, თბ., 1975, გვ. 172), გუსტავ ვაილის თანახმად მონღოლთა ორმოცდაათი ათასიანი ლაშქრის მესამედს შეადგენდნენ ქართველე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდასრულთა ბრძოლათა უდიდესი“[51]. მონღოლები სასტიკად დამარცხდნენ, დანაკლისი ორივე მხარეს დიდი იყო. თავად დემეტრე II ძლივს გადაურჩა სიკვდილს. იმ ორასი კაციდან, რომელიც მას მეწინავე რაზმად ჰყავდა გამოყოფილი, მხოლოდ სამი კაცი გადარჩა ცოცხალი[52].

1282 წ. 1 აპრილს აბაღა გარდაიცვალა.

ახალმა ყაენმა თეგუდარმა (1282—1284), ალბათ, მამლუქებთან ომის დასრულების იმედით, ისლამი მიიღო. თავის ერთგულებას რელიგიისადმი ის გამოხატავდა მეგობრულ წერილებში კალავუნისადმი და გამოთქვამდა სურვილს მშვიდობით და მეგობრულად ეცხოვრა ყველა მუსლიმურ ქვეყნებთან[53]. მაგრამ როცა ტახტზე ახალი ყაენი არღუნი ავიდა, მან კვლავ ძველი პოლიტიკა განაახლა და გააცოცხლა აბაღას გეგმა ჯვაროსნებისა და მონღოლების კავშირისა მამლუქთა სახელმწიფოს შესამუსრავად[54].

რაც შეეხება საომარ ოპერაციებს, ისინი მხოლოდ ყაზან-ყაენის (1295—1304) დროს განახლდა. გამუსლიმანებას ხელი არ შეუშლია მისთვის სამჯერ დაელაშქრა სირია 1299—1303 წლებში. ამ მხრივ, ის თავისი წინამორბედი ილხანების საგარეო პოლიტიკის პირდაპირი გამგრძელებელი იყო[55].

ამ პერიოდში ლაშქრობებისათვის გარკვეული ხელსაყრელი პირობები არსებობდა, რაც გამოწვეული იყო მამლუქი სულტნების შინა ბრძოლებით ტახტის დაუფლებისათვის. ეს პერიოდი მოდის სულტან ან-ნასირ მუჰამმადის ზეობის წლებზე (1292—1294, 1298—1308, 1309—1340).

სამივე ლაშქრობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ვახტანგ III (1298—1308) და სამცხის ათაბაგი ბექა. ილხანთა მოკავშირე იყო აგრეთვე კილიკიის მეფე ჰეთუმ II.

პირველი ლაშქრობა 1299 წ. შემოდგომაზე დაიწყო. ჟამთააღმწერლისა და რაშიდ ად-დინის ცნობების შეჯერებით კ. ტაბატაძე ვარაუდობს, რომ ლაშქრობაში მონაწილე ქართველ-სომეხთა რაოდენობა 10 000 შეადგენდა[56]. მონღოლები შეიჭრნენ სირიაში 22 დეკემბერს ჰიმსსა და ჰამას შორის ხაზინადარის ველზე მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა მამლუქებთან. მონღოლთა ლაშქრის ცენტრს თავად ყაზანი, ხოლო მარჯვენა ფრთას ყუთლუღ შაჰი (ჟამთააღმწერლის ხუტლუ-ბუღა, ხუტლუშა)[57] მეთაურობდნენ. ბრძოლაში, „სადა ვახტანგ და სპანი მისნი მჴნედ ბრძოდეს“[58] მამლუქები სასტიკად დამარცხდნენ, ჰიმსი დაეცა. ილხანთა ლაშქრის ნაწილმა „მიუწია... ვიდრე წმიდად ქალაქად იერუსალიმად“[59], ხოლო ყაზანმა 30 დეკემბერს დაიკავა დამასკო და მისცა მის მცხოვრებლებს შეუვალობის სიგელი.

---

ბი, სომხები და ბერძნები (იხ. Weil Gustav, Geschichte der Chalifen, B. IV, Stuttgart, 1860, გვ. 126).

[51] ჟამთააღმწერელი, გვ. 280.

[52] იქვე.

[53] A History of the Crusades, vol. II, Philadelphia, გვ. 751.

[54] იქვე.

[55] ვ. გაბაშვილი, ილხანთა ირანი XIV ს-ის პირველ ნახევარში, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბ., 1957, გვ. 212.

[56] კ. ტაბატაძე, რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ („მოქათაბათ-ე რაშიდი“), „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, თბ., 1968, გვ. 86.

[57] ჟამთააღმწერელი, გვ. 316.

[58] იქვე.

[59] იქვე.

1300 წ. 5 თებერვალს ყაზან ყაენმა მოულოდნელად დატოვა სირია, რადგანაც ირანში უგედეის შვილიშვილის კაიდუს აჯანყების ამბავი გაიგო. მან დამასკოს გამგებლად ადგილობრივი ამირა კიბჯაკი დატოვა, სირიის მმართველად კი კუთლუღ შაჰი. მაგრამ მონღოლთა ასდღიანი ბატონობის შემდეგ „განდგეს დამასკელნი, და გამოასხეს მცველნი ყაზანისანი“[60]. მაისის ბოლოს კი მამლუქებმა აღადგინეს თავიანთი ბატონობა სირიაში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფრანგი მემატიანე ჟ. სენ ვიქტორი (XIV ს-ის 30-იანი წლები) ყაზანის პირველ ლაშქრობასთან დაკავშირებით გვამცნობს, რომ მან აიღო იერუსალიმი, გადასცა ის ქართველებს, სირიის ნაწილი ძმას უბოძა, ხოლო კილიკიის მოსაზღვრე, მამლუქებისათვის ჩამორთმეული მიწები კილიკიის სომხეთის მეფეს ჰეთუმს. ეს ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში ა. ცაგარელმა შემოიტანა[61].

ამ მოვლენათა სხვა თანამედროვე ევროპელი ავტორის ოკტავ ეპიფანელის თანახმად, „1300 წ. იერუსალიმში ქრისტიანებს საშუალება ჰქონდათ ედღესასწაულათ აღდგომა. ყაზანმა დაუბრუნა სომხეთის მეფეს ტერიტორია, რომელიც ადრე სულტანმა მას წაართვა, თავის ძმას გადასცა სირია, ქართველებს კი იერუსალიმი“[62].

მათგან განსხვავებით XIV ს-ის სომეხი მემატიანე ნერსეს პალიენცი აღნიშნავს, რომ იერუსალიმი, თავისი წმინდა ადგილებით და ყოველგვარი შემოსავლით ყაზან ყაენს სომხეთის მეფის, ჰეთუმისათვის უბოძებია[63].

სამწუხაროდ, ჟამთააღმწერელი და არაბული წყაროები (მუფადდალ იბნ აბი ლ-ფადაილი, ალ-ჲუნīნī, აბუ-ლ-ფიდā', იბნ ად-დავāდāრī, იბნ თაღრī ბარდī, ალ-მაკრīზī) საერთოდ არ იცნობენ იერუსალიმის ქართველთა ან სომეხთა ხელში გადასვლის ფაქტს, რაც თავისთავად არ არის გამორიცხული. მაგრამ, ჯერჯერობით, ძნელია რომელიმე ვერსიას მიენიჭოს უპირატესობა.

ბ. სილაგაძეს მიაჩნია, რომ იერუსალიმთან ერთად ქართველებმა მონღოლებისაგან მიიღეს ჰიმსიც და დამასკოც[64]. მკვლევარი, ამ შემთხვევაში, ეყრდნობა ა. ცაგარელს და ივ. ჯავახიშვილს. მაგრამ ა. ცაგარელი ეხება მხოლოდ იერუსალიმის გადაცემის ამბავს[65]. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს იმ სიმკაცრეს, რომელიც სომეხთა და ქართველთა ჯარს გამოუჩენია[66] ხსენებული ქალაქების დაკავების შემდეგ. მსგავს ფაქტს არაბული და სომხური წყაროები არ იცნობენ.

---

[60] ჟამთააღმწერელი, გვ. 316.

[61] А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 55; შდრ. ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93. A.—D. v. den Brincken, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

[62] G. Peradze, An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine, Georgica (A Journal of Georgian and Caucasian Studies), № 4 and 5., 1937, გვ. 188; შდრ. რ. ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, სტამბოლი, 1921, გვ. 17.

[63] Армянские источники о монголах, Извлечения из рукописей XIII—XIV вв., перевод с древнеармянского, предисловие и примечания А. Г. Галстяна, М., 1962, გვ. 96/ მართალია, პალიენცის თხრობა ყაზან ყაენის ლაშქრობის შესახებ სომხური წელთაღრიცხვის 751 1302 წლით არის დათარიღებული, მაგრამ იგი ყაზან ყაენის პირველ ლაშქრობას უნდა გულისხმობდეს, როდესაც მონღოლებმა შეძლეს ჰიმსის, იერუსალიმის და დამასკოს აღება.

[64] ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92—93. აღსანიშნავია, რომ იერუსალიმის მუსლიმთაგან გამოხსნას და ქრისტიანთათვის მის გადაცემას ჯერ კიდევ ჰეთუმ I (1226—1270) თხოვდა მანგუ ყაენს (იხ. Армянские источники о монголах, გვ. 68).

[65] А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

[66] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 393.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1300 წ. შემოდგომაზე ყაენმა დაიწყო მეორე ლაშქრობა სირიაში, რომელშიც უწინდებურად მონაწილეობდა ვახტანგ III. 1301 წ. ილხანთა ლაშქარმა მიაღწია ალეპოსა და კინნასრის, მაგრამ ავდარმა, სურსათისა და თივის უქონლობამ აიძულა ყაენი უკან დაბრუნებულიყო[67]. მიუხედავად იმისა, რომ ჟამთააღმწერელი მონღოლთა დიდ წარმატებებს აღნიშნავს, სპარსულ-არაბული წყაროებით ამ ლაშქრობის შედეგები უმნიშვნელო იყო.

1302 წ. ივნისში დაიწყო სამზადისი მესამე ლაშქრობისათვის. ყაზანმა გადაწყვიტა, რომ „ამირა ყუთლუღ შაჰი ლაშქრით წასულიყო საქართველოში, ქართველთა ჯარის ნაწილი კი წასულიყო დიარბექრში, სადაც უნდა შეერთებოდა ამირა გულას დუმანს და ყოფილიყო მზად სირიის ლაშქრობისათვის“[68].

ილხანთა ლაშქარმა 1303 წ. გადალახა ევფრატი. ყუთლუღ-შაჰმა სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე მიაღწია დამასკოს. 19 აპრილს, მათ წინააღმდეგ გამოვიდა ეგვიპტელთა ლაშქარი სულტან ნასირ მუჰამმადის ხელმძღვანელობით. მარჯ ას-საფართან, ჟამთააღმწერლის გადმოცემით: „იქმნა ძლიერი ომი, დაიჴოცნეს ორგნითვე ურიცხუნი. და მას დღესა სწორი ძლევა არა იქმნა, და ღამემან განყარნა, და ვითარ უკუდგეს, პოვეს ქედი დიდი თათართა და მას ზედა შემოდგეს ხუტლუბუღა ერითურთ... მოიჴელოვნა სულტანმან, რამეთუ ჩამოუშვა წყალი უკანა კერძო თათართა, და მას ღამესა ესეთი ლამი შეიქმნა, ცხენი და კაცი ორნივე უჩინო იქმნიან ლამსა შიგან. და განთენა რა, იხილეს თათართა უკანა კერძო ლამი, და წინათ ლაშქრისა სიმრავლე, უღონო იქმნნეს. პოვეს მცირე უგანო ადგილი ლამისა, და მაშიგანცა დაიჴოცნეს სიმრავლე კაცისა და ცხენისა; და რაჟამს აღივსო კაცითა და ცხენითა, მეოტმან ლაშქარმან ზედა—განსლვა დაიწყო. დალათუ მოსწყდეს ურიცხჳ თათარი და ქართველნი, და ვახტანგ და ნოინნი მშჳდობით დარჩეს“[69]. ჟამთააღმწერლის თხრობა მცირე დეტალების გარდა ემთხვევა მარჯ ას-საფარის ბრძოლის იმ აღწერას, რომელსაც ვხვდებით რაშიდ ადდინთან[70] და განსაკუთრებით კი ნერსეს პალიენცის თხზულებაში[71].

განრისხებულმა ყაზანმა მარცხი ნოინებს გადააბრალა და დილეგში ჩაყარა ისინი. მან სირიაში მეოთხე ლაშქრობისათვის დაიწყო სამზადისი, „გარნა დასნეულდა სენითა მუცლისათა და მოკუდა“[72]. ეს მოხდა 1304 წ. 11 მაისს.

ამრიგად, ვერც ყაზან ყაენმა, ილხანთა ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა წარმომადგენელმა შეძლო სირიის დაპყრობა და მამლუქთა დათრგუნვა. მის ბრძოლებს მამლუქებთან არა ერთი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

განვლო კიდევ 8 წელმა და ოლჯეითუ ხუდაბანდე (1305—1317) კვლავ შეეცადა განეხორციელებინა ილხანთა დიდი ხნის ოცნება. 1312 წ. დეკემბერში, მონღოლთა ლაშქარმა, გაუყვა რა მოსულის გზას, 23 დეკემბერს გადაჭრა ევფრატი კირკასიასთან და ალყა შემოარტყა სირიის ქ. რაჰბას. მაგრამ ეს ლაშქრობაც წარუმატებელი იყო. 1313 წ. 26 იანვარს მონღოლებმა ალყა მოხსნეს და უკუიქცნენ. ამ ლაშქრობაში ქართველთა ჯარიც იღებდა მონაწილეობას[73].

---

[67] რაშიდ ად-დინი, გვ. 189.

[68] იქვე. გვ. 195.

[69] ჟამთააღმწერელი, გვ. 317.

[70] რაშიდ ად-დინი, გვ. 200.

[71] იხ. Армянские источники о монголах, გვ. 100.

[72] ჟამთააღმწერელი, გვ. 318.

[73] იხ. დ. გოჩოლეიშვილი, იბნ ად-დავადარი 1312/13 წ. ქართველთა ერთი ლაშქრობის შესახებ, „საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები“, I, თბ., 1976, გვ. 106—111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამით საბოლოოდ დამთავრდა ომები ილხანებსა და ეგვიპტის მამლუქებს შორის. ბოლო მეტად მძიმე მოვალეობის შესრულებას, როგორიც იყო ქართველთა ლაშქრის მონაწილეობა მონღოლთა ლაშქრის შემადგენლობაში, ამ შემთხვევაში სირია-ეგვიპტის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში. ეს ლაშქრობები და მათი შედეგები უშუალოდ და ორგანულად იყო დაკავშირებული მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობასთან. ამდენადვე XIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIV ს-ის პირველ მეოთხედში საქართველო ნებსით თუ უნებლიეთ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მახლობელი აღმოსავლეთის იმ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც უკავშირდებოდა ილხანთა ირანისა და ეგვიპტის წინააღმდეგობას, იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკაც ამ წინააღმდეგობათა უშუალო გამოვლინებას წარმოადგენდა.

Д. Т. ГОЧОЛЕЙШВИЛИ

## ГРУЗИЯ В СВЕТЕ МЕЖДУНАРОДНЫХ ОТНОШЕНИЙ НА БЛИЖНЕМ ВОСТОКЕ В XIII—XIV ВЕКАХ

Резюме

Со второй половины XIII в. до первой четверти XIV в. на протяжении почти восьми десятилетий между мамлюкским Египтом и государством Хулагуидов постоянно велись войны. Хулагуиды стремились завоевать Сирию и Палестину. Выход на побережье Средиземного моря был обусловлен экономическими планами Ильханского Ирана.

В составе монгольского войска на основании воинских обязательств, наложенных ильханами на Грузию, участвовало и грузинское войско. Упомянутые сражения происходили в основном на территории Сирии.

Основываясь на грузинских, армянских, европейских и арабских письменных источниках, некоторые из которых (напр. Муфаддал ибн-Аби-л-Фадаил, ибн-ад-Давадари, ибн-Тагри Барди и др.) в данном направлении впервые привлекаются грузинской историографией, удается уточнить даты сражений, происходивших в 1260, 1277, 1280, 1281, 1299—1303 и 1312—1313 годы, и количество грузин, участвовавших в них.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. გაბაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შამილ ბაჯიაშვილი

# კიდევ ერთი ქართული წყვილჩარჩოიანი დამღის შინაარსი

თამარისა და დავითის 1200 წლის მონეტების შუბლზე სამი სახის წყვილ-ჩარჩოიანი დამღა თავსდებოდა[1]. ერთ-ერთი მათგანის გაშიფვრას წინამდებარე



წერილში შევეცდებით

თ. აბრამიშვილის აზრით, ამ დამღის მარჯვენა ნიშანი შორეულად არაბულ „ത“-ს (ت) მოგვაგონებს[2]. მისივე შენიშვნით, იგივე დამღა ზოგჯერ გადმობრუნებული სახითაც გვხვდება[3].



საკვლევი დამღა ორ მართკუთხედ ჩარჩოში ჩასმული, ორი ნაირვარიანტიანი, გაურკვეველი შინაარსის ნიშნისაგან შედგება.

დამღის მარცხენა ნიშნის მთავარი ნაკვთი სხვადასხვა სიმაღლისა და ამართულობის (დახრილობის) მქონე ვერტიკალური ხაზია, რომელსაც მარჯვნიდან, სხვადასხვა სიგრძისა და გაშლილობის კიდური უერთდება. ვერტიკალური ხაზი სიგრძეში კიდურთან შეერთების წერტილს ზოგჯერ სცილდება.



მარჯვენა ნიშანი კიდევ უფრო მრავალსახოვანია. იგი ნაირსიდიდის უწერტილო, ერთწერტილიანი ან ორწერტილიანი რკალია, ზოგჯერ ერთ ან ორკუთხა ნაკვთია



მარჯვენა ნიშნის ძირითადი, რკალური ან კუთხოვანი მოხაზულობის ნაკვეთი ხშირად დამღის მარცხენა ნიშნის ვერტიკალური ხაზის გასწვრივ მდებარეობს. ზოგჯერ კი იგი ზევით, ამავე ნიშნის კიდურის გასწვრივ ინაცვლებს ხოლმე.

ასეთია საკვლევი დამღის მოკლე აღწერილობა.

ნაკვთუსრულობისა და ერთი გარკვეული (იგულისხმება დამღის ნიშანთა ვარიანტულობა) მოხაზულობის უქონლობის გამო დამღის ნიშანთა არათუ რომელიმე განსხღვრული ასოების ნაშთებად ცნობა, არამედ მათი ამა თუ იმ დამწერლობისადმი მიკუთვნებაც კი ძნელდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ უშედეგო უნდა იყოს მხოლოდ მათზე დაყრდნობითა და შესაპირისპირებელ-შე-

---

[1] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 84, №№ 3, 5, 6, 7.

[2] თ. აბრამიშვილი, ქართულ და ბიზანტიურ მონეტებზე მოთავსებული დამღები, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, XXII-B, 1961, გვ. 106, № 6.

[3] იქვე, გვ. 106.

სადარებელი მასალის გამოუყენებლად იმ ამოსავალ ასოთა ამოცნობა, რომელთა ნაშთებსაც ისინი წარმოადგენენ.

ამგვარ შესადარებელ მასალად მიგვაჩნია თამარ-დავითის მონეტებზე აღბეჭდილი ერთ-ერთი[4] დამღა (ქვემოთ მას პირობითად „მეორე დამღას“ ვუწოდებით.



ორთავე დამღა შუა იყოფა აღნიშნული მონეტების შუბლზე გამოსახული ფიგურის ბუნით (რომელსაც თ. ბარნაველი თამარ-დავითის მონოგრამად სთვლის[5]).



ჩვენ მიერ „მეორე დამღის გაშიფვრისას გამოთქმული ვარაუდის თანახმად, შინაარსეულად ერთი სიტყვის გამომხატველ დასახელებული დამღის ნიშანთა ჩარჩოებით გათიშვის მიზეზი თამარ-დავითის მონეტის შუბლის გამოსახულებათა დაუზიანებლობა ყოფილა. მონეტის ამ მხარეზე არ არსებობს ისეთი თავისუფალი სივრცე, სადაც ეს დამღა მთელი და გაუყოფელი სახით გამოსახულებათა დაუზიანებლად მოთავსდებოდა. ამიტომ მისთვის შედარებით თავისუფალი ადგილი შეურჩევიათ. ასეთი ადგილი კი ზემოხსენებული ფიგურის მარჯვნივ და მარცხნივ არსებული სივრცეა, რომელიც მას უნდა დაეკავებინა. მაგრამ აქ დაუზიანებლად დასატოვებელი ყოფილა ფიგურის ბუნი, რომლის „ხელშეუხებლობის“ მიზეზით დამღა ორად გაყოფილა და ბუნს დამღის ნიშანთა შორის გაუვლია. ამის გამო ეს ნიშნები განცალკევებულა და ჩარჩოების მოსაზღვრე გვერდებით გამიჯნულა[6].

საფიქრებელია, რომ საკვლევი დამღის ორად გაყოფის მიზეზიც იგივე უნდა ყოფილიყო.

მეორე დამღის ნიშნები რუსუდან დედოფლის ასომთავრული „“ — მონოგრამის ინვერსიული ასონაშთებია[7].



ახლა ორივე დამღის შესაბამისი ნიშნები ერთმანეთს შევადაროთ.

ორთავე მარცხენა ნიშნის ანალოგიური ნაკვთებია; ვერტიკალური ხაზები კიდურებამდე და სხვადასხვა მიმართულების კიდურები. 

[4] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, გვ. 112, № 5.

[5] თ. ბარნაველი, ფიგურული ნიშნები განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ მონეტებზე, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, 1974, გვ. 93, სურ. 11 და 12.

[6] შ. ბაჯიაშვილი, ერთი ქართული წყვილჩარჩოიანი დამღის შინაარსი, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 3, 1973, გვ. 140—141.

[7] იქვე, გვ. 143—144, ნახ. 7.

მეორე დამღის მარცხენა ნიშანი ნაკვთნაკლი „რაეა“. სახელდობრ, მას დაკარგული აქვს ქვემოკიდური (ნახ. 9-ა), ხოლო ვარიანტიდან ვარიანტში, თანდათან კნინდება მისი ზემოკიდურის ნახევარიც (ნახ. 9, ბ, გ). საკვლევი დამ-



ა ბ გ დ

ღის სათანადო ნიშანს კი ქვემოკიდურთან ერთად ვერტიკალური ხაზის ნახევარიც დაუკარგავს (ნახ. 9, დ), რაც გვაფიქრებინებს, რომ საკვლევი დამღის მარცხენა ნიშნის ვარიანტები მეორე დამღის გრაფიკული გადაგვარების პროცესს უნდა აგრძელებდნენ.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით „რაეს“ დაწერილობას ოთხი ფორმა შეიძლება ჰქონდეს: ძირითადი (I), ანტიფორმა (II), მარჯვენა (III) და მარცხენა (IV) ინვერსიული ფორმები.




როგორც ჩანს, საკვლევი დამღის მარცხენა ნიშნის ერთი ვარიანტი (ნახ. 2) „რაე“ გრაფემის ძირითადი დაწერილობის, მეორე (ნახ. 1) კი მისი მარცხენა ინვერსიული დაწერილობისა უნდა იყოს.

მეორე დამღის მარჯვენა ნიშანი „ნარ“ ასოს ინვერსიული ნაშთია, რომლის ერთ ვარიანტში (ა) ქვემოკიდური, ხოლო მეორეში (ბ) ქვემოკიდურთან ერთად რედუცირებულია ვერტიკალური ნახაზის ნაწილიც (ნახ. 11). ამ უკანასკნელთან იჩენს მსგავსებას საკვლევი დამღის მარჯვენა ნიშნის ვარიანტები (ნახ. 11, გ. დ;).



ა ბ გ დ

შეიძლება ითქვას, ,რომ საკვლევი დამღის მარჯვენა ნიშანში გრძელდება მეორე დამღის შესატყვისი ნიშნიდან დაწყებული გრაფიკული მეტამორფოზის პროცესი, რომელიც, ჩვენი აზრით, ასე აიხსნება: მეორე დამღის მარჯვენა ნიშანს ჯერ ქვემოკიდური, შემდეგ ვერტიკალური ხაზის ნახევარიც დაუკარგავს. ამ უკანასკნელი მოხაზულობით იგი გადასულა საკვლევი დამღის მარჯვენა ნიშნად, რომელშიც დასრულებულია ვერტიკალური ხაზის დამოკლება. აქედან წარმომდგარა საკვლევი დამღის, დასახელებული ნიშნის მცირესიმაღლიანი ვერტიკალური ხაზის მქონე კუთხოვანი ნაკვთი, რომელიც თანდათან „დარბილებულა“, მორკალულა და რკალადქცეულს ჯერ ერთი, ან პირიქით, ჯერ ორი და ბოლოს ერთი წერტილიც დართვია (ნახ. 12). ამის გამო მას თანდათან მარ-

ცხენა ნიშნის პარალელურად „არაბული ელფერი“ მიუღია და ნებით თუ უნებლიედ „არაბულ“ ასონიშნადაც ასოცირებულა (მარცხენა ნიშნის ზოგიერთი ვარიანტი გარეგნულად არაბულ ანბანში მიღებულ ციფრ 2-ს (٢) მოგვაგონებს).



ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევი დამღის ამოსავალი ფორმა მეორე დამღაა.

ვფიქრობთ, რომ საკვლევი დამღის ერთი ვარიანტი (ნახ. 13, ა) რუსუდან დედოფლის „რნ“ მონოგრამის ძირითადი დაწერილობის, მეორე ვარიანტი (ნახ.



13, ბ) კი მის ინვერსიულად შესრულებულ ასონიშნებს წარმოადგენენ. ამგვარად, ეს დამღაც რუსუდან დედოფალს ეკუთვნის.

Ш. С. БАДЖИАШВИЛИ

## СОДЕРЖАНИЕ ЕЩЕ ОДНОЙ ПАРНОРАМОЧНОЙ ГРУЗИНСКОЙ НАЧЕКАНКИ

Резюме

Среди начеканок, ставившихся на монетах Тамары и Давида, встречаются и три парнорамочные, которые выделяются среди остальных тем, что нижний отросток геометрической фигуры лицевой стороны монеты как раз помещается между рамками этих начеканок.

В предлагаемой статье дается расшифровка одной из этих начеканок (рис. 1).

Знаки исследуемой начеканки представляют фрагменты букв, опознание которых затрудняется без сопоставительного материала. Таким материалом считаем «вторую» начеканку (рис. 5), которая является монограммой царицы Русудан, составленной буквами асомтаврули «ႰႬ — РН».

Из сопоставления этих начеканок можно сделать вывод, что исходной формой и содержанием исследуемой начеканки является именно эта монограмма царицы Русудан.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა კილაძე

# მუ'თაზილების მრწამსის შესახებ იბნ რუშდის ძირითად ტრაქტატში

არაბულენოვანი საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში მუსლიმური დოგმატიზმისა და ფილოსოფიის წინამორბედმა, თავისუფლად მოაზროვნე მუ'თაზილებმა[1] მნიშვნელოვანი მიმდინარეობა შექმნეს. ცნობილია, რომ IX საუკუნიდან მოყოლებული მუ'თაზილების თეოლოგიამ სისტემატური ხასიათი მიიღო და დაახლოებით საუკუნის მანძილზე იდგა განვითარების გზაზე. იგი გარკვეულ ეტაპზე სახელმწიფოს ოფიციალური რელიგიური მოძღვრებაც იყო. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი მუ'თაზილების მრწამსის გამოკვეთას და ორთოდოქსალური ხაზის საწინააღმდეგო პრინციპების დაკანონებას[2].

მუ'თაზილები იგივე მუთაქალლიმები არიან (διαληκτικοι), ე. ი. ისლამის თეოლოგები, რომლებიც უარყოფენ რელიგიის დოგმებს. მაგრამ, მუთაქალლიმებისაგან განსხვავებით, ისინი ტრანსცენდენტულის ნაცვლად გონით დასაბუთებას შეუფარდებენ კამათის შედეგად მიღებულ მოსაზრებებს. ამიტომ მუ'თაზილები არიან მოკვეთილნი, რაც გამოიხატება მათ სახელწოდებაში (المعتزلة), რომელიც სრულ შესატყვისობას იჩენს ბერძნულ σχισματικοι-სთან[3]. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეების დიდი მოაზროვნე იბნ რუშდი (ავეროესი) თავის ძირითად ტრაქტატში მოიხსენიებს მათ, როგორც „მუთაქალლიმებს ჩვენი სარწმუნოების ხალხთაგან", ე. ი. ისლამის სარწმუნოების თეოლოგებს[4]. მაგრამ ამის გამო იბნ რუშდი არ ცდილობს მათ შენიღბვას. იგი გამოავლენს მუ'თაზილებს, როგორც მუთაქალლიმების ორთოდოქსალური ხაზის მოწინააღმდეგეებს. მაგალითად, იბნ რუშდი აღნიშნავს, რომ მუ'თაზილების მრწამსია არასხეულებრივი არსის (ذات غير جسمانية) არსებობა, რომელიც ცოცხალია (حية), მეცნიერია (عالمة), მსურველია (مريدة), შემძლეა (قادرة), მეტყველია (متكلمة), მსმენელია (سميعة) და მხედველია (بصيرة)[5]. ამ შემთხვევაში მუ'თაზილები უარყოფენ ანტროფომორფიზმს. ამასთანავე, მიუთითებენ არასხეულებრივი არსის არსებობაზე, სწორედ ეს არსი არის მათ მოძღვრებაში

---

[1] H. Steiner, Die Mutaziliten als Vorläufer der islamischen Dogmatiker und Philosophen, Leipzig, 1865; H. Steiner, Die Mutaziliten und die Freidenker im Islam, Leipzig, 1865; L. Gardet, M. M. Anawati, Introduction a la theologie musulmane, Paris, 1948, Index; W. Montgomery Watt, Free will and predestination in early, Islam, London, 1948, გვ. 83—87; 136—137.

[2] И. П. Петрушевский, Ислам в Иране в VII—XV веках, Ленинград, 1966, გვ. 203—212.

[3] Averroes' Tahafut al-Tahafut, Translated by S. V. Den Bergh, London, 1954, ტ. I. Древнегреческо-русский словарь (составил И. Х. Дворецкий), М., 1958, ტ. II, გვ. 1594.

[4] Bibliotheca Arabica Scholasticorum, serie Arabe, tome III — Averroes. Tahafot at-Tahafot, etabli par M. Bouyges, S. J. Beyrouth, 1930, გვ. 218.

[5] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათავისუფლებული არსებობის თვისებისაგანაც ღმერთის გონის მიერ სამყაროს წარმოქმნამდე[6]. აღნიშნავს რა ამ გარემოებას იბნ რუშდი გამოიყენებს მუ'თაზილების ტერმინოლოგიას, მათ შორის მუ'თაზილების მიერ შემოტანილ ტერმინს, რომელიც ატრიბუტებს გამოხატავს (صفة მრ. صفات)[7] და ამასთან იჩენს მათდამი აშკარა სიმპათიას. იბნ რუშდი თვლის, რომ რაიმეს თვითმიზეზად გამოცხადების აცილება აუცილებელია. ამასთანავე მიაჩნია, რომ მუ'თაზილები თვითმიზეზობას უარყოფენ თვისებების არსზე დაუმატებლივ წარმოდგენით[8]. ეს თეორია termini franslendentales-ს სახელწოდებით არაერთგზის ვრცლად არის წარმოდგენილი და გაანალიზებული[8]. ამიტომ მოკლედ მსჯელობა ამ შემთხვევაში ძნელია. მაგრამ იბნ რუშდი ახერხებს ძირითადის გამოკვეთას და ამას გარდა აღნიშნავს ამ თეორიის საფუძველსაც. ეს აშკარად ჩანს არაბი მოაზროვნის მიერ ამქვეყნიურის შესაძლებლობისა და ტრანსცენდენტულის გარდუვალობის დაპირისპირებისას.

იბნ რუშდი მხარს უჭერს მუ'თაზილებს და მიაჩნია, რომ ისინი სარწმუნო გზას ადგანან ამ საფუძვლის გამოვლენისას. კერძოდ, იგი ამართლებს იმას, რომ „მათ ესმით შესაძლებელ არსებობაში ნამდვილი შესაძლებელი (المكن الحقيقى[9]) და მიაჩნიათ, რომ ყველაფერი, რაც პირველ საწყისს ქვეშეთ იმყოფება ასეთი თვისებისაა, რომ ამისაგან თანმყოფად მომდინარეობს უპირველესი, რომელთანაც წყდება შესაძლებლობა, რომ იგი არ იყოს შესაძლებელი, რამეთუ გარდუვალია, რომ იგი არის არათხზულფუძიანი და მარტივი. „საუცხოოს“ უწოდებს იბნ რუშდი იმ მიმართულებას, რომლის საფუძველზეც მუ'თაზილები დაადგნენ, რომ არსებული იყოფა შესაძლებლად და თანაწარუვალად, შესაძლებელს კი გააჩნია შემოქმედი და გარდუვალი არსებული. მაგრამ შუა საუკუნეების დიდი მოაზროვნე ვერ ეთანხმება მუ'თაზილებს იმაში, რომ სამყარო მთლიანად შესაძლებელია, რამეთუ ეს არ არის თვითშემეცნებადი (معروفة بنفسه)[10].

სამყაროს მთლიანობაში წარმოდგენამ მისცა ბიძგი ზოგიერთი მუ'თაზილის შეხედულებას იმის შესახებ, რომ სამყარო შეიძლება ერთბაშად უპოვარი გახდეს გახრწნის შედეგად. ეს კი მიუღებელი აღმოჩნდა არა მარტო იბნ რუშდისათვის, არამედ ისლამის დიდი აპოლოგეტის ალ-ღაზალისთვისაც. ალ-ღაზალის თხზულებაში, რომელიც ციტირებულია იბნ რუშდის მიერ აშკარად გაკიცხულია ცნობილი მუ'თაზილის აბუ ჰაშიმის[11] დებულება ალ-ღაზალი კიცხავს მას, იბნ რუშდს კი, საერთოდ, უაზრობად მიაჩნია მასზე მსჯელობა. იბნ რუშდი ამტკიცებს, რომ ხრწნა და უპოვრობა არიან სინონიმები; ხრწნა არსებულიც რომ იყოს, იქნება აქციდენცია, რომელსაც სუბსტრატი დაჭირდება. მაგრამ მისი სუბსტრატი უპოვრობა ვერ იქნება. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ იბნ რუშდი არ დაუშვებს არსებობის შესაძლებლობას უპოვრობისათვის.

---

[6] Bibliotheca Arabica Scholasticorum, serie Arabe, tome III — Averoes. Tahafot at-Tahafot, გვ. 222.

[7] А д а м  М е ц, Мусульманский Ренессанс, М., 1966, გვ. 169.

[8] Averroes' Tahafut al-Tahafut, Translated by S. V. D e n  B e r g h, London, ტ. II, გვ. 88.

[9] Encyclopedia of Islam, new ed. Leiden, ტ. III, გვ. 916.

[10] Bibliotheca Arabica Scholasticorum, serie Arabe, tome III — Averroes, Tahafot at-Tahafot, გვ. 276.

[11] Encyclopaedia of Islam, new ed. Leiden, ტ. II, გვ. 570.

ე. ი. იგი არ ეთანხმება მუ'თაზილების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომელსაც თვითონვე აყალიბებს თავის ძირითად ტრაქტატში. კერძოდ იმას, რომ უპოვრობა (عدم) არის გარკვეული სახის არსი (ذات ما) და უპირისპირდება არსებობას[12]. არისტოტელეს ლოგიკური ენით რომ გამოვთქვათ, ეს არის ცნებებს შორის კონტრადიქტორული დაპირისპირება. დაპირისპირებული ორი ცნება გაერთიანებულია, როგორც დადებითი და უარყოფითი და მიეკუთვნება ერთ გვარს[13]. ამ შემთხვევაში არსებობა და უპოვრობა ერთიანდება ერთ გვარში; მაშინ როდესაც იბნ რუშდი არსებობას და უპოვრობას პირვანდელ მატერიაში (هيولى) მოათავსებს. სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნება ზემოთითითებული საკითხის ორნაირი გადაწყვეტის სისუსტე. ამასთან მიჩნეულია, რომ არსებობს მხოლოდ ორი პასუხი ნეოპლატონური და სტოიკური[14]. მაგრამ ამ შემთხვევაში, ალბათ, საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ მუ'თაზილებისათვის უპოვრობა შესაძლებელი ან გარდუვალი არსი არის მხოლოდ ღმერთის გონებასთან შეფარდებით. ამიტომ მათი მსჯელობა პირობითია. ისინი ამბობენ: „უპოვრობა არის გარკვეული არსი; როდესაც საგნის უპოვრობა წარიხოცება ის, რაც მას მოსდევს, არის არსებობა, ხოლო როდესაც მისი არსებობა, წარიხოცება, მას შემდეგ უპოვრობაა“[15]. მართლაც, აშკარაა, რომ ამ ორი არსის კონტრადიქტორულ ცვლას მესამე არსი ჭირდება. მაგრამ იბნ რუშდი არ ამახვილებს ყურადღებას მესამე არსზე და ამიტომ არც ედავება მუ'თაზილებს. უფრო მეტიც, შეიმჩნევა ტენდენცია მუ'თაზილებისა და ფილოსოფოსების მოძღვრებათა ერთმანეთთან შეთავსების. სწორედ ამიტომ იბნ რუშდი ამბობს: „მგონებ, მუ'თაზილები ფიქრობენ ისევე, როგორც ფილოსოფოსები, რომ არსებობენ საგნები, რომლებიც არ მომდინარეობენ საგნის შემოქმედისაგან პირველი მომდინარეობით“[16]. თუმცა ცნობილია, რომ ამ შემთხვევაში მუ'თაზილები არ ფიქრობენ ისევე, როგორც ფილოსოფოსები. მათი განსხვავებული შეხედულებებისაგან გამომდინარეობს ამ პრინციპისადმი დაქვემდებარებული მრწამსი ადამიანის სრული თავისუფლების შესახებ, რაც ფილოსოფოსების მოძღვრება არ არის.

ამდენად, იბნ რუშდის ძირითად ტრაქტატში მუ'თაზილების მრწამსის გადმოცემა, მართალია, ტენდენციურია, მაგრამ მაინც მეტად მნიშვნელოვანი მსჯელობაა მათ შესახებ. იგი საინტერესოა მუ'თაზილების მოძღვრების სრულყოფილი კვლევის თვალსაზრისით. იგი არის იმ დებულებების ჩამოყალიბება, რომლებიც ყველაზე უფრო იყვნენ განვითარებული და გამოყენებული, ანდა სადავო, მომდევნო თაობების მიერ. და ბოლოს, იგი არის არაბულენოვანი საზოგადოებრივი აზრის გვიანდელი ხანის უდიდესი წარმომადგენლის შეხედულება მის წინამორბედებზე.

---

[12] Bibliotheca Arabica Scholasticorum, Serie Arabe, tome III — Averroes, Tahafot at-Tahafot, გვ. 105.

[13] Аристотель, Метафизика, М., 1934, XIV, 1.

[14] Averroes' Tahafut al-Tahafut, Translated by S. V. Den Bergh, London, 1954, ტ. II, გვ. 48.

[15] Bibliotheca Arabica Scholasticorum, serie Arabe. tome III — Averroes, Tahafot at-Tahafot.

[16] იქვე, გვ. 242.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Н. В. КИЛАДЗЕ

# ОБ УБЕЖДЕНИИ МУ'ТАЗИЛИТОВ В ОСНОВНОМ ТРАКТАТЕ ИБН РУШДА

Резюме

В основном трактате Ибн Рушда передача убеждения м'утазилитов тенденциозна. Но, несмотря на это, она — достаточно значительное суждение о них. Она интересна с точки зрения полноценного исследования теории му'тазилитов и является формированием тех доводов, которые были наиболее развиты и употребимы или же оспариваемы последующими поколениями. И, наконец, она представляет собой мнение величайшего представителя позднего периода арабоязычной общественной мысли о своих предшественниках.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. გაბაშვილმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

М. Д. АБАШИДЗЕ

# О ПЕРЕВОДАХ ПАМЯТНИКОВ ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ НА РУССКИЙ ЯЗЫК

Взаимные переводы — одна из важнейших форм культурного обмена между народами. Благодаря переводу народы знакомятся с жизнью, бытом, историей, литературой и научными достижениями других стран. Цель перевода — передать средствами своего языка содержание сказанного на другом языке. Перевод всегда являлся неотъемлемой частью литературного и научного творчества. Еще великий Гёте говорил, что перевод все же был и остается одним из самых значительных средств в общении между людьми[1].

В сегодняшнем мире, в век развития науки и техники, расширения научных контактов, перевод проникает буквально во все сферы общественной жизни; все более возрастает потребность в широком обмене информацией, квалифицированных переводах, снабженных научным аппаратом.

Практика перевода знакома с двумя основными принципами перевода — буквального или дословного и вольного. В разные эпохи то один принцип, то другой становится доминирующим. Непрерывное соперничество между ними ведется и по сей день, т. к. устойчивость и четкость принципов относительны, а каждая эпоха нуждается в подтверждении установленных принципов. Наиболее верно определяет основной принцип перевода известный советский литератор В. Гольцев, который считает, что в основу перевода должен быть положен принцип верности оригиналу[2].

В настоящее время установлено, что неправильно представлять принципы перевода как набор четких «рецептов», и что не существует идеального перевода, т. к. всегда можно добиться еще большего сходства с подлинником, но почти каждый новый перевод одного и того же произведения, создаваемый на фоне меняющихся культурных и литературных связей между народами, на свой лад содействует прогрессу переводческого дела[3].

В зависимости от текстуального материала принято различать два вида перевода: а) информативный (прагматический) и б) художественный[4]. Информативный перевод характеризуется широким применением терминов, строгим логическим строем предложений. При этом, как правило, отсутствует эмоциональная окраска, поэтому требуется большая текстуальная близость к оригиналу, нежели при переводе художественной литературы, допускающей большую вольность при переводе и требующей более творческого подхода к переводу.

---

[1] F. Guttinger, Lielsprache, Theorie und Technik des Ubersetzens, Lurich, Monesse Verlag, 1963.

[2] В. Гольцев, За дальнейшее развитие художественного перевода, «Известия», 12 декабря, 1951 года.

[3] А. Курелла (Сообщения), в кн. «Актуальные проблемы теории художественного перевода», т. I, М., с. 122.

[4] В. И. Комиссаров, Слово о переводе, М., 1973, с. 6.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

Поскольку перевод того или иного произведения предназначается для современного читателя, в первую очередь должны учитываться его интересы (разумеется, не в ущерб форме и содержанию переводимого произведения), т. е. перевод любого произведения (в том числе, памятников средневековой художественной и исторической литературы) должен выполняться на современном литературном языке без чрезмерной архаизации и полностью подчиняться законам того языка, на который переводится произведение, а не того, с которого переводится (это касается, в частности, вопроса о склоняемости личных имен и географических названий, перевода терминов и т. д.).

Вопрос о принципах перевода исторических источников неразрывно связан с характером текста переводимого произведения. Например, перевод документальных и эпиграфических памятников, на наш взгляд, относится к информативному, что же касается перевода памятников исторической литературы, то он лежит на скрещении двух видов перевода — информативного и художественного. Здесь при переводе требуется как абсолютная точность, чтобы не исказить замысел автора, так и сохранение художественных достоинств, которыми в немалой степени обладают повествовательные источники. Эта работа кроме переводческого профессионализма требует особых знаний, т. к. перевести исторический источник — это значит глубоко вникнуть в содержание памятника, заставить зазвучать на другом языке образы, столетиями хранимые народом, разъяснить все особенности текста, прокомментировать основные моменты истории, культуры, быта, психического уклада и т. д. При переводе исторических памятников особое внимание следует уделить умеренному воссозданию национального своеобразия подлинника, передаче специальных терминов, имен собственных, географических и этнических названий, исторических реалий. От у м е л о г о решения проблемы передачи национального колорита во многом зависит решение основного вопроса теории и практики перевода — проблемы точности.

На протяжении веков, в силу исторической судьбы и своего географического положения, Грузия была тесно связана со многими ближними и дальними странами средневекового мира. Вследствие оживленных политических, экономических и культурных контактов в сочинениях иностранцев сохранилось немало ценных сведений по истории нашей страны. Со своей стороны грузинские письменные источники также содержат важный материал по истории соседних стран. Таким образом, задача грузинских ученых состоит в том, чтобы перевести на грузинский язык и ввести в научный оборот сведения иностранных авторов о Грузии. Вместе с тем, не менее важен и перевод грузинских исторических источников на другие языки, в первую очередь — на русский. При помощи этих переводов люди, не владеющие грузинским языком, смогут ознакомиться с замечательными творениями грузинской средневековой исторической литературы и по достоинству оценить их, а специалисты по истории стран Кавказа и Ближнего Востока используют сведения грузинских источников в своих исследованиях. Таким образом, при помощи перевода несравненно расширится ареал распространения и использования грузинских памятников и, естественно, увеличится их значение как исторических источников.

Свидетельством большого интереса русских ученых к грузинским источникам является перевод сочинений известных грузинских истори-

ков XVIII века Сехнии Чхеидзе и Папуны Орбелиани, осуществленный Варфоломеем Саварсамидзе и Петром Григорьевым[5]. Он выполнен в Петербурге в 1777 году по заказу академика И. Гюльденштедта[6] и представляет большой интерес как первый перевод грузинских исторических памятников на русский язык. В основу перевода положен принцип точности, хотя порой перевод бывает вольным, встречаются ошибки в интерпретации текста, некоторые слова приведены в русской транскрипции или оставлены без перевода и вписаны по-грузински (можно предположить, что это рабочий вариант переводчиков). Иногда переводчики предлагают несколько вариантов перевода, имеются приписки и помарки. Имена собственные, географические названия, социально-экономические термины переводчики передают в принятой в русском языке форме.

С конца XIX века грузинские ученые взялись за перевод и публикацию грузинских источников. В 1900 г. Е. С. Такайшвили издал на русском языке «Три хроники». Здесь опубликованы комментированные переводы следующих исторических произведений: «Обращение Грузии в христианство» анонимного автора IX века, «Жизнь и известие о Багратидах» Сумбата, сына Давида (XI в.) и «Хроника месхийской псалтыри»[7].

В 1938 г., в дни празднования 750-летия создания великого творения Шота Руставели «Витязя в тигровой шкуре», В. Д. Дондуа опубликовал в Ленинграде замечательный перевод сочинения Басили — «Жизнь царицы цариц Тамары»[8]. Им же издан сокращенный русский перевод энциклопедического труда Иоанна Багратиони «Калмасоба»[9].

К. С. Кекелидзе перевел на русский язык и издал с обширными примечаниями сочинение так называемого первого историка царицы Тамар «Историю и восхваление венценосцев»[10].

В 1970 году в переводе С. С. Какабадзе в Москве было опубликовано историческое произведение XV века «Памятник Эриставов»[11].

В 1976 году были изданы в русском переводе три книги, подготовленные сотрудниками Института истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили АН ГССР — «Летопись Грузии» («Матиане Картлиса») анонимного автора XI века[12]. Оригинальная историческая часть сочинения историка и географа XVIII века Вахушти Багратиони

---

[5] Рукопись хранится в Ленинградском отделении Института востоковедения АН СССР, см. Р. Р. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, М.-Л., 1956, № 8.

[6] Там же, стр. 23. В том же году В. Саварсамидзе и П. Григорьев перевели на русский язык начальную часть летописи историка XI в. Леонтия Мровели.

[7] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXVIII, Тифлис, 1900, с. 1—216.

[8] В. Д. Дондуа, Басили, историк царицы Тамары, сб. «Памятники эпохи Руставели», Л., 1938, с. 31—76.

[9] Царевич Иоанн, Калмасоба или хождение по сбору, Перевод с грузинского, введение и комментарии В. Дондуа, Тб., 1946.

[10] История и восхваление венценосцев, Перевод, предисловие и примечания К. С. Кекелидзе, Тб., 1954 (Второе издание: К. С. Кекелидзе, Этюды по истории древнегрузинской литературы, XII, Тб., 1973).

[11] С. С. Какабадзе, Хроника Ксанских эриставов начала XV века, «Письменные памятники Востока», Ежегодник, 1968, М., 1970, с. 103—126. (В переводе М. Джанашвили «Памятник Эриставов» был опубликован в Цхинвали в 1941 г., а затем в 1962 г. «Исторические известия об аланах-осах», 1941; сб. «История Осетии», 1962).

[12] Матиане Картлиса, Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тб., 1976.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

«История царства грузинского»[13] и «История Грузии» Сехнии Чхеидзе[14].

Таким образом, более чем за три четверти века переведена на русский язык и издана лишь незначительная часть памятников грузинской исторической литературы[15]. Кроме того, вышеперечисленные переводы были выполнены на различном научном уровне и без соблюдения общепринятых принципов перевода. В частности, в последние годы появилась тенденция оставлять в переводах имена собственные, географические и этнические названия, а также целый ряд легкопереводимых терминов в грузинской форме, что загромождает текст малопонятными словами и делает его тяжеловесным. Несмотря на это, указанные переводы сыграли значительную роль в деле популяризации грузинской исторической литературы.

С целью лучшего изучения и издания источников по истории Грузии, а также координирования работ в масштабе всей республики, в декабре 1974 г. при Президиуме АН Грузии была создана Комиссия по источникам истории Грузии (председатель академик Ш. В. Дзидзигури). Комиссия возглавила все работы по выявлению, изучению и критическому изданию письменных источников, касающихся истории Грузии. Публикацию источников Комиссия осуществляет в составе 6 серий, которыми руководят известные историки и текстологи. Составлены рабочий и перспективные планы издания источников по истории Грузии. Разрабатываются правила издания текстов по отдельным сериям. Одна из основных серий Комиссии ставит целью издание комментированных переводов на русский язык памятников грузинской исторической литературы (руководитель серии Р. К. Кикнадзе). С учетом накопленного в этом деле опыта и основных требований, предъявляемых к научным переводам, составлены и утверждены подробные Правила, которыми и следует руководствоваться при переводе грузинских источников на русский язык[16].

В соответствии с Правилами имена собственные, за некоторыми исключениями, как грузинские, так и негрузинские следует писать согласно нормам русского языка. Географические названия должны употребляться по принятой на русских картах форме, этнические названия должны быть переведены с соблюдением тех форм, какие приняты в русском языке,иностранные социально-экономические и политические термины в русских переводах должны употребляться по утвердившейся в этом языке форме и т. д.

В портфеле Комиссии по источникам истории Грузии уже находится несколько переводов памятников грузинской исторической литературы на русский язык, которые будут подготовлены к изданию в полном соответствии с требованиями Правил.

---

[13] Вахушти Багратиони, История царства грузинского. Перевод, предисловие, словари и указатели Н. Т. Накашидзе, Тб., 1976. (В 1904 году вышла географическая часть сочинения Вахушти в переводе М. Джанашвили: Вахушти. География Грузии. Записки КОИРГО, кн. XXIV, вып. 5, 1904)

[14] Сехниа Чхеидзе, История Грузии. Перевод, предисловие, указатели и словари Н. Т. Накашидзе, Тб., 1976.

[15] В настоящей статье мы не касаемся переводов агиографической литературы, документальных материалов и эпиграфических памятников.

[16] Правила перевода на русский язык и издания памятников грузинской исторической литературы, составитель Р. К. Кикнадзе, Тб., 1977 (на груз. яз.).

Представлена академиком Ш. В. Дзидзигури.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პუბლიკაცია

დოდო ლომიძე

## მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში

ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე ებრძოდა ირანელ თუ ოსმალო დამპყრობლებს და ეძებდა ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოების გზებს.

XVIII საუკუნე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი ხანაა. „პეტრე ხელმწიფის გამოჩენამ ამიერკავკასიის სარბიელზე ადვილად შეცვალა ვახტანგისა და მისი თანამოაზრეთა დასავლეთევროპული გეგმები. რუსეთი პეტრეს სახით პირველი დიდი სახელმწიფო იყო, რომელიც ამიერკავკასიის მიწაზე მოვიდა, ირანსაც და ოსმალეთსაც დაუპირისპირდა და კავკასიის ქრისტიან ხალხებს კავშირი და მფარველობა შესთავაზა. პეტრე ხელმწიფემ „ერთმორწმუნე" საქართველო მიინდო. ჩქარა აღმოჩნდა, რომ რუსეთს არც ამჟამად გააჩნდა საკმაო ძალები ამიერკავკასიაში ირან-ოსმალეთთან სამეტოქეოდ. პეტრე I-მა საქართველო ოსმალეთს „დაუთმო", ხოლო მისმა მემკვიდრეებმა უკან დაუბრუნეს ირანს მისგან მინატაცები ზღვისპირა ქვეყნები, მაგრამ ეს ფაქტი ოდნავადაც არ არყევდა ქართველ პოლიტიკოსთა რწმენას, რომ რუსეთი მაინც ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოა, რომელსაც ამიერკავკასიაში უშუალო პოლიტიკური ინტერესები გააჩნია და რომ ეს ინტერესები ქართველი ხალხის პოლიტიკურ მისწრაფებებს არ ეწინააღმდეგება"[1].

1735 წლის ოქტომბრიდან ოსმალთა ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში შეიცვალა ყიზილბაშთა ბატონობით, რომელიც 1747—1749 წლებამდე გაგრძელდა[2].

ნადირ-შაჰი (1736—1747) თანმიმდევრულად ახორციელებდა ირანელ შაჰთა დამპყრობლურ პოლიტიკას. მან საქართველოში მართვის ირანული წესები შემოიტანა. ქართლს შაჰის მიერ დანიშნული მოხელე ხანები მართავდნენ. დამპყრობელს ქართველი ხალხი „მალუჯათს" უხდიდა. მოსახლეობა ვალდებული იყო საკუთარი ხარჯით გამოეყვანა და ერჩინა ჯარის გარკვეული რაოდენობა „ნოქარი", ხოლო ქართლში მყოფ ყიზილბაშთა ჯარისათვის კი ეძლია „სურსათი". განსაკუთრებით მძიმე იყო მოსახლეობისათვის ხარკის მოთხოვნა პურით. ნადირ-შაჰს თავისი დამპყრობლური ომებისათვის საქართველოდან გაჰყავდა ცოცხალი ძალა და საქონელი, გაჰქონდა პური. ყიზილბაშობის შედეგები საშინელი იყო. ქართლი იცლებოდა მწარმოებელი მუშახელისაგან. დარჩენილ მეურნეს შრომის ხალისი აღარ ჰქონდა. გლეხობა გარბოდა, მეურნეობა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 315.

[2] ყიზილბაშობა, ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, მოიცავდა საქართველოს ისტორიის პერიოდს 1735 წლის მიწურულიდან 1747 წლამდე (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 308), ხოლო ვ. გაბაშვილის აზრით, გრძელდებოდა 1749 წლამდე (ვ. გაბაშვილი, XVIII საუკუნის მეორე მეოთხედის ქართული დოკუმენტური მასალები, როგორც წყარო მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, თსუ შრომები, № 91, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960, გვ. 317).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეცემოდა, მიწები ჩალის ფასად იყიდებოდა, მატულობდა გლახაკთა და ბოგანოთა რიცხვი. დამპყრობელთა ბატონობამ საქართველოში არა ერთი და ორი სახალხო აჯანყება გამოიწვია.

XVIII ს-ის 40-იან წლებში ქართლში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში აჯანყებული ქართლის თავადები დახმარებისათვის კვლავ რუსეთს მიმართავდნენ. ამ საკითხების შესახებ ცნობები მოიპოვება სხვადასხვა ნარატიულ თუ დოკუმენტურ წყაროებში[3]. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ ქართული ნარატიული წყაროები მეტად ძუნწ ცნობებს იძლევიან. ამ მხრივ უპირატესობა ენიჭება გამოქვეყნებულ და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ საარქივო დოკუმენტურ მასალებს.

ჩვენი ყურადღება მიიქცია დღემდე გამოუქვეყნებელმა რამდენიმე საბუთმა, რომლებიც, ვფიქრობთ, მეტად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით. საბუთები დაცულია ქ. მოსკოვში, რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივის (რსპა) რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფონდში. აღნიშნული საბუთები წარმოადგენენ გივი ამილახორისა და ბეჟან ერისთავის წერილებს რუსეთის იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულის[4], სარდალ ტარაკანოვისა[5] და ასტრახანის გუბერნატორ ტატიშჩევისადმი[6].

საქართველოდან წერილები 1742 წლის 12—14 ივლისს გაუგზავნიათ. რუსეთის იმპერატორს წერილი 20 სექტემბერს მიუღია, ტარაკანოვს 20 აგვისტოს, ხოლო ტატიშჩევს 14 აგვისტოს. წერილები ერთნაირი შინაარსისაა.

საბუთების მიხედვით ირკვევა გივი ამილახორისა და ბეჟან ერისთავის პოზიცია და რამდენადაც ესენი, მეტადრე გივი ამილახორი, განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურები არიან, მათი პოზიცია ქართლის წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეების პოზიციის გამომხატველია.

ქართველი თავადები რუსეთის იმპერიას სახავენ მთელი მართლმადიდებელი საქრისტიანოს მფარველად და გამოთქვამენ რწმენას, რომ საქართველოსაც, ვითარცა ამ ხსენებულ საქრისტიანოს ნაწილს, აღმოუჩენენ დახმარებას. მათი აზრით, „უკვე ოცი წელიწადია“ უბატონოდ დარჩენილ საქართველოს რაც კი შეეძლო თავი არ დაუზოგავს და იბრძოდა, რათა „ოთხსავ კუთხიდან“ მოძალებული მტრული გარემოცვა გაერღვია, მაგრამ ამის განხორციელება მის შესაძლებლობას აღემატებოდა: „ოცი წელიწადი არის უცხო თესლთ ჴელში დავრჩომილვართ. ჩვენთვის ერთი ნუგეშინისმცემელი და ნავთსაყუდელი არსად გამოჩენილა. ოთხსავ კუთხეს ურჯულო მტერი შემოგვხვევია, რაც შევიძლეთ თავი არ დავზოგეთ, შევაკვდით და ამოვწყდით, დავტყვევდით და წავჴდით“[7].

---

[3] პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1913; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973; М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями... СПб., 1861.

[4] რსპა, ფ. 110/1, 1742 წ. საქ. № 5, ფრ. 1г—3г. იხ. აქვე დანართი, საბ. № 2.

[5] იქვე, ფრ. 7—8г. იხ. აქვე დანართი საბ. № 3.

[6] იქვე, საქ. № 4, ფრ. 3г—4г. იხ. აქვე დანართი, საბ. № 4.

[7] იქვე, საქ. № 5, ფრ. 2г და ფრ. 7г; საქ. № 4, ფრ. 3г. იხ. აქვე დანართი, საბ. № 2, 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი თავადები თეორიულადაც ასაბუთებენ, რომ მათ მხოლოდ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სახელმწიფოსაგან სურთ მიიღონ დახმარება და რომ მაჰმადიანურ სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა შეუძლებელია. ქართველი თავადების სიტყვით, ისინი ზოგჯერ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით თანამშრომლობდნენ დამპყრობლებთან, ეგუებოდნენ მათ ბატონობას, მაგრამ ეს ყველაფერი მათთვის უსარგებლო ყოფილა, რადგან მათი აზრით: „ქრისტეს მოსავისა აგარიანთან არც სამსახური გავა და არც დაინდობენ"[8].

როგორც ცნობილია, XVIII ს-ის 30-იან წლებში ირანმა ოსმალებს ამიერკავკასიაში შეუტია. ირანის, რუსეთის და საქართველოს ინტერესები ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთმანეთს ემთხვეოდა. ქართველი პოლიტიკოსების მოქმედებაში ამ დროისათვის რუსეთის პოზიცია მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

როგორც ზემოხსენებული საბუთებიდან ირკვევა, ირანსა და საქართველოს შორის დამყარებული იყო ურთიერთკავშირი ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ნადირ-შაჰმა არ გაამართლა ქართველთა მოლოდინი: „ერანის მეპატრონის ამბავი თქვენც მოგხსენდებოდათ. ამასთან არც სამსახური და ერთგულობა გავა და არც ამისის პირისაგან მართალი ამოვა"[9]. საბუთიდან მოტანილ ცნობას ადასტურებს, ერთი მხრივ, თეიმურაზ მეფის წერილი რუსეთის იმპერატრისადმი („ჩემთან წიგნი მოეწერა (თამაზ-ხანს. — **დ. ლ.**), რაც შეგეძლოს შენც ურუმს უმტერეო. რადგან ჩვენ ეს შევიტყევით, რომ თამაზ-ხან თქვენ ერთგულობას ამბობდა და თქვენც იმის მწყალობელი ბრძანდებოდით, რაც შეგვეძლო სამსახურის ქნას ვეცადენით"[10]), ხოლო მეორე მხრივ, სეხნია ჩხეიძის თხზულებაში დაცული ცნობა: „მოუვიდათ ქართველთ ბრძანება და აშლა ურუმთა"[11].

ქართველები ოსმალო დამპყრობლების უღლისაგან განთავისუფლების მიზნით ეხმარებოდნენ ნადირ-შაჰს. გივი ამილახორმა გორის ციხე გაათავისუფლა ოსმალებისაგან, თეიმურაზ მეფემ ყარაღაჯში შეუტია ოსმალებს, ხოლო ქართველ-ირანელთა გაერთიანებულმა ძალებმა გადამწყვეტი დარტყმები აგემეს ოსმალებს თბილისის შემოგარენში და აიძულეს მტერი უომრად დაეთმო თბილისი. ირან-საქართველოს შეთანხმებული მოქმედება ხანმოკლე აღმოჩნდა. ნადირ-შაჰმა საქართველოდან ოსმალების განდევნისთანავე თავისი დამპყრობლური ზრახვები გამოამჟღავნა.

ირანს ესაჭიროებოდა დასაყრდენი ამიერკავკასიაში ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ გეგმიდან გამომდინარე, მას აწყობდა საქართველოდან ადგილობრივი მოსახლეობის აყრა და გამაჰმადიანება. ამიტომ მან დაიბარა ორას ორმოცი ქართველი დიდებული ცოლ-შვილით ყიზილბაშთა ჯარში. ქართველები არ ენდვნენ ნადირს. საპასუხოდ ნადირ-შაჰმა რეპრესიებს მიმართა,

---

[8] რსპა, ფ. 110/1, 1742 წ. საქ. № 5, ფრ. 2г და ფრ. 7г; საქ. № 4, ფრ. 3г იხ. აქვე დანართი, საბ. № 2, 3, 4.

[9] იქვე.

[10] Переписка..., გვ. 210.

[11] ს. ჩ ხ ე ი ძ ე, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1913, გვ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაოხრა მონასტრები, დაწვა ზემო ქართლი, აჰყარა და ტყვედ წაასხა მოსახლეობა[12].

ზემოხსენებული საბუთიდან ჩანს, რომ რუსეთის საიმპერატორო კარისათვის ცნობილი ყოფილა, რაც ყიზილბაშებმა საქართველოს უბედურება მოუტანეს: „ან აყრითა, ან დატყვევებითა მაგათაც მოხსენდებოდათ", და რომ ბოლოს ქვეყნის ძირიანად ამოგდება მოუნდომებიათ: „ვინც დარჩომილა, ამათი გაურჯულოება და დატყვევება"[13] განუზრახავთ.

ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორც ოსმალობის, ასევე ყიზილბაშობის დროს კავშირს არ წყვეტდნენ რუსეთის საიმპერატორო კართან და მოსკოვის ქართულ კოლონიასთან, აწოდებდნენ მათ ინფორმაციას დამპყრობელთა ბატონობის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ და დაბეჯითებით სთხოვდნენ რუსეთის იმპერატორს დახმარებასა და ბაქარ ბატონიშვილის სამშობლოში გამოგზავნას.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა 1731 წელს ბარძიმ არაგვის ერისთავისა[14] და 1733 წელს შანშე ქსნის ერისთავის[15] წერილები ვახტანგ მეფისადმი. ქართველი თავადები აცნობებდნენ მას ოსმალეთის დასუსტების შესახებ და მოუწოდებდნენ მეფეს საქართველოში დაბრუნებას და დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას. მსგავსი წერილები გაიგზავნა ქართლიდან ოსმალობის ხანის სხვა წლებშიც.

1731 წელს რუსეთს შეფარებული ვახტანგ VI მიმართავდა თხოვნით იმპერატორ ანასა და გრაფ ოსტერმანს, სამხედრო დახმარებისა და ერთ-ერთი ბატონიშვილის საქართველოში გაშვების შესახებ[16].

1736 წელს ქართველი თავადები: გივი ამილახორი, შანშე ერისთავი, ვახუშტი აბაშიძე, თარხანი ლუარსაბ, ქაიხოსრო ავალიშვილი, ფარსადან ციციშვილი და სხვები განმეორებით მიმართავენ იმპერატორს წერილით დახმარებისა და ბაქარ ბატონიშვილის საქართველოში გამოგზავნის თაობაზე[17]. ამავე მიზნით კახეთის მეფე თეიმურაზი აგზავნის საქართველოდან ელჩობას თავად როსების მეთაურობით[18].

საქართველოში ყიზილბაშთა ბატონობის გამო შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას რუსეთის იმპერატორს აწვდიდა ბაქარ ბატონიშვილიც. ბაქარი დიპლომატიურად ცდილობდა გაეგებინებინა რუსეთის მთავრობისათვის, რომ საქართველოში მას ელოდებოდნენ, მაგრამ იმპერატორის სანქციის გარეშე წასვლა არ შეეძლო[19].

---

[12] Переписка..., გვ. 210—211.

[13] რსპა, ფ. 110/1, 1742 წ. საქ. № 5, ფრ. 2r, 7v; საქ. № 4, ფრ. 3v. იხ. აქვე დანართი, საბ. № 2, 3, 4.

[14] Переписка..., გვ. 190—192.

[15] იქვე, გვ. 204—207.

[16] Г. Г. Пайчадзе, Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII в., Тб., 1970, გვ. 160, 161.

[17] იქვე, გვ. 195—196.

[18] როსების ელჩობის შესახებ იხ. ავთ. იოსელიანი, დოკუმენტები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში თავ. როსებ გიორგის ძის მეთაურობით, საქ. სსრ მ. ს. ს. საარქივო სამმართველოს საისტორიო მოამბე, 1946, გვ. 393—394; Г. Г. Пайчадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 190—195.

[19] Г. Г. Пайчадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1738 წელს რუსეთში დახმარების სათხოვნელად მიემგზავრება შანშე ქსნის ერისთავი. რუსეთის მთავრობა მოერიდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებას და ირანელთა მოწინააღმდეგე თავადი შუა გზიდან — ასტრახანიდან სამშობლოში გამოაბრუნეს[20].

1738 წელს ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების რუსეთის საიმპერატორო კართან კავშირზე მიუთითებს კიდევ ერთი საბუთი, რომელიც წარმოადგენს ქართველი თავადების: იესე ერისთვისშვილის, გივი არაგვის ერისთვისშვილის, ვახუშტი აბაშიძის, იოთამ ამილახვრისშვილის, დავით ყაფლანისშვილის, სეხნია ჩხეიძისა და სხვათა კოლექტიურ წერილს იმპერატორ ანა ივანეს ასულისადმი[21]. თავადები სთხოვენ რუსეთის იმპერატორს დახმარებასა და ბაქარ ბატონიშვილის რუსეთის ჯარით საქართველოში გამოგზავნას. ჯარის შენახვას ქართველი თავადები კისრულობენ. წერილის მიზანი იყო გაეგებინებინა რუსეთის მთავრობისათვის, რომ მთელი საქართველო ელოდებოდა ბაქარს და ქართველები მზად იყვნენ ყიზილბაშებთან საომრად.

ამგვარად, ყიზილბაშობის დროს ქართლის პოლიტიკური მოღვაწეების წინაშე დგება ერთგული მოკავშირის ძებნის საკითხი. ასეთად მათ ერთმორწმუნე რუსეთი ესახებოდათ. მათთვის ცნობილი იყო რუსეთის იმპერიის ინტერესები მახლობელ აღმოსავლეთში. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების დაბეჯითებით თხოვნას რუსეთისაგან დახმარების მიღების შესახებ სტიმულს აძლევდნენ რუსეთს შეფარებული ქართველი ბატონიშვილები და მოსკოვის ქართული კოლონია.

საქართველოსათვის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. 1735—1739 წლებში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის ომი გამორიცხავდა რუსეთისაგან რეალური დახმარების მიღებას. რაღა თქმა უნდა, რუსეთის მთავრობა ცდილობდა ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას და ამიტომ საქართველოს საქმეებში ჩაურევლობას იჩენდა, ხოლო რაც შეეხება ქართველი ბატონიშვილებისა და მოსკოვის ქართული კოლონიის არსებობას რუსეთში, მათ იმპერატორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ამიერკავკასიაში ყოველთვის შეეძლო მათი გამოყენება აღმოსავლეთის მეტოქეების წინააღმდეგ.

როგორც ზემოხსენებული საბუთიდან ირკვევა, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები იმ აზრისა იყვნენ, რომ ერთადერთი გზა გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლისა იყო შეიარაღებული აჯანყება („უნდა ჩვენის ნებით იმის მორჩილება აღარა ვქნათ და სისხლი დავაქციოთ“[22]) და რუსეთზე ორიენტაცია.

1742 წელს ქართლში გივი ამილახორის მეთაურობით აჯანყებამ იფეთქა. აჯანყების შესახებ რამდენიმე საინტერესო ცნობა გვხვდება ქართული ესკადრონის პორუჩიკის ერემეი დავიდოვის მიერ ყიზლარის კომენდანტის კანცელარიაში მიცემული ჩვენების ჩანაწერში[23]. რუსეთიდან საქართველოში დაზვერვის მიზნით მივლინებული დავიდოვი (იგივე დავითაშვილი) ცხოვრობდა გივი

---

[20] Г. Г. Пайчадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 199—202.

[21] რსპა, ფ. 110/1, 1738 წ. საქ. № 6, ფრ. 2r, 3rv, იხ. დანართი, საბ. № 1.

[22] იქვე, 1742 წ. საქ. № 5, ფრ. 2r და ფრ. 7v; საქ. № 4, ფრ. 3v, იხ. დანართი, საბ. № 2, 3, 4.

[23] იქვე, საქ. № 4, ფრ. 4 v. იხ. დანართი, საბ. № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამილახორთან. იგი აჯანყების უშუალო მოწმე იყო, ამიტომ მისი ცნობები ქართლის აჯანყების შესახებ სანდო უნდა იყოს.

აჯანყების მიზეზი ახალი გადასახადები გამხდარა. ნადირ-შაჰს თბილისის ხანის მეშვეობით მოუთხოვია ქართლიდან 5000 რჩეული ქალ-ვაჟისა და 4000 ურემი სანოვაგის გაგზავნა. ქართლის ვექილად მყოფ გივი ამილახორს მოუწვევია სათათბიროდ ქართლის თავკაცები და მათთან შეთანხმებით უარი შეუთვლია ნადირ-შაჰისათვის[24]. ამავე დროს გივი ამილახორს დაუწყია მზადება მტრის დასახვედრად და გაუმაგრებია ზემო ქართლის ციხეები. უარის მიღებისთანავე ხანი გამოემართა გივი ამილახორის წინააღმდეგ: „რა მიეახლა ხანი გორს, დაუწყო რბევა ქართლსა და წვა მოსავალისა გორს“[25]. ნარატიული წყაროს ამ ცნობას ადასტურებს რუსულენოვანი საბუთის ცნობა[26]: გივი ამილახორს მტრის დასახვედრად ჯარი გაუყვია სამ ნაწილად. ერთს დავალებული ჰქონია მოსავლის დარაჯობა, მეორეს — მოსავლის ციხეებში დაბინავება, ხოლო მესამეს მტერთან შებრძოლება.

აჯანყებულ ქართველთა ირანელებთან პირველი შეტაკება სხვილოს ციხესთან მომხდარა.

ჩვენების ჩანაწერიდან ისიც ირკვევა, რომ 1742 წლის 11 ივლისს დავიდოვი ისევ საქართველოში იმყოფება, ხოლო 30 ივლისს უკვე ყიზლარშია და კომენდანტის კანცელარიაში აძლევს ჩვენებას. საქართველოდან იგი, დაახლოებით აჯანყების დაწყებიდან რამდენიმე დღის შემდეგ უნდა გამგზავრებულიყო. მაშინდელ პირობებში დავიდოვი მგზავრობას ორ კვირას მოუნდებოდა. ზემოთ მოტანილი ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ გივი ამილახორს იმპერატორის, ტარაკანოვისა და ტატიშჩევისათვის მიწერილი წერილები დავიდოვისათვის შეიძლება გაეტანებინა.

გივი ამილახორის აჯანყების დაწყების თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. პაპუნა ორბელიანის მიხედვით: „თვესა აპრილისა თერთმეტსა, [1742 წ.] ღამესა ბზობისასა გივი ამილახორი, რომელი იჯდა ვექილად, წავიდა თავისის ცოლშვილით და თან გაიტანა პაატა აბაშიძის ცოლი და სარიდან ერისთავისშვილის ცოლი, პაატა აბაშიძე და ზოგი ვინმე თავადნი ზემო ქართლისანი. ამავე ბზობა ღამეს გაიპარნენ იორის პირიდამ, რომელნი ახლდნენ ჯარად ხანსა ქართლისასა და მივიდნენ ამილახორთან: რა მივიდა მცხეთას ამილახორი, ჩამოეგება არაგვის ერისთავი ბეჟან ჯარით, ხიდი მცხეთას ჩავარდნილი იყო და ნავტიკები მზად დაახვედრა. გავიდნენ უვნებლად და მივიდნენ დუშეთს, შემოიყარა ქსნისა და არაგვის კაცნი, მისცა მისაცემელი და გამოართვა ფიცი და იერთგულა, ყოველნი თავადნი ზემო ქართლისანი გაიერთა“[27].

ამ ცნობის საფუძველზე მკვლევართა ერთი ნაწილი (ნ. ბერძენიშვილი[28], დ. გვრიტიშვილი[29], გ. პაიჭაძე[30]. მ ქიქოძე[31]) აჯანყების თარიღად 1742 წლის

---

[24] რსპა, ფ. 210/1, 1742 წ. საქ. № 4, ფრ. საქ. № 4, ფრ. 4v. იხ. დანართი, საბ. № 5.

[25] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 66.

[26] რსპა, ფ. 110/1, 1742 წ. საქ. № 4, ფრ. 4v. იხ. დანართი, საბ. № 5.

[27] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 63.

[28] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 330.

[29] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან თურქი და სპარსელი დამპყრობლების წინააღმდეგ, მიმომხილველი, III, თბ., 1953, გვ. 117—118.

[30] Г. Г. П а й ч а д з е, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

[31] მ. ქ ი ქ ო ძ ე, გივი ამილახვარის პოლიტიკური მოღვაწეობა, თსუ ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წ. I, თბ., 1950, გვ. 85—86.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილს მიიჩნევს, ხოლო მკვლევართა მეორე ნაწილი (მ. ივანოვი[32] და ო. მარ-კოვა[33]) კი 1743 წელს. მ. ივანოვისა და ო. მარკოვას ნაშრომებში არ არის მოტანილი გივი ამილახორის აჯანყების 1743 წლით დათარიღების საფუძველი, ამიტომ ჩვენ ამ თარიღს არ ვიზიარებთ.

ზემოთ მოტანილი რუსული საბუთით ზუსტად დგინდება აჯანყებულთა პირველი ბრძოლის თარიღი — 1742 წლის 11 ივლისი. დრო 1742 წლის 11 აპრილიდან (გივი ამილახორის თბილისიდან გაპარვიდან) ვიდრე ამავე წლის 11 ივლისამდე (სპარსელ-ირანელთა პირველ შეტაკებამდე) აჯანყების მოსამზადებელ პერიოდად უნდა ჩაითვალოს.

გივი ამილახორი სათავეში ჩაუდგა ქართლის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და 1742 წლის დასაწყისში კავშირი დაამყარა ასტრახანში რუსეთის მთავრობის მიერ მივლინებულ ბაქარ ბატონიშვილთან[34]. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „ჟამსა მას, წარმოევლინა იმპერატრიცა ელისაბედ პეტროვნას, ძე ვახტანგისა ასტრახანს. ესე ჰგონა გივმან (ამილახორმა. — დ. ლ.) მისასვლელად ქართლს მეფედ, წარუვლინა ბარძიმ ძე თჳსი და მოუწოდა ბაქარს, რათა მოვიდეს და დაიპყრას ქართლი"[35].

როგორც ჩანს, ბაქარის რუსეთის მთავრობის მიერ ასტრახანში მივლინება იყო ბიძგი ანტიირანულად განწყობილი ქართველების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყებისა.

ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები შეცდნენ. მათ სწორად ვერ შეაფასეს რუსეთის მთავრობის ეს მოქმედება. ბაქარ ბატონიშვილი ასტრახანსა და ჩრდ. კავკასიაში მივლინებული იყო რუსეთის მთავრობის მიერ გარკვეული სამხედრო დავალებით და არა ქართლის სამეფო ტახტის დასაკავებლად, როგორც ეს ეგონათ ქართლის პოლიტიკურ მესვეურებს.

1741—1742 წლებში ნადირ-შაჰის ომმა დაღესტნელების წინააღმდეგ რუსეთის მთავრობის შეშფოთება გამოიწვია, რადგან საშიშროება ემუქრებოდა რუსეთის სამფლობელოებს ჩრდილო კავკასიაში — ასტრახანს და ყიზლარს. ამიტომ ჩრდილო კავკასიაში რუსეთის ციხესიმაგრეების მდგომარეობის შემოწმებისა და მთიელებთან და ჩერქეზებთან პოლიტიკური კავშირის დამყარების მიზნით იმპერატორი აგზავნის გენერალ-ლეიტენანტ ბაქარ ბაგრატიონს[36], ხოლო ამავე წლის ივლისის დასაწყისში გენერალ-ლეიტენანტი ალექსი ივანეს ძე ტარაკანოვი, რუსეთის მთავრობამ 3 ათასიანი ჯარით გადაიყვანა ყიზლარში[37]. ალბათ, ამ ფაქტმა განაპირობა გივი ამილახორისა და ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების ზემოთ დასახელებული წერილი გენერალ-ლეიტენანტ ტარაკანოვისადმი. ამ ღონისძიებით რუსეთის მთავრობა აფრთხილებდა ნადირ-

---

[32] М. С. Иванов, Очерк истории Ирана, М., 1952, გვ. 103.

[33] О. П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII в. М., 1966, გვ. 125.

[34] Т. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. I, III, СПб., 1869, გვ. 224, 71.

[35] ვახუშტი..., გვ. 519.

[36] П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г., ч. 1, СПб., 1869, გვ. 224; С. М. Соловьев, История России с древнейших времен, кн. XI, М., 1963, გვ. 197—199.

[37] П. Г. Бутков, დასახ. ნაშრომი, ნაწ. I, III, გვ. 224, 72.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შაჰს, რომ ირან-რუსეთის კონფლიქტის შემთხვევაში, რუსეთს შეეძლო აქტიურად გამოსვლა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში[38].

ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების იმედები არ გამართლდა, მალე რუსეთის მთავრობამ ბაქარი ისევ რუსეთში გაიწვია[39].

როგორც ზემოხსენებული საბუთიდან ირკვევა, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები 1742 წლის ივლისში კვლავ მიმართავენ თხოვნით რუსეთის იმპერატორს ბაქარ ბატონიშვილის რუსეთის ჯარით საქართველოში გამოგზავნის შესახებ: „გამოისტუმროთ, როგორადაც თქვენს დიდებულებას ეკადრებოდეს, იმ რიგად ჴელი მოუმართოთ. ჩვენც ბატონის ჩვენის მოვალენი ვართ, მაგათგან ბევრი წყალობა გვჭირვებია, მაგათგან ვრჩომილვართ და გამოვზრდილვართ. ის გვინდა მაგათ წინ დავიხოცნეთ. მაგათაც ამ ქვეყნის ვალი აძეს, რომ სამკვიდრო არის მაგათი. ამდენი წმინდა ადგილეზი, მონასტრები და ნაწილები, რაღაც დარჩომილა, ლამის საურჯულოთ გაჴდეს. მართებსთ, რომ ეგენიც გაისარჯნენ. თუ ეს გონიათ, რომ ჩვენ მაგათ უტყუოთ და მაგათ სამსახურზე თავი დავზოგოთ დასაჴოცლათ ან სხვა უცხო თესლი ჩვენ თვალით ვნახოთ საბატონყმოთ, იმისი თავდები იესო ქრისტე იყოს“[40].

ამგვარად, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ქართლის სამეფო ტახტზე კანონიერი მემკვიდრის დასმისათვის ხელსაყრელ პირობად მიიჩნევდნენ აჯანყებასა და რუსეთის დახმარებით ბაქარ ბატონიშვილის საქართველოში დაბრუნებას. მეფის მეთაურობით ისინი იმედოვნებდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ ორგანიზებულ ბრძოლასა და ქართლის სამეფოს პოლიტიკური უფლებების აღდგენას.

1741—1742 წლებში ქართლში პურის მოუსავლიანობა იყო. ამ წლებში დაღესტანში გაჭიანურებული ომის გამო ნადირ-შაჰი საქართველოდან ითხოვს პურს ხარკის სახით. ქართლი შიმშილობს. მემატიანე ამის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ თქვენმა მზემა, ბევრჯელ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდენ და იმას სჭამდნენ... მრავალი სული ჯოხით მოკუდა, თუ პურს სადმე გასაყიდს იშოვიდენ, თავისის ხელით შვილებს აძლევდნენ, მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხო ალაგთა გარდაიხვეწა“[41]. რუსეთში იცოდნენ, ქართლში რომ შიმშილობა იყო. ამ ამბავს თავისებურად ეხმიანება გივი ამილახორისა და ბეჟან ერისთავის წერილი: „ერთს ამას სადმე მოგახსენებენ, ქართლში პური არ იშოება. ამდენი ხანი არის ჩვენს ქვეყანას ხან ოსმალო იდგა, ხან ყიზილბაში და ლეკი ხომ ის არის. და თუ პური კი არ იშოვება, მაშ რასა სჭამდნენ?[42]“.

ზემოთ მოტანილი ცნობა, ერთი მხრივ, ნარატიული წყაროს ცნობას ადასტურებს, ხოლო მეორე მხრივ კი მოწმობს ქართლის პოლიტიკური მოღვაწეების მცდელობას, შეარბილონ წარმოდგენა ქართლში შექმნილ ეკონომიურ გაჭირვებაზე. შესაძლებელია ეს გაკეთებული იყო ბაქარ ბატონიშვილის რუსეთის ჯარით საქართველში მოზიდვის გასაადვილებლად. ერთი სიტყვით, ჩქმალავდ-

---

[38] Г. Г. Пайчадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

[39] ვახუშტი, გვ. 519.

[40] რსპა, ფ. 110/1, 1742 წ. საქ. № 5, ფრ. 2г. იხ. დანართი, საბ. № 2.

[41] პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 59.

[42] რსპა, ფ. 110/1, 1742 წ. საქ. № 5, ფრ. 2г და ფრ. 7v, 8 г; საქ. № 4, ფრ. 3v. იხ. დანართი, საბ. № 2, 3, 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ რა საქართველოს მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, ცდილობენ დაანახონ რუსეთის იმპერატორს, რომ ქართლის თავადებს შესწევთ ეკონომიური ძალა, რუსეთის ჯარის შესანახად და დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ქართლელი თავადები ბაქარ ბატონიშვილს აღუთქვამდნენ დახმარებას და პირდებოდნენ, რომ არ დაიშურებდნენ არავითარ შესაძლებლობებს საქართველოს საკეთილდღეოდ. და თუ მოვა მეფე, მზად არიან მთელი თავიანთი ეკონომიური შესაძლებლობები მოახმარონ საზოგადო საქმეს.

ქართლის თავადები მიმართავენ რა რუსეთის იმპერიას, ითხოვენ რუსეთთან ურთიერთობას იმ პრინციპით, რაც დაისახა პეტრე I-ის დროს: „ქრისტეს სიყვარულისათვის ამ ქვეყანას უშველოთ და რომელიც ბრწყინვალისა და სახელოვანის უსწორო კეისარ ხელმწიფის პეტრეს ანდერძი და ბრძანება ყოფილიყოს, ის გაასრულოთ"[43]. მსგავსი ცნობა მოიპოვება პაპუნა ორბელიანის თხზულებაშიც[44].

პაპუნა ორბელიანის ამ ცნობას სათანადო ყურადღება მიაქცია ი. ცინცაძემ[45]. პაპუნას სიტყვები: პეტრე I, „რომ შეეწუხებულიყო, ანდერძი ებრძანებინა, საქართველოს უჭირს და რჯულის გულისათვის მიეხმარენითო" ი. ცინცაძეს, მიაჩნია გულუბრყვილობით აღსავსე სტრიქონებად. მისი აზრით, პაპუნა რუსეთის ორიენტაციის მომხრე ისტორიკოსია და იმ ფორმით, იმ ენით და არგუმენტაციით წერს, როგორც მის დროს იყო მიღებული და საჭირო[46].

ქრონოლოგიურად საბუთისა და ნარატიული წყაროს ზემოთ ხსენებული ცნობა ერთმანეთს დაცილებულია ათი წლით. საბუთის ცნობა 1742 წელს ეკუთვნის, ხოლო პაპუნას წყაროს ცნობა 1752 წელს.

საბუთში პეტრეს ანდერძის ხსენება მოწმობს იმას, რომ „პეტრეს ანდერძით" არგუმენტირება ეკუთვნის არა პირადად პ. ორბელიანს, არამედ გამოხატავს იმდროინდელ საქართველოში გავრცელებულ წარმოდგენას რუსეთის საქართველოსადმი დამოკიდებულების შესახებ და მეტყველებს ამ წარმოდგენის ტრადიციულობაზე.

გივი ამილახორის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. მას მკვლევართა ერთი ნაწილი (ს. ჯიქია[47], ც. აბულაძე[48]) თურქული წყაროების საფუძველზე თურქული ორიენტაციის პიროვნებად მიიჩნევს, ხოლო მკვლევართა მეორე ნაწილი (ნ. ბერძე-

---

[43] რსპა, ფ. 110/1, 1742 წ. საქ. № 5, ფრ. 2v და ფრ. 8 r; საქ. № 4, ფრ. 4 r, იხ. დანართი, საბ. № 2, 3, 4.

[44] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. საქართველოს ცხოვრება, გვ. 218.

[45] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან, „მიმომხილველი", III, თბ., 1953, გვ. 98.

[46] იქვე.

[47] ს. ჯ ი ქ ი ა, XVIII ს-ის ორი თურქული დოკუმენტი, თსუ შრომები, ტ. 99, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III, თბ., 1962, გვ. 153—172; მ ი ს ი ვ ე, ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, V, თბ., 1965, გვ. 243—247.

[48] ც. ა ბ უ ლ ა ძ ე, ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი, „აღმოსავლური ფილოლოგია", ტ. III, თბ., 1973, გვ. 294—305; გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ც. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1975, გვ. 67.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშვილი[49], დ. გვრიტიშვილი[50], მ. ქიქოძე[51] და სხვები) მას ქართველობის დღევისათვის მებრძოლ პიროვნებად წარმოგვიდგენს.

ჩვენთვის საინტერესო საბუთის მიხედვით გივი ამილახორი ქართლის განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური და რუსული ორიენტაციის პოლიტიკური მოღვაწეა. გივი ამილახორის რუსულ ორიენტაციაზე მიუთითებს ოსმალობისა თუ ყიზილბაშობის დროის მთელი რიგი დოკუმენტები[52].

1742 წელს ქართველი თავადების მიერ რუსეთის საიმპერატორო კარზე გაგზავნილ წერილს შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთის იმპერიას არც ამჯერად შეეძლო საქართველოსათვის სამხედრო დახმარების გაწევა. ქართველი ხალხი ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ საკუთარ ძალებს უნდა დაყრდნობოდა, ამიტომ გივი ამილახორი იძულებული იყო დახმარებისათვის მიემართა ოსმალეთისათვის. ეს იყო გივი ამილახორის დიპლომატიური ნაბიჯი, რათა ესარგებლა ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობებით (1743—1746 ირან-თურქეთის ომია).

ამგვარად, გივი ამილახორისა და ბეჟან ერისთავის ზემოხსენებული წერილები იძლევა ცნობებს ყიზილბაშთა ბატონობის შედეგად საქართველოში და კერძოდ, ქართლში შექმნილი მდგომარეობისა და ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ. ნარატიული წყაროებისაგან განსხვავებით იძლევა ახალ ცნობებს 40-იან წლებში ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისა და სახელდობრ გივი ამილახორის რუსეთის საიმპერატორო კართან კავშირის შესახებ.

ქვემოთ მოტანილი საბუთები რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივის (მოსკოვი) რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფონდიდანაა ამოკრებილი. საბუთები პირველად ქვეყნდება. საბუთების ენა დაცულია. პუნქტუაცია ჩვენ გვეკუთვნის. აღდგენილი ადგილები ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში. ასომეტობა აღინიშნება ტეხილი ფრჩხილებით, ხოლო ქარაგმები გახსნილია მრგვალ ფრჩხილებში. ჩვეული ხელრთვები გაშიფრულია შესაძლებლობის ფარგლებში.

ყველა საბუთისათვის მასალად ნახმარია ქაღალდი. დამწერლობა მხედრულია, საბუთები — დაუზიანებელი.

---

49 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 335.

50 დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 126—127.

51 მ. ქიქოძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

52 რსპა, ფ. 110/1, 1738 წ. საქ. № 6, ფრ. 3rv; იქვე, 1742 წ. საქ. № 5, ფრ. 2-3r და ფრ. 7-8r; იქვე 1742 წ. საქ. № 4, ფრ. 3-4r, და ფრ. 4v. იხ. დანართი, საბ. № 1, 2, 3, 4, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## № 1

## [1738.IV.7] წერილი იესე ერისთვისშვილისა და ქართლის წარჩინებულთა იმპერატორ ანასადმი

3г იმპერატორ<ი>ს ანნა ივანუნას[1]

ქ. ღ(მერ)თ(მა)ნ მოწყალემ, ცამდიმ ამაღლებულის ჭირი და სატკივარი მაგათს ფეხთა მტვერს, სულ საქართველოს ქრისტიანებს და იესეს ერისთვისშვილსა, არაგვის ერისთვისშვილს გივსა, აბაშიძეს ბახუსტის, ამილახვრისშვილს იოთამ[ს], ყაფლანიშვილს დავითს, ციციშვილს ფარსადან[ს], ავალიშვილს ქაიხოსრო[ს], ჩხეიძე სეხნიას, ხერხეულისძეს ლუარსაბს, ბ. ფალავანდიშვილს ზალს, მოსცეს. მერმე დიდსა და ამაღლებულს ჴემწიფეს თავს ვაწყენთ და მოვახსენებთ, ქრისტეს გულისთვინ, ერთის გზით ქრისტიანობას უშველოს რამე. წახდა, დაიქცა ჩვენში ქრისტიანობა. პატრონი აღარ არის ამ ქვეყნისა.

3v ამას მოგახსენებთ და გე||ხვეწებით, ცოტა რამ მაგათი საფარველი მოგ[ვ]წდეს. ჩვენ დიდად შეგვემატება და მაგათ არა დააკლდება რა, მათის უხვის წყალობისაგან ჩვენ რომ მცირე ცვარი გვეპკუროს. ამ ქვეყნის საქმე სულ მაგ ჩემს ძმას და[ა]დევით და აქ ჩვენ ვართ. თუ რამ შეგვიძლია, ჩვენს თავს არ დავზოგავთ. არც ქრისტიანობისთვინ და არც ჴემწიფის სამსახურისთვინ.

ერთს ამ[ა]ს მოვახსენებთ, მეფეს ბაქარს წყალობა უყოთ და გამოისტუმროთ და ცოტა რამ ჯარი უბოძოთ; და ამ ქვეყნის საქმე ჩვენგან ითხოოს; და აზულისაცა ჩვენ ვიცით. რაც მაგათს ჯარს მოუნდება, ჩვენ გაურიგებთ, რა ერთიც მოუნდება.

ხელრთვები: იასე, გივი, იოთამ, ვახუშტი, დავით, ქაიხოსრო, ფარსადან, სეხნია, ლუარსაბ, ზაალ.

2г წერილის კონვერტი: ქ. დიდსა და ამაღლებულს ჴელმწიფეს მიერთვას. აპრილ[ი]ს ზ. წამოვიდა, ქრისტეს აქეთ ჩღკიჱ.

დედანი დაცულია რსპა ფ. 110/I, 1738 წ., საქ. № 6, ფრ. 2 г, 3 гv, ფოტოპირი: ხელნაწ. ინსტიტუტი, რსპა, საბ. № 434.
ვსარგებლობთ ფოტოპირით და დედნის ზომებს ამიტომ ვერ ვიძლევით.
ფოტოპირის აღწერა: განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი, ადგილ-ადგილ ერთწერტილი.
საბუთი დათარიღებულია წერილის კონვერტზე დასმული თარიღით.

---

1 სწორი იქნება — ივანოვნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2

## 1742 [VII.12] წერილი გივი ამილახორისა და ბეჟან ერისთავისა იმპერატორ ელისაბედისადმი

კეისარ ჴელმწიფეთ ჴელმწიფეს[1] 2г

ქ. თქვენის ტახტისა და ხარისხისა მაღლისა და უძლეველისა, შარავანდიანისა, მზისა მზგავსად განათლებულისა და ბრწყინვალისა ჴელმწიფეთა ჴელმწიფობისა ჴმა მაღლად მაქებარ-მადიდებელნი, თქვენი მლოცავნი, მიწა და ფერჴთა მტვერნი, მომხსენებელ ვართ, ძლიერო და უძლეველო, მაღალო და აღმატებულო, ყოველთა მბრძოლთა და წინააღმდგომთა დამთრგუნველო და ფერხთა ქვეშე მომაქცეველო, ბრძანებითა ღ(მრ)თისათა ტახტთა საჴელმწიფოთა შეურყვნელად დადგინებულო და ერთა ურიცხვთა სამართლისა მართლისა მიმნიჭებელო; ოთხთა კიდეთა ქვეყანისათა დიდებითა და სიმდიდრითა ჴმა განსმენილო და მტერთა და ქ(რისტე)ს უარისმყოფელთა გაადვილებით მომსვრელო; სასოწარკვეთილთა სწრაფად და ადვილად მიმშველებელ-აღმადგინებელო; თქვენ ხართ საძირკველი ყოველთა ქრისტიანეთა, თქვენ ხართ იმედი ყოველთა მონასტერთა და წმიდათა ადგილთა. თქვენგან იქადიან ყოველნი მართლმადიდებელნი ქ(რი)სტეს თაყვანისმცემელნი. თქვენი სასოება აქვთ ყოველთა შეწუხებულთა და შეიწრებულთა. თქვენ გადიდებენ და აღგამაღლებენ უკუნისამდე.

აწე, ჴელმწიფეო სახელოვანო, ჩვენი აჯა და ხვეწნა ეს არის: ოცი წელიწადი არის უბატონონი, უცხო თესლთ ჴელში დავრჩომილვართ. ჩვენთვის ერთი ნუგეშინისმცემელი და ნავთსაყუდელი არსად გამოჩენილა. ოთხსავ კუთხეს ურჯულო მტერი შემოგვხვევია. რაც შევიძელით, თავი არ დავზოგეთ, შევაკვდით და ამოვწყდით, დავტყუევდით და წავჴდით. მოეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა თავად მომცრო ალაგი არის და მერმე უბატონოთ კაცს არა შეუძლია რა. დიდროვანი ურჯულო მტერები აგვესივნენ. ხან სამსახური ვქენით და სამსახურის ქნას ვეცადენით, მაგრამ არა გავიდა რა. ხან სიკვდილი ვარჩიეთ ამათის სიტყვისა და რჯულის მიყოლასა. მოეხსენებათ, ქ(რი)სტეს მოსავისა აგარიანთთან არც სამსახური გავა და არც დაინდობენ.

ამ ერანის მეპატრონის ანბავი უნდა მაგათაც მოხსენებოდეს; ამასთან არც სამსახური და არც ერთგულობა გავა და არც ამისის პირისაგან მართალი ამოვა. უწინ მოვიდა თითონ თიფლისსა და რაც ამ ქვეყანას უყო ან აყრითა, ან დატყვე[ვე]ბით, მაგათაც მოხსენდებოდათ.

ახლა კიდევ ბოლოს მოღება მოინდომა, ვიღაც დარჩომილა, ამათი გაურჯულოება და დატყვე[ვე]ბა. ჩვენც, ვინც მოვრჩომილვართ, ქრისტეს გულისათვის თავი დაგვიდებია, უნდა ჩვენის ნებით იმისი მორჩილობა აღარა ვქნათ და სისხლი დავაქციოთ.

---

[1] წერია: ჴელმწიფის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენს ამაღლებულს ტახტს ამას ვეხვეწებით: ბატონი ჩვენი გამოისტუმროთ, როგორადაც თქვენს დიდებულობას ეკადრებოდეს, იმ რიგათ ჴელი მოუმართოთ. ჩვენც ბატონის ჩვენის მოვალენი ვართ, რომ მაგათგან ბევრი წყალობა გვჭირვებია; მაგათგან ვრჩომილვართ და გამოვზდილვართ. ის გვინდა, მაგათ წინ დავიჴოცნეთ. მაგათაც ამ ქვეყნის ვალი აძეს, რომ სამკვიდრო არის მაგათი ამდენი წმინდა ადგილები, მონასტრები და ნაწილები, რაღაც დარჩომილა ლამის საურჯულოთ გაჴდეს. მართებსთ. რომ ეგენიც გაისარჯნენ. თუ ეს გონიათ, რომ ჩვენ მაგათ უტყუოთ და მაგათ სამსახურზე თავი დავზოგოთ დასაჴოცლათ, ან სხვა უცხო თესლი ჩვენ თვალით ვნახოთ საბატონყმოთ, იმისი თავდები იესო ქრისტე იყოს.

ერთსა ამას სადმე მოგახსენებენ, ქართლში პური არ იშოებაო. ამდენი ხანი არის ჩვენს ქვეყანას ხან ოსმალი იდგა, ხან ყიზილბაში და ლეკი ხომ ის არის. და თუ პური კი არ იშოება, მაშ რასა სჭამდენ? ჩვენგან სხვა არა მოეხსენება რა ამაღლებულს ჴელმწიფეს,
ამის მეტი, რომ რადგან ქრისტიანობის სახელი || გვქვიან, ქრისტეს
2v სიყვარულისათვის ამ ქვეყანას უშველოთ და რომელიც ბრწყინვა-
ლისა და სახელოვნის უსწოროს კეისარ ჴელმწიფის პეტრეს ანდერ-
ძი და ბრძანება ყოფილ[ი]ყოს, ის გაასრულოთ.

წმიდა სახარება ბრძანებს: ერთის ცივის წყლის სმას არავის დაუკარგაო. ამდენი სული ქრისტეს სისხლით სყიდული, რომ მწარის ტყვეობისა და ოჯრობისაგან დაგვიხსნათ, ღ(მერ)თი ჭეშმარიტათ არ დაგიკარგავსთ. და კიდევ ბრძანებს: რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარეთ. მოვსულვართ და ვეხვეწებით გულითა მწყურვალითა ჴელმწიფობასა თქვენსა ამისთვის რომე, არა განგვაძოთ გარე. ისმინოთ ხვეწნა და მოხსენება ჩვენი, განგვიღოთ კარი წყალობისა და შეგვიწყალოთ.

ეგების ჴელმწიფეს ჩვენგან სამსახური არ ეგონოს? ჩვენი ძმები და სახლისკაცები მიირთვან და სადაც ეპრიანებათ იქ შეინახონ.

ქრისტეს აქეთ ჩღმბ.

ქ. მე ამილახორს გივის მაღლის ხემწიფის არზაში ხელი ჩამირთავს.

ქ. მე არაგვის ერისთავს ბეჟანს მაღლის ხელმწიფის არზაში ხელი ჩამირთავს.

ქ. მაღალსა და უძლეველის კეისარ ჴელმწიფის კარზე მიიწიოს.

დაიწერა ივლისის იბ ქრისტეს აქეთ ჩღმბ.

Доношение к ея императорскому величеству от грузинских князей Амилахвара Гиви, Еристава Бежана, получено
3г в Москве (sic) 1742 году сентября дня.

დედანი დაცულია რსპა ფ. 110/I, 1742 წ. საქ. № 5, ფრ. 1 г, 2—3г, ფოტოპირი: ხელნაწ. ინსტიტუტი, ფ. რსპა, საბ. № 488.

დედნის აღწერა: 44,1 სმ. X 24,6 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ერთწერტილი, ადგილ-ადგილ წერტილი მძიმით და ორწერტილი.

საბუთის რუსული თარგმანი დაცულია რსპა, ფ. 110/I, 1742 წ. ს. № 5, ფრ. 4—6v; ფოტოპირი: ხელნაწ. ინსტიტუტი, ფ. რსპა, საბ. № 489.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**№ 3**

**1742.VII.14. წერილი გივი ამილახორისა და ბეჟან ერისთავისა გენერალ ანშეფ ტარაკანოვისადმი**

სარდალს ტარაკანო[ვს], ანშევთს 7v

ქ. ღ(მერ)თ(მა)ნ მაგათის ღვთისაგან დაცვით გაძლიერებულის და მაღლის ჴელმწიფისაგან მრავლის წყალობით გამდიდრებულის თავის ერთი მცირე თავის წყენა ნუ გაგვაგონოს. მაგათი მდაბლად სამსახურის მდომებელნი მოვახსენებთ ბრწყინვალეს და განათლებულს ბატონს, რაც ჩვენგან იკადრება სამსახურის ნატვრა და ბედნიერად ბძანება მოვახსენეთ. ჴელს კოცნა ვკადრეთ. ჩვენი აჯა და ხვეწნა ეს არის: ოცი წელიწადი არის უბატონონი უცხო თესლთ ჴელში დავრჩომილვართ. ჩვენთვის ერთი ნუგეშინისმცემელი და ნავთსაყუდელი არსად გამოჩენილა. ოთხსავე კუთხეს ურჯულო მტერი შემოგვხვევიან. რაც შევიძელით თავი არ დავზოგეთ, შევაკვდით და ამოვწყდით, დავტყვევდით და ;ავჴდით. მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა თავად მომცრო ალაგი არის და მერმე უბატონო კაცს არა შეუძლია რა. დიდროვანი ურჯულო მტერები აგვესივნენ. ხან სამსახურის ქნას ვეცადენით, მაგრამ არ გავიდა, ხან სიკვდილი ვარჩიეთ იმათი სიტყვისა და რჯულის მიყოლასა.

მოგეხსენებათ, ქრისტეს მოსავ[ი]სა აგარიანთთან არც სამსახური გავა და||არც დაინდობენ. 8r

ამ ჩვენის ერანის მეპატრონის ანბავი უნდა თქვენც მოგხსენებოდესთ. ამასთან არც სამსახური და ერთგულობა გავა და არც ამისის პირისაგან მართალი ამოვა. უწინ მოვიდა თიოონ თიფლისსა და რაც ამ ქვეყანას უყო ან აყრითა ან დატყვევებითა, თქვენც მოგხსენდებოდათ. ახლა კიდევ ბოლოს მოღება მოინდომა, ვიღაც დარჩომილა, ამათი გაურჯულოება და დატყვევება. ჩვენც ვიღაც დავრჩომილვართ, ქრისტეს გულისათვის თავი დაგვიდვია, უნდა ჩვენის ნებით იმისი მორჩილობა აღარა ვქნათ და სისხლი დავაქციოთ, ბედნიერსა და ამაღლებულს ჴელმწიფესაც არზა ვაახლით და ამას ვიხვეწებით: ბატონი ჩვენი გამოისტუმროთ, როგორადაც თქვენს დიდებულობას ეკადრებოდეს ისრე და იმ რიგათ ჴელი მოუმართოთ. ჩვენც ბატონის ჩვენის მოვალენი ვართ, რომ მაგათგან ბევრი წყალობა გვჭირებია; მაგათგან ვრჩომილვართ და გამოვზრდილვართ. გვინდა მაგათ წინ დავიხოცნეთ. მაგათაც ამ ქვეყნის ვალი აძეს, რომ სამკვიდრო არის მაგათი ამდენი წა<ა>მიდა ადგილები, მონასტრები, ნაწილები, რაღაც დარჩომილა ლამის საურჯულოოთ გავიდეს: მართებსთ, რომ ეგენიც გაისარჯნენ. თუ ეს გგონიათ, რომ ჩვენ მაგას უტყუოთ და მაგათ სამსახურზე თავი დავზოგოთ დასაჯოცლათ, ან სხვა უცხო თესლი ჩვენ თვალით დავინახოთ საბატონყმოთ, იმისი თავსმდები იესო ქრისტე იყოს.

ერთს ამას სადმე მოგახსენებენ ქართლში პური არ იშოვებაო. ეს ოცი წელიწადი არის ჩვენს ქვეყანას ხან ოსმალი იდგა, ხან ყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

8г ზილბაში, ლეკი ხომ ის არის. და, თუ პური კი არ იშოება მაშ, რა-სა სჭამდენ? ჩვენგან სხვა არა მოგეხსენებათ რა იმის მეტი, რომ რადგან ქრისტიანობის სახელი გვქვიან ქ(რი)სტეს სიყვარულისათვის ამ ქვეყანას უშველოთ და რომელიც ბრწყინვალისა და სახელოვანის უსწოროს კეისარ ჴელმწიფის პეტრეს ანდერძი და ბძანება ყოფილიყოს, ის გაასრულოთ, რომ წმინდა სახარება ბრძანებს: ერთის ცივის წყლის სმას არავის დაუკარგაო. ამდენი სული ქრისტეს სისხლით სყიდული, რომ მწარის ტყვეობისა და ოჯრობისაგან დაგვიხსნათ, ღ(მერ)თი როდის დაგკარგავსთ. და კიდევ ბრძანებს, რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარეო. მოვსულვართ და ვეხვეწებით გულითა მჴურვალით დიდებულობასა თქვენსა, არ გაგვაძოთ გარე, ისმინოთ მოხსენება ჩვენი, გაგვიღოთ კარი წყალობისა და შეგვიწყალოთ. ეგების ჩვენგან სამსახური არ გეგონოსთ. ჩვენი ძმები და სახლისკაცები მიირთვით, სადაც გეპრიანებათ, იქ შეინახეთ.

ქრისტეს აქეთ ჩღმბ.

დაიწერა ივლის იდ.

ქ. მე ამილახორს გივის სარდლის არზაში ხელი ჩამირთავს.

ქ. მე არაგვის ერისთავს ბეჟანს ამ არზ[ა]ში ხელი ჩამირთავს.

Генералу Тараканову от грузинских князей Амилахвара Гиви, Еристава Бежана, получено в Москва (sic) 1742 году сентября дня.

დედანი დაცულია რსპა, ფ. 110/I,1742 წ. საქ. № 5, ფრ. 7-8г, ფოტოპირი: ხელნაწ. ინსტიტუტი, ფ. რსპა, საბ. № 488.

დედნის აღწერა: 31,4 სმ. X 21,1 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ერთწერტილი, ზოგ შემთხვევაში ორწერტილი:

საბუთის რუსული თარგმანი დაცულია რსპა, ფ. 110/I, 1742 წ. საქ. № 5, ფრ. 9—10v; ფოტოპირი ხელნაწ. ინსტიტუტი. ფ. რსპა, საბ. № 491.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## № 4

**1742.VII.14.** წერილი გივი ამილახორისა და ბეჟან ერისთავისა ასტრახანის გუბერნატორ ტატიშჩევისადმი[1] 3г

**Перевод с письма грузинскаго, писанного к тайному советнику и астраханскому губернатору Татисчеву, полученного сего августа 14-го 1742 году**

**Господину астраханскому губернатору Татисчеву[1]**

В книгах б(о)жиа писания искуснейши и в воинстве не оскудеваюсчии и от ея императорскаго величества м(и)л(ос)тию почтенный г(о)спод(и)н губернатор Татисчев!

Вашему превосходительству от нас нижайши поклон с лобзанием руки вашей, причем доносим и просим: от сего времени назад тому лет з дватцать, как мы при себе не имеем никакого предводителя и управителя и находимся в руках варварских, и заступления себе окроме вас никакого не имеем. И хотя мы от всех четырех сторон в окружении от неприятелей безверных, однакож сколько силы нашей было, со оными безверными неприятел[я]ми, имели баталии, при которых от оных неприятелей, людей наших немалое число побито и в полон взято и приведены в великое разорение. И как вам известно, что наша земля не великая, к томуж при себе н(ы)не никакого правителя не имеем. И для того неприятели н(ы)не приводят нас в наивясчее ра(з)зорение и хотя видя мы свое изнеможение оным нашим ненавистником сколько не служили точию по их сродному ненавистному поступку, та наша служба оставлена втуне, ибо как и вы за благо ра(з)судить можете, что мы христианскаго закона а они агаряня и потому с ними нам согласится никак невозможно. Персяня же, как вам известно, не постоянные и чтоб
ни говорили, ‖ тому поверить никак не можно, ибо во всем 3v
лживы являются. К тому ж напредь сего сам шах Тахмас-хан, прибыв в Тефлис город, показал великое нам разорение, многих людей наших побил и большую часть деревень захватя з жёнами и детьми и со всем их имением на житьё в Гурасань[2] послал. Которые же осталися после того переведения, восхотел шах в конец разорить и побрав в полон босурманить. Однакож которые от оных неверных рук остались в живе, а за христа до последней капли кровь готовы проливать, а им покорится и служить всеми мерами не желаем. Чего ради послали мы ко всем(и)л(ос)тивейшей г(осу)д(а)р(и)не всенижайшее свое доношение и просим мы своея грузинския земли царевича к нам, как ваше императорское величество соизволит, отправить. А мы ему, своему природному царевичу, служить должны, памятуя прежную от его высочества до нас милость, чего ради за его высочество умирать готовы, а он за свое природное отечество старатся должен. А сколько здесь имеется с(вя)тых мест и монастырей, так же и с(вя)тых мосчеи, оныя шах, по своему безверию

---

[1] ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვ. ნ. ტატიშჩევი 1741—1745 წლებში იყო ასტრახანის გუბერნატორი.

[2] Хорасан.

не желая видеть, восхотел оныя разорить и осквернить. И хотя вы оному поверить нам неизволите, точию мы со всею нашею ревностию воистину за свое отечество и за его высочество готовы умирать.

И хотяже его высочеству и внушено, якобы у нас в Грузии н(ы)не хлеба недовольно, а понеже у нас хлеба издавна и по ныне довольное число за всегда, но не точию про наше довольство, но и сверх того на предь сего как турецкое и так и персицкое государствы по большей части в хлебе имеют от нас довольствие. Более же онаго писать не имеем, точию яко христиане покорно просим, по христианству за нас старание возьмете и от оных неприятелей нас освободить,
4г ибо и его величество блаженния и вечно достойныя памяти первы всероссийски император Петр Алексиевич при жизни соизволил свое обесчание положить, чтоб нас от оных варварских рук избавить, ибо истое евангелие повествует, иже асче напойте единаго от малых сих студёные воды, токмо во имя ученика, аминь. Гл(агол)я вам не погубят мзды своей, и тако мы яко христяня и кровию христовою искуплены, просим от сея работы вражиа нас, ради христова имени, избавить и хотя всем(и)л(ос)тивеишая г(осу)д(а)р(и)ня нам во оном поверить и от нас к себе службы видеть надеется не изволит однако ж мы со всею нашею охотою ея императорскому величеству служить готовы и для лутчей верности от себя даем аманатов сколько ея величество соизволит. У подлинного подписано тако:

Я Амиляхвар Гиви к сему доношению руку приложил.

Я Эравгис Эристос Бежанс[3] к сему доношению руку приложил.

Июля 14 дня
1742 года.

რუსული თარგმანის პირი დაცულია რსპა, ფ. 110/I, 1742 წ. საქ. № 4, ფრ. 3 гv, 4г. ფოტოპირი ხელნაწ. ინსტიტუტი ფ. რსპა, საბ. № 486.

ვსარგებლობთ ფოტოპირით და დედნის ზომებს ამიტომ ვერ ვიძლევით. თარგმანი შესრულებულია XVIII ს-ის 40-იან წლებში.

3 მთარგმნელს უცვლელად გადმოუტანია ქართული ტექსტიდან: „არაგვის ერისთავს ბეჟანს“

## № 5

**1742. VII. 30.** ჩანაწერი ზეპირ-ჩვენებისა, რომელიც მისცა ყიზლარის კომენდატის კანცელარიაში საქართველოდან დაბრუნებულმა ქართული ესკადრონის პორუჩიკმა ერემეი დავიდოვმა[1].

**1742 году июля 30-го дня посыланной в грузинскую область для разведывания грузинскаго шквадорона порутчик Еремей Давыдов в Кизлярской каменданской канцелярии объя(в)ил:** 4v

Был де я в грузинском владении в городе, называемом Схувилю[2], у князя Милахура Гива и в бытность мою предложено было от шаха к стоясчему в грузинском же владении в городе Тефлизе персицкому хану с войском с одною тысячею указом, чтобы он послал к грузинскому князю Амилахору с требованием, чтобы дано ему было женска полу чистых дев две тысечи пятьсот да мужеска полу молодых и хороших людей тож число, да четыре тысечи арб правианту, с которым требованием от того хана были и присланы, но по тому требованию князь Милахур, собрав всех грузинских князей деветь персон, и имел об отдаче того совет, и по совету положили, что толикое множество христианских д(у)ш в босурманские руки отдать не надлежит, но должно за христиан всеми головами помирать. В чем и учинили между собою присягу и посланным отказали, что де по требованию шаха не токмо толикое множество христианских д(у)ш, но ни одной д(у)ши дано не будет и готовы в том всеми своими головами помирать.

И хан оной по тому отказу пошел с войском своим под ту крепость Хивилю[3] для баталии сего иулиа 11-го дня, то есть в воскресение по утру. А князь Милахур с протчими князями с воиском в трех стах ч(е)л(о)в(е)ках в тот день со оным ханом имели баталию, а протчие того князя владения люди в ту баталию поставлены были на караулах, для остережения посеяннаго хлеба, а другие были в работах, збирая тот хлеб с поля, носили в крепость и была у них баталиа в тот день. ‖ Чрез ружейную стрельбу даже до полудни, а урону со обоих сторон было убито персиан тритцать человеку да пятьдесят лошадей; грузинцов — один человек, да ранено грузинцов же три человека, в том числе ранен же выше объявленного князя Милахора сын, Ревaз тяжелою раною. И после той баталии оной хан, видя себя в таком уроне, от той крепости отошел и пошел в местечко называемое Горо[4], которое разстояньем верстах в пяти или шести, для собрания войска. И по собрании, паки намерение имел баталию со онным князьям иметь, тако ж и князь писал в свои провинции, чтоб была есче прислано в помосч войска, 5r

[1] ამ დოკუმენტზე მიგვითითა ისტ. მეც. დოქტორმა ვ. გამრეკელმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[2] Схвило.

[3] Схвило.

[4] Гори.

ეროვნული ბიბლიოთეკა

точию в бытность мою ниоткуда есче в присылке того войска не имелось. Да в бытность же мою в Грузии имел известие, что в городе Багдате да в городе Карсе, которой стоит от персицкого города Ревани ездом чрез два дня, собрано турецкого войска в великом множестве, точию в каком числе состоит, не знаю. А собрано для имения войны с персицким шахом. Да в городе ж Азрюме имеется турецкой сераскер Еким Башев сын с войском же. Но и в тех городах, как в Багдате, так и в Карсе, войски состоят под командою его. И писал ко оному сераскеру султан турецкой, чтоб он ехал к нему в Царьград, которой сераскер и поехал. И стоячие в городах войска, ожидая того, что оной ли же прислан будет, или другой командиром, с персицким войском в баталии не имеют, а персицкого шаха племянник стоит в городе Тевризе с воиском, состоясчим в тритцати тысячах. А более сего в бытность свою нечего не слыхал[5].

დედანი დაცულია რსპა, ფ. 110/I, 1742 წ. საქ., № 4, ფრ. 4v, 5r, ხოლო ფოტოპირი ხელნაწ. ინსტიტუტი, ფ. რსპა საბ. 487.
ვსარგებლობთ მიკროფირით, ამიტომ დედნის აღწერილობას ვერ ვიძლევით.

Д. И. ЛОМИДЗЕ

## МАТЕРИАЛЫ ПО ИСТОРИИ РУССКО-ГРУЗИНСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ ВО II ЧЕТВ. XVIII В.

Резюме

В статье впервые публикуются письма грузинских политических деятелей Гиви Амилахвари и Бежана Эристави к императрице Елизавете Петровне, ген.-лейт. А. И. Тараканову и астраханскому губернатору В. Н. Татищеву, а также запись секретного показания поручика грузинского эскадрона Еремея Давыдова.

Вышеуказанные документы, датируемые 1742 годом, содержат ряд сведений о русско-грузинских политических взаимоотношениях, а также конкретные данные о восстании в Картли в 1742 году под руководством Гиви Амилахвари против иранских захватчиков.

В частности, установлен интересный факт, что первая битва между восставшими грузинами и персидскими оккупантами произошла у крепости Схвило 12 июля 1742 года.

---

5 საბუთის მიკროფირი მოგვაწოდა პროფ. გ. პაიჭაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამინ რამიშვილი, ბესარიონ ჯორბენაძე

# ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები*

## ერწოს „ქვეყანა“

### სოფ. ბეწენწურები

ბ ე წ ე ნ წ უ რ ე ბ ი ს ე კ ლ ე ს ი ა ღვთისმშობლის სახელზეა აგებული და მდებარეობს სოფლის განაპირას, მდ. ივრისკენ. წყობაში შირიმის ქვებია გამოყენებული. (ტაბ. $I_1$). გადახურვა ჩანგრეულია. სამხრეთი შესასვლელის თაღში დატანებულ შირიმის ქვაზე ჯვარია ამოკვეთილი, ხოლო აღმოსავლეთ ფასადზე — ადამიანის რელიეფური გამოსახულება. ეკლესიასთან შემორჩენილია ოთხკუთხა კოშკი, გალავნის ნაშთი და მიწისქვეშა დიდი აკლდამა. ეკლესია ადრე შუა საუკუნეების უნდა იყოს.

ს ვ ი მ ო ნ ი ს ხ ა ტ ი, მდებარეობს სოფლის სამხრეთით, სკინტლიანთგორაზე. მცირე მოცულობისაა. იხდიან ამაღლების დღესასწაულს. ნაწილობრივაა შემორჩენილი დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლები, აგებული რიყის ქვით.

### სოფ. ნაქალაქარი

წმ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, მდებარეობს სოფლის ზემო უბნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ე. წ. თელთუბანში. შემორჩენილია მხოლოდ დასავლეთი კედელი რიყის და შირიმის ქვებით. კედლის შიგნით ნიშია, შესრული თაღით. ეკლესია გარშემოვლებული ყოფილა გალავნით.

ს ა ყ დ ა რ გ ო რ ი ს ე კ ლ ე ს ი ა, მდებარეობს მთიულეთ ხევსა და თელთუბანს შორის. ეკლესია დარბაზულია, ერთნავიანი. ნაგებია რიყის მსხვილი ქვით, ხოლო კუთხეები შირიმის კვადრებითაა გამოყვანილი. შემორჩენილია ეკლესიის აღმოსავლეთი კედელი აფსიდითურთ, დასავლეთი კედელი და სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნახევარი. გადახურვა ჩაქცეულია. წრიული მოყვანილობის აფსიდაში გვერდებზე დატანებულია ორი დიდი ნიში, რომლის სიღრმეში კიდევ პატარა ნიშებია. შესასვლელი სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილშია. ეკლესია შიგნიდან შელესილია. შიდა სიგრძე, — 6,14 მ, სიგანე — 4,25 მ. აფსიდის სიგანე — 3,24 მ, სიღრმე — 1,90 მ. ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის ზედა ნაწილში დატანებულ შირიმის ქვაზე ამოკვეთილია ჯვრის გამოსახულება. სამლოცველოს შემოვლებული ჰქონია რიყის ქვის გალავანი. ეზოში შეიმჩნევა ჩანგრეული აკლდამები. ეკლესიასთან ახლოს შუა საუკუნეების ნასოფლარის ნაშთია.

---

* დასასრული. დასაწყისი იხილეთ: „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 4. იქვე (გვ. 161) იხ. ივრის ზემო წელის ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლთა განლაგების სქემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყდარგორის აკლდამა, რომელიც ნაწილობრივ გაითხარა, შეუსრულთაღიანია, ოთხკუთხა მოყვანილობის. შესასვლელი დასავლეთიდან ჰქონდა, სადაც კლდის დიდრონი ფილები ეწყო. კედლები ამოყვანილი იყო კლდის და რიყის ქვებით დუღაბზე. შიგნიდან შელესილი თაღი დაფუძნებული იყო გვერდით კედლებზე. შიდა სიგრძე — 2,45 მ, სიგრძე — 1,80 მ. ნივთიერი მასალა არ აღმოჩენილა. აკლდამა შესაძლოა გვიან შუა საუკუნეებისა იყოს.

კვირიას ხატი მდებარეობს გარდიგარდმო მიწების თავზე და წმინდა ტყეს წარმოადგენს (გ. ბიჩიაშვილის ცნობა).

ამაღლების ხატი მდებარეობს სოფლის სამხრეთით და წმინდა ტყეს წარმოადგენს (გ. ბიჩიაშვილის ცნობა).

იკვლივში, მაყვლიანში არის ნასოფლარი, ეკლესიის ნანგრევები და სამაროვანი (თ. მამადაშვილის ცნობა).

## სოფ. მაგრანეთი

საყდარას ეკლესია მდებარეობს მაგრანეთისხევის მარცხენა ნაპირზე. დარბაზული ტიპისაა (ტაბ. $I_2$). აგებულია რიყის ქვებით, დუღაბზე. სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში აქვს შესასვლელი. აღმოსავლეთ კედელში კი დატანებულია სარკმელი. გადახურვა დასავლეთ ნაწილში ჩანგრეულია. ეკლესიის დასავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში ჩართულია კლდის ოვალური ქვა, რომელზედაც გაუმართავი ხელით ამოკაწრულია X ს-ის ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული (ნუსხურნარევი) წარწერა[1]: შას შონდენ ღ̅ — შ/ოთ/ას[2] შ/ე/-უნდენ უ/ფალ/ო. ეკლესიასთან შუა საუკუნეების ქვის სამარხებია, ხოლო შორიახლოს ნასოფლარი.

ციხიაკოშკი მდებარეობს მაგრანეთისხევის მარჯვენა ნაპირზე. იგი სწორკუთხაა. წყობაში გამოყენებულია რიყის ქვები. (ტაბ. $II_1$). კუთხეებში მეჩხერად დატანებულია შირიმის კვადრები. ჩრდილოეთი ფასადის მეორე სართულზე განიერი სარკმელია. შესასვლელი კოშკს სამხრეთი კედლის პირველ სართულზე ჰქონია.

კვირიას ხატი მდებარეობს სოფლის დასავლეთ ნაწილში, ე. წ. საცხვრეგორაზე. ნაგებია რიყის მრგვალი ქვებით, ხოლო ლავარდანი შირიმის კვადრებით. აფსიდა ოდნავ დაკუთხილია. აფსიდის კუთხეებში თითო მაღალი ნიშია დატანებული. მათგან ერთი შეისრულთაღიანია. საკურთხეველში დატანებულია ერთი სარკმელი, ხოლო ორი გვერდზე. ძეგლი, ვარაუდით შუა საუკუნეებისაა. ეკლესიის ეზოში და მისი გალავნის გარეთ ჩნდება სამარხები.

ადგილისდედის ეკლესია მდებარეობს მაგრანეთისხევის მარჯვენა ნაპირზე, სადაც უზარმაზარი ნასოფლარია. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ერთნავიანი. აღმოსავლეთ კედელში დატანებულია სარკმელი.

ფეტვიაშვილების ხატი დაარსებული უნდა იყოს გვიან ჩამოსახლებულ მთიელთა მიერ.

თამრებაის ჯვარი წარმოადგენს წმინდა ხეების ჯგუფს და მცირე ნიშ-ხატს (დ. გაბიდაურის ცნობა). აგრეთვე გვიანდელია.

---

[1] წარწერა ამოიკითხა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ზ. ალექსიძემ.

[2] შ/ალვ/ას(?).

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამარხები სიპი ქვებით ნაგები, ჩნდებოდა სოფლის ბოლოზე, მდ. აძეძის ჭალაში, სადრენაჟო არხის გაჭრისას (ზ. ზურაბაშვილის ცნობა).

თიხის ჭურჭლის ნატეხები, ფიქსირებულია მაგრანეთისხევის და მდ. აძეძის შეერთებასთან. ჭურჭელს ჰქონია გადაშლილი პირი და წრიული ნაჭდევი ხაზებით შემკული ზედაპირი, რომელიც წინასწარულად გვიანი ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება.

ქუშანაანთგორის გვიანანტიკური ხანის სამაროვანი, მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. თრანულას მარჯვენა ნაპირზე. 1966—68 წწ გაითხარა ვრცელი სამაროვნის ის ნაწილი, რომელიც ნაწილობრივ გადაურჩა პლანტაჟს. 16 ორსამარხიდან 3 მდიდრული იყო. მათ შორის № 1 სამარხი არმაზისხევის ერისთავთა სამარხების რანგისაა. სამარხს ჰქონია ხის კონსტრუქციაზე დაყრდნობილი და კრამიტით დახურული ორფერდა სახურავი. სამარხში აღმოჩენილია ვერცხლის ორი სურა, პინაკი, ოქროს ბეჭდები, ოქროს მონეტები და სხვ.სამაროვანი თარიღდება III—IV საუკუნეებით. სამაროვანს აღმოსავლეთით ებმის გვიანანტიკური ხანის ვრცელი ნამოსახლარი, რომელიც პლანტაჟის მიერ მთლიანადაა განადგურებული.

ქუშანაანთგორის ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარი სამხრეთიდან უშუალოდ ებმის გვიანანტიკური ანუ გვიანარმაზული ხანის სამაროვანს. კომპლექსი შედგება მოზრდილი შენობის ნაშთისაგან, რომლისგანაც მხოლოდ საძირკვლის დონეა შემორჩენილი (ტაბ. II$_2$). საძირკველი ნაგებია რიყის ერთი ან ორპირი წყობით, რომელზედაც ალიზის კედლები ყოფილა დაფუძნებული. შენობებს ჰქონია ღარიანი კრამიტის სახურავი. არქეოლოგიური მასალის და ძეგლის სტრატიგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით აღნიშნული ნაგებობა VII საუკუნეში ჩანს დანგრეული. ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარის სამხრეთით, მის უშუალო სიახლოვეს, შემორჩენილია ქუშანაანთგორაზე გაჭრილი ძველი ნაგზაურის ნაშთი.

ქუშანაანთგორის ადრე შუა საუკუნეების სამაროვანზე, რომელიც მდებარეობს ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარის სამხრეთით და აღწევს შარაგზამდე, გაითხარა შვიდი ორმოსამარხი და ქვის სამარხი, რომლებიც დამხრობილი იყვნენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. აღმოჩენილი ნივთებით (ბრინჯაოს და რკინის ღეროიანი საკინძები, ბრინჯაოს მშვილდსაკინძი, ვერცხლის და ბრინჯაოს ბეჭდები, რკინის სამაჯურები და სხვ.). სამარხები თარიღდება VI—VIII საუკუნეებით (სურ. 1).

ჭიჩოულების უბნის ნამოსახლარი მდებარეობს სოფლის სამხრეთ ნაწილში. საცდელ თხრილებში, სოფლის გზაზე, აღმოჩნდა მოთეთროდ და მოშავოდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის პირის, ყურისა და მუცლის ფრაგმენტები, „ლუთერიუმის“ მსგავსი ჭურჭლის ნატეხები, ვარდისფრად გამომწვარი ძირბრტყელი ქვევრის ქვედა ნაწილი და სხვ., რომლებიც დამახასიათებელია ადრე შუა საუკუნეებისათვის.

საცხვრეგორის სამაროვანზე გაითხარა ოთხი ქვის სამარხი, რომელთა კედლებს და სახურავებს წარმოადგენენ შირიმისა და კლდის ქვის ფილები. სამარხები კოლექტიურია. ინვენტარის მიხედვით (საკინძები, საყურეები, მშვილდსაკინძი და სხვ.) თარიღდება VI—VIII საუკუნეებით. იმავე გორის დასავლეთ ფერდობზე გაითხარა შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი, სადაც ესვენა ქრისტიანული წესით დაკრძალული ერთი მიცვალებული. ინვენტარი წარმოდგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა




სურ. 1. სოფ. მაგრანეთი. ქუშანაანთგორის ადრე შუა საუკუნეების სამაროვანი, № 6 სამარხის ინვენტარი.

ნილია მინის ორი, რკინისა და ბრინჯაოს თითო სამაჯურით და ბრინჯაოს სამი ბეჭდით, რომლებიც XII—XIII სს თარიღდება.

სოფ. თრანი

პირიმზის ხატი მდებარეობს მდ. თრანულას მარჯვენა ნაპირზე. ეკლესია ერთნავიანია, დარბაზული. ეკლესიისაგან ნაწილობრივაა შემორჩენილი ჩრდილო და სამხრეთი კედლები. გარშემო ყრია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით შემკული კრამიტის ნატეხები. გალავნის ნაშთის შიგნით შეიმჩნევა სამარხები. ეკლესია გვიან შუა საუკუნეებისა ჩანს.

მიხეილთჯვარი მცირე მოცულობის ხატია და მდებარეობს ადგილ ოდინაანთ ნასახლარში. წარმოადგენს მთლიანად დანგრეული ეკლესიის ნაშთს.

ხიდის ბურჯი მდებარეობდა სოფლიდან სამხრეთით, მდ. თრანულას მარცხენა ნაპირთან[3]. ბურჯი წარმოადგენდა ოთხკუთხა ნაგებობას შუაში ვერტიკალური, წყალსაწრეტი ხვრელით. ნაგები იყო რიყის ქვებით, მტკიცე დუღაბზე. ბურჯის სიმაღლე 4 მ აღწევდა. მდინარის მარჯვენა ნაპირი წყლის მიერ მონგრეულია და იქ მეორე (მოპირდაპირე) ბურჯის ნაშთი არ შეიმჩნევა. ბურჯთან, თრანულას მარცხენა ნაპირზე, ჩანს ძველი ნაგზაურის ნაშთი, რომელიც გადის შუა საუკუნეების ნასოფლარზე.

ეშმაკგორი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, ხიმშირაანთუბანში. წარმოადგენს პატარა ბორცვს, სადაც გვიანობამდე იხდიდნენ რელიგიურ დღესასწაულს. შესაძლოა ძველი ნამოსახლარი გორა იყოს.

ადგილისდედა წარმოადგენს მცირე ეკლესიის ნანგრევს. მდება-

[3] 1968 წელს სამშენებლო მასალის ძიებისას უცნობმა პირებმა ხიდის ბურჯის ნაშთი ააფეთქეს და ქვა გაზიდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობს რკინისკალოს აღმოსავლეთით, წმინდა ტყეში. იქვე გვიან შუა საუკუნეების ნასოფლარია.

გალავანი ეწოდება მოზრდილი ნაგებობის ნაშთს. მდებარეობს სოფლის თავში რუსა ბურდულის ეზოსთან. იქვეა მარანის ნაშთი (ა. არაბულის ცნობა).

ნასახლარზე განლაგებულია სოფლის თანამედროვე სასაფლაო. ნასახლარი გრძელდება სამხრეთისკენ.

სამაროვანი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, ხიმშირაანთუბანში. სამარხები ნაგები ყოფილა შირიმის ფილებით.

ფუძისანგელოზის ხატი მდებარეობს მდ. თრანულას აღმოსავლეთით, თეთრეულთველთან (ს. ბურდულის ცნობა).

კოტაისძირის ნასოფლარი მდებარეობს თრანულას და შირიმის ხევებს შორის „საქალაქო" გზასთან, სოფლის სამხრეთით. შენობები ნაგები ყოფილა კლდის ნატეხი ქვით. შეიმჩნევა რამდენიმე ნასახლარი ბუდე. ნასოფლარი, ალბათ, შუა საუკუნეებისაა.

კოკოთახოების ნასოფლარი მდებარეობს თრანის სამხრეთ-დასავლეთით. კედლები ნაგები ყოფილა ნატეხი ქვით. ერთგან შეიმჩნევა სამსათავსიანი შენობის ნაკვალევი. იქვეა პატარა ხატის ნანგრევები.

ბადათგორის ნასახლარზე პლანტაჟის დროს აღმოჩნდა ქვევრები. გორის აღმოსავლეთით არის ადგილი კვირია, სადაც ხატის ნანგრევებია. კვირიას ქედობაზე შეიმჩნევა ნაგებობათა ნაშთები. ნასოფლარი შუა საუკუნეებისაა.

ბადათგორის სამაროვანზე პლანტაჟით დანგრეულ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამი და მინის ერთი ბეჭედი, რომლებიც დამახასიათებელია VIII—IX საუკუნეებისათვის.

ბაღების სამაროვანი მდებარეობს სოფლის ჩრდილო ნაწილში, საბჭოთა მეურნეობის ვაშლის ბაღში. გაითხარა ოთხი სამარხი. მათ შორის სამი შირიმის ფილებით იყო ნაგები, ხოლო ერთი ქვიშა-ქვის ბრტყელი ქვებით. (ტაბ. $III_1$). სამარხებში აღმოჩენილი ნივთები (ბრინჯაოს საკინძები, მათ შორის ორი გრანატის თვლებით შემკული ოქროს მოძრავი თავით, მშვილდსაკინძები და სხვ.) დამახასიათებელია ადრე შუა საუკუნეების ადრეული საფეხურისათვის.

ოდინაანთნასახლარი მდებარეობს მდ. თრანულას მარჯვენა ნაპირზე, სოფლის გაღმა. ნასახლარზე გაითხარა სათუნე სახელოსნოს ნაშთი, სადაც აღმოჩნდა XII—XIII სს. ორი ქურა. ყურადღებას იქცევს თიხის სამფეხა სადგრები. თრანის ქურის ნაწარმს შორის გამოიყოფა ჭურჭლის რამდენიმე ტიპი: მილიანი ჰინჰილები, ხელადები, სურები (სურ. 2.). აღნიშნული საწარმო მიეკუთვნება იქვე მდებარე შუა საუკუნეების ნასოფლარს.

რკინისკალოს სამაროვანი[4] მდებარეობს სოფ. თრანსა და მაგრანეთს შორის. დაზიანებულია ნიაღვრის წყლით. 1963—69 წლებში გაითხარა 37 ორმოსამარხი, რომელთა ძირითადი ნაწილი ინვენტარის მიხედვით

---

[4] ლ. კობაიძე, „რკინის კალოს" სამაროვანი (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1972, გვ. 29—30. ლ. კობაიძე, რკინის კალოს სამაროვანი (კატალოგი), 1977.

(თიხის ჭურჭელი, რკინის მოხრილი საჩეხი დანები და შუბისპირები, ბრინჯაოს შედგენილტარიანი მახვილი, სკვითური ისრისპირი, სარტყლები და სამაჯურები და სხვ.) თარიღდება ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით.



სურ. 2. სოფ. თრანი. თიხის ჭურჭელი სამეთუნეო ქურებიდან.

## სოფ. ტოლათსოფელი

იაღსარის ხატს ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს ოთხკუთხა კოშკს, რომლის კედლები ამოყვანილია რიყის ქვებით, დუღაბზე. დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადებზე ჯვრებია გამოსახული. სიმაღლე ექვს მეტრს აღწევს.

ნასოფლარი მდებარეობს სოფლის სამხრეთით, ტყის პირას. შემორჩენილია ცალკეულ კომპლექსთა კედლები. ჩნდება ქვევრები (ა. წიკლაურის ცნობით).

გუგუდაანთ ნაბინადრები წარმოადგენს ძველი ნასოფლარის ნაშთს (ა. წიკლაურის ცნობით).

ნასოფლარის სამაროვანი, მდებარეობს სოფლის სამხრეთით, ხვნის დროს ჩნდებოდა სამარხები. საცდელი თხრისას გამოვლინდა ოთხი ქვის სამარხი და ორმოსამარხი, რომლებიც უინვენტარო გამოდგა. ერთ-ერთ დანგრეულ სამარხში ნაპოვნი მძივით და სამარხების აღნაგობით სამაროვანი, სავარაუდოდ, შუა საუკუნეებს მიეკუთვნება.

## სოფ. ღულელები

საყდარას ღვთისმშობლის ეკლესია, მდებარეობს ღულელების სამხრეთ-დასავლეთით, ტყეში. წარმოადგენს დარბაზული ტიპის შენო-

ბას, რომელიც ნაგებია რიყის ქვებით, დუღაბზე. იგი აღსანიშნავია იმით, რომ აქვს სწორი აფსიდა, რაც დამახასიათებელია მთის ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისათვის. ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში სარკმელია, ხოლო ოდნავ მაღლა ოთხი პატარა ნიშია. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში, იქ სადაც იწყება თაღის მომრგვალება, თითო-თითო ნიშია. დასავლეთ კედელში დატანებულია ექვსი სამკუთხა ნიში, ერთ მწკრივში. ეკლესიის შესასვლელი სამხრეთ ფასადშია, დასავლეთ კუთხესთან. გადახურვა თაღოვანია, ოდნავ ისრისებრი. ეკლესია შიგნიდან შელესილია კირხსნარით.

საყდრის დასავლეთით, გორაზე, აკლდამებია.

კვირიას ეკლესია მდებარეობს ღულელების სამხრეთ-დასავლეთით, კვირიასხევის მარჯვენა ნაპირზე. დარბაზული ტიპისაა. წყობაში ნახმარია რიყის და შირიმის ქვები, მტკიცე დუღაბზე. კარი სამხრეთ ფასადშია. აღმოსავლეთ კედელში დატანებულია საფეხურიანი სარკმელი. აფსიდის გვერდით კედლებში ნიშებია. ეკლესიის გარშემო შეიმჩნევა ნასახლარის ნაშთები.

ამტონას საყდარი მდებარეობს ღულელების სამხრეთით, ადგილ ნაშალაზე. დანგრეულია. იქვე, დასავლეთით, პატარა ნიშია (მ. საგინაშვილის ცნობით).

ნასოფლარი აკლდამის ხევის მარცხენა ნაპირზე (ვ. ქისტაურის ცნობით).

წყალსადენის ტრასა იწყება ამტონას (|| ამტნის, ანტონას) ხევის ზევით. სოფლის ტერიტორიაზე ხშირად ჩნდებოდა თიხის მილები (ვ. ქისტაურის ცნობით).

ღულელების სამაროვანი მდებარეობს სოფლის სამხრეთ ნაწილში. შ. ბეცეცაშვილის და ლ. ანთაურის ეზოებში აღმოჩენილი ქვის სამარხები (ვ. ქისტაურის ცნობით) უნდა მიეკუთვნოს ადრე და შუა საუკუნეებს.

კვირიასხევის სამაროვანი მდებარეობს ს. ღულელების დასავლეთით, კვირიასხევის მარჯვენა ნაპირას მდებარე დიდახოზე. გაითხარა ორი უინვენტარო ქვის სამარხი, რომლებიც აღნაგობით დამახასიათებელია შუა საუკუნეებისათვის.

### სოფ. ციათსოფელი

ეკლესიის ნანგრევი მდებარეობს სოფლის ბოლოზე, ადგილ საქვაბეში.

ამაღლების ხატი მდებარეობს სოფლის სამხრეთით, დიდმაყვლიანის ქვემოთ.

ნასოფლარი მდებარეობს ნიგოთგორაზე.

### სოფ. სიონთგორი

არწილის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სიონთგორის სამხრეთ-დასავლეთით, მაღლობზე. შედგება ორი ეკლესიისგან, კოშკისგან, მარნისა და საცხოვრებელი სათავსის ნანგრევისაგან.

პირველი ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ერთნავიანი. ეტყობა მრავალგზის გადაკეთება. აგებულია შირიმის კვადრებით. შესასვლელი სამხრეთი კედლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ ნაწილშია. აფსიდაში დატანებულია ორი სარკმელი. საკურთხევლის შირიმის ქვაზე ჯვარის რელიეფური გამოსახულებაა. ეკლესიის შიგნით დანგრეული სამარხია, რომელიც მიჩნეულია არჩილ მეფის (VIII ს.) საძვალედ. წერილობითი წყაროების მიხედვით მას მიეწერება ამ ეკლესიის აშენება[5].

მეორე ეკლესია იდგა პირველი ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ძლიერ დანგრეულია. დარბაზული ტიპის უნდა ყოფილიყო. ეკლესიას ჰქონდა შირიმის ქვებისგან გათლილი ლავგარდანი. ვარაუდით იგი შუა საუკუნეებისაა.

ხუთსართულიანი კოშკი აგებულია გვიან შუა საუკუნეებში. დასავლეთი კედლით მიდგმულია პირველი ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე (ტაბ. $III_2$), ხოლო ჩრდილოეთი კედლით მეორე ეკლესიაზე. კოშკში შესასვლელი სამხრეთ მხრიდანაა, ხოლო ზედა სართულებში ვიწრო ასასვლელი დატანებულია აღმოსავლეთ კედელში.

მარანი მდებარეობს ეკლესიის ჩრდილოეთით. სანახევროდ მიწაში ზის. შედგება ორი სათავსისგან. პირველი, აღმოსავლეთით მდებარე, წარმოადგენს საწნახლის განყოფილებას, რომელსაც სახურავი ჩაქცეული აქვს. კედლები ნაგებია რიყის ქვებით. საწნახლის განყოფილებიდან კარი გადის გუმბათიან დიდ სათავსში, რომელსაც ოთხივე კუთხეში გამოყვანილი აქვს შეისრული ტრომპები. ტრომპებზე დაფუძნებულია სფერული გადახურვა. გუმბათისებრ თაღში დატანებულია მრგვალი ხვრელი (ერდო). ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი კედლების გასწვრივ მოწყობილია დუღაბზე ნაგები განიერი „ხარისხი". მარანში შემორჩენილია რვა ქვევრი. საწნახლის განყოფილებიდან მთავარ სათავსში გადის თიხის მილი, რომლის გამოსასვლელთან ჩასმულია ქვევრი. მარანი, წინასწარი ვარაუდით, მიეკუთვნება გვიან შუა საუკუნეებს.

საცხოვრებელი კომპლექსი მდებარეობს პირველი ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით, სადაც შემორჩენილია ბუხრის საკვამური.

ამაღლების ხატი მდებარეობს სიონთგორის დასავლეთით.

ნასოფლარი მდებარეობს არჩილის მონასტერსა და თანამედროვე სოფელს შორის.

სამაროვანი ადრეანტიკური ხანის, მდებარეობს არჩილის მონასტრისკენ მიმავალ გზაზე, სოფლის თავში. პლანტაჟის დროს აღმოჩენილი დიდძალი სამარხეული მასალა (ლეგა და წითელკეციანი თიხის ჭურჭელი, წითელი საღებავით მოხატული ხელადა, გველის თავებით შემკული ბრინჯაოს სამაჯურები, რკინის შუბისპირები და საკინძები და სხვ.) თარიღდება ძვ. წ. ა. VI—IV საუკუნეებით.

### სოფ. გორანა

წყალსადენის ტრასა, რომელიც სათავეს იღებს სოფლის თავში მდებარე წყაროდან. თიხის მილები დამახასიათებელია შუა საუკუნეებისათვის.

[5] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 248. მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, ტფ., 1886, გვ. 51; მისივე, საქართველოს ისტორია, ტ. I, ტფ., 1906, გვ. 285—286, მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX—X სს), თბ., 1963, გვ. 145; მ. ფიცხელაური, არჩილის მონასტრის ისტორიის საკითხისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესია (მოხსენებათა მოკლე შინაარსი). თბ., 1968, გვ. 11—12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სოფ. სიმონიანთხევი

მარიამწმიდის ხატი წარმოადგენს ძლიერ დაზიანებული ნაგებობის ნაშთს. გარდა ამისა, სოფლის ტერიტორიაზე არის ხატსალოცავები: ლომისი, ჯაჭველი, ადგილისდედა და სხვ., რომელთა გარშემო შეიმჩნევა ძველი ნასახლარები.

სიმონიანთხევის ეკლესია ნაგები ყოფილა შირიმის ქვებით. ამჟამად დანგრეულია.

სიმონიანთხევის სამაროვანი მდებარეობს ამ სოფლის მკვიდრის ლ. ბაიაშვილის ეზოში და მის ირგვლივ. ჩნდება სამარხები, რომელთა შესახებ დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს.

ნამოსახლარი და სამაროვანი გვიანანტიკური ხანის, მდებარეობს სიმონიანთხევის ახალი სასაფლაოს სამხრეთით, ვაკე ადგილზე. ანაკრეფი მასალა წარმოდგენილია კერამიკით. აღნიშნულ ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა მდიდრული სამარხები. ინვენტარიდან გადარჩა მხოლოდ ავგუსტ კეისრის აურეუსის ადგილობრივი მინაბაძი[6].

სამაროვანი, ადრე შუა საუკუნეების, დადასტურდა გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარის დასავლეთით, ადგილ ლამებში. გაითხარა ხვნის დროს გამოვლენილი ორი ქვის სამარხი. ერთ-ერთ კოლექტიურ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს აბზინდა და რგოლები, რკინის ბეჭედი, მძივები და სხვ.

### სოფ. თოლენჯი

მარიამწმინდის ეკლესიის და ლომისის ხატის ნანგრევები. ამ უკანასკნელს აქვს გალავნის ნაშთი (გ. პეტრიაშვილის ცნობით).

კვირიას ხატი მდებარეობს კვირიასხევზე.

ადგილისდედა, ხატის ნანგრევები, მდებარეობს სოფლის საავადმყოფოსთან.

ნასახლარები განლაგებულია ზემო ქედის გაყოლებაზე (გ. პეტრიაშვილის ცნობით).

### სოფ. მელიასხევი

კვირიას ხატი მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, კვირიასგორაზე.

ხატის ნანაგრევები გორშევარდენზე, რომელიც წარმოადგენს ძველ ნამოსახლარ გორას. გორშევარდენის სამხრეთით, ნიაღვრის ხევში ჩნდება დიდძალი კერამიკული მასალა, შესაძლოა გვიანბრინჯაოს ხანისა.

თავშადმების სამაროვანი მდებარეობს სოფელში, სადაც მიწის სამუშაოს დროს ჩნდება ადამიანის ძვლები.

აკლდამები ჩნდება თოლენჯისგორის უკან.

---

6 მონეტა ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 46—47; Д. Г. Капанадзе, Новые находки подражаний римским ауреусам в Грузии, ВДИ, 1970, № 4, გვ. 85—86, 91; ტაბ. I—II; К. В. Голенко, Заметки об обращении римской монеты в Закавказье, ВДИ, 1971, № 4, გვ. 51, 68; გ. დუნდუა, სოფ. ყელეთში 1971 წ. აღმოჩენილი რომაული დენარის იშვიათი მინაბაძი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972, გვ. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სოფ. ხევსურთსოფელი

ღვთისმშობლის ეკლესია, მდებარეობს კირისწყაროზე, დანგრეულია.

### სოფ. საყდრიონი

საყდრიონის ეკლესია ადრე შუა საუკუნეებისაა, რომელიც შემდგომში მრავალჯერაა გადაკეთებული. (ტაბ. $IV_1$), აფსიდაში, საკურთხევლის ქვის დასავლეთ მხარეზე ამოჭრილია მედალიონი „ბოლნური ჯვრით“. აგრეთვე ორნამენტირებულია საკურთხევლის სამხრეთი მხარე. სამრეკლო გვიანდელია, შეისრულთაღიანი სარკმლით.

ლომისასგორის ეკლესია მდებარეობს საყდრიონის ჩრდილოეთით. დარბაზული, მცირე ზომის ნაგებობაა. წყობაში უპირატესად გამოყენებულია რიყის დიდრონი ქვები, აგრეთვე ქვიშაქვისა და კირქვის კვადრები. ეკლესიის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში დატანებულია სარკმელი, ხოლო სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში შესასვლელია. აფსიდაში ორი ოთხკუთხა ნიშია. გადახურვა ჩაქცეულია. ეკლესიასთან ჩნდება ქვის სამარხები. შორიახლოს შეიმჩნევა ნასოფლარი.

დევენაანთხევის ეკლესია, მდებარეობს დევენაანთხევის მარცხენა ფერდობზე. შემორჩენილია აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლები, ნაგები რიყის ქვებით, დუღაბზე. ეკლესია ოთხკუთხაა, უაფსიდო. აღმოსავლეთ კედელში დატანებულია სარკმელი, ხოლო სამხრეთ და ჩრდილოეთ კედელში, კუთხეებთან, თითო ნიშია. ეკლესიის გარშემო შეიმჩნევა ნასოფლარის ნაშთები.

დიდბატონთ ხატი მდებარეობს ლომისასგორის ჩრდილო-დასავლეთით. ეკლესია დარბაზული ტიპისაა. შემორჩენილია აფსიდის ჩრდილოეთი ნახევარი (უთაღოდ), ჩრდილოეთი კედლის ნაწილი (მინაშენში გამავალი კარის ნაშთითურთ) და დასავლეთი კედელი მთლიანად. წყობაში გამოყენებულია რიყის მომსხო ქვები. კუთხეებში, სარკმელებსა და კარებში გამოყენებულია შირიმის კვადრები. შიგნიდან შელესილია. დასავლეთ კედელში დატანებულია შესასვლელი. ეკლესია შესაძლოა შუა საუკუნეებს მიეკუთვნოს. ეკლესიაზე მიშენებულია კოშკი ისე, რომ მისი დასავლეთი კედელი გამოყენებულია კოშკის კედლად. კოშკი შესაძლოა ორსართულიანი იყო. ეკლესიის ეზოში ჩნდება აკლდამები, ხოლო მახლობლად შეიმჩნევა ნასახლარის ნაშთები.

კვირიას ხატი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

თამარის საყდრის ნანგრევები, მდებარეობს მდ. აძეძზე, საყდრიონსა და ვეძათხევას შორის.

საყდრიონში აღმოჩენილია რომის კეისრის ავგუსტეს (ძვ. წ. ა. 27 წ.-ახ. წ. 14 წ.) მონეტა[7].

### სოფ. ვეძათხევა

ადგილისდედის ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით, ვეძათხევას მარჯვენა ნაპირას. ეკლესია დარბაზულია, მცირე ზომის. შემორჩე-

[7] მონეტა ინახება თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 1. სოფ. ბეწენწურები. ადრე შუა საუკუნეების ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი



სურ. 2. სოფ. მაგრანეთი. საყდარას ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფასადი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 1. სოფ. მაგრანეთი. ციხიაკოშკის ხედი სამხრეთიდან



სურ. 2. სოფ. მაგნარეთი ქუშანაანთგორის ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 1. სოფ. თრანი. ბაღების სამაროვანი. ადრე შუა საუკუნეების სამარხები
(გახსნის შემდეგ)



სურ. 2. სოფ. სიონთგორი. არჩილის სამონასტრო კომპლექსი. ადრე შუა საუკუნეების
ეკლესია და გვიანი შუა საუკუნეების კოშკის ხედი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 1. სოფ. საყდრიონი. ეკლესიის და სამრეკლოს ხედი



სურ. 2. დ. თიანეთი. ცხრაკარას ერთ-ერთი სათავსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილია აფსიდა, ნაწილობრივ ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები. წყობაში გამოყენებულია რიყის და კლდის ქვები. ნაგებია მტკიცე დუღაბზე. შიგნიდან შელესილია. ეკლესიას ჰქონია გალავანი. იქვე შეიმჩნევა ნასახლარის ნაშთები.

### სოფ. ზურაბები

ლომისას ეკლესია, მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით. იგი ერთნავიანია, დარბაზული ტიპისა. გადახურვა ჩანგრეულია, კედლებიც დაზიანებულია. ეკლესია ნაგებია რიყის მსხვილი ქვებით, დუღაბზე. წყობაში შეხმარებულია შირიმის კვადრები. აფსიდა შებრტყელებულია. გვერდებზე დატანებული აქვს ნიშები, ხოლო აღმოსავლეთ კედელში სარკმელი. შესასვლელი სამხრეთ მხრიდან აქვს. ეკლესიის გარშემო შეიმჩნევა მრგვალი გალავნის ნაშთები.

მარიამწმინდის ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით. დარბაზული ტიპისაა. თაღი ჩანგრეულია. მცირე ზომის აფსიდა ოდნავ შებრტყელებულია. სამხრეთ კედელში დატანებულია პატარა ნიში. ეკლესიას შესასვლელი სამხრეთ მხრიდან ჰქონდა, რომელიც შიგნიდან შეისრულია. ეკლესიაზე სამხრეთიდან მიდგმულია მინაშენი, რომელსაც ჰქონდა ერთი შესასვლელი სამხრეთიდან, ორი აღმოსავლეთიდან. ეკლესიასთან ჩნდება სამარხები, ხოლო პლატოზე შემორჩენილია ნასოფლარი.

### სოფ. დორეულები

ვანათის წმ. გიორგის ეკლესია მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით. ეკლესია ერთნავიანია, სამხრეთი მინაშენით. ძლიერ დანგრეულია.

ნამოსახლარი და სამაროვანი გვიანანტიკური ხანის, მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ადგილ გრძელნაკვეთზე. მთლიანად განადგურებულია პლანტაჟის დროს. ადრე, მიწის სამუშაოების დროს, იქ უპოვნიათ ბეჭდები, სატევრები, შუბისპირი, მძივები და სხვ. (გ. ექიმიშვილის ცნობა). საძიებო-საკონტროლო თხრილებით გამოვლინდა დიდძალი კერამიკული ნატეხები და ალიზის ფრაგმენტები, აგრეთვე შინაური ცხოველების ძვლები.

## თიანეთის „ქვეყანა“

### დ. თიანეთი

ქვევრის ნატეხები, აღმოჩნდა თბილის-თიანეთის გზის პირას, თიანეთამდე 5 კილომეტრზე, ვაკეს წყაროსთან. შესაძლოა იქ ნამოსახლარი იყოს.

ფაშაურთგორა, მდებარეობს ცხრაკარას მიმართულებით. პლანტაჟის დროს აღმოჩნდა შავლეგა თიხის ჭურჭლის ნატეხები გვიან ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის და მინის სამაჯურის ნატეხები შუა საუკუნეებისა.

ცხრაკარა მდებარეობს თიანეთიდან ჩრდილო-დასავლეთით. (ტაბ. IV₂). 1969 წელს ერწო-თიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გაჭრა რამდენიმე საცდელი თხრილი პირველი თხრილი — დიდ დარბაზში, მეორე—თაღებიან სათავსში, მესამე სატრაპეზოში. გათხრებმა დაგვანახა, რომ ცხრაკარა არ წარმოადგენდა მრავალფენიან ძეგლს. კულტურული ფენის სიღარიბე მიგვითი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებს, რომ აღნიშნულმა სამოსახლომ იარსება მცირე დროით. თიანეთის ცხრაკარა გაიგივებულია კახეთის მეფე კვირიკე დიდის მიერ ნაგებ ბოდოჯის სასახლესთან[8] და თარიღდება XI ს-ის დასაწყისით.

საკირეები, თიანეთის მიდამოებში. დანგრეულ სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს საკინძების ღეროები, ბრინჯაოს ბეჭედი, სარდიონის მძივი[9] და სხვ., რომლებიც ადრე შუა საუკუნეებს მიეკუთვნებიან.

### სოფ. ბაღიანები

კეხაციხეზე, სოფლის ჩრდილოეთით, დიდგორის ხევის აღმოსავლეთით, მდებარეობს ორი ეკლესიის ნანგრევი, კოშკი და დიდრონი მიწისქვეშა აკლდამები, რომლებიც ბრტყელი ქვებითაა გადახურული.

თეთრამიწისგორაზე, დიდგორის ხევის დასავლეთით, შემორჩენილია ხატი და აკლდამები (ლ. ჯიმშიტაშვილის ცნობით).

თიხის ჭურჭლის ნატეხები, ჩნდება სოფლის მამულებში, რომელსაც ეწოდება ბაღიანებისკარი.

დიდგორის ხევის პირას, სოფლის ჩრდილოეთით, 1964 წელს ჩატარდა მცირე გათხრები. გამოვლინდა ნაგებობის ნაშთები და შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკა.

### ნასოფლარი იხინჭა

იხინჭას გორაზე მდებარეობს ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელთა შორის საყურადღებოა წმ. მარიამის სახელობის ეკლესია, დარბაზული ტიპის. ეტყობა გადაკეთება. ეკლესიას ჰქონია კანკელი და საკურთხეველი. საკურთხეველში დატანებულია ერთი სარკმელი და ორი ნიში. აფსიდაში, სარკმლის გვერდებზე, შემორჩენილია წითელი და შავი საღებავებით შესრულებული მხატვრობის ნაშთები. იქვეა წარწერები[10]. ჩრდილოეთ კედელზეცაა შემორჩენილი წარწერა. კოშკისებური ნაგებობა წარმოადგენს დიდრონ ლოდებისგან ნაგებ ორსართულიან ოთხკუთხა შენობას. წყობა არქაული ჩანს. ამ ნაგებობის დასავლეთი კედელი მოგვიანებით გამაგრებულია კონტრფორსისებრი მინაშენით. პირველ სართულს შესასვლელი არა აქვს. მეორე სართულზე მოზრდილი კარ-სარკმელი აქვს დატანებული, რომელსაც შევყავართ პატარა სამლოცველოში. აფსიდაში შემონახულია ქვის საკურთხეველი. აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებში დატანებულია სარკმლები. კედლებზე

---

[8] ქართლის ცხოვრება, დასახ. გამოც., ტ. I, გვ. 298; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, კრ. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“. ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 24—25; Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 563. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 148—149; ნ. ბერძენიშვილი, ექსპედიცია ივრის ხეობაში 1935 წელს, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 184—185; ვლ. აბრამიშვილი, ქალეთის, ჩელეთისა და ბოდოჯის ადგილმდებარეობის შესახებ, „მაცნე“, 1967, № 2, გვ. 153—155.

[9] ინახება თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[10] ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში (დღიური). — „ენიმკის მოამბე“, ტ. XI, 1941, გვ. 176.

შემორჩენილია მხატვრობის კვალი. მეორე სართულის იატაკიდან ჩასასვლელია პირველ სართულში. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით, გალავნის გარეთ, დგას ორსართულიანი სამრეკლო. ქვედა სართულში შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთ მხრიდანაა. გადახურულია თაღით, კუთხეებში ოთხი ტრომპით. იხინჭას კომპლექსის ძირობაზე შემორჩენილია დიდი ნამოსახლარი განსაკუთრებით დიდი საცხოვრებელი დარბაზებით.

### სოფ. დულუზაურები

ხ უ რ ო თ მ ო ძ ღ ვ რ უ ლ ი კომპლექსი (კვირიას ეკლესია, კოშკი, გალავანი) განლაგებულია სოფლის განაპირას, მაღალ კლდოვან ქედობზე. კვირიას ეკლესიას თავდაპირველი შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონია. გადახურული ყოფილა კრამიტით. აფსიდაში დატანებულია სარკმელი, ხოლო გვერდებზე მაღალი ნიშები. ეკლესიაზე, სამხრეთ მხრიდან, მიშენებულია მოზრდილი დარბაზული სათავსი, თაღისებური გადახურვით. ეკლესიის გარშემო აკლდამებია. იქვეა კლდის ქვებით დუღაბზე ნაგები ორსართულიანი კოშკი. ქედის ცენტრალურ ნაწილში საცხოვრებელი ნაგებობის ნანგრევებია. მთელი კომპლექსი გარშემოვლებული ყოფილა გალავნით. იქვე ფიქსირებულია წყალსადენის ტრასა. 1950 წელს ეკლესიასთან ხეზე ჩამოკიდებულ პარკუჭში თანამედროვე მონეტებთან ერთად აღმოჩნდა ავგუსტეს დენარი ჩამოსაკიდი ყუნწით.

ა რ ხ ლ ი ს ციხესთან, ადგილ სხლოვანში, აღმოჩენილია რკინის იარაღების განძი (ფოლადის ცული, დანა-წალდი, ბოძალი ანუ ორკაპიანი ისრის პირი და საჭრეთელი)[11], რომელიც შუა საუკუნეებით თარიღდება[12].

### სოფ. არტანი

ა რ ტ ა ნ ი და მისი მიდამოები წარმოადგენს უაღრესად საყურადღებო მხარეს ივრის ხეობაში. მთისა და ბარის ურთიერთობაში ე. წ. „არტნისხევს“ საგანგებო ადგილი ეკავა. მთის ჭარბი მოსახლეობის ბარისკენ მოძრაობის პირველ საფეხურს, ბართან „მიახლოვების“ ზონას ივრის ხეობაში, წარმოადგენდა „არტნის ხეობა“. აქვე გადიოდა ჩრდილოეთისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი გზებიც. ამიტომაა, რომ მთელ ამ მხარეში შემონახულია უამრავი ნასოფლარები და ნასახლარები და სხვა ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები. ბოლო დრომდე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა არტნის ხეობაში მდებარე ლაშარის ჯვრის, თამარის, კოპალესა და იაღსრის ხატები. ივრის მარჯვენა შენაკადის ქუშხევის ზემოწელზე მდებარე დიდი ნამოსახლარი მიჩნეულია იმ ქალაქური სამოსახლოს ნაწილად, რომელიც შესაძლოა პტოლემაოსის „არტანისსას“ გაუიგივოთ[13]. გარდა ქუშხევისა, სადაც შემონახულია ძველი სამოსახლოს გრანდიოზული ნაშთები, დაზვერვებით გამოვლინდა

---

11 მასალა ინახება თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

12 ვ. ა რ თ ი ლ ა ყ ვ ა, რკინის ნივთების განძი სხლოვნიდან, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესია (მოხსენებათა მოკლე შინაარსი), თბ., 1968, გვ. 22—24; მ ი ს ი ვ ე, Железообрабатывающее ремесло древней Грузии, Тб., 1976, გვ. 51—52, 63, 130, 136.

13 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968, გვ. 57—58.

კიდევ ერთი დიდი ნამოსახლარი საკუთრივ არტნის ხევში, ქუშხევის ჩრდი-ლოეთით, შარახევის სათავეებისაკენ და შესაბამისად არაგვისკენ გამავალ ძველ გზაზე.

### სოფ. ტუშურები

ქ ვ ე ვ რ ე ბ ი ჩნდება ქუსნოს ხევის აყოლებით, ადგილ თეთრაწყაროში.

### სოფ. იარაჯულები

ს ა მ ა რ ხ ე ბ ი აღმოჩნდა 1962 წელს, ადგილ სამარწყვეში მიწის სამუშაოს დროს, (სურ. 3). ინვენტარი წარმოდგენილია ბრინჯაოს საკინძებით, ბეჭდებით, მშვილდსაკინძებით, აბზინდებით, სარტყელით, აბჯრის ნაწილებით,



სურ. 3. სოფ. იარაჯულები. ადრე შუა საუკუნეების სამაროვნის ინვენტარი

მინის მძივებით და სხვ[14]. აღნიშნული ნივთიები რამდენიმე სამარხიდან მომდინარეობდენ და მიეკუთვნებიან ადრე შუა საუკუნეებს (VI—VIII სს).

### სოფ. ჯიჯეთი

ხ ა ტ ი. გალავანშემოვლებული, მდებარეობს სოფლის მახლობლად. კედლები ნაგებია კირქვის ბრტყელი ლოდებისგან. ეკლესია მცირეა, დარბაზული. გადმოცემით ეკლესიას სვეტიცხოველი რქმევია, გარშემო მრავლადაა აკლდამები.

ს ა მ ა რ ხ ე ბ ი გამოვლინდა წითელიკლდის ხევის, ანუ კოჭაყელის ხევის მარჯვენა ნაპირზე. 1950 წ. უჯარმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა

[14] სამარხეული ნივთები ს. იარაჯულიდან ინახება თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ორმოსამარხი. აღმოჩნდა ორი ხელშუბის პირი, გრძელი და მსხვილი ჯაჭვის სამი ნაწყვეტი, მახათი, ხვია, თიხის ჭურჭლის ნატეხები მოშავოდ გამომწვარი და სხვა., რომლებიც გვიანბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება.

სამარხები, შესწავლილი იყო 1950 წ. უჯარმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ადგილ პირიმზითში. ქვისსამარხები მიმართული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით არეულ ძვლებში აღმოჩნდა (სურ. 4) მშვილდსაკინ-




სურ. 4. ჯიჯეთი. პირიმზეთის სამაროვნის ინვენტარი.

ძი რკინისა, აბზინდები ბრინჯაოსი, დანა რკინის, საყურეები ბრინჯაოსი, ბეჭედი იასპის და სხვ., რომლებიც ადრე შუა საუკუნეებს (შესაძლოა V ს.) მიეკუთვნებიან[15].

გარდა აღნიშნული ძეგლებისა თიანეთის რაიონის სამ ისტორიულ „ქვეყანაში“ ჟალეთში, ერწოში და თიანეთში კიდევ მრავალი ძეგლია, რომლების ნახვა ან მათ შესახებ ინფორმაციის ჩაწერა არ მოგვიხერხდა. ბუნებრივია ახალი კვლევა-ძიება ამ ძეგლთა სიას საგრძნობლად შეავსებს, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენი მასალები, ამ სახითაც გარკვეულ სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ მკითხველს. ამასთანავე შეიმჩნევა, რომ ერწო-თიანეთის არქეოლოგიურ ექს-

15. გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა, I–XIII სს., თბ., 1977, გვ. 59, 93, 157.

11. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1978, № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედიციას უფრო საგულდაგულოდ აქვს მოხილული ჟალეთი და ერწო, ხოლო შედარებით ნაკლებად თიანეთის მხარე, რაც ჩვენს ექსპედიციას მომავლის საქმედ აქვს დასახული.

Р. М. РАМИШВИЛИ, В. А. ДЖОРБЕНАДЗЕ

## ИТОГИ РАЗВЕДОЧНЫХ РАБОТ ЭРЦО-ТИАНЕТСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ

Резюме

По уровню экономического и культурного развития район Иорского ущелья представлял собой один из передовых регионов в древней Грузии. Этому способствовало удобное географическое положение, наличие пригодных для земледелия почв и обилие лесов и пастбищ.

Богатый историко-археологическими памятниками бассейн р. Иори издавна привлекает внимание исследователей (Вахушти Багратиони, П. Иоселиани, Р. Эристов, Д. Бакрадзе, Э. В. Эриксон, П. Уварова, И. Сегаль, Важа-Пшавела, И. А. Джавахишвили, Г. С. Читая, В. В. Бардавелидзе, Ш. Я. Амиранашвили, Н. А. Бердзенишвили и др.). Но систематическое изучение этого региона началось лишь в пятидесятых годах нашего столетия. В 1950 году совместной экспедицией Института истории им. И. А. Джавахишвили и Тбилисского государственного университета были проведены историко-археологические исследования в Иорском ущелье и раскопки раннесредневековой крепости Уджарма (Н. А. Бердзенишвили, Г. А. Ломтатидзе, И. Н. Цицишвили, Д. Л. Мусхелишвили, Э. В. Хоштариа и др.). В последующие годы работы небольшого масштаба проводились экспедициями Института истории им. И. А. Джавахишвили, Государственного музея Грузии им. С. Н. Джанашиа, Института истории грузинского искусства и Управления по охране и реставрации памятников культуры Министерства культуры Грузинской ССР (О. С. Гамбашидзе, И. Д. Нанобашвили, Г. Н. Чубинашвили, О. Р. Шмерлинг, Н. Г. Чубинашвили, Н. Б. Рехвиашвили, Г. А. Чачашвили, М. Г. Гегешидзе, Н. И. Кадейшвили, И. А. Киквидзе, Д. Л. Мусхелишвили, Л. А. Чилашвили и др.).

Новый этап в археологическом изучении Иорского ущелья начался в 1962 году, когда экспедиция Института истории приступила к раскопкам могильника вокруг Сионской церкви (Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Л. М. Химшиашвили). В 1963—69 гг. в бассейне р. Иори работала Эрцо-Тианетская разведочная археологическая экспедиция (Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе) Института истории. Было выявлено и раскопано немало разновременных архитектурных и археологических памятников, которым посвящен ряд исследований (Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, К. Г. Мачабели, Д. Г. Капанадзе, К. В. Голенко, И. Л. Джалагания, Л. Н. Кобаидзе и др.). В 1963—64 гг. были проведены раскопки средневекового архитектурного комплекса на горе Жалети (Д. Л. Мусхелишвили, Р. М. Рамишвили).

Целью нашей статьи является публикация аннотированного списка (не претендующего на исчерпывающую полноту) разновременных архитектурных и археологических памятников отдельных «Квекана» («земель») исторической Кахети: 1. Жалети, 2. Эрцо, 3. Тианети.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებამ

# დისკუსია და განხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერმიშა გოგოლაძე

## XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის საკითხისათვის

### (სოფელი)*

### გლეხთა თავდახსნის პროცესისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ XVIII ს-ის საქართველოში

გლეხობის ყმური დამოკიდებულებიდან „თავდახსნის“ პროცესი ერთ-ერთი არსებითი საკითხია ბატონყმური ურთიერთობის რღვევისა და ახალი, ბურჟუაზიული, მოვლენების დასადასტურებლად. ი. ანთელავამ, იმისათვის რომ ეჩვენებინა XVIII ს-ის II ნახევარში ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების „სოციალური საფუძვლების მოშლის მეტ-ნაკლებად საგრძნობი პროცესი“, ყურადღება გადაიტანა ყმაგლეხთა „თავდახსნა-განთავისუფლებისა და ხელმეორედ დაყმევების პროცესების ურთიერთშეფარდება“-ზე, ასევე, კერძო მებატონეთა გლეხების ლტოლვაზე სამეფო უწყებაში გადასასვლელად, დაბოლოს ერეკლე II-ის 1765 წლის კანონზე, სახელდობრ:

1. იგი აღნიშნავს, რომ XVIII ს-ის II ნახევარში გლეხთა დიდი ლტოლვაა კერძო მებატონეთა ყმობიდან თავის დაღწევისა და სამეფო უწყებაში გადასვლისა ანუ სახელმწიფო ყმად გახდომისათვის, რომელსაც შედარებით მეტი თავისუფლება ჰქონდაო, რომ „სამეფო უწყებაში გადასვლა... წარმოადგენდა ს რ უ ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს მოპოვების მიმართულებით გადადგმულ გარკვეულ ნაბიჯს“-ო[64].

2. ერეკლე II-ის 1765 წლის კანონის შესახებ, რომელიც ტყვეობიდან დაბრუნებულ გლეხებს ეხებოდა, ი. ანთელავა წერს, რომ ტყვეობიდან დაბრუნებული კერძო მებატონეთა ყმები ამ კანონის საფუძველზე ცდილობენ თავისუფლების მიღებასო[65], რომ ერეკლეს ამ კანონით გლეხი კერძო მებატონის ყმობიდან თავისუფლდებოდა და მისი ნება იყო ვინმეს ეყმობოდა თუ არაო, რომ კანონში არ წერია, გინდა თუ არა სხვა მებატონეს უნდა ეყმოოო, და, რომ ეს კანონი „ტყვეობიდან დაბრუნებულ გლეხს ათავისუფლებდა არა მარტო ძველი პატრონისაგან, არამედ საერთოდ ბატონყმური ურთიერთობისაგან“[66].

3. დაბოლოს, იგი წერს, რომ აღნიშნულის გარდა, „თავისუფლების მოპოვების“ ყველაზე უფრო „საიმედო გზას“ „გლეხის მიერ თავის დახსნა (გამოსყიდვა) წარმოადგენდა“, რომ „გვიანფეოდალური ხანის (sic) სამართალი

---

* დასასრული. დასაწყისი იხ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 4.

64 ირ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, ცვლილებები ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სოციალურ საფუძვლებში XVIII ს. საქართველოში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 2, გვ. 49, 53; მ ი ს ი ვ ე, XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 87—88.

65 ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, ცვლილებები ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სოციალურ საფუძვლებში XVIII ს-ის საქართველოში, გვ. 54.

66 კრებული მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისათვისადმი, 1976, გვ. 406.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამართლებრივი აზროვნება, რომელიც თავისი არსით ფეოდალურ-ბატონყმური იყო, ერთგვარად ხელს უწყობდა ამ პროცესის გაშლა-გაფართოებას“[67].

ყმაგლეხთა თავდახსნასთან დაკავშირებით ი. ანთელავას აღუნუსხავს სამისოდ 250 შემთხვევა მთელ XVIII საუკუნეში. მისი აზრით, ამას უნდა დაემატოს 200 კომლი გლეხი, რომელიც ერეკლე II-მ გაათავისუფლა 1755 წელს ყვარლის ბრძოლაში გმირული მონაწილეობისათვის. სულ მივიღებთ 450 კომლ გლეხს, რომლებსაც „მთლიანად თავი დაუღწევიათ“ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობისათვისო. 450 კომლ გლეხს იგი კიდევ უმატებს გადასახადებისაგან მეტ-ნაკლებად გათარხნებულ-გააზატებულ 100 კომლ ყმაგლეხს და სულ ღებულობს 550 კომლს. მაგრამ, — აღნიშნავს იგი, — ნაწილი თავდახსნის საბუთებისა არ შემოგვრჩა; ამიტომ თავდახსნილ გლეხთა რიცხვი 2-ჯერ მეტი უნდა ყოფილიყო. და აი, 450-ს ამრავლებს 2-ზე და ღებულობს 900 კომლ ყმობისაგან თავდახსნილ გლეხს.

აქვე იგი აღნიშნავს, რომ მაშინ როცა XVIII საუკუნეში 450 შემთხვევაა ყმობიდან თავდახსნისა, ამავე ხანაში „თავყმობის“ ანუ გლეხთა ისევ ყმობაში შესვლის 125 შემთხვევა გვაქვსო. და, აი, მიუხედავად იმისა, რომ XVIII ს-ის II ნახევარში თავდახსნილ გლეხთა კვლავ ყმობაში შესვლის („თავყმობის“) გაცილებით მეტი ფაქტი გვაქვს (20 %-ით მეტი) ამ საუკუნის I ნახევართან შედარებით, საერთო შეფარდება თავდახსნის სასარგებლოდ არისო.

ყოველივე ზემოთქმულის გამო (გლეხთა თავდახსნის გამო) ი. ანთელავა აკეთებს დასკვნებს: „XVIII საუკუნეში, უპირატესად *მის მეორე ნახევარში*, მიმდინარეობდა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის სოციალური საფუძვლების მოშლის მეტ-ნაკლებად საგრძნობი პროცესი“[68], და, რომ „XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყმურ ურთიერთობას რამდენადმე უკვე წყალი ჰქონდა შემდგარი“-ო[69].

განვიხილოთ აღნიშნული საკითხები.

**1. სახელმწიფო უწყებისკენ საბატონო გლეხთა ლტოლვის შესახებ.** როგორც აღინიშნა, ი. ანთელავა ყურადღებას ამახვილებს კერძო მებატონეთა ყმაგლეხების ლტოლვაზე სახელმწიფო გლეხთა უწყებაში (კატეგორიაში) გადასასვლელად და აღნიშნავს, რომ „ეს მოძრაობა, იმის უტყუარი მოწმობაა, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყმურ ურთიერთობას რამდენადმე უკვე წყალი ჰქონდა შემდგარიო“[70].

აქ საჭიროებას არ წარმოადგენს გრძელი განმარტებები. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ საბატონო გლეხთა ასეთი მოძრაობა და ლტოლვა სახელმწიფო ყმად გახდომისათვის, რომელიც *სოციალური* თვალსაზრისით არაფერს არ ცვლიდა (ყმაგლეხი ყმობიდან, პირადი დამოკიდებულებიდან, არ თავისუფლდებოდა), ჩვეულებრივი მოვლენა იყო ადრეულ ხანაშიც, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე — ქვეყანაში ბატონყმობის შემოსვლა-დაკანონების დღიდან, რადგან ყმაგლეხი მუდამ მიისწრაფოდა იმ ფეოდალური უწყებისაკენ, სადაც

---

[67] ირ. *ანთელავა*, დასახ. ნაშრომი, გვ. 57; *მისივე*, XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 88.

[68] ი. *ანთელავა*, დასახ. ნაშრომი, გვ. 61, 62; *მისივე*, XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის“, გვ. 93—94, 95.

[69] ი. *ანთელავა*, დასახ. ნაშრომი, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 2, გვ. 53.

[70] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაგლეხთა შედარებით ნაკლები ეკონომიური და უფლებრივი ექსპლუატაცია იყო (სახელმწიფო და საეკლესიო უწყება) და ამ მხრივ XVIII საუკუნე არავითარ განსაკუთრებულ გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

რაც შეეხება ი. ანთელავას განცხადებას, — ყმაგლეხის „სამეფო უწყებაში გადასვლა... წარმოადგენდა სრული თავისუფლების მოპოვების მიმართულებით გადადგმულ გარკვეულ ნაბიჯს“-ო, — მსგავსი არაფერი ყოფილა, რადგან სახელმწიფო გლეხებიც, როგორც ცნობილია, უფლებრივად ჩვეულებრივი ყმაგლეხები იყვნენ და ასეთად დარჩნენ ისინი ბოლომდე, ვიდრე ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება არ მოისპო, ვიდრე მათ პირადი თავისუფლება არ მიანიჭეს და სახელმწიფო-სახაზინო მიწაზე კერძო საკუთრების უფლება არ დაუმკვიდრეს.

**2. ყმაგლეხთა თავდახსნის პროცესის შესახებ.** ყმაგლეხთა კერძო მებატონეთაგან თავდახსნას XVIII ს-ის საქართველოში ი. ანთელავა, როგორც დავინახეთ, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ საუკუნეში მას დაუთვლია 250 ფაქტი გლეხის კერძო მებატონის ყმობისაგან თავდახსნისა. ამ რიცხვს იგი უმატებს ერეკლე II-ის მიერ გათარხნებულ 200 კომლ გლეხს ყვარლის ციხის ალყის დროს გმირობის გამოჩენისათვის და ღებულობს 450 კომლ გლეხს ყმობისაგან თავდახსნილს. შემდეგ მას კვლავ უმატებს გადასახადებისაგან „გაანატებულ“ 100 კომლ გლეხს და ღებულობს 550 კომლს, ხოლო შემდეგ კი აღნიშნულ რიცხვებს (450, 550) ცალ-ცალკე ამრავლებს 2-ზე, რადგან დანარჩენი საბუთები თავდახსნა-გაანატებისა დაიკარგა და არაა შემორჩენილიო.

ჯერ ერთი, საკითხავია, რა უფლებით ამრავლებს აღნიშნულ ციფრებს 2-ზე და არა, ვთქვათ 3-ზე, 4-ზე და ა. შ. იქნებ სინამდვილეში მეტი ან ნაკლები იყო XVIII ს-ის საქართველოში თავდახსნილ-გაანატებულ გლეხთა რიცხვი! საბუთების ასეთი „გამრავლების“ მეთოდი მიუღებელია.

მეორეც, რაც მთავარია, ყმობისაგან თავდახსნილ 250 კომლ გლეხს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაემატოს 300 კომლი — 100 კომლი გაანატებულ-გათარხნებული ყმაგლეხი და 200 კომლი ერეკლეს მიერ ყვარლის ბრძოლაში გმირობის გამოჩენისათვის გათარხნებული, რადგან — ერთიც და მეორეც უფლებრივად ყმობისაგან განთავისუფლებული გლეხები კი არ იყვნენ, არამედ გადასახადებისაგან ნაწილობრივ თუ მთლიანად გათარხნებული გლეხები.

ყმაგლეხის გადასახადებისაგან ნაწილობრივ თუ მთლიანად განთავისუფლება კი უფლებრივად მისი ყმობიდან განთავისუფლებას სრულებითაც არ ნიშნავდა.

როგორც ეს წყაროშია აღნიშნული, ერეკლე II-მ ყვარლის ციხის ბრძოლის დროს სამხედრო დავალების შესრულებისათვის აღნიშნულ გლეხებს (200 კომლს) ორ-ორ საკომლო მიწასთან ერთად „თარხნობას“ შეპირდა[71], აშკარაა, არა ყმობისაგან განთავისუფლებას, არამედ სახელმწიფო გადასახადებისაგან განთავისუფლებას, „თარხნობას“. ჩვენ არ ვიცით 200 კომლიდან რამდენი იყვნენ კერძო მებატონეთა გლეხები, მაგრამ ვიცით, რომ დიდი ნაწილი იყო

[71] პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1913, გვ. 224.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო გლეხები, ქიზიყელები, 130 კომლი[74], რომლებიც ერეკლე II-მ უ ფ ლ ე ბ რ ი ვ ა დ სახელმწიფო ყმობიდან კი არ გაათავისუფლა, არამედ სახელმწიფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა — „გაათარხნა“. ასეთი თარხან ყმაგლეხთა კატეგორია კი საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა ფეოდალიზმის პერიოდში.

რჩება მთელი საუკუნის (!) მანძილზე ყმობისაგან თავდახსნილი 250 კომლი რაც, ცხადია, ძალიან ცოტაა, რადგან 250 გლეხის თავდახსნის ფაქტი ერთ რომელიმე წელს ან რომელიმე ათწლეულში კი არ მომხდარა, არამედ მთელი საუკუნის, 100 წლის, მანძილზე. ასე რომ, XVIII ს-ის ერთ რომელიმე ათწლეულში ან, მით უმეტეს, ერთ რომელიმე წელს 250 კომლი თავდახსნილი გლეხი სახეზე ერთად არასოდეს ყოფილა. მაშასადამე, მოცემული საუკუნის ერთ რომელიმე წელს თუ ავიღებთ, თუგინდ დროის უფრო დიდ მონაკვეთს, მაშინ თითებზე ჩამოსათვლელი, ერთეული, თავდახსნილი გლეხები დაგვრჩება. ამასთან, ერთდროულად და პარალელურად ხდებოდა ამ ერთეული თავდახსნილი გლეხების კვლავ ყმობაში შესვლა. ასე რომ, მთელი საუკუნის მანძილზე გლეხთა ყმობიდან თავდახსნის 250 ფაქტი, პარალელურად თავდახსნილ გლეხთა კვლავ ყმობაში შესვლის პროცესის არსებობასთან (125 გლეხი კვლავ „თავყმობაში“ (ყმობაში) შესულა), უაღრესად უმნიშვნელოა. მაშასადამე, XVIII ს-ის ამა თუ იმ ათწლეულში არსებობდნენ ერთეული, თითებზე ჩამოსათვლელი, თავდახსნილი გლეხები, რ ო მ ე ლ თ ა პ ე რ ს პ ე ქ ტ ი ვ ა კ ვ ლ ა ვ ყ მ ო ბ ა შ ი შ ე ს ვ ლ ა ი ყ ო დ ა რ ა ც მ თ ა ვ ა რ ი ა, რ ო მ ე ლ თ ა ც ა რ გ ა ა ჩ ნ დ ა თ ა რ ა ვ ი თ ა რ ი ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ა მ ი წ ა ზ ე.

აქვე აღსანიშნავია შემდეგი. ი. ანთელავა, როგორც აღინიშნა, წერს, რომ XVIII საუკუნეში 450 შემთხვევაა ყმობიდან თავდახსნისა (სინამდვილეში კი, როგორც დავინახეთ მისი მონაცემებით, ასეთი მხოლოდ 250-ია), ხოლო „თავყმობის“ ანუ გლეხთა ისევ ყმობაში შესვლისა კი 125 შემთხვევა გვაქვსო, და, აი, შეფარდება გლეხთა თავდახსნის სასარგებლოდ არისო.

როგორც ვხედავთ, აქ ი. ანთელავა არათანმიმდევარია, რადგან თუ ი. ანთელავას მეთოდს გამოვიყენებთ, მაშინ ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ „თავყმობის“ საბუთები იქნებ გაცილებით მეტი დაიკარგა და აღარ შემოგვრჩა, ვიდრე „თავდახსნისა“. საბუთების დაკარგვა-შემორჩენის რაოდენობის ვარაუდებისას მათემატიკური რიცხვებით გამრავლების მეთოდი, როგორც აღინიშნა, გაუმართლებელია, მაგრამ თუ ასეთს ეწევი ერთ მხარეს, მეორე მხარემ რა დააშავა!?

რაც მთავარია, აქ ი. ანთელავა აღნიშნავს ისეთ ფაქტს, რომელზედაც ღირდა დაფიქრება. იგი XVIII ს-ის II ნახევარს თვისობრივად განასხვავებს და უპირისპირებს მის პირველ ნახევარს, მაგრამ ნაშრომის სქოლიოში[73] აღნიშნავს ისეთ ფაქტიურ ვითარებას, რომელიც არღვევს მის მსჯელობას და დასკვნებს. ამ ფაქტის მოტანა კი საჭირო იყო არა სქოლიოში, არამედ ტექსტში და ანალიზის გაკეთება. სახელდობრ, რა ფაქტია ეს? ის რომ თურმე XVIIIს-ის II ნახევარში გლეხობის „თავყმობაში“ ანუ ისევ ყმობაში შესვლის ფაქტები გაცილებით მეტი ყოფილა (20 %-ით მეტი), ვიდრე ამ საუკუნის I ნახევარში!

[72] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი საქართველოს ცხოვრება, გვ. 225.

[73] ირ. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 2, გვ. 61; მ ი ს ი ვ ე, XVIII ს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, გვ. 93.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გამოვიდა? ამით საფუძველი გამოეცალა მისი ნაშრომის დასკვნებს. სწორედ ამიტომაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ ფეოდალურ-ბატონყმურ საქართველოში, გვიანფეოდალური ხანის დადგომამდე (XIX ს-ის I ნახევრამდე), ყმური დამოკიდებულებიდან თავდახსნილი გლეხი პირად თავისუფლებას ვერ ინარჩუნებდა და ისევ ყმობაში ექცეოდაო.

როგორც აღინიშნა, XVIII ს-ის მ თ ე ლ მ ა ნ ძ ი ლ ზ ე 250 კომლი ყმობისგან თავდახსნილ-გათავისუფლებული მეტად მცირეა, მაგრამ შეიძლება მეტიც კი ყოფილიყო, ვიდრე ეს ი. ანთელავას აღურიცხავს, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს მაინც არაა მთავარი.

ფეოდალურ საქართველოში კერძო მებატონე-ფეოდალთა პირადი, ყმური, დამოკიდებულებიდან ყმაგლეხთა თავდახსნის (თავგამოსყიდვის) შესწავლის შედეგად დავრწმუნდით, რომ XVIII საუკუნეში გლეხთა თავდახსნის შედარებით უმნიშვნელო რაოდენობრივი ფაქტები მთელი ქვეყნისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამ მოვლენის ამდენივე ფაქტს, ან მეტს, შეიძლება ადგილი ჰქონდა ადრეც, XVII საუკუნეში, და ასევე მანამდეც. რაც შეეხება ყმაგლეხთა თავდახსნის მეტი საბუთების (ფაქტების) შემორჩენას XVIII საუკუნეში წინა XVII ან XVI საუკუნესთან შედარებით, ეს ბუნებრივია: გვიანდელი დროის მონაკვეთების ისტორიული საბუთები საერთოდ მეტი შემოგვრჩა, ვიდრე წინა, ადრინდელი, ხანისა.

მაგრამ მთავარი მაინც ამჟამად უნდა აღინიშნოს.

რაც მთავარია, თ ა ვ დ ა ხ ს ნ ი ლ ი გ ლ ე ხ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს ვ ე რ ი ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ დ ა. არც არსებობდა სახელმწიფო კანონი, რომელიც ყმობისგან განთავისუფლებულ გლეხს პირად თავისუფლებას შეუნარჩუნებდა, დაიცავდა მას, როგორც ეს იყო XIX საუკუნეში (იხ. კანონი „თავისუფალ მხვნელ-მთესველთა შესახებ“ („Закон о свободных хлебопашцах“). ხდებოდა ყმობისგან თავდახსნილი გლეხის (მისი შთამომავლის — შვილის, შვილიშვილის მაინც) ისევ ყმობაში შესვლა, ყმობაში მოქცევა, და, ამრიგად, რამდენიც იყო ყმობისგან გათავისუფლების ფაქტი, იმდენივე იყო „თავყმობის“ (მებატონე-ფეოდალის ყმობაში კვლავ შესვლის) ფაქტები და ეს გარემოება, ყმობიდან თავდახსნისა და კვლავ ყმობაში მოქცევის — „თავდახსნა“ — „თავყმობის“ პროცესის როტაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო ფეოდალურ საქართველოში.

ასე რომ არ ყოფილიყო, სულ სხვა სურათი გვექნებოდა XVII ს-ის ბოლოს ან XVIII ს-ის დასაწყისში.

აბა დავუკვირდეთ. ავიღოთ XIII—XVII საუკუნეები. ამ ხუთი საუკუნის მანძილზე რამდენი ყმაგლეხი დაიხსნიდა თავს? ასეულობით! ადვილი დასაშვებია ამ 500 წლის მანძილზე 2-3 ათასმა გლეხმა და მეტმაც დაიხსნა თავი კერძო მებატონეთა ყმობისგან. ამის შედეგად საუკუნეების მანძილზე, 500 წლის განმავლობაში, ხომ უნდა მომრავლებულიყო ეს თავდახსნილ-თავისუფალი გლეხები და თავისი ბუნებრივი ნამრავლით XVIII საუკუნისათვის რიცხობრივად ხომ მნიშვნელოვანი სიდიდის თავისუფალ გლეხთა კატეგორია უნდა ყოფილიყო? — 4-5 ათასი კომლი მაინც. მაგრამ XVIII-ის დასაწყისისათვის მსგავსი არაფერი გვაქვს. რა მოუვიდათ მათ? რამ გააქრო სულ ერთიანად? საუკუნეების მანძილზე ამ თავდახსნილ გლეხთა თავისუფალმა შთამომავლებმა XVIII საუკუნისათვის რამდენმა მოაღწია? 4-5 და გნებავთ თუნდაც 2-3 ათასი კომლი თავდახსნილი გლეხი ცოტა როდია. მაგრამ საკითხავია, სად ჩანს ასეთი კატეგორია სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოში XVIII ს-ის დასაწყისისათვის, ანდა, გნებავთ, ამ საუკუნის ბოლოს? არსად! რამ ჩაყლაპა ისინი? ყოველივე ამას მკვლევარი-ისტორიკოსი უნდა დაუკვირდეს. საუკუნეების მანძილზე მთელი ეს კერძო მებატონეთა ყმობისგან თავდახსნილი გლეხები ისევ ბატონყმობამ შთანთქა: ისინი ან კვლავ კერძო მებატონეთა ყმობაში, ან ეკლესიის, ანდა სახელმწიფო ყმაგლეხთა კატეგორიაში მოექცნენ. ბატონყმობის სიმტკიცის, ქვეყანაში ფეოდალთა შინაკლასობრივი ბრძოლისა და თარეშის, *მიწაზე ფეოდალთა კლასის მონოპოლიური საკუთრების პირობებში*, ყმობიდან თავდახსნილი გლეხი თავისუფლად დიდხანს ვერ ძლებდა და კვლავ მისთვის შედარებით სასურველი ფეოდალის „მფარველობაში", ყმობაში, შედიოდა, ან ხიზნად ჯდებოდა. დიდი უმრავლესობა თავდახსნილი გლეხებისა მეფის და ეკლესიის მფარველობა-ყმობაში შედიოდა. ერთეულები, ჩანს, ქალაქშიც მიდიოდნენ და ზოგი მათგანი იქ ახერხებდა დარჩენას, მაგრამ ასეთი ერთეული გლეხებიც, რომლებიც აქაც უმთავრესად სახელმწიფო ყმებად აღირიცხებოდნენ, ამიერიდან ქალაქის მრეწველობა-ვაჭრობის სფეროს განეკუთვნებოდნენ და არა ფეოდალური სოფლის აგრარულ წესწყობილებას.

ზუსტად ასეთივე პროცესია საქართველოში XVIII საუკუნეშიც — აქა-იქ ყმობიდან თავდახსნა და ადრე თუ გვიან კვლავ ყმობაში მოქცევა. თავდახსნილი ყმაგლეხები ან კერძო მებატონეთა, ან ეკლესიის, ან სახელმწიფო უწყების ყმობაში შედიოდნენ, ან ხიზნებად ჯდებოდნენ. არადა ქვეყნის ახალი აღწერის შედეგად, რაც გარკვეულ პერიოდებში ხდებოდა, უფლებრივად სახელმწიფო ყმაგლეხებად აღირიცხებოდნენ. ეს ასე ხდებოდა, ვიდრე გვიანფეოდალური ხანა არ დადგა, ე. ი. ვიდრე ფეოდალიზმის რღვევა არ დაიწყო (XIX საუკუნე).

ქართული ბატონყმური სამართალი, ჩვენი დაკვირვებით, ჩანს, რომ ყმაგლეხის თავდახსნა-განთავისუფლებას უშვებდა მხოლოდ კერძო მებატონე-ფეოდალისგან (ასევე ეკლესიისგან), რომელიც სახელმწიფო ყმად აღირიცხებოდა თუ ვინმეს იგი არ ეყმებოდა. სახელმწიფო ყმობიდან გლეხის თავდახსნა-განთავისუფლებას კი სამართალი არ უშვებდა.

შემთხვევითი არ არის, რომ ფეოდალურ-ბატონყმურ ხანაში საქართველოში მეფის ანუ სამეფო (სახელმწიფო) ყმობიდან გლეხის თავდახსნა-განთავისუფლების არც ერთი ფაქტი არ გვაქვს. რატომ? ეს იმიტომ, რომ ფეოდალურ ქვეყანაში ვერ წარმოუდგენიათ უფლებრივად საერთოდ სრულიად თავისუფალი გლეხი-მწარმოებელი, რომელიც უფლებრივად სახელმწიფო ყმაც რომ არ ყოფილიყო. სხვა ამბავია სახელმწიფო ყმაგლეხის ნაწილობრივ ან სრული გააზატება: რაც სახელმწიფო გადასახადებისაგან ნაწილობრივ ან სრულ განთავისუფლებას ნიშნავდა, უფლებრივად კი ასეთი აზატი კვლავ სახელმწიფო ყმაგლეხად რჩებოდა.

სპორადულად აქა-იქ გაჩენილ თავდახსნილ გლეხს კვლავ ნთქავდა ბატონყმობა, რადგან ასეთი ერთეული გლეხები თავისუფლებას ვერ ინარჩუნებდნენ, ამასთან *ფეოდალურ-ბატონყმური სამართალი კანონით, რაც მთავარია, არ უშვებდა გლეხთა ბურჟუაზიულ საკუთრებას მიწაზე*. მაშასადამე, ბოლოს და ბოლოს, რომც დავუშვა ყმობიდან თავდახსნილ-თავისუფალ გლეხთა უაღრესად მცირერიცხოვანი ჯგუფის თუ კატეგორიის არსებობა, რომელიც ყოველწლიურად დიდი-დიდი, საშუალოდ, 10 კაცისაგან თუ შედგებოდა, სულერთია, მას, მაინც არავითარი ბურჟუაზიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთრება მიწაზე არ გაჩნდა, XVIII ს-ის ქართულ სოფელში ბურჟუაზიული (კაპიტალისტური) ურთიერთობის ჩანასახები რომ გვემტკიცებინა. ამასთან მოცემულ ხანაში, ქვეყანაში, არც არსებობდა სათანადო სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები პირადად თავისუფალ მესაკუთრე გლეხთა კატეგორიის არსებობისა და მისი ზრდის პერსპექტივებისთვის. რაც მთავარია არც სინამდვილეში არსებობდა ქვეყანაში თავისუფალ მესაკუთრე გლეხთა კატეგორია და გლეხთა ბურჟუაზიული საკუთრება მიწაზე ქართულ ფეოდალურ-ბატონყმურ სოფელში XVIII საუკუნეში.

**3. ერეკლე II-ის 1765 წლის კანონის შესახებ.** იმისათვის, რომ დაამტკიცოს პირადად თავისუფალ გლეხთა კატეგორიის არსებობა და მისი ზრდის პერსპექტივები XVIII ს-ის II ნახევარში, ი. ანთელავამ ყურადღება გადაიტანა აგრეთვე ერეკლე II-ის 1765 წლის კანონზე — ტყვეობიდან დაბრუნებულ გლეხთა ყმობიდან განთავისუფლების შესახებ, მაგრამ მან სათანადოდ ვერ ახსნა აღნიშნული კანონის არსი და დანიშნულება.

პირადად თავისუფალ მესაკუთრე გლეხთა კატეგორიის არსებობას არ უშვებდა XVIII ს-ის ფეოდალურ საქართველოში არც ერეკლე II-ის მიერ გამოცემული 1765 წლის კანონი და ამ კანონით თავისუფალ გლეხთა კატეგორია მაინც ვერ იქმნებოდა. აღნიშნული კანონის არსი არსებითად სწორად არის გაგებული ქართულ ისტორიოგრაფიაში (ნ. ბერძენიშვილი, ს. კაკაბაძე, შ. მესხია).

ჯერ ერთი, როგორც აღინიშნა, რაც მთავარია, თავდახსნილი გლეხი ვერ ინარჩუნებდა თავისუფლებას. მეორეც, ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხი ერეკლეს 1765 წლის კანონით საერთოდ უფლებრივად პირადად თავისუფალი მაინც არ არის. 1765 წლის კანონში ნათქვამია: „ჩვენ — მეფე ერეკლეს, საქართველოს კათალიკოსსა, ეპისკოპოსთა და დარბაისელთა — ეს პირობა დაგვიდვია ღმრთის ფიცითა, რომ: რომელი ტყვე მოვიდეს, ძველს პატრონს ჴელი აღარ აქვს, თავის უფალია, ვისაც უნდა, იმას ეყმობა“[74]. ამ კანონით ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხი თავისუფლდება თავისი მებატონისაგან, უფლება აქვს ვისაც უნდა ეყმოს, სახელდობრ, სხვა ვინმე კერძო მებატონეს, ეკლესიას ან სახელმწიფოს. მას უფლება აქვს სამი ფეოდალური უწყებიდან აირჩიოს ერთ-ერთი, ან ხიზნად მიუვიდეს რომელიმე უწყებას. თუ იგი არ აირჩევს რომელიმე მათგანს, მაშინ იგი, დროის გარკვეულ პერიოდში, მართალია, პირადად თავისუფალი გლეხი იქნება, მაგრამ ქვეყნის ახალი აღწერისას, იგი (ან მისი შთამომავალი) სახელმწიფო (სამეფო) უწყების ყმაგლეხად აღირიცხება. მაშასადამე, საბოლოოდ იგი ყმობიდან მაინც ვერ გამოდის. სწორედ ამიტომ არის აღნიშნული კანონში: ასეთი გლეხი „ვისაც უნდა იმას ეყმობა“-ო. სახელმწიფოს მესვეურებს (პირველყოვლისა, ერეკლე II-ს) მიაჩნიათ, რომ აღნიშნული კანონით ტყვეობიდან თავისი გარჯით დაბრუნებული გლეხი თავისი ბატონის ყმობისაგან თავისუფლდება, მაგრამ ადრე თუ გვიან იგი ვინმეს ყმა გახდება. ამიტომაა ნათქვამი „ვისაც უნდა იმას ეყმობა“-ო, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონში ნათქვამი იქნებოდა: ტყვეობიდან თავისი გარჯით დაბრუნებული გლეხი „თავისუფალია, გინდ ეყმობა ვინმეს, გინდ არა“-ო. მაგრამ ქვეყნის მესვეურებმა საუკუნეებრივი ტრადიციითა და გამოცდილებით

74 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, № 409. ი. დოლიძის გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად იციან, რომ თავდახსნით თუ სხვა რიგად განთავისუფლებული გლეხი, განსაკუთრებით მისი შემდეგი თაობა (შვილი, შვილიშვილი...) თავისუფლებას დიდხანს ვერ ინარჩუნებს ფეოდალთა კლასის მიერ მიწის მონოპოლიური საკუთრების გამო, ამიტომ, ადრე თუ გვიან, სულერთია, ვინმეს „მფარველობაში", ყმობაში, აღმოჩნდება, არადა ადრე თუ გვიან ქვეყნის აღწერისას სახელმწიფო ყმად აღირიცხება. როგორც თავდახსნილ, ისე ტყვეობიდან დაბრუნებულ გლეხთა დიდი უმრავლესობა შედარებით უკეთეს მფლობელ-მებატონე — სახელმწიფო და საეკლესიო გლეხთა უწყებაში ეწერებოდნენ.

ამასთან უნდა აღინიშნოს შემდეგი. ერეკლე II-ის 1765 წ. კანონი ეხებოდა კერძო საბატონო (უმთავრესად) და საეკლესიო ყმებს, სახელმწიფო ყმაგლეხებს კი — არა. სახელმწიფო გლეხიც ხომ შეიძლებოდა ტყვედ ჩავარდნილიყო, დაბრუნების შემთხვევაში კი, ცხადია, ერეკლე II-ის აზრით, იგი უ ფ ლ ე ბ რ ი ვ ა დ სახელმწიფო ყმობისგან საერთოდ როდი თავისუფლდებოდა. ერეკლე II-ს არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ასეთი რამ რომ დაეშვა, მაშინ, ყმობისგან უფლებრივად საერთოდ განთავისუფლების მიზნით ყმაგლეხთა განგებ გადაკარგვის, „ტყვედ ყოფნის" სიმულაცია მასობრივად გავრცელდებოდა მთელ ქართლ-კახეთში, როგორც საბატონო და საეკლესიო, ისე სახელმწიფო გლეხებში, რადგან გლეხებმა კარგად იცოდნენ, რომ ყმობიდან გლეხის უფლებრივ განთავისუფლებას მოჰყვებოდა პირადი, ყმური, დამოკიდებულებიდან გამომდინარე გადასახადებისაგან განთავისუფლება, ე. ი. მებატონე-ფეოდალთა, მათ შორის მეფის გარეეკონომიური იძულების უფლების მოსპობა ტყვეყოფილ სახელმწიფო ყმაგლეხებზე. ასეთ საქმეზე კი ფეოდალური სახელმწიფო ნებით არ წავიდოდა. ამიტომ, ცხადია, 1765 წ. კანონი უმთავრესად ეხებოდა კერძო საბატონო გლეხს და ტყვეობიდან დაბრუნებული ძველი კერძო მებატონისაგან თავისუფლდებოდა (ცხადია, თუ ეს მას სურდა) და ვისაც უნდა ეყმებოდა. თუ არ ეყმობოდა ვინმეს, მაშინ ასეთი გლეხი უფლებრივად სახელმწიფო ყმად აღირიცხებოდა.

ასევე, მეფემ და ეკლესიის მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ ტყვეობიდან დაბრუნებული სამეფო და საეკლესიო გლეხი კერძო მებატონე ფეოდალს ყმად არ მიუვიდოდა და უფლებრივად კვლავ სახელმწიფო და საეკლესიო ყმაგლეხად დარჩებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ტყვეობიდან დაბრუნებულ სახელმწიფო და საეკლესიო გლეხს შესაბამისი უწყება გადასახადებისაგან გაათარხნებდა.

ერეკლეს ამ ღონისძიების, 1765 წ. კანონის, არსებითი დანიშნულება სულ სხვა იყო. სახელდობრ, იგი ნაკარნახევი იყო დასუსტებული ქვეყნის გაძლიერების ინტერესებით, მოსახლეობისაგან კატასტროფულად დაცლილი ქვეყნის მოშენების მიზნით; ერეკლე II ამ კანონით მკაცრად აფრთხილებდა ქართველ მებატონე-ფეოდალებს, კარგად მოპყრობოდნენ მწარმოებელ მოსახლეობას, თავიანთ ყმაგლეხებს — „ბატონყმური რიგი" არ დაერღვიათ და ზედმეტი ექსპლუატაცია არ გაეწიათ მათთვის, სათანადო პატრონობა-მფარველობა გაეწიათ და დაეცვათ ისინი აბრაგების თავდასხმა-ტაციობისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ტყვედ ჩავარდნილი გლეხი თავისი გარჯით რომ დაბრუნებულიყო, მისი ყოფილი მებატონე მისი მფლობელი ვეღარ იქნებოდა, იგი მას დაკარგავდა. ცხადია, როგორც აღინიშნა, კანონის დანიშნულება იყო მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის მოშენება და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, გლეხობის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმთავრესად საბატონო გლეხთა უფლებრივ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი დაცვა მებატონეთა თავგასულობისაგან.

ამასთან აღსანიშნავია შემდეგიც. ისეთი სერიოზული საკითხის გადაჭრისას, როგორიცაა ფეოდალურ-ბატონყმურ სოფელში თავისუფალ მესაკუთრე გლეხთა კატეგორიის და ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩანასახების გაჩენა, ვფიქრობთ, არასწორი ჩანს საამისოდ ისეთი ბარბაროსული საგარეო ფაქტორის შემოტანა, როგორიცაა მთიელი აბრაგების მიერ გლეხის მოტაცება, დიდი ამბის შემდეგ მისი ტყვეობიდან დაბრუნება და „თავისუფალ გლეხთა კატეგორიაში“ მოხვედრა. რა გამოდის? თურმე „თავისუფალ გლეხთა კატეგორიის“ ზრდის პერსპექტივები დამოკიდებული ყოფილა აგრეთვე „ლეკიანობის“ გაფართოებაზე, — გლეხების ტყვედ ჩავარდნასა და იქიდან „თავდახსნა“-გამოქცევის გახშირებაზე.

აღინიშნა, რომ XVIII ს-ის საქართველოს მოსახლეობის აღწერებში თავისუფალ-მესაკუთრე გლეხთა კატეგორია არსად ჩანს, რადგან სინამდვილეში არც არსებობდა. კერძო მებატონეთაგან თავდახსნილი გლეხები ქვეყნის ახალი პერიოდული აღწერით სახელმწიფო ყმაგლეხებად აღირიცხებოდნენ.

ამა თუ იმ წელს ქვეყანაში იყვნენ უაღრესად მცირე ყმობისაგან თავდახსნილი ერთეული გლეხები, რომელთა თავისუფლება დროებითი იყო, უკეთეს შემთხვევაში ქვეყნის ახალ აღწერამდე. ასეთი თავდახსნილი გლეხები აქა-იქ იშვიათად ჩნდებოდნენ და მალე ქრებოდნენ. და როგორც აღინიშნა, რაც მთავარია, ამ ერთეულ თავდახსნილ გლეხებს არ გააჩნდათ არავითარი ბურჟუაზიული საკუთრება მიწაზე და ამდენად არავითარი ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩანასახები არ გაჩენილა საქართველოს ს ო ფ ე ლ შ ი XVIII ს-ის II ნახევარში.

პირადად თავისუფალი მიწის მესაკუთრე გლეხთა კატეგორია საქართველოში შეიქმნა მხოლოდ XIX ს-ის I ნახევარში.

და, მართლაც, სულ სხვა ვითარება გვაქვს XIX ს-ის I ნახევარში, როცა საქართველოში ხდება ფეოდალიზმის, მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ ყოველმხრივი, საყოველთაო რღვევა, სახელდობრ, სახეზეა ფეოდალიზმის რღვევის ორივე მხარე, — სათავადო-სენიორიის სისტემის მოშლა, ერთი მხრივ, და საბატონო მეურნეობის რღვევა, მეორე მხრივ, წინა ხანასთან შედარებით ყმაგლეხთა „თავდახსნა“-განთავისუფლების ფაქტების დიდი სიმრავლე და „თავყმობის“ ფაქტების იშვიათობა, ამასთან, ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარება — უცხოელ დამპყრობთა და მთიელ აბრაგთა თავდასხმა-თარეშობის აღკვეთა, ქვეყნის ტერიტორიული გაერთიანება, ამის შედეგად XVIII საუკუნესთან შედარებით საქალაქო ცხოვრების დიდად განვითარება და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური დაწინაურება, სათანადო პირობების შექმნა ყმობიდან თავდახსნილ გლეხთა თავისუფლების შესანარჩუნებლად და თავისუფალ მესაკუთრე გლეხთა კატეგორიის არსებობისათვის.

სახელდობრ, ყმობიდან თავდახსნის შედეგად მიწის მესაკუთრე და პირადად თავისუფალ გლეხთა კატეგორიის შექმნას XIX ს-ის I ნახევარში რუსეთსა და საქართველოში დიდად შეუწყო ხელი 1803 წლის კანონმა — „თავისუფალ მხვნელ-მთესველთა შესახებ“. ეს კანონი, რომელიც რუსეთში გამოიცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოზე გავრცელდა 1824 წლიდან, ამ წლის 22 თებერვლის კანონის სახით.

ამ კანონის სპეციფიკურობა და დიდი მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ ვინც კერძო მებატონეთა ყმობიდან უმიწოდ თავს დაიხსნიდა, იგი სახელმწიფო გლეხთა უწყებაში (კატეგორიაში) გადადიოდა, ხოლო ვინც ყმობიდან თავს დაიხსნიდა მიწიანად, ის, კანონით, „თავისუფალ მხვნელ-მთესველ გლეხთა კატეგორიაში“ ჩაირიცხებოდა, ანუ პირადად თავისუფალ და მესაკუთრე გლეხად იქცეოდა[75]. ეს უკანასკნელი იყო სწორედ თავისუფალ გლეხთა კატეგორიის წარმომადგენელი. სწორედ ასეთი „თავისუფალ მხვნელ-მთესველ გლეხთა“ ანუ პირადად თავისუფალ და მიწის მესაკუთრე გლეხთა კატეგორიის გაჩენით იქმნებოდა ფეოდალურ სოფელში ბურჟუაზიული საკუთრება მიწაზე და ამდენად ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩანასახებიც. ამით ფეოდალიზმის რღვევის ერთ-ერთ არსებით მხარეს ჰქონდა ადგილი — საბატონო მეურნეობის რღვევას, რადგან საბატონო მეურნეობის სფეროდან გამოდიოდა როგორც მიწა, ისე მწარმოებელი — ყმაგლეხი. აღნიშნული კანონით სარგებლობდნენ ყმობიდან მიწიანად თავდახსნილი ქართველი გლეხები.

ამასთან, XIX ს-ის I ნახევარში ადგილი აქვს აგრეთვე ფეოდალიზმის რღვევის მეორე მხარეს — სათავადო-სენიორული სისტემის დაცემასა და რღვევას: ვასალი აზნაურების განთავისუფლებას სენიორ-თავადთა უფლებრივი დამოკიდებულებისაგან, თავადების მემკვიდრეობითი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ხელისუფლების პრეროგატივებისა და ასევე, სხვადასხვა სახის ფეოდალური იმუნიტეტის გაუქმებას და ა. შ., — საბოლოოდ ქართულ სათავადოთა სისტემის მოსპობას.

ფეოდალიზმის თანდათანობითი რღვევის პროცესის აღნიშნულმა ორივე მხარემ XIX ს-ის I ნახევარში (ბატონყმურ ხანაში) წარმოშვა ახალი, ბურჟუაზიული, ურთიერთობის ჩანასახები, როგორც ქალაქად, ასევე, რაც მთავარია, სოფლად, რამაც საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი — XIX ს-ის I ნახევარი, უფრო სწორად, XIX ს-ის ბატონყმური ხანა (1800—1864 წწ.) — გვიანფეოდალურ ხანად აქცია, ანუ ისეთ ხანად, როდესაც ფეოდალური ურთიერთობა ირღვევა და ბურჟუაზიული ურთიერთობა ისახება არა მარტო ქალაქად, მრეწველობაში, არამედ ფეოდალური ქვეყნის ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ უჯრედშიც — სოფელში. თუმცა, როგორც ცნობილია, გვიანფეოდალურ ხანაშიც, მიუხედავად ფეოდალიზმის თანდათანობითი რღვევისა, გაბატონებულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციად კვლავ ფეოდალური ურთიერთობა რჩება, და ეს გარემოება ასევე იყო საქართველოშიც — ბატონყმობის გაუქმებამდე (1864—1870 წწ.).

ასე რომ, XIX ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში, საერთოდ, და კერძოდ, ქართული სოფლის საადგილმამულო წესწყობილებაში, პრინციპულად აშკარა განსხვავებული ვითარება გვაქვს მთელ XVIII საუკუნესთან შედარებით.

---

[75] დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში (საადგილმამულო ურთიერთობა) — 1800—1864 წწ., თბ., 1971, გვ. 173.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მაგრამ XVIII ს-ის საქართველოს სოფლის ძველი, ჩვეულებრივი, სოციალური სურათი, ცხადია, იმას როდი ნიშნავს, რომ საქართველო განწირული იყო თავადურ-ბატონყმური წყობილების მარადიული სტაგნაციისათვის. აქ ჩვენ მხოლოდ დასმული საკითხის ირგვლივ XVIII ს-ის საქართველოს სოფლის ფაქტიური სურათი წარმოვსახეთ როგორც სინამდვილეში იყო. ისე კი, ცხადია, ბატონყმობის რღვევის პროცესი საქართველოში ადრე თუ გვიან დაიწყებოდა. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს პროცესი მაინც დაიწყებოდა XIX საუკუნეში, პოლიტიკურად როგორი საქართველოც არ უნდა გვქონოდა — დამოუკიდებელი თუ არადამოუკიდებელი, პოლიტიკურ-ტერიტორიულად გაერთიანებული თუ სამეფო-სამთავროებად კვლავ დაშლილი. უკიდურეს შემთხვევაში XIX-ის ბოლო ხანებში საქართველოში ბატონყმობა მსოფლიო კაპიტალიზმის გარემოცვის ანდა გლეხთა კლასობრივი ბრძოლის შედეგად მაინც მოისპობოდა ან გაუქმდებოდა.

რუსეთთან შეერთების დიდი პროგრესულობა ის იყო, რომ მან დააჩქარა ამ პროცესის დაწყება, სათავადო-სენიორალური და ბატონყმური წყობილების რღვევა და მოსპობა საქართველოში. ამავე დროს, რუსეთთან შეერთებამ პარალელურად გამოიწვია სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს ტერიტორიული გაერთიანება, თუმცა ეს ეპოქალური პროგრესი ქვეყნის ისტორიაში პოლიტიკურად უფლებააყრილი საქართველოს ვითარებაში მოხდა.

ბატონყმობის რღვევა საქართველოში ადრე თუ გვიან რომ დაიწყებოდა საამისო სიმპტომები უკვე XVIII ს-ის II ნახევარში ჩანდა: ერეკლე II-ის ცდები საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის დანერგვისა, კაპიტალისტური წარმოების ჩ ა ნ ა ს ა ხ ე ბ ი ს გ ა ჩ ე ნ ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა შ ი, სწავლა-განათლების მოწესრიგებისა და გაფართოების საკითხი, სახელმწიფოებრივი წყობილების მმართველობის გარდაქმნის პროექტის შედგენა, ერეკლე II-ის დიდი მისწრაფება „ქვეყნის ევროპულად გარდაქმნისაკენ" და სხვ. მართალია, ქვეყნის მესვეურებს სოციალური, ბატონყმობის საკითხი, მაშინ არ დაუსვამთ და მათი ღონისძიებანი ამდენად მყარ ნიადაგზე არ იდგა, მაგრამ ადრე თუ გვიან XIX საუკუნეში პოლიტიკური საქართველოს შენარჩუნების შემთხვევაში ქვეყნის მესვეურები ევროპული წესწყობილების გავლენით სოციალურ საკითხზე (ბატონყმობის საკითხზე) დაფიქრდებოდნენ და ბოლოს და ბოლოს ეს დრომოჭმული ვასალურ-სენიორალური სათავადოთა სისტემა და ბატონყმობა ახალი საწარმოო ძალების გაჩენისა და ზრდის შედეგად ან ქვემოდან — გლეხთა კლასის აჯანყებით მოისპობოდა, ანდა ზემოდან — ქვეყნის მესვეურთა რეფორმებით გაუქმდებოდა და ქვეყანა საბოლოოდ პროგრესული განვითარების გზას დაადგებოდა.

ასე რომ საქართველო თავადურ-ბატონყმური წყობილების მარადიული სტაგნაციისათვის განწირული როდი იყო. ეს მხოლოდ დროის საკითხი იყო, მაქსიმუმ ერთი საუკუნის. და ეს დრო — XIX საუკუნე და ევროპული კაპიტალიზმი კარზე მომდგარი იყო. ასე რომ XIX საუკუნე, ამ საუკუნის ბოლო ხანები მაინც, საქართველოს სოციალურ საკითხს ბოლოს და ბოლოს პროგრესის სასარგებლოდ გადაწყვეტდა და თავადურ-ბატონყმური წყობილების საკითხს ისტორიული სარბიელიდან მოხსნიდა. XVIII ს-ის ქართულ ს ო ფ ე ლ შ ი კი ჯერ საა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისო ძვრები არ ჩანდა და მას არსებითად ისეთივე ჩვეულებრივი ფეოდალურ-ბატონყმური სახე ჰქონდა როგორც XVII საუკუნეში.

რაც შეეხება დამოუკიდებელ პოლიტიკურ საქართველოს (სამეფო-სამთავროებს), ძნელი წარმოსადგენია როგორი სახე ექნებოდა მას XIX საუკუნეში, ძნელია თქმა, როგორ წარიმართებოდა მისი საგარეო ვითარება, მისი პოლიტიკური განვითარების ბედი.

* * *

ამრიგად **1**. XVIII ს-ის ქართულ ფეოდალურ-ბატონყმურ სოფელში, წინა ხანასთან შედარებით, არავითარი თვისობრივი (არსებითი) სოციალურ-ეკონომიკური ცვლილება არ არის. მიწის „ნასყიდი“ ინსტიტუტის ბუნება (არსი) ჩვეულებრივი ფეოდალური ხასიათისაა და წარმოების ფეოდალურ წესს ემსახურება. მიწების ყიდვა-გაყიდვა, როგორც ფეოდალთა, ისე გლეხთა მიერ, ასევე, ჩვეულებრივი ძველი ფეოდალური რიგისაა.

**2**. არავითარ გლეხობის „შეტევას“ ფეოდალთა მიწისმფლობელობაზე XVIII ს-ის II ნახევარში ადგილი არ ჰქონია. ამ მხრივ სურათი პირიქით იყო.

XVIII საუკუნეში გლეხთა მიწისმფლობელობის ფართობის სფერო საქართველოში არა თუ გაიზარდა, არამედ დიდად შემცირდა, უცხოელ დამპყრობთა ამაოხრებელი თავდასხმების, ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული ტყვის სყიდვის და ლეკიანობის შედეგად გლეხური მოსახლეობის კატასტროფული შემცირების, ასევე გლეხთა აყრა-გაქცევის შედეგად მწარმოებელი მოსახლეობისაგან ქვეყნის რიგი კუთხეების დაცარიელების გამო. ხოლო საგლეხო მიწისმფლობელობის ფართობის შემცირების ხარჯზე, სახელდობრ, გლეხური მოსახლეობისგან ქვეყნის დაცარიელებით გაჩენილი საგლეხო ბეითალმანი (უპატრონო) მიწების — უსყიდისა და ნასყიდის — გრანდიოზული ფართობების ფეოდალთა ხელში გადასვლის შედეგად, პარალელურად ძლიერ გაიზარდა ფეოდალური მიწისმფლობელობა, მისი მასშტაბი (ფართობი). ამიტომ, ცხადია, ფეოდალთა კლასის მონოპოლიური მიწისმფლობელობის არავითარ რღვევა-შერყევას მოცემულ ხანაში, მათ შორის XVIII ს-ის II ნახევარში, ადგილი არ ჰქონია. პირიქით, მთელ მოცემულ ხანაში ქართველ ფეოდალთა კლასის მონოპოლიური მფლობელობა მიწაზე ძლიერ გაიზარდა.

**3**. არავითარ ე. წ „მამულების დამრგვალებას“ ფეოდალთა მიერ საერთოდ და, კერძოდ, რაციონალურ (ახალი ტიპის) მეურნეობათა მოსაწყობად ადგილი არ ჰქონია, მომიჯნავე მიწის ნაკვეთების ყიდვა ახალი რამ სრულიადაც არ იყო და იგი ჩვეულებრივი მოვლენა იყო მთელ ფეოდალურ ხანაში. რაც შეეხება ფეოდალთა სურვილს კარგად მოეწყოთ საბატონო მეურნეობა და მეტი შემოსავალი მიეღოთ თავიანთი მამულებიდან, ასეთი სურვილი ფეოდალს ყოველთვის ჰქონდა.

**4**. ჩვეულებრივი რიგისა იყო ასევე XVIII ს-ის II ნახევარში ცალკეულ გლეხთა კერძო მებატონეთა ყმობისაგან განთავისუფლების ფაქტები. როგორც წინა საუკუნეებში, ახლაც, ჩვეულებრივი რიგის მოვლენა იყო გლეხთა ყმობიდან თავდახსნა და ისევ ყმობაში შესვლა, კვლავ „თავყმობა“.

თავდახსნილი გლეხი თავისუფლებას ვერ ინარჩუნებდა, იგი კვლავ „თავყმობაში“ შედიოდა, უფლებრივად კვლავ ხდებოდა საბატონო, საეკლესიო ან სახელმწიფო გლეხი. თუ კერძო მებატონისგან თავდახსნილი გლეხი სხვა მე-

ბატონეს ან ეკლესიას ან სამეფო უწყებას არ ეყმობოდა, მაშინ იგი სულერთია ქვეყნის ახალი აღწერისას უფლებრივად სახელმწიფო ყმად აღირიცხებოდა. სპორადულად აქა-იქ გაჩენილ კერძო მებატონეთა ყმობისაგან განთავისუფლებულ გლეხს კვლავ ნთქავდა ბატონყმობა — კერძო მებატონეები, ეკლესია, სახელმწიფო გლეხთა უწყება და პირადად, უფლებრივად, თავისუფალ გლეხთა კატეგორია ვერ იქმნებოდა. რაც მთავარია, არც კანონით და არც კანონგარეშე, — სინამდვილეში, არ არსებობდა გლეხის სრული, ბურჟუაზიული, საკუთრება მიწაზე. ყოველივე აღნიშნულის გამო, XVIII ს-ის ფეოდალურ-ბატონყმურ საქართველოში სოფლად ვერ წარმოიშვა ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩანასახები პირადად თავისუფალ გლეხთა კატეგორიისა და მიწაზე ბურჟუაზიული საკუთრების არარსებობის გამო. იმ დროის საქართველოს რეალურ სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გარდა, ბურჟუაზიული ურთიერთობის გაჩენას ქართულ სოფელში ძლიერ უშლიდა ხელს აგრეთვე მოცემული ხანის ქართული ფეოდალურ-ბატონყმური სამართალიც, რომელიც კანონით არ უშვებდა *ბურჟუაზიულ საკუთრებას მიწაზე*.

**5.** ეს მოვლენა საქართველოში XIX ს-ის პირველ ნახევარს ანუ საქართველოს ისტორიის გვიანფეოდალურ ხანას განეკუთვნება.

სახელდობრ, პირადად თავისუფალ გლეხთა კატეგორიის და მისი ბურჟუაზიული საკუთრების გაჩენა მიწაზე და ამდენად ბურჟუაზიული ურთიერთობის *ჩასახვა* ქართულ *სოფელში* მოხდა XIX ს-ის I ნახევარში, ანუ საქართველოს ისტორიის გვიანფეოდალურ ხანაში.

Д. А. ГОГОЛАДЗЕ

## К ВОПРОСУ О СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОМ ПОЛОЖЕНИИ ГРУЗИИ В XVIII ВЕКЕ

### (ДЕРЕВНЯ)

Резюме

В грузинской историографии существует мнение о наличии зачатков аграрного капитализма в грузинской феодальной деревне во второй половине XVIII века.

Обосновать эту концепцию в последнее время попытался проф. И. Г. Антелава в своих статьях в книге «К вопросу о характере социально-экономического развития Грузии в XVIII веке» (1977).

Он утверждает, что якобы в данный период происходили постепенное разложение и уменьшение монопольной собственности класса феодалов на землю вследствие «наступления» крестьян и параллельно рост крестьянской земельной собственности, возникновение категории освободившихся от крепостной зависимости лично свободных крестьян, появление так называемых «рациональных» (нового типа) барских хозяйств и т. д. Таким образом, имело место разложение феодальных и зарождение и развитие буржуазных отношений.

По нашему мнению, действительность была совершенно иной.

В настоящей статье опровергнута отмеченная концепция и на основе соответствующих документальных источников показана их ошибочность.

А именно:

1. В грузинской феодально-крепостнической деревне XVIII века, по сравнению с предыдущим периодом, никаких существенных социально-экономических сдвигов не наблюдалось. Купля-продажа земель, сущность института земельной «купли», как и в ранний период, носила обыкновенный феодальный характер и служила феодальному способу производства.

2. Никакие «наступления» крестьян на феодальную земельную собственность и, вследствие этого, сокращение сферы (площади) феодального землевладения и рост крестьянской земельной собственности во II половине XVIII века в Грузии не имели места. В этом отношении картина была противоположной. В XVIII веке в Грузии площадь крестьянского землевладения не только возросла, но намного сократилась ввиду сильного уменьшения крестьянского населения из-за разорительных нашествий врагов и бегства крепостных крестьян из родных мест в другие края. Выморочные крестьянские имения, — как надельные, так и купленные (собственные) земли, — переходили в собственность феодалов и присоединялись к барским землям. Вследствие этого во II половине XVIII века в Грузии феодальная монопольная собственность на землю еще сильнее возросла.

3. Никакие так называемые «округления имений» (это совершенно вымышленное понятие в целом) грузинскими феодалами с целью устроения «рациональных» (нового типа) помещичьих хозяйств не имели места и в действительности такие «рациональные хозяйства» в то время не существовали.

4. Во II половине XVIII века освобождение (выкуп) крестьян от крепостной зависимости происходило так же как и раньше. Выкупившиеся крестьяне свободу сохранять не могли и вновь попадали или входили «во крестьянство» (в крепостную зависимость). В данную эпоху категория лично свободных крестьян не возникала. Что самое главное, во II половине XVIII века в феодальной Грузии буржуазная собственность на землю, разумеется, даже в зачаточном виде, не существовала, и о начале разложения феодально-крепостнического строя и зарождения буржуазных отношений не могло быть и речи.

Эти явления имели место лишь в позднефеодальную эпоху, т. е. в первой половине XIX века.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილებამ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Г. Д. МОСУЛИШВИЛИ

# ЕЩЕ РАЗ ОБ АРХИТЕКТУРНОМ ОБРАЗЕ ЦРОМИ

**(Модульные закономерности построения композиции)**

Вопрос об архитектурном образе Цроми был уже однажды изучен известным исследователем грузинского зодчества Н. И. Северовым[1].

Проведенные за последнее время исследования позволяют сделать более полный анализ этого сооружения на основе выявленных в грузинском зодчестве модульных закономерностей построения композиции.

Цроми (второе двадцатилетие VII в.) является решительной и смелой попыткой удовлетворить новые требования эпохи в связи с ростом влияния христианской религии. Свидетельством этому может служить как резко увеличенная объемно-пространственная композиция, так и качественно по-новому решенная центрально-купольная крестовая планово-пространственная и конструктивная структура.

В отличие от всех предыдущих купольных памятников, где композиционно-конструктивное решение центрального подкупольного пространства определялось опиранием купола на оконечности стен абсид, здесь было принято принципиально новое решение возведения купола на четырех свободно стоящих опорах.

В основу объемно-планировочного построения Цроми положена традиционная крестовая композиция, причем одноконховая, основы которой отрабатывались, начиная еще с Зегани и затем в Малой церкви Джвари, Идлети, Шиомгвиме и т. д. Однако здесь мы видим также творческую преемственность отдельных форм и композиций от тетраконховых сооружений (Ниноцминда, Большая церковь Джвари).

Таким образом, несмотря на качественно новое композиционно-конструктивное решение, Цроми все же возник на основе логического продолжения уже имеющихся в Грузии традиций. Естественно, что в Цроми мы видим преемственность и методов построения этих форм и композиции, безусловно, с некоторой творческой интерпретацией, исходя из новых архитектурно-конструктивных задач.

В основу этих приемов, как показывают проведенные исследования[2], еще издревле была положена модульная система, где одним из модулей являлась тогдашняя мера длины — «шаг», а другим — величина ведущего композиционного элемента сооружения. Первый модуль был равен в метрической системе 0,96 м, второй — не имел установ-

[1] Н. И. Северов, Архитектурный образ Цроми, Ars Georgica, Разыскания Ин-та истории грузинского искусства АН ГССР, Тб., 1950, т. 3.

[2] Г. Д. Мосулишвили, Закономерности построения композиции в грузинском зодчестве (период раннесредневековья IV—VI вв), «Дзеглис мегобари», № 41, 1976 (на груз. яз.); его же, Модульная система в строительстве центрально-купольных сооружений Грузии, дисс. на соиск. учен. степени кандид. архит. (рукопись) Тб., 1965; его же, Модульная система в грузинском зодчестве (период VI и нач. VII вв), «Наука и техника», № 2, Тб. 1976.

ленной постоянной величины и поэтому для каждого сооружения принимался особо, исходя из намечаемой общей композиции. Первый модуль регламентировал строительно-конструктивные элементы (толщина стен, пилонов и т. д.), поэтому он нами условно назван строительным малым модулем и обозначен буквой «m». Второй, укрупненный модуль, регламентировал соразмерности форм и элементов друг другу и всей композиции в целом. Он назван композиционным модулем и обозначен буквой «M». Последним в грузинском зодчестве служил диаметр купола, вернее, его проекция на плане сооружения — подкупольный




Рис. 1

квадрат, который, находясь на земле, участвовал непосредственно в разбивке и построении сооружения. Оба модуля были органически связаны друг с другом.

На основе этой модульной системы и проводится анализ архитектурного образа Цроми. В ходе анализа будут выяснены основные структурные соразмерности — объективно существующие и обусловленные историческим ходом развития грузинского зодчества. Для более глубокого раскрытия методов построения композиции и максимального приближения к творческому мышлению зодчего при анализе будем следовать естественному ходу разбивки плана и возведения сооружения, расчленив их (условно, для наглядности) на определенные стадии.

На первой стадии (рис. 1) зодчий, выравнивая площадку для разбивки и строительства сооружения, вначале наносил оси здания — строго ориентированные по странам света. На них симметрично располагал исходный элемент сооружения — подкупольный квадрат, от величины которого зависели соразмерности всех остальных частей сооружения. Размер стороны квадрата был принят равным $M = 8\,m$ (7,84 м).

На второй стадии (рис. 2) зодчий вокруг подкупольного квадрата строит рукава креста, вначале — так называемый первичный крест (без алтарной абсиды и нартекса), рукава которого по ширине равны композиционному модулю $M$, а по глубине: $1/2\,M$ (3,85 м) — восточно-западные и несколько меньше — $1/2\,M - m$ (2,86 м) — северо-южные. Затем, согласно общей идее, восточный рукав завершался алтарной

абсидой, а западный прямоугольным рукавом, выше которого предусматривались хоры, пространство которых имело как бы значение «равноценного пространственного образования композиции»[3]. Но этот последний прием имел еще и другое, не менее важное значение. Дело в том, что «в грузинских церквах была утвердившаяся традиция, что купол должен быть в центре главной оси сооружения»[4].




Рис 2

Исходя из этого, зодчий глубину абсиды делает такой же, как и у первичного рукава, к которому она примыкает, т. е. равной 1/2 М (3,80 м), а ширину для устройства традиционных переходных бем делает несколько меньше. Точно такой же глубины и ширины — западный рукав, только он прямоугольной формы. Таким образом получилась традиционная крестовая композиция со строго симметричными рукавами.

На третьей стадии (рис. 3) зодчий определяет основной контур здания и делает разбивку подкупольных пилонов с подпружными арками. Контур основной части здания, как и в предыдущих одноконховых сооружениях (Малая церковь Джвари, Икалто) — прямоугольный. Для этого зодчий решает отступить от всех рукавов на толщину стен, равную малому строительному модулю m (1,08 м), а с восточной, по известным причинам, чуть больше — на 11/2 m (1,52 м), и описывает основной прямоугольник здания. Получалась типичная одноконховая планировочная композиция.

Затем зодчий завершает построение подкупольных пилонов, их взаимоувязку со стенами сооружения с помощью арок и здесь же намечает полуколонки во внутренних углах пилонов. Эти последние являются редко встречающимися элементами в интерьере грузинского зодчества. На первый взгляд незначительные, они в самом деле играют

[3] Г. Н. Чубинашвили, Цроми, М., 1969.

[4] В. В. Беридзе, Древнегрузинская архитектура (на груз. яз.), Тб., 1974, стр. 34.

значительную роль в формировании художественного образа внутреннего пространства и особенно подкупольного.

Г. Чубинашвили говорит: «В членении устоев полуколонка, отвечающая внешней арке, является главным носителем легкости в устремленности пространственного образования вверх»[5]. Именно эти внешние арки, сузившие первоначальный подкупольный квадрат и тем самым диаметр будущего купола, сыграли свою необычную роль в построении вертикальных объемов.




Рис 3

На последней четвертой стадии (рис. 4) зодчий полностью завершает построение плана. С обеих сторон алтарной абсиды располагаются вспомогательные помещения (с некоторым их выносом за общий контур здания), благодаря которым вся ширина здания с главного восточного фасада получилась равной 2 1/2 M (19,85 м). С запада, по бокам нартекса, строится дополнительный вход в здание и лестницы к хорам. Художественно обрабатывая восточный фасад, зодчий между абсидой и боковыми помещениями устраивает глубокие трапецеидальные ниши, которые, ликвидируя излишнюю толщину стен, приобретали также конструктивное значение.

После разбивки плана начиналось возведение сооружения. Методы построения вертикальных объемов, их соотношения были подчинены традиционной композиционно-конструктивной идее — созданию устремленной вверх ступенчатой композиции с крестовой основой. Причем здесь, как и во всех предыдущих сооружениях, композиционным стержнем являлось центральное подкупольное, квадратное пространство, увенчанное куполом на барабане.

Соотношения вертикальных объемов должны были вытекать из уже существующего плана, в котором были заложены основы построения как внутренних, так и наружных объемов. Это было логично, так как изображение вертикальных объемов должно, как полагает Д. Барбаро, соответствовать «росту родившегося в виде плана сооружения»,

[5] Г. Н. Чубинашвили, Цроми, стр. 43.

оно должно «отвечать плану, ибо вещь рождающаяся и вещь растущая, суть одно и то же»[6]. В то же время понятно, что «производить такие же построения в воздухе, как на выровненной площадке, крайне затруднительно и этого не могло быть»[7]. Этот факт еще раз подтверждает мысль о том, что построение композиции в прошлом должно было производиться с помощью модульных соотношений.




Рис. 4

Вначале зодчий, по сложившимся методам построения вертикальных объемов, должен был предопределить общие величины как внутренних, так и внешних объемов, увязанных с плановыми величинами. Но ввиду того, что Цроми в настоящее время не имеет купола, для нас затруднительно начинать анализ, исходя из общих соотношений. Поэтому вначале попытаемся произвести реконструкцию купола, а затем сделать анализ всего сооружения.

Реконструкцией купола Цроми, как известно, занимались Н. Северов, В. Цинцадзе и Л. Химшиашвили. О последних, к сожалению, нам мало известно. Поэтому здесь мы попытаемся проанализировать предположения Н. Северова, одновременно излагая и наши соображения.

В своей работе «Архитектурный образ Цроми» Н. Северов делает ряд общих значительных выводов о грузинском зодчестве. Во-первых, устанавливает существование в памятниках монументальной архитектуры Грузии определенных закономерностей, особенно при построении купола, который (он подтверждает мнение Г. Чубинашвили) «органи-

[6] Д. Барбаро, Комментарии к десяти книгам об архитектуре, М., 1938.
[7] Г. Н. Покровский, Архитектура и законы зрения, М., 1936.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

зует все массы сооружения»[8]. Во-вторых, он устанавливает взаимосвязь между соразмерностями купола и плановой величиной храма. Так, например, он приходит к выводу, что «купола, удельный вес которых в плане храма большой, имеют относительно меньшую высоту»[9]. Этот, на наш взгляд, очень важный вывод во многом поможет установить закономерности развития зодчества Грузии.

Исходя из этого положения и сравнительного анализа родственных памятников, у Н. Северова наружная высота купола Цроми (рис. 6) $H_1 = 0,8\ A = 0,8 \times 9,5 = 7,6$ м, где $H_1$ — видимая над крышами высота купола; А — ширина основания купола. Зная по обмерам высоту сооружения от цоколя до начала купола, он определял всю высоту сооружения $H = H_2 + H_1 = 10,4 + 7,6 = 18,0$ м. Таким образом, устанавливается высота купола и, соответственно ей, высота всего здания.

Метод подхода, безусловно, правильный, но не полный. Здесь использован только сравнительный анализ, дающий, на наш взгляд, приближенные значения. В этом нетрудно убедиться, если внимательно присмотреться к таблице сравнительного анализа, составленной Н. Северовым для установления высоты купола Цроми по отношению к его ширине, где с одинаковой уверенностью можно выбрать относительную величину купола в диапазоне от 0,7 до 0,8 А (т. е. погрешность здесь допускается в пределах 1,0 м). Как видно, степень приближения невысокая.

Для максимального приближения к действительности должны быть раскрыты также внутренние закономерности, складывающиеся в процессе развития грузинского зодчества и присущие самой идее центрально-купольной крестовой композиции. Эти закономерности возникли и развивались вместе с формированием этой идеи. Вместе с ней они достигли своей высшей зрелости в период расцвета грузинского раннесредневекового зодчества (в сооружениях типа Джвари) и превратились как бы в каноны, регулирующие построение композиции. Но эти каноны не были раз и навсегда определенными, застывшими. Они всегда находились в движении и совершенствовались вместе с развитием зодчества.

Закономерности вертикальных объемов на этом этапе развития, как выявили ранее проведенные исследования[10], сложились в виде трех канонов, заключавшихся в равенстве:

— всей внутренней высоты внутренней длине сооружения;
— внутренней высоты купола своему внутреннему диаметру;
— всей наружной высоты (без кровли) всей наружной ширине сооружения.

Как видно, соразмерялись не абстрактные, а органически связанные друг с другом, и, что главное, единовоспринимаемые величины плановой и вертикальной композиции.

Если исходить из этих канонов, то получается, что вся наружная высота сооружения (включая цоколь) должна быть равна всей ширине здания (с главной восточной стороны), т. е. $H + H_3 = B = 19,85$ м, а без цоколя $H = 18,95$ м (рис. 6, 8). В этом случае высота купольной части получается $H_1 = H - H_2 = 18,95 - 10,5 = 8,45$ м (где $H_2$ — известная в результате обмеров величина). Теперь, если эту величину

[8] Н. И. Северов, ук. работа, стр. 23.

[9] Там же, стр. 19.

[10] Г. Д. Мосулишвили, Закономерности построения композиции в грузинском зодчестве, стр. 51—60; его же, Модульная система в строительстве центрально-купольных сооружений в Грузии.

купольной части соотнести с его же наружной шириной, которая равна А = 9,5 м, то получим, что $H_1 = 0,89$ А, вместо 0,80 А, как это получилось у Н. Северова. Разница в абсолютных размерах составляет 0,85 м, а это довольно ощутимо в пропорциях (рис. 6, вариант Н. Северова, показан пунктиром).

Вывод подтверждается также не менее важной исторически сложившейся и наблюдаемой в последующем развитии грузинского зодчества (Ниноцминда, Джвари, Атени, Самцевриси) закономерностью построения наружных объемов, т. е. пропорциональностью купола и подкупольной части (рис. 8, пунктирная линия).

Но для окончательного убеждения в правильности наших выводов всего этого еще недостаточно. Следует посмотреть также, насколько наружные пропорции купола, полученные Н. Северовым и нами, соответствуют пропорциям внутренних объемов (этого, кстати, мы не могли найти у Н. Северова). Как было сказано выше, при построении внутренних объемов действовали две закономерности: равенство всей внутренней высоты всей внутренней длине сооружения, а также равенство высоты купола его диаметру. О последнем равенстве Г. Чубинашвили говорит: «Для определения высоты купола с барабаном уже в самых древних зданиях служит ее отношение к диаметру, в данном случае (Цроми — Г. М.) — высота купола, т. е. расстояние от вершины четырех арок в подкупольном квадрате до вершины купольного свода, равняется диаметру купола»[11].



Рис. 5



Рис. 6

Н. Северов при реконструкции внешнего вида купола, как отмечает Г. Чубинашвили, имел в виду именно эту закономерность. Но стоило ему построить одновременно с внешним видом (фасадом) и разрез здания, как он сам же убедился бы в неверности полученных результатов. В частности, как показывает чертеж (рис. 5, 6) пунктиром показана реконструкция внешнего вида купола по Н. Северову и внутреннего вида купола по Г. Чубинашвили), внутренняя и наружная высоты купола резко не соответствуют друг другу. Эта разница (С) в самом узком месте получается равной более 1 1/2 m, в то время, как по строительно-конструктивным соображениям эпохи она делалась не больше толщины стен сооружения, т. е. 1 m.

Учитывая общие тенденции и закономерности развития грузинско-

---

[11] Г. Н. Чубинашвили, Цроми, стр. 59.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

го зодчества, мы считаем, что высоту купола, равную его диаметру — Д, зодчий принимал не от подпружных арок (высота $h_1$), как на это указывал Г. Чубинашвили, а от верха больших тромп (высота $h_2$). Подтверждением этого вывода могут служить те обстоятельства, что при такой величине купола, во-первых, вся внутренняя высота получается равной всей внутренней длине (что соответствует первому канону) и, во-вторых, величина между купольным сводом и кровлей (при нашей реконструкции внешнего вида) оказывается равной конструктивно необходимой толщине. $C = 1$ m, т. е. получается органическое совмещение наружных и внутренних объемов. А это, как известно, — одна из характерных черт грузинского зодчества. Тем не менее, ставится вопрос: были ли такие пропорции купола закономерными для этой новой объемно-пространственной композиции? Вот здесь придется обратиться к сравнительному анализу родственных памятников.

Вспомним вышеприведенный важный вывод Н. Северова о том, что «купола, удельный вес которых в плане храма большой, имеют относительно меньшую высоту». Перефразируя его, можно сказать также, что купола с меньшим удельным весом имеют соответственно большую высоту. Тогда в Цроми, где удельный вес купола явно меньше (1 : 5), чем, скажем, в Джвари (1 : 3,5), высота должна была быть относительно больше.

Проверим это предположение сравнительным анализом родственных памятников, купола которых сохранились. Для этого рассмотрим закономерности развития купольной части (включая большие тромпы) относительно своего диаметра.

| Наименование памятника | Высота купольной части изнутри, ($H_1$) в м | Диаметр купола изнутри (Д) в м | $\frac{H_1}{Д}$ | $H_1$—Д (в больших модулях) |
|---|---|---|---|---|
| Джвари | 9,65 | 9,60 | 1 | 0,00 |
| Цроми | 9,00 | 7,34 | 1,21 | 0,22 |
| Самцевриси | 3,85 | 3,20 | 1,20 | 0,20 |
| Вачнадзиани | 7,25 | 6,20 | 1,19 | 0,17 |

Как видно, после Джвари происходит скачок в сторону увеличения относительной высоты купола. Это логично, если учесть, что скачок произошел также в общем решении объемно-пространственной композиции. В то же время видно наступление определенной стабильности в ее развитии.

Таким образом, после Джвари во всех памятниках высота купольной части больше, чем ее диаметр (кстати, это подтверждается и последующими памятниками переходного и зрелого периодов). В то же время интересно, что в Цроми и Самцеврнси это превышение (последняя колонка таблицы) составляет высоту их больших тромпов. Этот сравнительный анализ ясно указывает, что в Цроми высоту купола, равную диаметру, принимали от верха больших тромпов, а не от подпружных арок. Что касается Вачнадзиани, то там мы видим новые соразмерности купола, ставшие, как показывают анализы последующих памятников, традиционными.

Таким образом, эта многосторонняя сверка должна подтверждать правильность реконструкции купола по предложенному нами варианту.

Но здесь следует дать некоторые разъяснения по поводу использования в Цроми первого и второго канонов, которые были интерпре-

тированы, исходя из особенностей построения этого сооружения, о чем упоминалось выше.

Дело в том, что, в отличие от парусных переходов от подкупольного квадрата к куполу, при тромповых переходах, которые имеются в Цроми, любые вертикальные элементы, появившиеся внутри подкупольной призмы, находят свое отражение и в купольной части. Так, декоративные полуколонки и соответствующие им в купольной части так называемые внешние арки (выдвинутые своими плоскостями




Рис 7

вовнутрь подкупольного квадрата) образовали новую ширину (диаметр) купола, т. е. новый композиционный модуль (отличавшийся от исходного композиционного модуля на 1/2 m, т. е. меньше на 0,50 м). Следовательно, при построении вертикальных объемов, где купол уже сам непосредственно участвует в их формировании и «организует все массы сооружения», зодчий должен был считаться уже с фактическим диаметром купола (рис. 7), т. е. с новым композиционным модулем (обозначим его $M^1$)[12].

Исходя из этого фактического положения, при котором образовался второй композиционный модуль, регламентирующий вертикальные соотношения, зодчий Цроми, используя первый и второй каноны, должен был их соответственно интерпретировать. Так, намечая высоту

[12] Интересно, что в Самшвилдском Сиони, в наиболее родственном с Цроми памятнике, нет этих декоративных полуколонок и соответственно диаметр купола (как показывает реконструкция Нико Чубинашвили) равен исходному подкупольному квадрату.

купола равной своему диаметру (согласно второму канону), он должен был иметь в виду диаметр, равный $M^1$ (7,34 м). Подтверждением этого может служить как весь предыдущий анализ, где за высоту и диаметр купола принималась эта величина, так и тот факт, что при этом равенство всей внутренней высоты со всей внутренней длиной (согласно первому канону) тоже равно этой величине. Так, при всей внутренней длине 3 $M$ (23, 22 м) вся внутренняя высота тоже получается равной трем композиционным модулям, но уже 3 $M^1$ (22,02 м).




Рис 8

Таким образом, если считать, что установлена величина купола и, тем самым, общие внутренние и наружные величины сооружения, то нам осталось лишь проследить за построением зодчим основных составных частей всей вертикальной композиции.

Вначале он строит ее до первого основного членения — до начала подпружных арок (рис. 7). Эту величину зодчий легко мог определить, вычислив от всей внутренней высоты 3 $M^1$ (22,02 м) высоту купола, больших тромп и подпружных арок (до их центра), величины которых определялись еще при построении плана. Так, высота подпружных арок, ввиду их полуциркульности, должна была равняться половине подкупольного квадрата, т. е. 1/2 $M^1$ (3,67 м), высота больших тромп, в силу восьмигранности барабана купола, должна была равняться 1/4 $M^1$ (1,84 м) и, наконец, высота купола, как известно, намечалась равной $M^1$ (7,34 м). Исходя из этого, величина до начала подпружных арок получалась равной $3M^1 - (M^1 + 1/4\,M^1 + 1/2\,M^1) = 1^1/4\,M^1$ (9,17 м), как и есть в натуре.

Построив здание до этой высоты, зодчий затем возводит подпружные арки и завершает строительство подкупольной части изнутри. Од-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

новременно и в органическом единстве с ней возводятся наружные объемы, т. е. подкупольная часть с фронтонными завершениями.

После этого по известным величинам возводится купольная часть с тромповыми переходами. Вначале строятся большие тромпы высотой 1/4 $M^1$ (1,84 м), превратившие подкупольный квадрат в восьмигранник. Снаружи тромпам соответствует подкупольный квадрат (выше рукавов). Затем возводился барабан купола (с системой тромповых переходов от восьмигранника к кругу) и купольный свод над ним. Так как вся купольная часть намечалась (по второму канону) равной композиционному модулю $M^1$ (7,34 м) и купольный свод, ввиду его полуциркульности, должен был по высоте равняться 1/2 $M^1$ (3,67), то для барабана купола с системой переходов оставалось принять высоту тоже равной 1/2 $M^1$ (3,67 м). Построив эту часть, зодчий завершает ее купольным сводом. Наружная высота купола диктовалась уже не только внутренними величинами, но и вышеприведенными тремя канонами о равенстве всей наружной высоты сооружения всей наружной ширине, о соразмерности купольной и подкупольных частей друг другу и, наконец, об органическом совмещении внутренних и наружных объемов купола, выражающемся получением между купольным сводом и кровлей конструктивно необходимой толщины, равной строительному модулю. Учитывая эти закономерности, зодчий одновременно с внутренними объемами купола выводит наружные его формы, заканчивающиеся шатровой кровлей (рис. 8). Тем самым завершается построение всей композиции Цроми.

Таким образом, зодчий Цроми, исходя из сложившихся закономерностей и опираясь на принцип преемственности, развил методы построения композиции. Выявление и изучение последних дают возможность глубже вникнуть во внутренние взаимосвязи построения композиции, способствуют всестороннему изучению исторического наследия, а также более уверенному подходу к вопросам реконструкции памятников прошлого.

Представил академик
АН ГССР В. В. Беридзе.

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კავკასიის ხალხთა ისტორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქება თანამედროვე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში

უკანასკნელ წლებში ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია სულ უფრო ხშირად აქცევს ყურადღებას საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, დაღესტნის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, ოსეთის ხალხთა ისტორიულ წარსულს. ამასთან განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს იმ პერიოდების მიმართ, როდესაც იმპერიალიზმის ძალები აშკარად იბრძოდნენ თავიანთი ბატონობისათვის ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში[1].

ასეთი ყურადღება გამოწვეულია არა მარტო მეცნიერული, არამედ იდეოლოგიური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებით. დასავლეთის გარკვეულ წრეებში, რასაკვირველია, ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ კავკასია[2] სსრ კავშირის ნაწილია, და უშუალოდ ესაზღვრება ახლო აღმოსავლეთს, სადაც, როგორც ცნობილია, დღესაც დაძაბული საერთაშორისო ვითარებაა.

აღნიშნული წრეები, როგორც ჩანს, ისწრაფიან თავიანთი ინტერესების შესაბამისად გაიაზრონ კავკასიის წარსული ისტორიული მოვლენები. იმ დროის მოვლენები, როდესაც ახლო აღმოსავლეთი ასევე იყო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგობების საკვანძო ადგილი. ამიტომაც რიგი ბურჟუაზიული ისტორიკოსების თავიანთ პუბლიკაციებში ფართოდ ეხებიან კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხებს.

ამ პუბლიკაციათა დიდი უმრავლესობის შინაარსი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია აქტიურად გამოიყენება დღევანდელი აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური კონცეფციების დაფუძნებისა და ამა თუ იმ ისტორიული პრობლემის ტენდენციურად ახსნისათვის, რაც მიზნად ისახავს ისეთი დასკვნების მიღებას, რომლებიც ხელსაყრელია იმპერიალიზმის კონიუნქტურული ჩანაფიქრების რეალიზაციისათვის.

ამგვარ ნაშრომთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ავსტრიელი ისტორიკოსის ვოლფდიტერ ბილის ნაშრომი „ცენტრალური სახელმწიფოების კავკასიური პოლიტიკა", ტ. 1 (1914—1917), გამოცემული 1975 წ. ვენაში[3]. წიგნი გამოვიდა ავსტრიის უახლესი ისტორიის კომისიის გრიფით. იგი შედგება შესავლის, შვიდი თავისა და მოკლე დასკვნისაგან, წიგნს ერთვის ვრცელი ბიბლიოგრაფია.

ნაშრომის დასაწყისში და შემდეგ ცალკეული საკითხების განხილვისას ავტორი არაერთხელ მიუთითებს, რომ კავკასიის მიმართ ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკა არ ატარებდა დამოუკიდებელ ხასიათს და იგი ნაკარნახევი იყო კაიზერულ გერმანიასა და ოსმალეთის იმპერიასთან მოკავშირეობის ინტერესებით. ამით ავტორი თითქოსდა ცდილობს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის მმართველ წრეებს მოხსნას მოკავშირეთა დამპყრობლური პოლიტიკის პასუხისმგებლობა პირველი მსოფლიო ომის წლებში.

ავტორი თავის ნაშრომში მთავარ ყურადღებას ანიჭებს გერმანიისა და თურქეთის გეგმებს კავკასიის მიმართ და ბევრად უფრო მეტი გარკვეულობით მიუთითებს, რომ გერმანიის აქციები კავკასიაში პირველი მსოფლიო ომის წინ და ომის პერიოდში მისი აღმოსავლური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო და მჭიდროდ უკავშირდებოდა მისსავე იმპერიალისტურ მისწრაფებებს ახლო აღმოსავლეთში.

ნაშრომის პირველ თავში ვ. ბილი არკვევს კავკასიის თავისებურებათა მნიშვნელობას მოცემული რაიონის მიმართ ცენტრალური სახელმწიფოების პოლიტიკის ფორმირებაში. „კავკასიის მიმართ ცენტრალური სახელმწიფო-

---

[1] P. Kenez, Civil War in South Russia, 1918. The Firstyear of the Volunteer Army, Los Angeles University of California, 1971; Ronald Grigorsuny, The Baku communs 1917—1918 Class and nationality in the Russian revolution Princeton Newjersey, 1972; R. G. Hovanisian, The republik of Armenia. 1918—19, Berkerley, 1972; L. F. N. Bradly, Civil war in Russia 1917—20, London, 1975.

[2] ამ შემთხვევაში და შემდეგშიც ვგულისხმობთ როგორც ამიერკავკასიას, ისე ჩრდილოეთ კავკასიას.

[3] Wolfdieter Bihl, Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. Wien, 1975.

ების პოლიტიკის გასაგებად, — წერს ავტორი, — აუცილებელია გავაკეთოთ თუნდაც მცირე ექსკურსი ეთნიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, რელიგიურ და ადმინისტრაციულ სფეროში ორი მატერიკის — ევროპისა და აზიის — შესაყარზე მდებარე ამ თავისებურ ქვეყანაში, რომელიც ერთგვარ ხიდს წარმოადგენს ორ ზღვას — შავსა და კასპიის ზღვებს — შორის“[4].

კავკასიის ხალხების, ეროვნებებისა და ეთნიკური ჯგუფების ჩამოთვლისას ავტორი იძლევა კავკასიის გეოგრაფიულ აღწერას, მოაქვს ძირითადად რევოლუციამდელ მასალებზე დამყარებული სტატისტიკური და სხვა მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ მხარის მოსახლეობას, მის სტრუქტურას, ცხოვრების სამეურნეო წესს.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კავკასიის ხალხთა ენების თავისებურებათა ანალიზს. ვ. ბილი გამოყოფს კავკასიაში ყველაზე უფრო გავრცელებულ ენათა ხუთ ჯგუფს: იბერიულ-კავკასიურს, ინდო-ევროპულს, თურქულს, მონღოლურსა და სემიტურს. ნაჩვენებია ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობის პროცენტული თანაფარდობა.

ავტორი დიდი ყურადღებით იკვლევს, ერთი მხრივ, რუსი და სხვა სლავი ხალხების, აგრეთვე გერმანელებისა და ბალტიისპირეთიდან გამოსული ხალხების ფენათა ცვლილებების დინამიკას კავკასიის დემოგრაფიულ სიტუაციაში, მეორე მხრივ, კავკასიის ხალხთა შემადგენლობას მათი ამა თუ იმ რელიგიისადმი კუთვნილების თვალსაზრისით და ამის საფუძველზე მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ურთიერთობას. ნაშრომში ამ საკითხებისადმი დათმობილი ადგილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცხადი გახდება, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ავტორის მიზნებისათვის მათ გაშუქებას.

საბჭოთა და უცხოური წყაროებით სარგებლობისას ავტორი იძლევა მხარის ეკონომიკური განვითარების არაამომწურავ, მაგრამ საკმაოდ რეალურ სურათს, აფუძნებს დასკვნებს რაიონის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ და მისი როგორც პლაცდარმის მნიშვნელობას ახლო აღმოსავლეთში შესაღწევად.

ნაშრომის პირველი თავის ბოლო ნაწილი ეძღვნება კავკასიის მოკლე ისტორიულ მიმოხილვას შემდეგი თანმიმდევრობით: სომხეთი, საქართველო, ოსეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი, დაღესტანი და აზერბაიჯანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიმოხილვა წარმოადგენს არა კავკასიის ხალხთა ისტორიის კონსპექტურ დალაგებას, არამედ იმ სახელმწიფოების დაპყრობითი პოლიტიკის ეტაპების მოკლე აღწერას, რომლებიც უძველესი დროიდან ცდილობდნენ კავკასიის დაპყრობას ან მასზე კონტროლის დაწესებას. ბუნებრივია, საკითხის ასეთი მიდგომისას, გადამწყვეტ ფაქტორებად, რომლებიც განსაზღვრავდნენ კავკასიის ხალხთა ისტორიულ ბედს, გვევლინება რიგი აღმოსავლური დესპოტური სახელმწიფოების მმართველობის ნება-სურვილი. ასე მაგალითად, სომხეთის ისტორია განიხილება ირანის შაჰების ამა თუ იმ დინასტიის ინტერესების პოზიციიდან.

ამ ნაშრომის მიხედვით, კავკასიის ხალხები წარმოადგენდნენ უცხოელთა დაპყრობითი მისწრაფებების მხოლოდ მორჩილ ობიექტს. არც ერთი სიტყვა არაა ნათქვამი კავკასიის ხალხთა თვითმყოფადობაზე, ისტორიული განვითარების გზებზე, კულტურაზე, სახელმწიფოებრიობასა და იმ გმირულ ბრძოლებზე, რომლებსაც ისინი ყოველთვის აწარმოებდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ.

ცხადია, მცირე მოცულობის ამ ნაშრომში ძნელია ყოველმხრივ იქნეს გაშუქებული კავკასიის მრავალრიცხოვან ხალხთა ისტორიული წარსული. ავტორისადმი ასეთი მოთხოვნის წაყენება უსამართლობა იქნებოდა. მაგრამ ისტორიული ფაქტებისადმი ასე თავისუფალი მიდგომა, როგორც ამას ვ. ბილი ჩადის, ობიექტური ისტორიკოსისათვის მიუტევებელია. დასკვნა, რომლისკენაც მიყავს ავტორს მკითხველი, ასეთია: კავკასია მუდამ ნადავლი იყო მათთვის, ვისაც კი საამისო სურვილი ჰქონდა. თუ ეს ასე იყო, მაშინ — თანდათან აპარებს ავტორი მკითხველს, — რატომ არ უნდა ეცადათ ბედი პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიასა და თურქეთს? რატომ არ უნდა ჩაეგდოთ მათ ხელში კავკასია? მართალია, ამას ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ცარიზმი, — ვკითხულობთ ქვეტექსტში, — მაგრამ ეს უკანასკნელი ვერ მართავდა მხარეს წესიერად და თვით კავკასიელებიც ცუდად იყვნენ მის მიმართ განწყობილი. ამიტომ რუსეთის პოზიციები კავკასიაში, — მიდის ავტორი წინასწარ დაგეგმილ დასკვნამდე, — არ შეიძლება მტკიცედ მიგვეჩნია.

რათა მკითხველი დაარწმუნოს თავის სიმართლეში, ვ. ბილი განიხილავს რუსეთის ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის ისტორიას, დაწვრილებით იკვლევს მხარის მმართველობის სისტემას და ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპებს, დეტალურად ჩამოთვლის არა

[4]. W. Bihl, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო კავკასიის თითოეული გუბერნიის, არამედ ბევრი ოლქისა და უბნის თავისებურებებს.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კავკასიის ხალხების ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ გამოსვლებთან დაკავშირებული მოვლენების განხილვასა და კერძოდ, მთიელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის აღწერა ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი ძირითადად მსჯელობს მთიელთა მოძრაობისათვის დამახასიათებელ ნიშნებზე. ამასთანავე, აშკარად ჩანს ავტორის მისწრაფება — გამოავლინოს და წინა პლანზე წამოსწიოს ანტირუსული მოტივები ამ მოძრაობაში. აღნიშნული საკითხის გაშუქებისას ობიექტური მიდგომის უგულებელყოფა ეჭვმიუტანლად ადასტურებს, რომ სარეცენზიო გამოკვლევა აშკარად მიზანდასახულ ხასიათს ატარებს.

წიგნის მეორე თავს ავტორი უძღვნის კავკასიაში გერმანიის პოლიტიკის საკითხებს. ეს თემა ავალდებულებს მკვლევარს, გამოააშკარავოს აღნიშნული რაიონისადმი გერმანიის იმპერიალიზმის ინტერესების ჩასახვისა და განვითარების ნამდვილი მიზეზები. მაგრამ ავტორი ამას არ აკეთებს. კაიზერული გერმანიის ყბადაღებული აღმოსავლური პოლიტიკის ფრაგმენტების გადმოცემისას იგი ცდილობს იპოვოს კავშირები გერმანიის იმპერიის ხელმძღვანელებისა მუსულმანურ სამყაროსთან მეგობრულ ურთიერთობასა და კავკასიურ პოლიტიკას შორის. ვ. ბილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ კაიზერულ გერმანიას იმდენად აინტერესებდა კავკასია, რამდენადაც ეს ნაკარნახევი იყო მუსლიმანებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობით.

მეტი დამაჯერებლობისათვის ავტორს მოჰყავს მრავალრიცხოვანი დოკუმენტი, რომლებიც ადასტურებენ თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაშინდელ გერმანიაში მუსულმანთა მხარდაჭერას, როგორც კაიზერული იმპერიის მსოფლიო პოლიტიკაში მონაწილეობის გეგმების რეალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. ამავე დროს ავტორი არ უარყოფს, რომ გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის მესვეურთათვის პანისლამიზმზე დამყარებული გეგმები მოჩვენებითი იყო. ვ. ბილი იძულებულია აღიაროს ეს, რადგანაც ისტორიულად დამტკიცებულია, რომ „მუსულმანური სოლიდარობის“ მასშტაბები, რომლებზედაც გერმანელი იმპერიალისტები პირველი მსოფლიო ომის წინ ამყარებდნენ იმედებს, პანგერმანისტების გადაჭარბებული ცდების შედეგად მახინჯ ზომებამდე იყო გაზრდილი.

ავტორის ჩანაფიქრით, ამ საკითხებისადმი ყურადღების გამახვილება, კავკასიაში გერმანიის იმპერიალიზმის დაპყრობითი მიზნების ღრმა ანალიზის თავიდან აცილების მოხერხებული საშუალებაა.

საყურადღებოა ისიც, რომ ავტორი არბილებს კავკასიაში გერმანელი იმპერიალისტების ძირგამომთხრელი მოქმედების ფაქტებს პირველი მსოფლიო ომის წინ და ომის დროს. იგი თვლის, რომ ანტირუსული და სეპარატული მოძრაობისადმი ხელისშემწყობი მოქმედება კავკასიის ხალხებში (ეს მოქმედებები დაწვრილებით არის განხილული წიგნში „ვინ იცის, „რეცეპტები იქნებ ჩვენს დროშიც გამოდგეს“) თითქოს და ნაკარნახევი იყო მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ინტერესებით, რაც გულისხმობდა რუსეთის არმიის ზურგის დასუსტებასა და რუსეთის ომიდან გამოსვლის დაჩქარებას.

როგორც ცნობილია, კავკასიაში თავიანთი საიდუმლო ძირგამომთხრელი აქციების არსის შესანიღბავად გერმანელი იმპერიალისტები მათ უწოდებდნენ „რევოლუციონიზაციას“, რომლის შესახებაც მთელი სერიოზულობით ლაპარაკობდნენ სამხედრო და დიპლომატიურ წრეებში. გერმანიის გაბატონებული კლასების ინტერესების გამომხატველი პრესაც კი აშკარად, ყოველგვარი ბრჭყალების გარეშე ხმარობდა ამ ტერმინს. გერმანიის მონოპოლისტური კაპიტალისა და იუნკერობის, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ყველაზე რეაქციული ძალების ეს წარმომადგენლები, რომელთაც როგორც სიკვდილის, ისე ეშინოდათ ყოველგვარი, ოდნავ პროგრესული ნიავისაც კი საკუთარ სამშობლოში, გაჰყვიროდნენ შორეული კავკასიის „რევოლუციონიზაციაზე“.

ჯერ კიდევ მაშინ, დასცინოდა რა გერმანიის მმართველი წრეების ამ წამოწყებას, კარლ ლიბკნეხტი წერდა: „მოწინააღმდეგის ქვეყნებში თავისუფლებისაკენ მისწრაფებიდან ანგარების მიზნით სარგებლობის მიღების ცდებს არც ერთ ქვეყანაში არ ჰქონდა ისეთი გროტესკული ფორმები, როგორც გერმანიაში, სადაც ხელისუფალთ თავისუფლებაზე ისეთივე წარმოდგენა აქვთ, როგორც სახედარს მუსიკაზე“[5].

ვ. ბილი არაკრიტიკულად უდგება ამ ტერმინს და პირდაპირ გადმოაქვს თავის ნაშრომში. იგი მთელი სერიოზულობით მოგვითხრობს „რევოლუციონიზაციაზე“, მიუთითებს, თუ როგორ შეიქმნა 1916 წ. აპრილში „რუსეთის ინოროდცების ლიგა“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბალტიისპირელი ბარონი გერმანელი როპი. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტ-

[5] K. Liebknecht. Gesamelte Reden und Schriften. Bd. IX. Berlin. 1971, გვ. 531.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს მიერ დაფინანსებული ეს ლიგა მოწოდებული იყო, მისი შემქმნელების ჩანაფიქრით, მოეხდინა რუსეთის იმპერიის არარუს, მათ შორის კავკასიის ხალხთა „განმათავისუფლებელი“ მოძრაობის კოორდინირება.

წიგნის ამ ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გერმანიაში რევოლუციამდელი ქართველი ემიგრანტების მოღვაწეობის მასალებს. მათ კავშირს გერმანიის მმართველ წრეებთან, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის გეგმებს, რომელსაც ასე ელოლიავებოდნენ ბერლინში. აღსანიშნავია, რომ ეს გეგმები მთელი ამიერკავკასიის მიმართ გერმანელი იმპერიალისტების დამპყრობლური მისწრაფებების შენიღბვის მოხერხებული საშუალება იყო. მაგრამ ავტორი ამჯობინებს გვერდი აუაროს ასეთ „წვრილმანს“.

პირველი მსოფლიო ომის წლებში გერმანიის ტერიტორიაზე ხელისუფალთა ხელმძღვანელობით და მატერიალური მხარდაჭერით რუსეთის არმიის ქართული წარმოშობის ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცებისაგან შეკოწიწდა პატარა სამხედრო ნაწილი, რომელიც მისი შემქმნელების ჩანაფიქრით უნდა გამხდარიყო საქართველოში შეიარაღებული მოძრაობის ბირთვი.

ამ სამხედრო ნაწილის შექმნის დეტალებს, ტყვეების საცხოვრებელი ადგილების აღწერას, მათი გადაბირების მეთოდებს ეძღვნება წიგნის მესამე თავი. აღნიშნული სამხედრო ნაწილის პრაქტიკული გამოყენების სიძნელეების ანალიზს დათმობილი აქვს ამ თავის მთელი რიგი გვერდები.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და გენერალური შტაბი, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გერმანიის გავლენის გავრცელებას რუსეთის განაპირა რაიონების ხალხებში, მთავრობის თანხმობითა და ხელშეწყობით აწარმოებდნენ იმ დროისათვის საკმაოდ ფართო პროპაგანდისტულ საქმიანობას. ვ. ბილი ამ საკითხის განხილვისას აშუქებს ე. წ. „აღმოსავლეთისათვის ინფორმაციის სამსახურის“ საქმიანობას. ამ „სამსახურის“ ამოცანას შეადგენდა, ჯერ ერთი მოწინააღმდეგის ზურგში შექმნილი ვითარების შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვება და მეორე, პროპაგანდისტული მიზნებისათვის ამ ინფორმაციის დამუშავება და გამოყენება.

შეიძლება ითქვას, რომ ეს „სამსახური“ იყო იმპერიალიზმის ეპოქაში ფსიქოლოგიური ომის წარმოების ერთ-ერთი პირველი ორგანო და კავკასიის ხალხები იყვნენ ის პირველთაგანნი, რომელთა მიმართაც წარიმართა მისი ძირგამომთხრელი ძალები. ისტორიული ფაქტები და ასევე წიგნის ავტორის მიერ მოტანილი მასალაც ადასტურებს, რომ აღნიშნულ „სამსახურის“ საქმიანობას, შეიძლება ითქვას, საგრძნობი სარგებლობა არ მოუტანია მისი შემქმნელებისათვის. და თუ გავიხსენებთ იმ სავალალო ხვედრს, რომელიც ერგო გერმანიას პირველ მსოფლიო ომში, მაშინ არც კი ღირდა ასე დაწვრილებით ყურადღების გამახვილება მსგავსი საკითხისადმი მიძღვნილ გამოკვლევებზე. მაგრამ რადგან ამ საკითხებს შეეხნენ, ჩანს იგი ვილაცას დასჭირდა. მართლაც კაიზერული „აღმოსავლეთისათვის ინფორმაციების სამსახურის“ საქმიანობა ხომ ძალიან ეხმიანება იმპერიალიზმის თანამედროვე იდეოლოგიური ცენტრების სანუკვარ მიზნებს.

მეოთხე თავში ავტორი ეხება კავკასიის მიმართ საკუთრივ ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკის საკითხებს და მთლიანად უკავშირებს მას ჰაბსბურგთა და ოსმანთა იმპერიებს შორის სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა განმტკიცების ინტერესებს.

ავსტრია-უნგრეთი, — ავტორის აზრით, — გამოდიოდა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის მომხრედ და ბუნებრივაა, მხარს უჭერდა კავკასიაში თურქების პოლიტიკას, რომელიც თითქოსდა ნაკარნახევი იყო მისი ნაციონალური ინტერესებით.

თუ გავიხსენებთ იმ მწვავე წინააღმდეგობებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ბალკანეთში ამ ორ სახელმწიფოს შორის, მაშინ ნათელი ხდება როგორც მსგავსი ავტორისეული კონსტრუქციების, ისე თურქეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის სამოკავშირეო ურთიერთობის ჰარმონიულობაზე მსჯელობის ხელოვნურობა[6].

რაც შეეხება კავკასიის მიმართ ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკის არსს, ვ. ბილს იგი დაჰყავს მხოლოდ ტყვე კავკასიელებთან მუშაობამდე. ამასთან იგი არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტყვეების დამუშავების ყველა ღონისძიება, რაც მიზნად ისახავდა მათ შესვლას მოხალისეთა ნაციონალურ შენაერთებში, ტარდებოდა გერმანიის წარმომადგენლებთან კონტაქტში.

კავკასიის მიმართ თურქეთის პოლიტიკის განხილვისას ავტორი (თავის V) ცდილობს ამ პოლიტიკის ექსპანსიონისტური ხასიათი ახსნას ოსმალეთის იმპერიის შინაგანი განვითარების ზოგიერთი გარემოებით ან კიდევ ეთნიკური, სულიერი და პიროვნული ხა-

[6] იხ. История дипломатии, т. II, М., 1945, გვ 228, 185--199. 207; აგრეთვე, История Международных отношений и Внешней политики СССР (1870—1957), М., 1957, გვ. 48—53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიათის მოტივებით[7]. აი, ავტორისეული მსჯელობის სანიმუშო სქემა: „თურქეთში ბევრი კავკასიელი ცხოვრობდა, უმეტესად ჩერქეზები, რომელთა წარმომადგენლებს სულთნის კარზე პრივილეგირებული მდგომარეობა ეჭირათ. ისინი წარმართავდნენ თურქეთის მმართველი წრეების დამპყრობლურ პოლიტიკას კავკასიის მიმართ, რადგანაც სურდათ წინაპართა სამშობლოს დაბრუნება“.

ასეთივე სუბიექტური პოზიციებიდან განიხილავს ავტორი პანთურქისტული იდეების ჩასახვისა და განვითარების მიზეზებს. ვ. ბილის აზრით, პანთურქიზმის იდეოლოგია და პოლიტიკა თურქეთის მმართველ წრეებს გარედან მოახვიეს თავს არათურქული წარმოშობის პირებმა. ამის დასამტკიცებლად ავტორი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ თურქეთის ზოგიერთი მოღვაწე, ცნობილი პანთურქისტები, ეროვნებით იყვნენ ალბანელები, ჩერქეზები, და ა. შ.

როგორც ვ. ბილი წერს, ენვერ ფაშას — ახალგაზრდა თურქთა ტრიუმვირატის მეთაურის — მამა ბოსნიელი მუსულმანი იყო, დედა — ალბანელი, ბებია კი ჩერქეზი; თაალათ ფაშა — ტრიუმვირატის მეორე წევრი — ბულგარელი მუსულმანის შვილი იყო, ჯემალ ფაშის — ტრიუმვირატის მესამე წევრის — დედა ბერძენი იყო. დიდვეზირი სვიდ ფაშა არაბი იყო, ხოლო ფინანსთა მინისტრი ჯევად ბეი — გამუსულმანებული ებრაელი.

შემდეგ ავტორი ჩამოთვლის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებს, სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირებს, რომლებიც წარმოშობით ქართველები, ჩერქეზები და არაბები იყვნენ.

ვ. ბილის ასეთ შეხედულებათა უსაფუძვლობა იმდენად აშკარაა, რომ არც ღირს მათ უარსაყოფად საბუთების მოტანა. ცხადია, ასეთ მიდგომას არაფერი აქვს საერთო საკითხის მეცნიერულ კვლევასთან. მხოლოდ ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის ანალოგიურ მსჯელობაში შეიმჩნევა მისწრაფება პირველი მსოფლიო ომის წლებში კაიზერული გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მოკავშირის, ოსმალთა იმპერიის მმართველი წრეების ნაციონალიზმისა და ექსტრემიზმის გამართლებისაკენ.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სომხეთის საკითხთან დაკავშირებული მასალების გადმოცემას[8]. თავდაპირველად ავტორი სამართლიანად უჩვენებს, რომ ოსმანთა იმპერიაში სომეხთა გენოციდის პოლიტიკა დაკავშირებული იყო თურქთა დამპყრობლურ მისწრაფებებთან აღმოსავლეთში, და კერძოდ ამიერკავკასიაში. მაგრამ ამ პოლიტიკის ცალკეული მხარეების გაშუქებისას ავტორი კარგავს ობიექტურობას. „სომხები, — წერს ვ. ბილი, — შედარებით ნორმალურად ცხოვრობდნენ თურქეთში XIX ს-ის მეორე ნახევრამდე, შემდეგ კი მათი დევნა დაიწყეს ჩერქეზებმა და თურქებმა „ეროვნული შეუგუებლობის ნიადაგზეო“. ხოლო რაც შეეხება გაბატონებული კლასების როლს ნაციონალური შუღლის გაღვივებაში და სომეხთა თანდათანობით ჟლეტას ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის დონემდე იყო აყვანილი, ავტორი არაფერს ამბობს.

თურქეთში სომეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყისების განხილვისას ავტორი წერს, რომ ოსმანთა იმპერიისაგან დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერით, ქრისტიანი სლავების გამოყოფის ზეგავლენით სომხებში ჩაისახა კულტურულ-რელიგიური ხასიათის მოძრაობა, რომელმაც შემდეგ მიიღო პოლიტიკური ელფერი და გამოაღვიძა სომეხთა ეროვნული თვითშეგნება. „სომხებს ამ დროს — აღნიშნავს ავტორი, — გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ მათ ეროვნულ ოცნებებს მხარს დაუჭერდნენ დიდი სახელმწიფოები. მეორე მხრივ, იმის შიში, რომ იმპერიის გაყოფის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყვნენ სომხები, აიძულებდა თურქებს სომხების მიმართ ულმობლობა გამოეჩინათ“. იგი არა თუ აძლევს პრინციპულ შეფასებას იმ მხეცობას, რომლის მსხვერპლი გახდა სომეხი ხალხი პირველი მსოფლიო ომის დროს, არამედ საერთოდ გვერდს უვლის საკითხის დაყენებას იმ პასუხისმგებლობის განსაზღვრის შესახებ, რომელიც ეკისრებოდათ ოსმანთა იმპერიის გერმანელ და ავსტრია-უნგრელ მოკავშირეებს, სომეხთა მიმართ გენოციდური პოლიტიკის გატარებაში.

ორ უკანასკნელ თავში მოთხრობილია პირველი მსოფლიო ომის წინ და ომის დროს რუსეთის წინააღმდეგ თურქების ძირგამომთხრელი საქმიანობისა და კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედების შესახებ.

ამ საკითხების განხილვისას ობიექტურობის საზიანოდ ავტორი კვლავ აშკარა სიმპატიებს ავლენს თურქეთისადმი. უმნიშვნელო საბუთების მოშველიებით იგი თურქეთის აგენტურის საიდუმლო ხრიკების ჩაფუშვას კავკასიაში და აღმოსავლეთის ფრონტზე თურქეთის არმიების განადგურებას თვლის დროებითი ხასიათის წარუმატებლობად.

[7] W. Bihl, დასახლ. ნაშრომი გვ. 139–187.

[8] იქვე, გვ. 166–181.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნის ამ თავებში არ არის მოცემული კავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი, ასევე არ არის განხილული ცენტრალური სახელმწიფოების ნამდვილი მიზნები ამ მხარის მიმართ. ეს კიდევ ერთხელ არწმუნებს მკითხველს, რომ ავტორისათვის მთავარი იყო კავკასიის ხალხებში ანტირუსული განწყობილების, სეპარატიზმისა და ერთმანეთს შორის მტრული ურთიერთობისაკენ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების გამოკვლევა.

კავკასიის ხალხების მიმართ ამგვარი აქციების გამოყენების უვარგისობისა და უპერსპექტივობის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს პირველი მსოფლიო ომის წლებში გერმანელი იმპერიალისტებისა და მისი მოკავშირეების გეგმების ჩაფუშვა აღნიშნულ რეგიონში. ცოტად თუ ბევრად უფრო ობიექტური ავტორი უსათუოდ რეზიუმეში მაინც მიუთითებდა ამ ფაქტზე, როგორც წარსული გამოცდილებიდან ერთერთ შესაძლებელ დასკვნაზე, რომელსაც გარკვეული პრაქტიკული ღირებულება აქვს ფსიქოლოგიური ომის გაჩაღების თანამედროვე მოყვარულთა გამოსაფხიზლებლად.

უნდა ითქვას, რომ თავისი კვლევა-ძიების ამ სფეროში ვ. ბილი მარტო არ არის. ოთხი წლით ადრე დასავლეთ გერმანიაში მსგავსი ნაშრომი „სვასტიკასა და წითელ ვარსკვლავებს შორის“ (მეორე მსოფლიო ომის მასალების მიხედვით)[9] გამოსცა ა. ფონ ცურ მიულენმა.

წიგნის ავტორმა მიზნად დაისახა გამოეკვლია მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერული ფაშისტების გამოცდილება კავკასიისა და შუა აზიის ხალხებში ნაციონალისტური განწყობილების გაღვივებაში და ყოფილი სამხედრო ტყვეებისაგან, რომლებიც საბჭოთა კავშირის ამ რაიონებიდან იყვნენ გამოსული, სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბების საკითხი.

ავტორი არ ერიდება მიმართოს აშკარა სიცრუეს და ცილისწამებას საბჭოთა კავშირის ეროვნული პოლიტიკის მიმართ, რათა გაამართლოს ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცების იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური დამუშავების სამარცხვინო პრაქტიკა.

ავტორი სარგებლობს გერმანელთა მსახურების, ანტისაბჭოური ემიგრაციის წარმომადგენლების, სამშობლოს მოღალატეებისა და ყველა ჯურის ნაძირალების მიერ შეთითხნილი დოკუმენტებით და ცდილობს მოძებნოს საბჭოთა კავშირის შორის რაღაც გადაუჭრელი წინააღმდეგობანი. მათი რუსებისადმი „საყოველთაო არაკეთილი განწყობილების დასაბუთებანი“.

მიულენის წიგნის მრავალი გვერდი ეძღვნება ფაშისტთა დამქაშების ზოგიერთი ემიგრანტის სამარცხვინო მოღვაწეობას საბჭოთა სამხედრო ტყვების გადაბირებისა და ე. წ. „ეროვნული ლეგიონების“ ჩამოყალიბებაში.

ეროვნული უმცირესობებისადმი ფაშისტთა დაპირებების გარკვევისას ვ. ბილი ამტკიცებს, რომ ეს დაპირებები თითქოსდა მიმზიდველი იყო სსრ კავშირის მრავალრიცხოვანი ხალხებისათვის. აღნიშნული საკითხების განხილვისას მიულენი ამჟღავნებს არა მარტო ტენდენციურობას, არამედ აშკარა მტრობას ჩვენი ქვეყნისადმი. ამასთანავე ის ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს, ახდენს ფაქტების ფალსიფიცირებას. მივმართოთ რეალურ მოვლენებს, რომლებიც ნათელს მოჰფენენ იმ პერიოდის ნამდვილ სურათს.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველ წრეებში ემიგრანტები ამიერკავკასიიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან განიხილებოდნენ როგორც ანტისაბჭოური პოლიტიკის იარაღი.

მათთვის ადგილი აღმოჩნდა ფაშისტური გერმანიის მმართველთა გეგმებშიც ხელისუფლების სათავეში მოქცევისთანავე ჰიტლერელები იწყებენ კავშირის დამყარებას ემიგრაციის ყველაზე რეაქციულად განწყობილ ნაწილთან. ამ კონტაქტების საბოლოო მიზანი იყო საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მუშაობის გააქტიურება. თუმცა ამ მიზნის შესახებ მიულენი დუმილს არჩევს.

30-იანი წლების ბოლოს საზღვარგარეთ იქმნება ორგანიზაცია „კავკასია“, რომელმაც გააერთიანა ამიერკავკასიის და ჩრდილოეთ კავკასიის ემიგრანტები. ამ ორგანიზაციას მთიელთა რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გეიდარ ბატამი მეთაურობდა. ორგანიზაციის ძირგამომთხრელ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქართული ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების, პირველ რიგში ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ზოგიერთი წევრი.

„კავკასიას“ უხვად აფინანსებდნენ ფაშისტური გერმანიის სპეცსამსახურები. ორგანიზაცია სცემდა ექვს ყოველთვიურ ჟურნალს ფრანგულ, რუსულ, გერმანულ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

---

[9] P. von zur Mühlen Zwischen Hakenkreuz und Sowjetstern Der Nationalismus der sowietischen Orientvölker im Zweiten Weltkrieg Droste Verlag Düsseldorf, 1971

ეროვნული

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ფაშისტური სარდლობა, რომელიც გეგმავდა თავდასხმას სსრ კავშირზე სადაზვერვო-დივერსიული სკოლების ფართო ქსელის მუშაობას აძლიერებს. ამ სკოლების მსმენელებად იწვევდნენ სხვადასხვა ეროვნების ემიგრანტებს და მათ შორის კავკასიელებსაც. შემდეგში ამგვარი სკოლებიდან გამოსულმა ქართველმა ემიგრანტებმა შეადგინეს დივერსიული ორგანიზაციის „თამარ 1“-ის ბირთვი. ამ ჯგუფის საქმიანობას არავითარი წარმატება არ ჰქონია. მაგრამ ავტორის მიერ ეს ფაქტი საგანგებოდაა იგნორირებული.

როდესაც ფაშისტები ახორციელებდნენ ვერაგულ თავდასხმას სსრ კავშირზე, ისინი ელვისებურ გამარჯვებაზე ამყარებდნენ იმედს, მაგრამ ეს გეგმა როგორც ცნობილია, ჩაიფუშა. მოსკოვთან გამანადგურებელმა დამარცხებამ და საბჭოთა ხალხისა და მისი წითელი არმიის მზარდმა გმირულმა წინააღმდეგობამ აიძულა ფაშისტები 1942 წლიდან სასწრაფოდ ეძებნათ საბჭოთა ზურგის დასუსტების გზები. სწორედ ამ ხანებში ფაშისტებმა გააქტიურეს პროპაგანდისტული მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ადამიანებში ნაციონალისტური ტენდენციების აგზნებას. ამ მიზნებისათვის ისინი იყენებდნენ სხვადასხვა ჯურის გარეწრებს და სამშობლოს მოღალატეებს, რომელთაც თანამედროვე ავტორი მიულენი პოლიტიკურ მოღვაწეებად ასაღებს.

თავიანთი გეგმების ცენტრალურ და მეტად მნიშვნელოვან ამოცანად ნაცისტი გერმანელები, როგორც ცნობილია, თვლიდნენ სსრ კავშირისათვის ეროვნული რესპუბლიკების ჩამოცილებას და „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოების შექმნას. კერძოდ, ფაშისტურ პროპაგანდისტულ ორგანოებს უნდა ეხელმძღვანელათ იმით, რომ კავკასიაში ომის მოგების შემდეგ შეიქმნებოდა „დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი ფედერაციების სახით“.

მაგრამ ლაპარაკი ფედერაციის შესახებ, ცხადია, მხოლოდ პროპაგანდისტული ხერხი იყო. სინამდვილეში ფაშისტები არც კი ფიქრობდნენ ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების დამოუკიდებლობაზე. მაგრამ ამ ფაქტის გამხელა მიულერს არ აინტერესებს. ამავე დროს ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ომის წინ რაუშნინგთან საუბარში, ავითარებდა რა თავის ბოდვურ იდეებს დაპყრობილი ხალხების ბედის მიმართ, ჰიტლერი ამბობდა, რომ დიდ გერმანიას დაემორჩილება „არათანასწორუფლებიან ხალხთა ბლოკი“, მათ შორის კავკასიაც. ეს ბლოკი უნდა წარმო[illegible] დეს „დამხმარე ხალხების თავისებურ კავშირს არმიის გარეშე, საკუთარი პოლიტიკისა და ეკონომიკის გარეშე“[10].

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არსებული ჰიტლერული სამინისტროს გეგმებში ნათლად იყო აღნიშნული, რომ კავკასიაში, ცენტრით თბილისში უნდა შექმნილიყო რაიხსკომისარიატი, მრავალრიცხოვანი მოსახლეობისათვის ურთიერთობის ენა უნდა გამხდარიყო გერმანული და მხარისათვის უნდა ეხელმძღვანელათ გერმანელ ხელისუფალთ. ამავე პერიოდს ეკუთვნის ფაშისტური სარდლობის გადაწყვეტილება ტყვეებისაგან ეროვნული შენაერთების ჩამოყალიბების შესახებ.

ანტისაბჭოურად განწყობილი ემიგრანტების დახმარებით ფაშისტებმა სცადეს განეხორციელებინათ ფართო გადაბირებითი მუშაობა ტყვე კავკასიელებს შორის.

საკონცენტრაციო ბანაკებში ნამყოფ გაწამებულ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს სიცოცხლის ფასად სთავაზობდნენ სამსახურს ე. წ. ეროვნულ ლეგიონებში. ტყვეთა ნაწილი, ფიზიკურად და მორალურად დასუსტებული, ვერ ხედავდა რა სხვა გზას გადასარჩენად, თანხმდებოდა ეროვნულ ლეგიონებში სამსახურს. უმეტესობა ასეთ სამსახურში ტყვეობიდან გაქცევისა და, როგორც ამას მრავალრიცხოვანი ფაქტები მოწმობენ, იატაკქვეშეთში ანტიფაშისტების მხარეზე, პარტიზანულ შენაერთებში, საერთოდ წინააღმდეგობის მოძრაობაში მონაწილეობის საშუალებას ხედავდნენ. რასაკვირველია, იყვნენ სულმდაბლებიც, ლაჩრებიც და აშკარა მოღალატეებიც, რომლებიც ფაშისტთა ხელქვეითნი და ლაქიები ხდებოდნენ. მაგრამ ასეთთა რიცხვი უმნიშვნელო იყო.

კავკასიელ ტყვეთა უდიდესი უმრავლესობა არ გაყვა ემიგრანტებს,. უარი განაცხადა სამშობლოს გაყიდვაზე. ხოლო მათმა უმრავლესობამ, ვინც დათანხმდა ეროვნულ შენაერთებში სამსახურს, მალე გაუცრუა იმედი გერმანელებს. ისინი მათდა სამწუხაროდ, რწმუნდებოდნენ „ეროვნული ლეგიონების“ აღმოსავლეთის ფრონტზე გაგზავნის ნაკლებ ეფექტურობაში; იძულებული იყვნენ ეს ლეგიონები შეენახათ ღრმა ზურგში. ბევრი ჯარისკაცი გარბოდა ამ ნაწილებიდან და ვაჟკაცურად იბრძოდა ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ პარტიზანთა რიგებში და წინააღმდეგობის მოძრაობაში იუგოსლავიაში, ალბანეთში, იტალიაში, საფრანგეთში ჰოლანდიაში, ბელგიაში, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში ნათელი ფურცელი ჩაწერეს ქართველმა „ლე-

---

[10] H. Rauschning, Gespräche mit Hitler, Wien-Zürich—New York, 1940, გვ. 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიონერებმა“, რომლებმაც 1945 წ. დასაწყისში ხელში ჩაიგდეს ჰოლანდიის კუნძული ტექსელი და წინააღმდეგობის მოძრაობის ადგილობრივ მონაწილეებთან ერთად დიდხანს იცავდნენ კუნძულს გერმანელ ფაშისტთა ჯარების რეგულარული ნაწილებისაგან.

ეს და სხვა მრავალფეროვანი ფაქტები მოწმობენ, რომ კავკასიის მოსახლეობაში ნაციონალიზმის გაღვივებისა და ანტირუსული განწყობილების შექმნის ცდები ჩაიფუშა. ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობამ, კომუნისტური პარტიის მიღწევებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის სულ რაღაც ორი ათეული წლის მანძილზე, გაუძლო მკაცრ გამოცდას. კავკასიის გმირული დაცვა, რომლის დროსაც მისი ხალხები ურყევად დადგნენ სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად, ამ ფაქტის ნათელი დადასტურებაა.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა სახელმწიფომ არა თუ გაუძლო ფაშისტი ურდოების შემოტევას, არამედ მთლიანად გაანადგურა ისინი, დაეხმარა ევროპის სხვა ხალხებს, მათ შორის თვით გერმანელ ხალხს.

ისტორიამ გერმანულ იმპერიალიზმს მორიგი მკაცრი განაჩენი გამოუტანა. ისტორია ზოგჯერ ჭკუის დამრიგებელიაა — ორი ჯარისკაციდან ერთი, ვინც რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აღმართა, კავკასიის შვილი იყო — იმ მხარის შვილი, რომლის ტერიტორიაზეც ფაშისტებს სურდათ შეექმნათ „დამხმარე ხალხების კავშირი არმიისა და საკუთარი პოლიტიკის გარეშე“.

ყოველივე ამის შესახებ ურიგო არ იქნება ახსოვდეთ სხვადასხვა ჯურის მოყვარულ მკვლევართ საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ურთიერთობის ისტორიის ტენდენციური კვლევისას.

**გიორგი ფიფია**

## ა. შავხელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან (თუშეთში XVI–XIX ს-ის I ნახევარში)

საქართველოს ცალკეულ მხარეთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას ჩვენში საკმაოდ კარგი ტრადიცია აქვს. ამ ტრადიციას XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი და დღესაც წარმატებით გრძელდება. როგორც ცნობილია, საგანგებო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომები ეძღვნა სამეგრელოს, რაჭას, ხევსურეთს, სვანეთს, აფხაზეთს, თუშეთს, და სხვა მხარეს. რა თქმა უნდა, წლების განმავლობაში ამა თუ იმ მხარის შესახებ დაგროვილი სხვადასხვა ხასიათის მონაცემების გაანალიზება და ახლებური ინტერპრეტაცია ყოველთვის საჭიროა. ყოველი ასეთი ნაშრომი საფუძველს ამზადებს საქართველოს ისტორიის უფრო გაღრმავებული და ვრცელი წარმოდგენისათვის.

სარეცენზიო ნაშრომი ერთ-ერთი უახლესი გამოკვლევაა ქვეყნის რეგიონალური შესწავლის საქმეში. ნაშრომში მრავალი პრობლემაა დაყენებული და შეძლებისდაგვარად გადაჭრილი. ავტორის ყველა დასკვნა თუ აზრი ნარატიული ძეგლების, საარქივო ცნობების, ისტორიული, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული თუ სხვა ხასიათის მასალას ემყარება.

სარეცენზიო ნაშრომი შესავლისა და ექვსი თავისაგან შედგება. შესავალ ნაწილში ვრცლად არის განხილული ის ლიტერატურული და წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რომელზედაც ეფუძნება ავტორის მსჯელობა. მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გამოკვლევა, გარდა სხვა სახის წყაროებისა, 1968—1971 წწ. მის მიერ შეკრებილ საველე-ეთნოგრაფიულ მასალასაც ითვალისწინებს.

უაღრესად საინტერესოა გამოკვლევის პირველი თავი. ავტორი მსჯელობს თუშების დასახლებაზე, განსახლებასა და იმ გზა-ბილიკებზე, რომლის საშუალებითაც ისინი პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიურ კავშირებს ამყარებენ მეზობლებთან. ავტორის განცხადებით, თუშები ქართული და არაქართული ეთნოსების შეხვედრის არეალში ცხოვრობდნენ, რაც თავისებურად აისახებოდა ამ კუთხის მცხოვრებთა ისტორიაშიც. საინტერესოდ გვეჩვენება დასკვნა, რომლის მიხედვითაც თუშები საუკუნეების მანძილზე გარდა მთათუშეთისა კახეთის ბარშიც ცხოვრობდნენ და უძველესი დროიდან იყენებდნენ პანკისის, ბახტრიონის, ალვანის და ლოპოტის მხარეებს. ავტორის აზრით, თუშეთს თანამედროვე გეოგრაფიული მდებარეობა ოდითგანვე უნდა ჰქონოდა და თუშეთის საზღვრებს დღემდე ცვლილება არ განუცდია (გვ. 20; 21).

ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გზა-ბილიკებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



რომლებითაც თუშეთი მეზობელ მხარეებს უკავშირდებოდა, და რომლებიც შესაშური მონდომებით არის დადგენილი ნაშრომში. ავტორი საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობს იმ საგნებზეც, რომლებიც ურთიერთგაცვლის საშუალებას წარმოადგენდა თუშებსა და მის მეზობლებს შორის.

ეხება რა თუშეთის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ავტორი სრულიად სამართლიანად მიიჩნევს, რომ მისთვის საინტერესო პერიოდში თუშეთი ძირითადად თემურ-გვაროვნულ წყობილებაში ცხოვრობდა. აქ გვარი ერთ ჭერქვეშ გაერთიანებულ ნათესაურ ჯგუფს წარმოადგენდა, რომელსაც პატრონიმული ორგანიზაციისა და სისხლით ნათესაობის პრინციპი ედო საფუძვლად. თუშეთის ყველა თემის სახნავ-სავარგულები, წერს იგი, თემების მიხედვით იყო განაწილებული. ავტორის სიტყვით თუშეთის სოციალ-ეკონომიკურ ყოფაში მკვეთრი ცვლილება მხოლოდ XIX ს-ის დასაწყისში შეინიშნება. იგი ამ მოვლენას საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ სინამდვილეში მომხდარ ცვლილებებს უკავშირებს. მკვლევრის აზრით მხოლოდ აღნიშნულ პერიოდში ხდება თუშეთის მიწათმოქმედებისა და მეურნეობის სხვა დამხმარე დარგების ნატურალურიდან სასაქონლო მეურნეობად გადაქცევა.

თუშების ჩეჩნეთ-ინგუშეთთან ურთიერთობაზე ლაპარაკისას ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგი კავკასიოლოგი ამ ორი ხალხის ურთიერთობაში მხოლოდ ანტაგონისტურ მოვლენებს ხედავდა. ცალმხრივად აშუქებდნენ რა მათი სიახლოვის დამახასიათებელ ელემენტებს, ეს ავტორები აყალბებდნენ ისტორიულ სინამდვილეს. თვითონ იგი კი, მართალია, გვერდს ვერ უვლის ამ ხალხთა შორის ხშირად არსებულ მტრულ ურთიერთობას, რასაც იგი განსხვავებული რელიგიური და ეკონომიკური მდგომარეობით ხსნის, მაგრამ აქვე, ცხადად უჩვენებს მათს კეთილმეზობლურ დამოკიდებულებასაც. იგი აღნიშნავს, რომ XIX ს-ის პირველ ნახევარში თუშები ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების ინიციატორებად გამოდიოდნენ (გვ. 100).

საჭირო წყაროების გაანალიზების ბაზაზე ავტორი ლაპარაკობს იმ როლზე, რომელსაც თუშები ასრულებდნენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში. იგი კიდევ ერთხელ ჩერდება იმ გზის მნიშვნელობაზე, რომელიც თუშეთზე გადიოდა და რუსეთსა და საქართველოს დამაკავშირებლად გამოიყენებოდა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ავტორი თუშთა ყოველ საქმიანობას საერთო საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარედ მიიჩნევს. მისი სიტყვით თუშები თავიანთი მშობლიური ქვეყნის ბედს ორგანულად უკავშირებდნენ საქართველოს ყველა კუთხისა და მხარის ბედს.

წიგნის V თავი — „თუშები საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში“ — გამოკვლევის ცენტრალური ნაწილია. მასში ფართოდ არის წარმოდგენილი თუშების როლი კახეთის ტახტისათვის ერეკლე I და შაჰნავაზს შორის წარმოებულ ბრძოლაში, 1759 წ. ანტითურქმანულ აჯანყებაში და სხვ. საყურადღებოდ გვეჩვენება აზრი, რომლის მიხედვითაც თუშები, სხვა ქართველ მთიელთაგან განსხვავებით, უაღრესად აქტიურ როლს ასრულებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუშთა ასეთი მდგომარეობა ავტორს მათი სამეურნეო საქმიანობის თავისებურებითა და ბარის რაიონებთან მჭიდრო კავშირით აქვს ახსნილი.

სამართლიანად გვეჩვენება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში თუშების განსაკუთრებული როლის ავტორისეული ახსნა. მისი აზრით, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს ბარის რაიონებთან შედარებით თუშეთს მტრის აგრესია ნაკლებად აზიანებდა. ეს კი, აღნიშნავს ავტორი, თუშეთის როლს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში თანდათან საგრძნობს ხდიდა.

წიგნის ბოლო თავი საკვლევი პერიოდის თუშეთის კულტურული განვითარების ისტორიას ეხება. ავტორი მიმოიხილავს მხარის წეს-ჩვეულებებს, ადგილობრივ მცხოვრებთა სწრაფვას განათლებისაკენ და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ სარეცენზიო ნაშრომში საერთოდ მთელ თუშეთზეა ლაპარაკი, დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ავტორის ინტერესი უპირველეს ყოვლისა წოვებზეა აქცენტირებული. როგორც მოსალოდნელი იყო, მკვლევრის წინაშე თუშთა და უპირველეს ყოვლისა წოვათა ეთნიკური კუთვნილების საკითხიც დადგა.

ცნობილია, რომ წოვების ეთნიკური ვინაობის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგიერთ მეცნიერს ისინი XVIII საუკუნეში ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან ჩამოსახლებულად მიაჩნია, ზოგს კი ხევსურეთიდან და ნაწილობრივ დიდოეთიდან გადმოსახლებულებად. ავტორი, სრულიად სამართლიანად, არც ერთ შეხედულებას არ იზიარებს. აანალიზებს რა სხვადასხვა ხასიათის მასალას (ლიტერატურული წყაროები, ტოპონიმიკა, ლექსიკური მონაცემები, მეურნეობის სახეები და სხვ.), იგი ასკვნის, რომ თუშები და მათ შორის წოვაც,

არა მარტო მისთვის საკვლევ პერიოდში (XVI—XIX ს-ის პირველ ნახევარში), არამედ ოდითგანვე აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის ბინადარნი არიან.

მაგრამ, ამ შემთხვევაში ავტორს გადასაჭრელი რჩება წოვათა ენის პრობლემა. ცნობილია, რომ ეს ენა სიახლოვეს ავლენს ჩეჩნურ-ვეინახურ ენებთან. თუ წოვები დანარჩენი თუშების მსგავსად იმთავითვე ქართველი ხალხის შემადგენლობაში შედიოდნენ, როგორც ეს ავტორს მიაჩნია, რატომ აქვთ მათ ქართულისასაგან განსხვავებული ენა? ამ პრობლემის გადაჭრისას, ჩვენი აზრით, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის მოვლენა, რომელიც ე. წ. „მთის ჩამოწოლით“ **არის ცნობილი.**

XVIII ს-ის დასასრულს მეტისმეტად დასუსტებული საქართველოს პოლიტიკური არსებობის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. იგი, რამდენიმე ძლიერი სახელმწიფოს ინტერესებში მოხვედრილი, პოლიტიკური კრიზისიდან თავს ვეღარ აღწევდა. ამავე დროს ჩრდილოეთ კავკასიაში მომხდარი დიდი პოლიტიკური მოვლენების შედეგად, აქაური მოსახლეობა თანდათან მთიან რაიონებში შემოდიოდა და დამკვიდრებას იწყებდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე. ზოგიერთ ადგილებში გადმოსახლებულთა ტალღა ისეთი მასიური იყო, რომ შესუსტებული ქართული მოსახლეობა უმცირესობაში აღმოჩნდა. ეს კი მხარის სრულ ან ნაწილობრივ დეეთნიზაციას იწვევდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ეს პროცესი მეტისმეტად ძლიერი იყო. ვფიქრობთ, ამ მოვლენას უნდა ჰქონოდა ადგილი თუშეთში, როცა მის ზოგიერთ მხარეში ჩრდილო-კავკასიური ეთნიკური ერთეულები ჩამოსხდნენ. მხარის უძველესი ქართული ტოპონიმები, მეურნეობის და განსახლეობის საერთო ქართული სახე, მოსახლეობის ანთროპოლოგიური მსგავსება ქართველებთან და სხვ. იმაზე მიუთითებს, რომ ამ ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ადგილობრივ ქართულ და ჩეჩნურ-ინგუშურ მოსახლეობათა შერევას. მართალია, ამ პროცესმა საგრძნობი გავლენა ვერ მოახდინა ქართულ ენაზე, მაგრამ მის პარალელურად მხარეში ჩამოსახლებულთა ენაც გავრცელდა. ამ ენის არსებობას დღემდე აპირობებს ჩეჩნეთ-ინგუშეთის სიახლოვე.

სარეცენზიო ნაშრომისადმი გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა თუ სურვილი, საინტერესოდ, თუმცა დაუსაბუთებლად გვეჩვენება ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, თითქოს თუშეთს თანამედროვე გეოგრაფიული მდებარეობა ოდითგანვე აქვს და მის საზღვრებს დღემდე ცვლილება არ განუცდია (გვ. 20—21). ჩვენი აზრით, რაც არ უნდა მყარი ყოფილიყო ამა თუ იმ მხარის საზღვრები, საუკუნეების განმავლობაში მათი უცვლელობა ძნელი წარმოსადგენია. საფიქრებელია, რომ თუშეთის საზღვრებიც, ისევე, როგორც სხვა მხარეების საზღვრები, საქართველოს პოლიტიკურ ვითარებასთან კავშირში, ცვლილებებს განიცდიდა. ამ საკითხზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქვეყნის და პირველ რიგში კი თუშეთის დემოგრაფიული მდგომარეობაც. საინტერესოა, რომ ავტორს თვითონ მოჰყავს ეთნიკური და ტერიტორიული საზღვრების ცვლილების ზოგიერთი მაგალითი (გვ. 22). ლაპარაკობს რა თუშებსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის კეთილმეზობლობაზე, ავტორს არაერთი მაგალითი მოჰყავს თუ როგორ გამოდიოდნენ თუშები ჩეჩნებისა და ინგუშების თავიანთ ან კახეთის ტერიტორიებზე ჩამოსახლების ინიციატორებად (გვ. 100). სამწუხაროდ, ავტორი არ ხსნის ამის მიზეზს. ჩვენი აზრით, ზოგიერთ სხვა მიზეზთა გვერდით, საჭირო იყო თუშთა ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ ჩეჩნეთ-ინგუშთა ამ საქმეში მონაწილეობის საკითხიც დასმულიყო.

საკამათოდ გვეჩვენება ნაშრომის მეოთხე თავის სათაური „თუშების როლი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში“. აღნიშნულ პერიოდში თუშეთი კახეთის ორგანულ ნაწილს შეადგენდა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საქმე მისი მოსახლეობისათვის ისეთივე ღვიძლი საქმე იყო, როგორც კახელებისათვის. ამას გარდა, ძნელია იმის განსაზღვრა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში შენიშნული ესა თუ ის პირი თუშია (ტომობრივი გაგებით) თუ არა. აღნიშნულისაგან გამომდინარე უფრო გამართლებული იქნებოდა გველაპარაკა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში შესრულებული არა თუშების, არამედ თუშეთის მცხოვრებთა როლზე.

საკამათოა ავტორის დამოკიდებულება თუშების კულტურისადმი. ცდილობს რა თუშების კულტურად მხოლოდ თუშეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა სულიერი და მატერიალური ფასეულობა მიიჩნიოს, ავტორი, თავისდაუნებურად ძალიან ავიწროვებს მას. ცნობილია, რომ თუშები არასდროს არ უპირისპირებდნენ თავიანთ თავს დანარჩენ ქართველ ხალხს და ქართული კულტურისა და ყოფის თავგამოდებული დამცველები იყვნენ. თუ აღნიშნულს მხედველობაში მივიღებთ, მაშინ საკითხავია, რატომ არ უნდა ჩაითვალოს თუშების კულტურად, დავუშვათ, კახეთის ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული ძეგლები ანდა საკვლევი პერიოდის ქართული ლიტერატურა და სხვ. თუშების კულტურა საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კულტურის ისეთივე შემდგენელი ნაწილია, როგორც ფშაველების, ხევსურების და სხვ. ცხადია, თუშებისათვისაც საერთო და მშობლიურია მთლიანი საქართველოს კულტურა.

აღნიშნული სრულიადაც ვერ ამცირებს სარეცენზიო ნაშრომის ღირსებას. ჩვენი აზრით, ა. შავხელიშვილის გამოკვლევა „ქართსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“ ერთ-ერთი საუკეთესო გამოკვლევაა აღნიშნული რეგიონის შესწავლის საქმეში. და ცხადია, იგი დიდ ინტერესს გამოიწვევს სპეციალისტებს შორის.

**ჯემალ სტეფნაძე**

## ფ. გოგიჩაიშვილი, ხელოსნობა საქართველოში, თბ., 1976

1976 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ფ. გოგიჩაიშვილის სადოქტორო ნაშრომი „ხელოსნობა საქართველოში“. წიგნი წარმოადგენს ავტორის მიერ 1901 წ. ქ. ტიუბინგენში გერმანულ ენაზე გამოცემული სადოქტორო ნაშრომის თარგმანს. ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი ხელოსნური წარმოება საქართველოში, განსაკუთრებით კი წარმოების პრიმიტიული ფორმები.

შრომა ეყრდნობა უმთავრესად ავტორის დაკვირვებებსა და იმ ანკეტურ მონაცემებს, რომლებიც მან მოიპოვა საქართველოდან (ქართლი, გურია-იმერეთი, სვანეთი, მთიანეთი და სხვ.) პეტრე უმიკაშვილისა და სხვა თანამემამულეთა დახმარებით. გათვალისწინებულია ის ლიტერატურაც, რაც მაშინ არსებობდა ხელოსნობის შესახებ.

წიგნის შესავალში ავტორი იძლევა ამ ნაშრომთა დასახელებას, მათ შორის მოიხსენიებს ხელოსნობისა და ამქრული ორგანიზაციების ცნობილი მკვლევრების ი. ახვერდოვის, კ. ხატისოვის, ა. ელიაზაროვის, ს. გულიშამბაროვის, ა. ჰაქსტჰაუზენისა და სხვ. შრომებს, არ ივიწყებს მოკლე მოხსენებებსა და ცნობებს ქართული ჟურნალ-გაზეთებიდანაც.

წიგნი იწყება ხელოსნური წარმოების მარტივი ფორმის — ოჯახური მრეწველობის განხილვით, ვინაიდან „ეს მრეწველობა, როგორც საკუთარი ხელოსნური ოჯახური წარმოება, არის ხელოსნური წარმოების პირველი და უძველესი ფორმა, — წერს ავტორი, — რომლიდანაც შემდეგ სხვა ფორმებიც განვითარდა“ (გვ. 47). წარმოების ეს ფორმა დამახასიათებელი იყო დიდი ოჯახისათვის ნატურალური მეურნეობის პირობებში როგორც საქართველოს ბარის, ასევე განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთისათვის (სვანეთი, ფშავი), სადაც ყოველი ოჯახი თვით იკმაყოფილებდა თავს. მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ და განსაკუთრებით რეფორმის შემდეგ იწყება მრეწველობის განვითარება საქართველოში, რაც იწვევს ოჯახური მრეწველობის დაშლას. ეს მოვლენა, ავტორის აზრით, მჭიდროდ არის დაკავშირებული თვით დიდი ოჯახების დაშლასთან. ნაშრომის ამ ნაწილში ფ. გოგიჩაიშვილი დაწვრილებით ახასიათებს ოჯახური მრეწველობის ნაწარმს და იძლევა მამაკაცთა და ქალთა შრომის დიფერენციაციას ამ ნაწარმის შექმნაში. ცალკეა წარმოდგენილი მამაკაცის და ცალკე ქალის საქმიანობა ოჯახურ მრეწველობაში. მაგ., განხილულია მამაკაცის საქმიანობა: ხით ხურობა, რომელშიც შედის, ერთი მხრივ, სამეურნეო ნაგებობის (ძელურისა და წნულის), სათავსების, საწყაოების, საქსოვი დაზგების, სასაპალნე ტრანსპორტის კეხების, ვარცლების და, მეორე მხრივ, სამეურნეო ნაკეთობის — კათხების, როდინების, კოვზების კეთება სახარატო ჩარხის საშუალებით; წნელისაგან ლასტების, საბუდრების, კალათების წვნა, ყავრის გახდა, მეთუნეობა (მეჭურჭლეობა, მექვევრეობა, აგურისა და კრამიტის წარმოება), კირის გამოწვა, ქვის, რქის (ყანწების) და ტყავის დამუშავება (გუდის, ტყაპუჭების კერვა), ტყავის ღვედების გრეხვა, ქალამნისა და დაირის დამზადება, კანაფის თოკების გრეხვა, ბადეების ქსოვა, სანთლის ჩამოქნა.

ქალთა საქმიანობაში განხილულია ბამბისა და აბრეშუმის მოყვანა, ნართის დამზადება, ქსოვილების (დარაია, ყანაოზი) ქსოვა, ჩხირითა და ყაისნაღით ქსოვა სარტყლების, სუფრების, აბრეშუმის არშიების, წინდების, სამუხლეების, ხელთათმნების, შალების, ფართო ზონრების, მაქმანების, ხონჯრების, ბადეების, ყაჭის ძაფის დამზადება და გამოყენება, შალის ქსოვილების წარმოება — ნართის დამუშავება; თივთიკი, ქეჩა, ხალიჩა-ფარდაგები, მაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამები, ხურჯინები, აბგები, ღებვა (მცენარეული საღებავის შემზადება), ჭილოფი და ჩალის ქუდები, საპნისა და უმარილის დამზადება, კოსმეტიკა (ვარდის წყალი, აბუსალათინის ზეთი, სახამებელი).

ოჯახური მრეწველობის ყველა ზემოაღნიშნული დარგის პროდუქტების წარმოების აღწერისას ავტორი იყენებს მდიდარ მასალას, იძლევა ხელოსნობის ხალხური წესების შესანიშნავ დახასიათებას.

ოჯახურ მრეწველობას მოსდევს ხელოსნობის ფორმების განხილვა. ავტორი ასახელებს ხელოსნობის იმ დარგების წარმომადგენლებს, რომელთაც საკუთარი სახელოსნო არ გააჩნიათ, დადიან კარდაკარ და მუშაობენ. მათ ავტორი ხელობაზე გასულებს უწოდებს და მათ რიცხვში მოიხსენიებს ხუროებს, ჰონებს, სარაჯებს, დანების მლესავებს, ქეჩის მთელავებს და სხვებს. ამ კატეგორიის ხელოსანთა გარდა ავტორი იცნობს შინამოხელეებს (წყლისა და თრიმლის წისქვილის, საცეხველის, ზეთსახდელის, თოფის კონდახების მკეთებელთ, ოქრომჭედლებს, მესპილენძეებს და სხვ.). საერთოდ, ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი განიხილავს ხელოსნობას თანამედროვე გაგებით — შეკვეთით მოხელეობას. ამდენად, აქ დახასიათებულია ხელობის თითქმის ყველა დარგის წარმომადგენლის საქმიანობა. დამკვეთი განსაზღვრავს ხელოსნური წარმოების გარკვეულ ფორმას. სახლის შენება გულისხმობს ხელობაზე გასვლას (მაგ., დურგალი მიდის ადგილზე და აშენებს სახლს), ხოლო ოქრომჭედლობა და მღებრობა — შინამოხელეობას. ამავე დროს ერთი და იგივე ხელობა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ხელობაზე გასვლა (მაგ., მჭედლობა, ნალბანდობა ან ხუროობა—სახლის მშენებლობა), ასევე როგორც შინამოხელეობა (მაგ., იგივე მჭედლობა ან ნალბანდობა ადგილზე, ან ხუროობა—ავეჯის მკეთებლობა). თუ როდის რა ფორმა გამოიყენება, ეს დამოკიდებულია, ავტორის აზრით: **1.** მომხმარებლის მეურნეობაზე; **2.** ნედლეულისა და პროდუქციის სახეობაზე; **3.** წარმოების ტექნიკასა და **4.** მწარმოებლის კაპიტალის სიდიდეზე (გვ. 122),

შემდეგ ქვეთავში ფ. გოგიჩაიშვილი განიხილავს საფასო მოხელეობას საქართველოში და ხელოსნობის იმდროინდელი დონის წარმოსაჩენად იყენებს ხელოსნობის განვითარების ცხრილს, რომელიც შედგენილია თბილისისა და ქუთაისის გუბერნატორების 1891 და 1893 წწ.. მოხსენებებში მოყვანილი მონაცემების საფუძველზე (გვ. 123). ხელოსნობის სახეები კლასიფიცირებულია გერმანიის ხელოსნობის სტატისტიკაში მიღებული დაყოფის მიხედვით, მაგ., **1.** ქვისა და თიხის დამუშავება; **2.** ლითონის; **3.** საფეიქრო; **4.** ქაღალდისა და ტყის; **5.** გემო-კვების მრეწველობა; **6.** იარაღებისა და აპარატების; **7.** ხისა და ჩუქურთმიანი ნაკეთობის წარმოება; **8.** სატყეო მეურნეობის თანანაწარმი; **9.** ტანსაცმლისა და ტუალეტის ნივთების დამზადება; **10.** სამშენებლო და **11.** პოლიგრაფიული და მხატვრული ხელოსნობა (გვ. 124—127). ხელობის თითოეული დარგი დაყოფილია ქვესახეებად, ასე მაგ., ქვისა და თიხის დამუშავება მოიცავს: **1.** ქვის გათლას; **2.** ძვირფასი ქვების დამუშავებას და **3.** მეთუნეობას.

ზემოაღნიშნული ცხრილის მონაცემებით ოსტატები შეადგენენ ხელოსნობაში მოსაქმეთა თითქმის ნახევარს. ნახევარზე მეტ ხელოსნურ სახელოსნოებში არ არიან ქარგლები. ეს ავტორს უფლებას აძლევს დაასკვნას, რომ ქარგლობა, როგორც ჩანს, წარმოადგენს მხოლოდ შუალედურ სტადიას ოსტატობაში გადასასვლელად, რასაც ადასტურებს ქარგლების მცირე პროცენტი ოსტატებთან და შეგირდებთან შედარებით (გვ. 128). „ეს იმიტომ“, — ხსნის ავტორი, — რომ „ქარგალი ან დებულებით ხელოსანთა ამქრების შესახებ არ შეიძლება ჯერ კიდევ დაშვებული იყოს ოსტატად, ან სხვა გარემოებამ შეუშალა ხელი გამხდარიყო დამოუკიდებელი“ (გვ. 128).

ნაშრომში მოტანილი ხელოსნობის შემაჯამებელი ცხრილიდან ირკვევა, რომ 90-იან წლებში საქართველოს ქალაქებში მუშაობდა ხელოსანთა 48 %, ხოლო სოფლად — 52 %; ოსტატთა, ქარგალთა და შეგირდთა საერთო შეფარდება იყო 47 %, 20 %, 33 %. მთელი ამ კონტინგენტის რაოდენობა კი შეადგენდა 27 695 კაცს (გვ. 127). მაშასადამე, დასძენს ავტორი, ქარგლების უფრო დიდი ნაწილი ქალაქშია, შეგირდების უმეტესობა, პირიქით, სოფლად (გვ. 128). შეგირდი, რომელიც წარმოშობით სოფლიდანაა, ხელობის შესწავლის შემდეგ მიდის ქალაქში, რადგან სოფლის ოსტატი უმეტესად წვრილი ხელოსანია და მას არ შეუძლია გამოიყენოს ძვირადღირებული ქარგლის შრომა, უქარგლო და მარტოხელა საწარმოები სოფლად უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, საქართველოში ხელოსნობისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშანია წვრილი სახელოსნოები, კერძოდ კი — სოფლად უქარგლო საწარმოები (გვ. 128).

ხელოსნური წარმოების სამივე ფორმის განხილვის შემდეგ ფ. გოგიჩაიშვილი ვრცლად ეხება ხელოსნური ნაწარმის გასაღების ფორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებსაც, რომელთა შორის გამოყოფს სამს: 1. ქალაქსა და დასახლებულ ადგილებში ხელოსნურ ნაწარმს ყიდიან ვაჭრები ან ხელოსნები თავიანთ დუქნებსა და სახელოსნოებში; 2. სოფლად ხელზე ვაჭრობენ მამაკაცები; 3. ხელოსნური ნაწარმი იყიდება ყოველკვირეულ და წლიურ ბაზრობებზე (გვ. 132). ავტორის დაკვირვებით, ხელზე ვაჭრობას მისდევენ ვაჭრები და გლეხები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში კი — მხოლოდ მეწვრილმანეები. ავტორის აზრით, ეს არის პირველი განსხვავება ქვეყნის ორ ნაწილს შორის. მეორე განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ყოველკვირეული და წლიური ბაზრობები განვითარდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოში კი სრულებით არ გვხვდება (გვ. 133). გამონაკლისია თბილისის ყოველკვირეული ღია ბაზრობა. საეკლესიო (წლიური) დღეობები აღმოსავლეთ საქართველოში, ავტორის აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს საკუთრივ წლიურ ბაზრობად, ვინაიდან ამ დღესასწაულების მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, სარწმუნოებრივი წესების შესრულება, ხოლო საქონლის გასაღებას მეტად დაქვემდებარებული ადგილი უკავია (გვ. 133). ეს დღესასწაულები ხანმოკლეა გრძელდება რამდენსამე საათს, დილიდან საღამომდე.

დასავლეთ საქართველოს წლიური ბაზრობებიდან ავტორი ასახელებს ჩვიდმეტს, რომელთაგან ექვსი ორ-ორი კვირით, რვა თითო კვირით და სამი თითო დღით იმართებოდა. ამ ბაზრობაზე ვაჭრები მოდიოდნენ შორეული ადგილებიდან, ხელოსნები კი უფრო ახლო რაიონებიდან. ყოველკვირეულ ბაზრობათა რიცხვი უფრო მეტი იყო დასავლეთ საქართველოს ყოველ, ცოტად, თუ ბევრად დიდ დასახლებულ ადგილას. აქ იყვნენ ადგილობრივი ვაჭრებიც და ხელოსნებიც, ისინი სხვა ადგილებიდან არ მოდიოდნენ. ბაზრობის დღეები იყო პარასკევი და კვირა, ზოგჯერ ოთხშაბათი და ხუთშაბათი. ბაზრობა ტარდებოდა დილის 9 საათიდან შუადღემდე (გვ. 134).

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხელოსნური ნაწარმის გასაღების ფორმებს შორის ამ განსხვავებას ავტორი დასახლების ტიპით ხსნის, რომ აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი იყო შეჯგუფული დასახლება და აქ ხელზე ვაჭრობა ადვილი იყო, ხოლო დასავლეთ საქართველოსათვის — გაფანტული, რის გამოც გასაცვლელ ნაკეთობათა გაცვლა სახლში დატარებით ძნელი იყო, დიდ დროს მოითხოვდა და ამიტომ განვითარდა დასავლეთ საქართველოში ყოველკვირეული და წლიური ბაზრობები (გვ. 136).

ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს ხელოსნური ნაწარმის გასაღების ფორმათა მიხედვით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ეს სამივე ფორმა ცნობილია საქართველოს ორივე ნაწილისათვის და ორივეგან გვხვდება თანაბარი უპირატესობით. შეუძლებელია დასახლების ტიპმა განსაზღვროს ხელოსნური ნაწარმის რეალიზაციის ფორმა ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილში, როგორც ამას ავტორი ახდენს, როცა აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დასახლებამ გამოიწვია აქ ხელზე ვაჭრობა კარდაკარ დატარებით, ხოლო გაფანტულმა დასახლებამ დასავლეთ საქართველოში წარმოშვა ყოველკვირეული და წლიური ბაზრობები. მეწვრილმანეები და ებრაელები, როგორც წვრილი ვაჭრული ელემენტები, გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ასევე ყოველკვირეული და წლიური (საეკლესიო) დღეობები დასტურდება არამარტო დასავლეთ, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც. ავტორი აღმოსავლეთ საქართველოს ყოველკვირეულ ბაზრობათა შორის იხსენიებს მარტო თბილისის ბაზრობას, მაშინ, როდესაც ცნობილი იყო გორის, თელავის, სიღნაღის, ახალციხის, შუამთის, ბოდბისხევისა და სხვა ბაზრობანი[1]. ხოლო, რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს წლიურ სადღეობო ბაზრობებს, მათ შორის ალავერდობის (14 სექტემბერს ძველი სტილით, თელავის მახლობლად), ზღუდრობის (ამაღლების მეოთხე დღეს იმართებოდა ცხინვალში), გერისთობისა (სოფ. არბოში იცოდა აგვისტოს თვეში) და უსანეთობის (მეჯვრისხევში ივნისის 10-ს მოდიოდა)[2] დასახელებაც კი კმარა, რომლებიც მთელ ამიერკავკასიაში იყო ცნობილი როგორც თავისი მასშტაბურობით, ასევე სადღეობო — ბაზრობის ხანგრძლივობითაც (გრძელდებოდა სამი კვირის მანძილზე). შედარებით მცირე მასშტაბების დღეობათა საილუსტრაციოდ შეიძლება ქიზიყის ხალხურ დღეობათა კალენდრის[3] მოშველიება, რომლის მიხედვითაც დღეობა ქიზიყის თითქმის ყოველ სოფელს (სულ 23-ს) მოუდიოდა და ამდე-

[1] ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, თბ., 1957, გვ. 77.

[2] ნ. აბესაძე, ხელოსნური პროდუქტი სადღეობო ბაზრობაზე, „ძეგლის მეგობარი", 1976, № 42, გვ. 28.

[3] ნ. აბესაძე, 1966 წლის სიღნაღის რაიონში მივლინების დღიური.

ნად ხელოსანს მთელი წლის მანძილზე საშუალება ჰქონდა თავისი ნაწარმის გასაღებისა. ხოლო მარტო თელავის რაიონში[4] ასეთ დღეობათა რიცხვი 12-ს შეადგენდა.

სწორი არ უნდა იყოს აგრეთვე ავტორის ის დებულებაც, რომ დღეობის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენდა მარტო სარწმუნოებრივი წესების შესრულება, ხოლო საქონლის გასაღებას მეტად დაქვემდებარებული ადგილი ეკავა (გვ. 133). ჯერ ერთი, ეს დღეობები უმრავლეს შემთხვევაში იმართებოდა ისეთ პუნქტებში, რომლებიც წარმოადგენენ მთისა და ბარის ურთიერთშეხების ცხოველ ადგილებს[5]. მთავარი დანიშნულება სადღეობო ბაზრობისა იყო სასაქონლო პროდუქციის ურთიერთგაცვლა[6], რაც ძირითადად ხელოსნური ნაწარმით იყო წარმოდგენილი. ამიტომ ხელოსნის მთავარ საზრუნავს დღეობაზე საქონლის გაყიდვა შეადგენდა. მაგ., 85 წლის ახალქალაქელი (კასპის რ-ნი) მეჭურჭლის ნესტორ ტატულაშვილის თქმით „ვისა ცალოდა დღეობაზე სალოცავად, ჩვენ ჭურჭელი უნდა გაგვეყიდნა“[7].

ხელოსნური წარმოებისა და მისი ნაწარმის გასაღების ფორმებზე მსჯელობის შემდეგ ავტორი განიხილავს ხელოსნური ორგანიზაციის — ამქრის საკითხსაც. საქართველოში ამქარი, ავტორის აზრით, წარმოიშვა არა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების დამოუკიდებელი განვითარების შედეგად, არამედ, უპირველეს ყოვლისა, უცხო ხალხის, სახელდობრ, ირანელების გავლენით, რაზედაც მიუთითებს ამქრის ქართული სახელწოდება. ქართული სიტყვა ამქარი, ამქრობა, ავტორის განმარტებით, სპარსული „ჰამქრიდანაა“ წარმოშობილი (გვ. 136). ამ შემთხვევაში ფ. გოგიჩაიშვილი იმეორებს ამქრების წარმოშობის შესახებ ლიტერატურაში მის დროს დამკვიდრებულ მოსაზრებას (ჰაქსტჰაუზენი, ვაიდენბაუმი)[8].

სპეციალური ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე ავტორი დაწვრილებით აღწერს ამქრის უფლება-მოვალეობას, მის ეკონომიკურ და რელიგიურ საფუძველს. აღნიშნავს თვითდახმარებისა და ქველმოქმედების იდეის განვითარებას ამქარში. იძლევა შეგირდისა და ქარგლის უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრასაც. შეგირდი გარკვეული კურსის გავლის შემდეგ ქარგალი ხდება და გასამრჯელოც ენიშნება. თავის მხრივ, ქარგალიც რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა სრულად შეისწავლის ხელობას, ოსტატად ილოცება, ის იხდის საოსტატოს და თუკი შესაძლებლობა ექნება, სახელოსნოსაც გახსნის. ამდენად ავტორი იზიარებს ქარგლის შუა საფეხურის არსებობას, რაზედაც ის ადრეც მიუთითებს, როდესაც ხელოსანთა ცხრილის მონაცემების გათვალისწინებით დაასკვნის, რომ „ქარგლობა, როგორც ჩანს, წარმოადგენს მხოლოდ შუალედურ სტადიას ოსტატობაში გადასასვლელად“ (გვ. 128). თუმცა არც ქარგლის დაქირავების მომენტს გამორიცხავს, როცა აღნიშნავს, რომ სხვა გარემოებებმა (ალბათ, სახსრების უქონლობამ, — **ნ. ა.**) შეუშალეს ხელი გამხდარიყო დამოუკიდებელი (გვ. 128). მაშასადამე, ავტორისათვის ცნობილია ქარგლის ეს ორივე სახეობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში ქარგლის ინსტიტუტის ბუნების დასადგენად.

ნაშრომის ბოლოს განხილულია კაპიტალისტური წარმოების ჩასახვა და განვითარება საქართველოში. ავტორი საგანგებოდ ჩერდება მევახშეობაზე, როგორც ფართოდ გავრცელებულ მოვლენაზე საქართველოში თავისი უარყოფითი მხარეებით, და დასძენს, რომ მას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ ჩვენში მევახშეობას ეწევიან უცხო ტომის წარმომადგენლები (გვ. 148). წიგნში მოცემულია ფაბრიკა-ქარხნების გავრცელების ცხრილი, საიდანაც ირკვევა, რომ 1898 წ. საქართველოში ითვლებოდა 1782 საწარმო 13 006 მუშით. ამ ციფრების კრიტიკული შეჯერების შედეგად ავტორი ასკვნის, რომ საფაბრიკო მრეწველობის სუსტი განვითარების მიუხედავად, მაინც შესამჩნევია მისი ზრდის პროცესი და ქალაქის მოსახლეობის როგორც აბსოლუტური, ასევე შეფარდებითი ზრდა.

ამგვარად, წიგნში წარმოდგენილია ხელოსნური წარმოების ყველა ფორმა საქართველოში: **1.** ოჯახური მრეწველობა; **2.** ტიპური ხელოსნური წარმოება ანუ შეკვეთით მოხელეობა და **3.** წვრილი სასაქონლო ანუ საფასო მოხელეობა (ავტორის ტერმინოლოგიით). ხელოსნობის ყველა ზემოაღნიშნული ფორმის დახასიათებისას ავტორი იყენებს შესაბამის აღწერილობით, სტატისტიკურ თუ დოკუმენ-

---

[4] ნ. აბესაძე, 1971 წლის თელავის რაიონში მივლინების დღიური.

[5] ნ. ბერძენიშვილი, ბორჯომის ხეობა, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1966, გვ. 242.

[6] ნ. აბესაძე, ხელოსნური ნაწარმი სადღეობო ბაზრობაზე, გვ. 28.

[7] იქვე, გვ. 29.

[8] ნ. აბესაძე, თბილისელი ფეიქრები (ყაზაზთა ამქარი), „მაცნე“, 1964, № 5, გვ. 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურ მასალას. ასევე დეტალურად ეხება ავტორი ამქრულ წესებს საქართველოში და ამჩნევს მასში მომხდარ ცვლილებებს XIX ს-ის. მეორე ნახევარში. ამ პერიოდის საქართველოს მეურნეობრივი ვითარების განხილვის შემდეგ გადადის წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების დახასიათებაზე საქართველოში.

ნაშრომში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ხელობის გარკვეული დარგი შესაძლებელია ხელოსნური წარმოების სხვადასხვა ფორმით იყოს წარმოდგენილი და ამით არის ახსნილი ის გარემოებანიც, რაც გამოწვეულია ერთი და იმავე ხელობის წიგნში მრავალჯერ მოხსენიებით (გვ. 103).

მაშასადამე, არსებობს ხელოსნური წარმოების სამი ფორმა, ხელობა კი მრავალნაირია (შრომაში დასახელებულია მისი 75-ზე მეტი სახეობა) და ყოველ ცალკე შემთხვევაში ხელოსნები იყენებენ წარმოების მათთვის სასურველ ფორმას. ავტორის აზრით, მომხმარებელიც ასრულებს გარკვეულ როლს ხელოსნური წარმოების წარმართვაში.

ხელობის ცალკეული დარგის დახასიათებისას, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ფ. გოგიჩაიშვილი იძლევა ხელოსნური წარმოების ხალხური წესების შესაშურ აღწერას, რაც ხშირად მდიდარ მასალას ეყრდნობა. ეს განსაკუთრებით ფეიქრობასა და საერთოდ შრომის პროცესების გადმოცემას შეეხება. აღწერა მოცემულია ლაკონურად და გასაგებად. სულ არ იგრძნობა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თარგმანთან, რაშიც მთარგმნელთან (ნ. გამრეკელი) ერთად დიდი დამსახურება მიუძღვის აწ განსვენებულ ეთნოგრაფს ნ. რეხვიაშვილს, რომელმაც მთარგმნელს მიაწოდა ეთნოგრაფიული ტერმინები, გააცნო მას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდების სათანადო კოლექციები და ხელოსნური პროდუქციის წარმოების ტექნიკური პროცესები (გვ. 35). ნაშრომს ერთვის ხელოსნური ნაწარმისა და შრომის იარაღების ამსახველი ფოტომასალა, მოკლე ქართულ-გერმანული და გერმანულ-ქართული ხელოსნური ლექსიკონი, ვრცელი რეზიუმე რუსულ ენაზე, საგნობრივ და საკუთარ სახელთა საძიებლები. წინ კი უძღვის ფ. გოგიჩაიშვილის პორტრეტი, შრომის გერმანული გამოცემის ტიტულის ფოტორეპროდუქცია, ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა (ავტორი ნ. გამყრელიძე) და მთარგმნელის წინასიტყვაობა.

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის ამ მეტად საინტერესო შრომის თარგმნა და გამოცემა ეძღვნება მისი დაბადების 100 წლისთავს, რაც განსაკუთრებით მისასალმებელია.

**ნანული აბესაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# О РУССКОМ И АНГЛИЙСКОМ ПЕРЕВОДАХ «ТАРИХЕ СИСТАН»

Анонимное сочинение «Тарихе Систан» (XI—XIV вв.) («История Систана») является ценным источником по истории восточного Ирана, Средней Азии и Афганистана периода арабского завоевания и правления первых иранских династий. Исключительное значение имеют материалы книги, касающиеся истории арабских и тахиридских наместников Систана, Саффаридов и выступления хариджитов. Данные «ТС» позволяют дополнить и уточнить ряд интересных моментов истории Саманидов, Газневидов, Сельджукидов, Гуридов, Хорезмшахов и, наконец, монголов.

Материалы «ТС» имеют огромное значение также для истории персидско-таджикской литературы. Достаточно отметить, что это сочинение сохранило нам известную касыду Рудаки «Мать вина» и ценнейшие сведения о Фирдоуси.

Впервые «ТС» было опубликовано в 1881—1885 гг. в газ. «Иран». Второе издание заставило себя ждать полвека. Оно было осуществлено известным иранским поэтом и ученым М. Бахаром[1]. В основу текста была положена лишь одна рукопись, опубликованная ранее в указанной газете. М. Бахар проделал огромную текстологическую работу, снабдил текст большим научным аппаратом. Значение труда М. Бахара смогло быть по достоинству оценено лишь много позднее. Наглядное подтверждение сказанному — блестящее исследование К. Босворта[2] и рецензируемые русский[3] и английский[4] переводы.

С середины 20-х годов вплоть до начала 60-х годов нашего столетия высказывались различные мнения о количестве и качестве рукописей «ТС». По общепринятой в настоящее время точке зрения все существующие рукописи (и фрагменты) «ТС», кроме Тбилисского списка, восходят к рукописи М. Бахара[5]. Что касается определения места Тбилисской рукописи, то в этом вопросе нет единого мнения среди специалистов. На основании детального сличения Тбилисского списка с текстом издания и комментариями М. Бахара, анализа всей суммы выявленных разночтений мы высказали в 1971 году предположение, что хранящаяся в фондах Института рукописей им. К. С. Кекелидзе АН ГССР переписанная в Тегеране в 1861 году рукопись «ТС»[6] не

---

[1] تاریخ سیستان بتصحیح ملک الشعرا بهار تهران ۱۳۱۴

[2] C. E. Bosworth, Sistan under the Arabs, from the Islamic Conquest to the Rise of the Saffarids, Rome, 1968.

[3] Та'рих-и Систан («История Систана»). Перевод, введение и комментарий Л. П. Смирновой, М., 1974.

[4] The Tarikh-e Sistan, Translated by Milton Gold, Roma, 1976.

[5] G. Scarcia, An Illusory Problem: the Text of the Ta'rikh-i Sistan, «East and West», XV, 1965, стр. 277—80.

[6] См. Каталог арабских, тюркских и персидских рукописей Института рукописей им. К. С. Кекелидзе (коллекция К). Составили Ц. А. Абуладзе, Р. В. Гварамия, М. Г. Мамацашвили, Тб., 1969, стр. 139.

ბიბლიოთეკა

восходит к списку М. Бахара[7]. По мнению Л. П. Смирновой, выдвинутое нами положение «нельзя считать доказанным»[8], Э. Яршатер же, например, придерживается мнения, что Тбилисской рукописи «ТС» мы дали правильную квалификацию[9].

К счастью, такое расхождение взглядов в оценке Тбилисской рукописи не могло отразиться на качестве русского перевода, т. к. своеобразие указанной рукописи, главным образом, заключается в том, что она в большинстве случаев поддерживает исправления и конъектуры М. Бахара, а в основе русского перевода «ТС» лежит текст именно его издания.

С конца XIX в. преисполненные чувства благодарности историки, литераторы и лингвисты разных стран обращаются к тексту «ТС». Авторитетные специалисты неоднократно указывали на большую значимость этого произведения. Давно назрела необходимость сделать этот ценный источник доступным для более широкого круга заинтересованных лиц и читателей. К чести отечественной науки первый полный перевод «ТС» осуществлен у нас и издан в 1974 г. в серии «Памятники письменности Востока». Автором перевода является ленинградский иранист Л. П. Смирнова. Изучение «ТС» она начала с исследования языка памятника[10], что и дало надлежащую базу для дальнейших ее изысканий[11].

Вслед за русским переводом через два года вышел английский перевод, выполненный Мильтон Гольд. Книга под грифом ЮНЕСКО, Иранского института переводов и публикаций и Итальянского института Среднего и Дальнего Востока вышла в серии «Persian Heritage Series», издаваемой известным лингвистом и филологом Э. Яршатером. Переводчик имел возможность учесть переводы целого ряда фрагментов «ТС», представленные в диссертационных работах Я. Армаджани и Р. Джонсона[12]. Кроме того, в подготовке перевода к изданию большое участие приняли профессор Тегеранского университета М. Мохаккек и профессор Колумбийского университета М. Кашеф. Последний после кончины переводчика сверил английский перевод с текстом Тбилисской рукописи и внес в него соответствующие правки[13].

Оба перевода являются научными изданиями, снабженными соответствующими введениями историко-филологического характера, комментариями и указателями. Надо воздать должное М. Бахару, кото-

---

[7] Dž. Giunašvili, A Further Note on the Ta'rikh-i Sistan Manuscripts, «East and West», XXI, № 3—4, 1971, стр. 345—346; جمشید گیوناشویلی ، نسخه‌خطی تاریخ سیستان تبلیسی ۱۹۷۱ См. рец. на кн.: J. Bečka, Archiv Orientalni, 1974, № 3, стр. 258

[8] Та'рих-и Систан, стр. 20; Л. П. Смирнова, О Тбилисской рукописи «Истории Систана», Письменные памятники и проблемы истории культуры народов Востока (IX годичная научная сессия ЛО ИВ АН), 1973, стр. 79—83.

[9] E. Yarshater, Foreword, The Tarikh-e Sistan, стр. XX—XXI.

[10] Л. П. Смирнова, Язык «Тарих-и Систан» (грамматическое описание), Сталинабад, 1959.

[11] См., например, Л. П. Смирнова, «Тарихе Систан» как возможный источник «Ихйа ал-Мулук», Ближний и Средний Восток, сб. статей в честь 70-летия профессора И. П. Петрушевского, М., 1968.

[12] Y. Armajani, A Critical Study and Translation of the Arabic and Persian Sources Concerning the Saffarid Period, Princeton, 1939; R. Johnson, A Critical and Explanatory Translation of Portions of the Anonymous Tarikh-i Sistan, Princeton, 1941.

[13] См. E. Yarshater, Foreword, стр. XXI.

ეროვნული ბიბლიოთეკა



рый своим прекрасным изданием «ТС» в значительной степени облегчил переводчикам их нелегкий труд. Примечания английского перевода в основном повторяют в лаконичной форме сноски М. Бахара. Комментарии и научный аппарат русского перевода, занимающие более трети общего объема книги, отличаются гораздо большей полнотой, насыщенностью необходимой информацией и ссылками на обширную специальную литературу. Выход русского и английского переводов «ТС», несомненно, надо расценивать, как заслуживающий внимания факт в иранистике.

Следует, однако, отметить и некоторые погрешности и неточности, замеченные нами в русском и английском переводах.

В тексте «ТС» читаем: „γäuγa vä tämame Sistan be do goruh gäštänd". В соответствующем английском переводе—„All of Sistan became divided between the two factions" (стр. 104-105)—опущена существенная деталь, „γäuγa"[14], столь необходимая при анализе социальных аспектов происходящих событий. Русский перевод в данном случае отличается точностью: „Гауга и весь Систан разделились на две партии" (стр. 146). А в сноске № 415 читатель найдет необходимую информацию о термине „гауга": „...низшие элементы городского населения, постоянно использовавшиеся в оппозиционной борьбе против правительства, а также в завоевательных походах". Однако вызывает сомнение перевод goruhi kudäkan в сочетании goruhi kudäkan vä γäuγa через русское „группа детворы" (стр. 280, ср. англ. "group of youth", стр. 235), так как в подобных случаях ǧevanmärd, šäbab и kudäk указывают „не на биологический возраст, а на определенную общественную функцию"[14′].

В специальной литературе наблюдается большой разнобой в определении значения термина bistgani: жалованье, зарплата воину или слуге[15], выдаваемое один раз в двадцать дней[16] или 20-го числа каждого месяца[17]; жалованье, выплачиваемое «не индивидуально каждому воину, а целиком определенной войсковой единице, состоявшей, быть может, первоначально из двадцати человек»[18]; золотая монета в 20 мискалей или же 20% пробы[19]. По мнению некоторых специалистов, есть основания полагать, что bistgani иногда могло содержать элемен-

---

[14] Переводчик в других местах, например, на стр. 105, переводит это слово через лексему «mob».

[14′] М. В. Габашвили, Тбилиси в 1082–1122 годах. Грузинское источниковедение, IV, Тб., 1973, стр. 22.

[15] G. Lazard, La langue des plus anciens monuments de la prose persane, Paris, 1963, стр. 73; стр. 626 I محمد معین

[16] См. стр. 123 سیاست نامه باهتمام اقبال ، تهران ۱۳۲۰ Этот термин переведен на арабский язык — عشرینیات и عشرینیة, который толкуется как «gages qui se payent tous les vingt jours», A. Kazimirski, Dictionnaire Arabe-Français, II, Paris, стр. 261.

[17] См. Н. Ягелло, Полный персидско-арабско-русский словарь, Ташкент, 1909, стр. 292.

[18] Б. Н. Заходер, Примечания, Сиасет-наме, перевод, введение в изучение памятника и примечания Б. Н. Заходера, М.-Л., 1949, стр. 326.

[19] См. стр. 1068 تاریخ مسعودی معروف به تاریخ بیهقی بامقابله و تصحیح و حواشی و تعلیقات سعید نفیسی ، مجلد سوم ، تهران ۱۳۳۲

ეროვნული ბიბლიოთეკა

ты оплаты натурой[20] и не случайно, что в «Словаре таджикского языка» это слово толкуется как „maoš“, которое в свою очередь означает „vositagihoi zindagi, hamčun xurok, nušidani, pušok“ и т. д.[21]. При таких обстоятельствах вряд ли можно считать целесообразным переводить слово bistgani однозначно как „жалованье“ (например, стр. 131) или „wage“ (например, стр. 90)[22]. По нашему мнению, bistgani, точно также как это сделано в отношении ǧizia, rätl и т. д., следовало оставить в русском и английском изданиях без перевода.

В ряде случаев в английском издании «ТС» более удачно учтены и использованы конъектуры и предположения М. Бахара. По персидскому тексту, к Зунбилю был послан Билал б. Абу Қаша (II изд., стр. 126). Не ссылаясь на источники, ученый в сноске указал на возможность правильности варианта Қäbšä. Английский перевод (стр. 101) следует за М. Бахаром: Қäšä читается в основном тексте, а Қäbšä — в сноске. В русском переводе же (стр. 142) конъектура М. Бахара представлена в основном тексте, а в примечании № 392 говорится, что «в других источниках не упоминается»; В тексте «ТС» представлено собственное имя Qähtäbäh ibn Šib (стр. 134). В примечании М. Бахар ставит под сомнение эту форму (کذا) и правильной считает Qähtäbäb ibn Šäbib. В английском переводе (стр. 107) в основном тексте представлена правильная форма ibn Šäbib, а в сноске отмечается, что исправление принадлежит М. Бахару. В русском переводе (стр. 148) читаем „Қахтаба б. Шайба“. В примечании № 423 же представлена правильная форма: „Қахтаба б. Шабиб ат-Таи, полководец Абу Муслима, одним из первых примкнул к аббасидскому движению; о нем см. Wellhausen, Reich., стр. 335—338; EI, II (K. V. Zettersteen); „Арабский аноним“, „Указатель имен“. В персидском тексте „ТС“ читается топоним Masäδan (стр. 150). В примечании М. Бахар допускает, что эта форма не правильна (کذا) и в подтверждение этого положения пишет, что все арабские авторы, в частности, Йакут, употребляют Masäbδan. В тексте английского перевода представлен Masäbδan (стр. 119), в русском же—Masäδan (стр. 161), хотя в примечании № 462 читаем: „Во всех источниках засвидетельствовано в форме Мāсабз̱āн, см. Табари III, стр. 523; Мс'уди, Муруд ж, IV, стр. 225; Ибн ал-Асир, VI, стр. 54; Йакут, IV и др. ...“. Интересно, кстати, отметить, что текст Тбилисской рукописи во всех трех случаях поддерживает предположения М. Бахара[23], но Л. П. Смирнова об этом ничего не говорит.

По «ТС» произошло ожесточенное сражение между Убайдуллахом и Зунбилем. В конце концов был заключен мир с условием выплаты

[20] См. Дж. Ш. Гиунашвили, К толкованию термина «bistgani», Грузинское источниковедение, III, Тб., 1971, стр. 113.

[21] См. Фарханги забони точики, I, 1969, стр. 187, 639.

[22] Весьма вольно переведено это слово на стр. 120 английского перевода: «[overdue], pay».

[23] См. нашу работу نسخه خطی تاریخ سیستان стр. 35, строка 3; стр. 36, строка 2; стр. 39 строка 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

700000 дирхемов. По тексту оригинала неясно кто кому платил дань: „axär solh oftad bär häfsäd hezar deräm" (стр. 111). М. Бахар, основываясь на материалах Ибн ал-Асира и Табари в примечании отметил, что дань платили арабы, т. е. Убайдуллах. Это положение реализовано в английском переводе (стр. 89): „Finally 'Obayd Allāh agreed to peace for an indemnity of seven hundred thausand dirhams". Однако по Балазури, несмотря на то, что положение арабов было тяжелым, согласно заключенному договору, Зунбил обязался выплатить дань в 500 000 дирхемов, а Убайдуллах вынужден был оставить заложниками несколько военачальников, и в том числе троих своих сыновей[24]. После этого Убайдуллах скончался в Бусте. Его сын, Бу Барда'а вновь выступил против Зунбиля, положение которого на этот раз очень осложнилось: „kar bär Zunbil säxt foru gereft" (стр. 112), так что он „anče solhra pazirofte bud kärrate äula, digär rah bedad". Русский перевод текста (стр. 130): „...он впервые [вынужден] был заключить мир. [Бу Барда'а] открыв Зунбилю путь...". Английский перевод текста (стр. 90): „...he again accepted the old peace terms". Л. П. Смирнова между двумя тесно зависящими друг от друга синтаксическими структурами поставила точку, причем при переводе отрывков допустила неточность: „anče solhra pazirofte bud kärrate äula" она перевела — „...он впервые [вынужден] был заключить мир", а „digär rah bedad" как — „[Бу Барда'а], открыв путь..." Английский перевод, конечно, отражает суть передаваемой персидским текстом мысли: Зунбил еще раз согласился на условия мира, принятые им в первый раз. Таким образом, текст „ТС", вопреки данным некоторых источников, поддерживает версию Балазури о том, что и в первый раз дань платил Зунбил.

Нередко встречаются погрешности технического характера. Например, раджаб 86 года по хиджри в русском переводе (стр. 136) неверно передается 704 годом, сравни в английском издании (стр. 95) — 705 год; рамазан 131 года в русском переводе (стр. 148) неверно передается 748 годом, сравни в английском издании (стр. 107) — 749 год; в английском переводе (стр. 62) топоним Subäytilä почему-то представлен формой Sobaytah и т. д.

Можно было бы привести еще немало примеров подобных погрешностей и неточностей, но они отнюдь не снижают общей высокой оценки рецензируемых книг. Без всякого преувеличения можно сказать, что выход в свет русского и английского переводов «ТС» является крупным успехом иранистики.

---

[24] См. прим. № 331 в русском переводе.

Дж. Ш. ГИУНАШВИЛИ

# ქრონიკა და ინფორმაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის პრობლემისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი

ბერძნული კოლონიზაცია ძვ. წ. VIII—VI საუკუნეებში წარმოადგენდა ისტორიულ ფენომენს, რომლის სოციალურ-ეკონომიკურმა შედეგებმა დიდი როლი ითამაშა მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ისტორიაში. ამ დროს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში—პოლისებში, განსაკუთრებით გაღრმავდა ქონებრივი და სოციალური უთანასწორობა, გაძლიერდა წვრილ მიწათმფლობელთა გაღარიბების პროცესი. გაიზარდა შედარებით იაფი მონების რიცხვი, რაც არ აძლევდა საშუალებას ღარიბებს ეპოვათ შესაფერისი სამუშაო. პოლისს აღარ შეეძლო მოქალაქეების ამ მზარდი მასის გამოკვება. ჭარბი მოსახლეობა იძულებული იყო ემიგრაციაში წასულიყო, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც აღნიშნავდა კ. მარქსი, მძიმე მომქანცველ ფიზიკურ შრომას თავისუფალი მოქალაქე მონად უნდა გადაექცია.

ბერძენთა განსახლების, კოლონიზაციის გამომწვევი ეკონომიკური ფაქტორების გარდა, არსებობდა სხვა კონკრეტული ისტორიული მიზეზებიც. ხშირად სამშობლოს ტოვებდნენ კლასობრივ ბრძოლებში დამარცხებული ამა თუ იმ სოციალური ჯგუფების (გვაროვნული არისტოკრატია, მონათმფლობელები და სხვ.) წარმომადგენლები, რომლებიც ბედის საძიებლად მიდიოდნენ სხვა ქვეყნებში.

ბერძნული კოლონიზაციის პრობლემებს კარგა ხანია იკვლევენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები (ე. მეიერი, გ. ბელოხი, კ. კოლობოვა, ჟ. ვალდე და სხვ.). დასავლეთში ყოველწლიურად ეწყობა ე. წ. „შეხვედრები", სადაც განიხილავენ ხმელთაშუაზღვისპირეთის კოლონიზაციის პრობლემებს. 100 წელზე მეტია დაიწყო ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების შესწავლა. მათ წარმოშობა-განვითარების საკითხებს არა ერთმა მეცნიერმა მიუძღვნა სპეციალური წერილი და მონოგრაფია (ს. ჟებელიოვი, ვ. ბლავატსკი, დ. კალისტოვი, ა. იესენი, ვ. გაიდუკევიჩი, ა. დომანსკი, ვ. ლაპინი, ა. შეგლოვი, და სხვ.). შედარებით ახლახან დაიწყო კვლევა-ძიება ამ მიმართულებით საქართველოში. მიუხედავად ამისა გამოქვეყნებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაშრომები (მათი ავტორებია: გ. მელიქიშვილი, მ. ინაძე, ნ. ლომოური, ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, ა. კახიძე, გ. ლორთქიფანიძე და სხვ.)

განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ბერძნული კოლონიზაციის პრობლემების მიმართ უკანასკნელ წლებში. გარკვეული როლი ამაში, როგორც ჩანს, არქეოლოგიური მასალების დაგროვებამაც შეასრულა. ისტორიის მეცნიერებათა შემდგომმა განვითარებამ მოითხოვა ამ საკითხზე მომუშავე მკვლევართა შორის სამეცნიერო კონტაქტების შემდგომი გაძლიერება, კვლევა-ძიების უახლესი შედეგების, დაგროვილი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა; სადავო საკითხების გადაჭრა თუ არა, ცალკეულ სპეციალისტთა პოზიციების და არსებულ მიმდინარეობათა გარკვევა მაინც.

ჩვენში ასეთი შეკრების თაოსნობა იკისრეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა არქეოლოგიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტებმა. 1977 წლის 5—11 მაისს წყალტუბოში ჩატარდა საკავშირო სიმპოზიუმი, რომელიც საგანგებოდ ბერძნული კოლონიზაციისა და ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადრეანტიკურ სახელმწიფოთა სტრუქტურის პრობლემებს მიეძღვნა. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, თბილისის, ლენინგრადის, კიევის, ერევნის, ოდესის, სევასტოპოლის, კემეროვის, ვლადიმირის, ბათუმისა და სოხუმის სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები. წაკითხულ იქნა 38 მოხსენება.

სიმპოზიუმის პლენარული სხდომა ჩატარდა გელათში.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. ა. ფრანგიშვილმა შესავალ სიტყვაში ხაზი გაუსვა სიმპოზიუმის აქტუალობას და დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ორი მოხსენება:

ვ. ბლავატსკი; ი. კრუგლიკოვა, გ. კოშელენკო (მოსკოვი) — „ბერძნული მიგრაციების პრობლემისათვის“ და ო. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე — „კოლხეთი დიდი ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში“.

პირველ მოხსენებაში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ბერძნული მიგრაციების ეტაპზე, კოლონიზაციის გამომწვევი სოციალ-ეკონომიკური მიზეზების მრავალფეროვნებაზე. დაწვრილებით იყო საუბარი კოლონიების „გაყვანის“ მიზნებზეც.

მეორე მოხსენებაში დახასიათებული იყო კოლხეთის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა დიდი ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში. მოხსენება ილუსტრირებული იყო ურეკში, ვანსა და დასავლეთ საქართველოს სხვა პუნქტებში მოპოვებული ახალი არქეოლოგიური ძეგლებით.

სიმპოზიუმის მუშაობა სამი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: ჩრდილო შავიზღვისპირეთი, კოლხეთი და კოლონიზაციის საერთო პრობლემები.

კოლონიზაციის საერთო პრობლემებთან დაკავშირებით საყურადღებო მოხსენება წარმოადგინეს საკავშირო არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების თანამშრომლებმა, ი. ბრაშინსკიმ და ა. შჩეგლოვმა. მათ დაწვრილებით განიხილეს ბერძნული კოლონიზაციის ყველა არსებული თეორია (აგრარული, სავაჭრო და სხვ.), ამ პრობლემისადმი მიძღვნილი უცხოეთში თუ ჩვენში გამოცემული სპეციალური ნაშრომები, ტერმინები (კოლონიზაცია, კოლონია, ბერძნული ფაქტორია, კოლონიზაციამდელი კავშირები, საკონტაქტო ზონები, სისტემა — პოლისი — ქორა) და განმარტეს თითოეულის არსი. მათი აზრითაც, ბერძნული კოლონიზაცია მრავალფეროვანი პროცესია; ხოლო მისი რთული ხასიათი დამოკიდებული იყო კონკრეტული ისტორიული ვითარების მთელ კომპლექსზე ამა თუ იმ რეგიონში. სწორედ ამ მრავალფეროვნებაში ჩანს საკოლონიზაციო მოძრაობის, როგორც ბერძნული ექსპანსიის ერთიანობა. მომხსენებლებმა გარკვეული ადგილი დაუთმეს საქართველოს შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის საკითხებსაც. ისინი იზიარებენ ქართველი მეცნიერების აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ბერძნებს აქ დახვდათ მაღალგანვითარებული კლასობრივი საზოგადოება, სახელმწიფო ორგანიზაცია (დღეისათვის ამას უარყოფს მხოლოდ ა. ბოლტუნოვა).

სიმპოზიუმზე საერთო ბერძნულ კოლონიზაციის ცალკეულ პრობლემებს მიეძღვნა კირევ რამდენიმე მოხსენება: „ძველბერძნული საკოლონიზაციო პრაქტიკა“, — ვ. იალენკო (მოსკოვი); „ძველბერძნული კოლონიზაცია, ბერძნული სამართლის თვალსაზრისით (საკითხით დაყენებისათვის), — ს. ბელიაევი (მოსკოვი); მილეტი და ოლბია. მეტროპოლიისა და კოლონიის ურთიერთობის პრობლემა ადრეულ ეტაპზე“, — ი. ვინოგრადოვი (მოსკოვი); „ბერძნული კოლონიზაცია და ინდური კოლონიზაცია — შედარების ცდა“, — ა. ხაზანოვი (მოსკოვი); „ესპანეთის ფოკეური კოლონიზაციის ხასიათის საკითხისათვის“, — ვ. კოზლოვსკაია (ვლადიმირი).

ასევე საინტერესო მოხსენებები იქნა მოსმენილი სხდომებზე, რომლებიც კონკრეტულად ასევე ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის პრობლემებს დაეთმო: მოხსენებათა უბრალო ჩამოთვლაც კი ნათლად გვიჩვენებს, რომ სიმპოზიუმზე განხილულ იქნა საკითხთა ფართო წრე, როგორიცაა: „ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის პრობლემა რევოლუციამდელ რუს და საბჭოთა მეცნიერთა შრომებში“, — გ. ცვეტაევა (მოსკოვი). „ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის ხასიათისათვის“, — ი. დომანსკი (ლენინგრადი), „ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძველბერძნული კოლონიზაციის ზოგიერთი საკითხი“, — ვ. ი. პრუგლო (ლენინგრადი); „ძველი სინდიკის ბერძნული კოლონიზაცია“, — ი. კრუშკოლი, „სინდებისა და ბერძნების ეკონომიური ურთიერთობანი (სინდების სამაროვნის ძვ წ. VI—III სს მასალების მიხედვით)“, — კ. კარასიოვი (კემეროვო). „კეპის დაარსების დროის შესახებ“, — ე. ნიკოლაევა (მოსკოვი). „ყირიმის ბერძნული კოლონიზაციის ზოგიერთი საკითხი, — გ. ვახტინა, ი. ვინოგრადოვი, ვ. გორონჩაროვსკი, ე. როგოვი (ლენინგრადი); „ბერძნებისა და ბარბაროსების ურთიერთობა სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ ყირიმში ძვ. წ. VI—IV სს“ — ო. საველია. (სევასტოპოლი). „ქერსონესის დაარსების პრობლემა“ — ა. ზედგენიძე (სევასტოპოლი). „ქერსონესის ეკონომიური განვითარების თავისებურებანი საწყის პერიოდში მეტროლოგიური მონაცემების მიხედვით“, გ. ნიკოლაენკო (სევასტოპოლი). „ბერეზანის განვითარების თავისებურებანი არქაიკის ეპოქაში საკოლონიზაციო მოძრაობის პროცესთან დაკავშირებით“, — ლ. კოპეიკინა (ლენინგრადი).

„ოლბიის ვაჭრობა პოლისის შექმნის პერიოდში“, — ნ. ლეიპუნსკაია (კიევი). „ბერძნული და ბარბაროსული ელემენტების ურთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთზეგავლენა ქვემო ბუგისპირეთში ძვ. წ. VII—V სს"., — კ. მარჩენკო (ლენინგრადი). ბერძნები და ბარბაროსული სამყარო დნესტრ-დუნაის ორმდინარეთში, ა. მელიუკოვა (მოსკოვი). „ქვემოდნესტრისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია", — ს. ოხოტნიკოვი (ოდესა).

გაცხოველებული სჯა-ბაასი გაიმართა ჩრდილო შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის პრობლემების შემაჯამებელ დისკუსიაზე, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა თუ რაოდენ აუცილებელია საერთო, ზუსტი ტერმინოლოგიის შემუშავება, მკვლევართა შორის მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტების დამყარება, რომ ჯერ კიდევ მთელი რიგი საკითხებისა (მათ შორის პოლისების წარმოშობის თარიღები) გადასაჭრელია.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილ სხდომაზე განიხილეს ო. ლორთქიფანიძის მოხსენება, „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის (კოლხეთი) კოლონიზაციის პრობლემისათვის". ო. ლორთქიფანიძის კონცეფციის თანახმად, ბერძნული კოლონიზაცია შავიზღვისპირეთში, ძვ. წელთაღრიცხვის VII — VI სს., დაემთხვა კოლხთა ძლიერი სახელმწიფოს ფორმირების პერიოდს. მოხსენებაში განხილული იყო ბერძნულ-რომაული წყაროები, ბერძნულ სამოსახლოთა ადგილობრივი, კოლხური გარემოცვა. კოლხეთის ზღვისპირეთი ამ დროს მჭიდროდ არის დასახლებული, ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების სოციალ-ეკონომიური დონე მაღალია, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა ბერძნული კოლონიზაციის შესაძლებლობებს, ხელს უშლიდა აქ დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოების, ბერძნული აპოიკიების წარმოშობას, კოლხეთის სანაპიროზე არსებობდნენ მხოლოდ ბერძნული სავაჭრო ფაქტორიები, რომელთაც არ ჰქონდათ ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლუატაციაზე დაფუძნებული საკუთარი ეკონომიკური ბაზა (მიწათმოქმედება, ხელოსნური წარმოება). აქედან გამომდინარე მომხსენებელი თვლიდა, რომ ბერძნებს კოლხეთში არ მოუტანიათ პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციის რთული ფორმები; ჩრდილო შავიზღვისპირეთისაგან განსხვავებით, კოლხეთის სანაპიროზე ბერძნებს არ შეუქმნიათ პოლისები, ბერძნული ქალაქი — სახელმწიფოები, მათი მოღვაწეობა საშუამავლო ვაჭრობით შემოიფარგლა. ბერძნები სახლდებოდნენ კოლხურ ქალაქებთან და მათი დასახლებები მხოლოდ სავაჭრო ფაქტორიებს წარმოადგენდნენ.

იმ დებულებას, რომ კოლხეთში ბერძნული კოლონიების, დასახლების ძირითადი მიზანი საშუამავლო ვაჭრობა იყო (ლითონი, ხე-ტყე, მონები, სასოფლო-სამეურნეო ნედლეული და სხვ.) დავა არ გამოუწვევია. კამათის საგანი იყო ბერძნულ დასახლებათა (ფასისი, დიოსკურია, გიენოსი, ეშერი, ფიჭვნარი) სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხები.

თ. ყაუხჩიშვილმა მოხსენებაში „წერილობითი წყაროები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის საკითხზე" აღნიშნა, რომ არსებული წერილობითი ცნობები მცირეა. წყაროების მიხედვით „ბერძნული ქალაქი" ან „მილეტელებით დასახლებული ქალაქი" არსებითად ნიშნავს მხოლოდ ქალაქს ბერძნული მოსახლეობით და არა „კოლონიალურ პოლისს".

სიმპოზიუმზე გარკვეული ყურადღება დაეთმო კოლხეთის ეკონომიკის, როგორც ცალკეულ საკითხებს, ასევე ბერძნული ახალშენების არქეოლოგიური შესწავლის შედეგებს. დ. ხახუტაიშვილმა განიხილა „ძველკოლხური რკინის მეტალურგიის ზოგიერთი საკითხი (ბერძნული კოლონიზაციის პრობლემებთან კავშირში)". მომხსენებლის მიხედვით, ბერძენთა ფაქტორიების აღმოცენება კოლხეთში განაპირობა აქ არსებულმა რკინის საწარმოო კერებმა. აფხაზეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის საკითხებს შეეხო გ. შამბა (სოხუმი), აქ ქალაქების წარმოშობას იგი ბერძენ-იონიელთა საკოლონიზაციო მოძრაობას უკავშირებს. ეშერის ნაქალაქარზე ჩატარებული გათხრების საფუძველზე გ. შამბა ვარაუდობს იონიელთა ახალშენის არსებობას ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრიდან. ადგილობრივ ტომებს, რომელთა დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა შეიარაღების მაღალი დონე, უჭირავთ ნაქალაქარის შემოგარენის მიმდებარე გორაკები (ვერეშჩაგინის გორა, კუტიშხა, იორდან-იხუ, სომხური სასაფლაო და სხვა). ამის გამო კოლონისტების მიერ ექსპლუატირებული ტერიტორია შეზღუდული იყო.

ი. ვორონოვმა (სოხუმი) წაიკითხა მოხსენება „ჩრდილო კოლხეთის ტომების სოციალური წყობა ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში". მისი აზრით, ადგილობრივი მოსახლეობა სოციალური განვითარების იმ საფეხურზე იმყოფებოდა, როდესაც ტომის ყველა ბრძოლისუნარიანი წევრი მეომარია, რაც გვაროვნულ საზოგადოებას ახასიათებს. სოხუმის ყურის გარშემო გორაკებზე განლაგებული სოფლები წარმოადგენენ საგვარეულო დასახლებებს, რომლებიც შედგებოდნენ ერთი ან ორი ათეული ხის ქოხისაგან. თითოეული ქოხი ერთ გარკვეულ პატრიარქალურ ოჯახს ეკუთვნოდა.

გ. კვირკველიამ (თბილისი) წაიკითხა მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენება — „სოხუმის ყურის რაიონის მოსახლეობა ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძვ. წ. VI—IV სს ცხოვრება ადგილობრივ სამოსახლოებზე არა მარტო გრძელდება, არამედ ხდება მისი გაძლიერება. ვითარდება ადგილობრივი ტრადიციული ხელოსნური წარმოება. კერამიკა ხასიათდება საერთო კოლხური იერით. ბერძნულმა დასახლებამ ვერ შესცვალა ადგილობრივი საზოგადოების შინაგანი სტრუქტურა: მისი ელინიზაცია იწყება მხოლოდ ძვ. წ. IV—III საუკუნეებში.

სიმპოზიუმზე წაკითხული იყო დ. კაჭარავას მოხსენება „გიენოსის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“. არსებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით, გიენოსში (ქ. ოჩამჩირესთან) ბერძნული დასახლება ჩნდება ძვ. წ. V ს. შუა წლებიდან, რადგან სწორედ ამ ხანას განეკუთვნება ნაქალაქარზე მასობრივად წარმოდგენილი იმპორტული სახელოსნოს ნაწარმი. ამის გამო გიენოსის წარმოშობა არ უკავშირდება ძვ. წ. VII—VI საუკუნეებში ბერძნულ კოლონიზაციას. არსებული მასალით არ დასტურდება ბერძნების სამეურნეო-საწარმოო მოღვაწეობაც. მომხსენებელი იზიარებს იმ მეცნიერების აზრს, რომლებიც გიენოსს თვლიან ადგილობრივ სამოსახლოსთან დაარსებულ ბერძნულ, კერძოდ ათენელთა სავაჭრო ფაქტორიად.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის პრობლემისადმი მიძღვნილ სხდომაზე, რომელიც კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე ჩატარდა ს. სალხინოში, მოხსენებით „ელინური აპოიკიები და კოლხეთის ადგილობრივი მოსახლეობა“ გამოვიდა ა. ბოლტუნოვა (მოსკოვი). მისი აზრით, ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევარში კოლხეთის ზღვის სანაპიროზე უკვე არსებობენ ბერძნული ქალაქები, მილეტის მიერ დაარსებული აპოიკიები, ფასისი და დიოსკურია. მათი აყვავების ხანაა ძვ. წ. IV—II სს. ამ დროს ხდება მათი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის მაქსიმალური გაფართოება და ჩამოყალიბება, სახელოსნო და აგრარული წარმოების, ვაჭრობის აყვავება. მომხსენებლის აზრით, ადგილობრივი მოსახლეობა განვითარების გვაროვნულ საფეხურზე იმყოფებოდა. (როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ეს უკანასკნელი თეზა არ გაიზიარა მკვლევართა დიდმა უმრავლესობამ).

თ. მიქელაძის მოხსენება: „ძველი ფასისის არქეოლოგიური ქორის მასალები“ მიეძღვნა უკანასკნელ წლებში მდ. რიონზე (ფასისი) აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას. ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ძვ. წ. VI—V სს. ფასისი საძებარია თანამედროვე ფოთიდან აღმოსავლეთით. აქედან გამომდინარე, მდ. რიონზე, ზღვიდან 12—15 კმ მოშორებით მდებარე ძეგლები ფასისის გარეუბნებს წარმოადგენდნენ. აქ არ გვხვდება ისეთი წინაპირობები, როგორიცაა ბერძნული დასახლებები, ადგილობრივი მოსახლეობის ძლიერი ელინიზაცია, ბერძნული ნაწარმი, რომელსაც ამზადებდნენ ფასისში და ა. შ., რის საფუძველზე აღმოცენდებიან და არსებობენ ბერძნული პოლისები. აქ ისეთივე სურათია, რომელიც დამახასიათებელია კოლხეთის შიდა რაიონებისათვის.

გ. ლორთქიფანიძის მოხსენებაში: „კოლხურ-ბერძნულ ურთიერთობათა ხასიათის შესახებ ძვ. წ. VI—IV სს.“ აღნიშნული იყო, რომ ხელსაყრელი სავაჭრო კონიუნქტურის გამო ბერძნები მჭიდროდ იკიდებდნენ ფეხს კოლხეთის ზღვისპირეთის მთელ რიგ პუნქტებში, ბერძნული ახლშენი ფასისი კონტროლს უწევს იმ საერთაშორისო გზას, რომლის ერთი მონაკვეთი რიონ-ყვირილის სანაოსნო მაგისტრალზე გადიოდა. არქეოლოგიური მონაცემები და წერილობითი წყაროები მოწმობენ, რომ ბერძენ მოახალშენეებს თან მოუტანიათ მეტროპოლიიდან კოლონისტების მფარველი ღვთაების აპოლონის კულტი; ქალაქი ჭრის მონეტას, რომელზედაც მილეტის გერბია გამოხატული. მისი აზრით. ბერძნულ დასახლებებს (ფასისი, დიოსკურია) თავისი ტრადიციული სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, თვითმმართველობა უნდა ჰქონოდათ. კოლხეთის სამეფო დაინტერესებული იყო მათთან მჭიდრო სავაჭრო ეკონომიური ურთიერთობით, რის შედეგადაც მას დასავლეთ საქართველოში „კოლხური თეთრის“ ფართო გავრცელება მიაჩნია. ბერძენი მოახალშენეები მეტროპოლიას ემორჩილებოდნენ.

გ. დუნდუას მოხსენება: „კიდევ ერთხელ კოლხური თეთრის გენეზისისათვის“ მიეძღვნა ქართული ნუმიზმატიკის ერთ-ერთ კარდინალურ საკითხს — ე. წ. კოლხური თეთრის წარმოშობის პრობლემას. მომხსენებელი, წერილობითი წყაროებისა და ნუმიზმატიკური მასალების ანალიზის საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლომის გამოსახულებიანი კოლხური მონეტების ემისიას ფასისი აწარმოებდა. ჩვეულებრივი ტიპის კოლხური ტრიობოლებიც (ადამიანისა და ხარის გამოსახულებანი) აგრეთვე ქალაქის მოჭრილი უნდა იყოს. მათზე მოცემული შვიდი სხვადასხვა ბერძნული ასო და ნიშანი მაგისტრატებს უნდა დავუკავშიროთ, ვინაიდან შეუძლებელია კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე სინქრონულად

შვიდი ზარაფხანის არსებობა. გ. დუნდუას აზრით, ამის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე კოლხური სამონეტო ტიპების მრავალფეროვნება (რვა ტიპი) და ნომინალების რთული და დიფერენცირებული სისტემა (მაგალითად. ფიჭვნარის ძვ. წ. V ს. სამარხში მიკვლეულია დრაქმის 1/48 ნაწილი, ე. წ. ჰემიტეტარტემორიონი, რაც არაა დამახასიათებელი სამეფო ემისიისათვის). ამასთანავე მან აღნიშნა, რომ *ეკონომიკური* თვალსაზრისით ეს ნუმიზმატიკური მასალა *საერთო კოლხური* მონეტებია, რაზედაც მიუთითებს მათი გავრცელების საზღვრები, არეალი.

სიმპოზიუმმა მუშაობა განაგრძო ვანში (მონაწილეებმა დაათვალიერეს გათხრები და აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა) და ბათუმში, სადაც ა. ინაიშვილმა და ა. კახიძემ სტუმრებს გააცნეს სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის ანტიკური ხანის ძეგლების არქეოლოგიური შესწავლის ძირითადი შედეგები. გარდა ამისა მოეწყო ექსკურსია ნოქალაქევში, სადაც დიდი მასშტაბის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. სიმპოზიუმის მონაწილეეებმა ერთხმად აღნიშნეს ქართველ არქეოლოგთა დიდი მიღწევები.

შემდეგი სიმპოზიუმი ორი წლის შემდეგ გაიმართება.

**ნინო კილურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკადემიკოსი ილია ნესტორის ძე ვეკუა



საბჭოთა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 1977 წლის 2 დეკემბერს 70 წლისა გარდაიცვალა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსი და მექანიკოსი, მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების უნიჭიერესი ორგანიზატორი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ილია ნესტორის ძე ვეკუა.

ი. ვეკუა დაიბადა 1907 წლის 23 აპრილს საქართველოს სსრ გალის რაიონის სოფელ შეშელეთში. საშუალო განათლება მიიღო ზუგდიდში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ხოლო 1933 წელს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა ლენინგრადში. თბილისში დაბრუნების შემდეგ ი. ვეკუა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1939 წელს ი. ვეკუამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1944 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს ნამდვილ წევრად. იმავე წელს იგი არჩეულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპონდენტად, ხოლო 1958 წელს ნამდვილ წევრად.

ი. ვეკუამ შექმნა მათემატიკის ახალი დარგები, რომლებმაც ფართო გამოყენება პოვეს მექანიკაში და დიდი გავლენა მოახდინეს თანამედროვე მათემატიკის განვითარებაზე. ი. ვეკუას ეკუთვნის ელიფსური ტიპის განტოლებათა სასაზღვრო ამოცანების ზოგადი თეორია, რომელიც საფუძველი გახდა ინდექსის თანამედროვე თეორიისათვის.

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სრული თეორია, რომელმაც მნიშვნელოვნად გააფართოვა კლასიკური მათემატიკური ანალიზის შესაძლებლობანი. ამ თეორიამ დასრულებული სახე ქართველ მათემატიკოსთა გამოკვლევებში მიიღო და ი. ვეკუას შრომებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა მის შექმნაში.

50-იან წლებში ი. ვეკუა დიდი გატაცებით მუშაობს განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის და დრეკად გარსთა თეორიასა და გეომეტრიაში მისი გამოყენების საკითხებზე. ამ მიმართულებით ი. ვეკუამ ფუნდამენტურ შედეგებს მიაღწია, რომლებიც თავმოყრილი და შეჯამებულია მის მონოგრაფიაში „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“. მონოგრაფიამ ავტორს, როგორც ახალი თეორიის ერთ-ერთ შემქმნელს, მსოფლიო აღიარება მოუტანა.

მათემატიკისა და მექანიკის ბევრ დარგში ღრმა თეორიული გამოკვლევების ავტორი ი. ვეკუა არ იფარგლებოდა წმინდა თეორიის ჩარჩოებით და იმ ზომამდე სრულყოფდა თავის გამოკვლევებს, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი უშუალო მომარჯვება მათემატიკის, მექანიკის, ფიზიკისა და ტექნიკის გამოყენებითი ამოცანების გადასაწყვეტად.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ვეკუას უკანასკნელი ათწლეულის მრავალი გამოკვლევა, რომლებიც დრეკად გარსთა თეორიის ახალი ვარიანტების შემუშავებას მიეძღვნა. ი. ვეკუას მიერ შექმნილმა გარსთა თეორიის მეთოდებმა შესაძლებელი გახადა გადაჭრილიყო მთელი რიგი პრინციპული საკითხები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ამოუხსნელი რჩებოდა.

აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოწაფე — ი. ვეკუა მასთან ერთად საქვეყნოდ ცნობილი ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

მრავალმხრივ და ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ი. ვეკუა დიდ ორგანიზატორულ და პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ჯერ ლენინგრადში, შემდეგ თბილისში, მოსკოვში, ნოვოსიბირსკში და — ისევ თბილისში.

წლების მანძილზე ი. ვეკუა იყო ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, ხელმძღვანელობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთა კათედრების მუშაობას, იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე.

1952—1959 წლებში ი. ვეკუა მოსკოვში მოღვაწეობდა. იგი იყო მოსკოვის მ. ი. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ა. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე. მუშაობდა აგრეთვე მოსკოვის სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში.

უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ი. ვეკუას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ჩამოყალიბებაში. იგი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმის წევრი, ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზატორი და პირველი რექტორი. ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ყოფნის პერიოდში (1959—1964 წლები) ი. ვეკუამ ფასდაუდებელი ამაგი დასდო დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტას — ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონებისათვის სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეს.

მნიშვნელოვანია ი. ვეკუას დამსახურება ახალ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა შექმნასა და მათი მუშაობის ხელმძღვანელობაში, მეცნიერების ყველა სფეროს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა მათემატიკოსთა და მექანიკოსთა მრავალრიცხოვანი კადრები როგორც საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ისე სოციალისტურ ქვეყნებში, რომელთაგან ამჟამად ბევრნი ცნობილი მეცნიერები არიან.

1965—1972 წლებში ი. ვეკუა სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მისი მოღვაწეობის ამ პერიოდთან არის დაკავშირებული სასწავლო-აღმზრდელობითი და მეცნიერულ-ორგანიზაციული მუშაობის დონის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური და სასწავლო ლაბორატორიული ბაზის გაფართოება. ი. ვეკუამ შექმნა და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტს, ამ ფართოდ ცნობილ დიდ სამეცნიერო ცენტრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1972 წელს ი. ვეკუა სათავეში ჩაუდგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის — რესპუბლიკის მეცნიერების მთავარ შტაბს და მთელ თავის ორგანიზატორულ ნიჭს, თავის ცოდნას, გამოცდილებასა და მჩქეფარე ენერგიას ახმარდა ქართული საბჭოთა მეცნიერების შემდგომ განვითარებას, მის გამოყენებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, მეცნიერთა საქმიანობის კონცენტრაციას დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემების გადასაჭრელად.

ი. ვეკუას მეცნიერულმა მოღვაწეობამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მის მონოგრაფიას „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“ 1963 წელს ლენინური პრემია მიენიჭა, ხოლო მეორე მონოგრაფიას — „ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები“ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა. ბევრი მისი მონოგრაფია და შრომა თარგმნილია მრავალ უცხო ენაზე და გამოცემულია სხვადასხვა ქვეყანაში. იგი არჩეული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, ჰალეს ლეოპოლდინას აკადემიის, პალერმოს იტალიის მეცნიერებათა აკადემიის, პოლონეთის თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საზოგადოების, დანიის გამოყენებითი მათემატიკისა და მექანიკის სამეცნიერო ცენტრის, თეორიული და გამოყენებითი მექანიკის საერთაშორისო კავშირის გენერალური ასამბლეისა და მრავალი სხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრად. მას მინიჭებული ჰქონდა ჰალეს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

ი. ვეკუა იყო მთელი რიგი წამყვანი საბჭოთა და უცხოური სამეცნიერო ჟურნალების რედაქციების წევრი, მრავალი სამეცნიერო კონგრესისა და კონფერენციის აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი.

მათემატიკისა და მექანიკის დარგში უთვალსაჩინოესი მიღწევებისა და სამეცნიერო კადრების მომზადებაში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის ი. ვეკუას 1969 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. იგი დაჯილდოებული იყო ხუთი ლენინის ორდენით, სსრ კავშირის სხვა ორდენებითა და მედლებით.

დიდ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ი. ვეკუა კარგად უხამებდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას; იგი იყო სსრ კავშირის მეშვიდე, მერვე და მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1966 წლიდან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. წლების მანძილზე მეთაურობდა რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნას“, იყო სსრ კავშირ-საფრანგეთის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, მშვიდობის დაცვის საბჭოს კომიტეტის წევრი.

ი. ვეკუას სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ შეუწყვეტია დაძაბული შემოქმედებითი და ორგანიზატორული მუშაობა. უდიდესი ნებისყოფის ფასად მან ბოლო დროს შექმნა შრომები, რომლებიც გასხივოსნებულია მისი ნათელი ნიჭით და მეცნიერების საგანძურში შევა როგორც დიდი მეცნიერული გმირობის მაგალითი.

გამოგვაკლდა გამოჩენილი მეცნიერი, კომუნისტი, მგზნებაზე პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მეცნიერების, სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უანგარო სამსახურს შეალია.

ი. ნ. ვეკუას, კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, დიდი მოქალაქის, უსპეტაკესი და მაღალპრინციპული, პარტიისა და ხალხის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანის ნათელი ხსოვნა ნიმუშად ექნება ბევრ თაობას და მარად დარჩება ხალხის ხსოვნაში.

პ. გილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, გ. კოლბინი, პ. მელნიკოვი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, თ. მოსაშვილი, ჟ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ნ. ჭითინავა, ს. ხაბეიშვილი, ა. ალექსანდროვი, ვ. ელიუტინი, ა. ლოგუნოვი, გ. მარჩუკი, მ. კელდიში, ნ. ბოგოლიუბოვი, ვ. ამბარცუმიანი, ი. ვინოგრადოვი, ს. სობოლევი, ა. პროხოროვი, გ. აბდულაევი, ე. სეხნიაშვილი, თ. ლაშქარაშვილი, ე. ხარაძე, ს. დურმიშიძე, ა. ფრანგიშვილი, ნ. ლანდია, ი. აბაშიძე, ე. ანდრონიკაშვილი, ა. ბიწაძე, ლ. გაბუნია, რ. გამყრელიძე, ი. გვერდწითელი, თ. დავითაია, მ. დარასელია, რ. დვალი, ნ. ვეკუა, კ. ზავრიევი, ა. თავხელიძე, ნ. კეცხოველი, ვ. კუპრაძე, ბ. ლობჟანიძე, ვ. მახალდიანი, ვ. ოკუჯავა, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, დ. ჩხიკვიშვილი, გ. ციციშვილი, ა. ძიძიგური, შ. ძიძიგური, გ. ჭოღოშვილი, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერასტი ახობაძე



ქართველ მეცნიერთა რიგებს გამოკლდა თვალსაჩინო მკვლევარი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სკკპ წევრი 1939 წლიდან, დიდი სამამულო ომის ვეტერანი ერასტი ამბაკოს ძე ახობაძე.

ერასტი ახობაძე დაიბადა 1907 წელს სოფელ კულაშში (სამტრედიის რაიონი). საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1931 წელს.

1931—1934 წლებში ე. ახობაძე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ასპირანტურის ინსტიტუტში და ამავე დროს ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას. კითხულობდა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კურსს თბილისის სამედიცინო, ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტებსა და სახელმწიფო უნივერსიტეტში. აგრეთვე, შეთავსებით მუშაობდა საქ. კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროს მეცნიერ მუშაკად, ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის განყოფილების გამგედ.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ე. ახობაძე უბრუნდება პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას. 1947 წელს იგი გადაჰყავთ მ. გორკის სახ. სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინზმის საფუძვლების კათედრის გამგედ.

1959 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ე. ახობაძე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მან 1947 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1967 წელს — სადოქტორო დისერტაცია.

მრავალმხრივი იყო ე. ახობაძის მეცნიერული ინტერესების სფერო. მას გამოქვეყნებული აქვს 50-მდე ნაშრომი, მათ შორის 5 მონოგრაფია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური გამოკვლევები „ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900—1917 წწ.)“ და „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში“. ამ მონოგრაფიებში შესწავლილია საქართველოს მარქსისტთა ბრძოლა ლენინური ეროვნული პროგრამის დაცვისა და მშრომელთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის, ნაჩვენებია ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის წვლილი იმპერიალიზმის ეპოქის პირველ სახალხო რევოლუციაში.

ე. ახობაძე მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობას წარმატებით უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი წლების მანძილზე იყო მთელი რიგი სამეცნიერო საბჭოების წევრი, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი და აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

წავიდა ჩვენგან თვალსაჩინო მეცნიერი და ჩინებული მოქალაქე, რომელიც მისაბაძი გულისხმიერებით, მორალური სისპეტაკით, დიდი შრომისმოყვარეობით, პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის მაღალი თვისებებით გამოირჩეოდა. მისი ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მეგობრების, კოლეგებისა და მის აღზრდილთა გულში.

**მამია ჯიჯეიშვილი**

ფასი 1 მან.

76197

ეროვნული ბიბლიოთეკა